ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

ანა წიგნაძე

საკუთრების უფლების შეძენის გზები ძველ ქართულ სამართალში

(სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, ნაპოვარი, მონალექი)

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ სურგულაძე

თბილისი

2022

აბსტრაქტი

ფეოდალური საკუთრების უფლების ინსტიტუტის, მათ შორის, საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი გზების ფუნდამენტური კვლევა, მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ქართული სამართლის ინსტიტუტების შესასწავლად. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს მისი შესწავლის მნიშვნელობა ქართული სამართლის ისტორიისთვის, განსაკუთრებით, ძველი ქართული სამოქალაქო სამართლით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ვინაიდან სადისერტაციო თემაში დასმული ზოგიერთი საკითხი, გარკვეულწილად, პირველადი შესწავლის საგანია. სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, მონალექი, როგორც საკუთრების უფლების შეძენის საშუალებები, აქამდე სათანადოდ არ ყოფილა მეცნიერულად დამუშავებული. რაც შეეხება ნაპოვარს, ის საფუძვლიანადაა განხილული ვ. ლომიძის სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, რომელიც საკითხის ირგვლივ დამატებითი კვლევით შევავსეთ.

დისერტაციის მიზანია, პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, კვლევის მეთოდოლოგიათა კომპლექსური გამოყენებით, შესწავლილ იქნეს საკუთრების უფლების შეძენის რამდენიმე საშუალება: სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, ნაპოვარი და მონალექი. დისერტაციის კვლევის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ საკუთრების უფლების შეძენის დასახელებული წყაროები ძველ ქართულ სამართალში, დამატებითი კვლევა შესრულდა რომის სამართალში, მხოლოდ ცალკეული ინსტიტუტების ძირითადი სამართლებრივი მახასიათებლების ჩვენების მიზნით.

დისერტაციაში გადმოცემულია სამხედრო ნადავლის, როგორც საკუთრების უფლების შეძენის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს ძირითადი თავისებურებები ძველ ქართულ სამართალში. ნაშრომი შეისწავლის ფეოდალურ საქართველოში მტრის კუთვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების წესებს, მოლაშქრეებსა და სხვა უფლებამოსილ პირებს შორის ნაშოვარი ქონების გაყოფის რიგითობას და, ასევე, იკვლევს რა ფაქტორებზე იყო დამოკიდებული ნადავლის კანონიერება. შესწავლილია შემდეგი საკითხები: სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები, ხმლით ნაშოები როგორც მოუდევარი საკუთრება; ფანჯიაქის აღების ტრადიცია, ნადავლში მოხელეთა წილის ოდენობა და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ნანადირევიც. სანადირო ობიექტებზე საკუთრების უფლების მოპოვება განხილულია ნადირობის ორგანიზაციის ფორმების საფუძველზე. გათვალისწინებულია სამონადირეო წეს-ჩვეულებების გავლენა ნანადირევზე საკუთრების უფლების მოპოვებისას. ნაჩვენებია გარეულ ცხოველებზე, ფრინველებზე, ფუტკარსა და მის ნაყოფზე უფლებების წარმოშობის პირობები, ასევე, განხილულია თევზჭერის საკითხები.

ნაპოვარის შესახებ გაანალიზებული საკანონმდებლო ნორმები ასახავენ ფეოდალური სამართლის განსხვავებულ მიდგომას ნაპოვარზე წილის დამსაკუთრებელ სუბიექტთა წრის განსაზღვრისას. ნაპოვარის ნივთობრივი ბუნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია ნაპოვარზე წარმოშობილ უფლებათა სიმტკიცის საკითხი.

ასევე, დისერტაციის შესწავლის საგანს წარმოადგენს მონალექი ძველ ქართულ სამართალში, რომლის ხასიათის დადგენის პირველი მცდელობისა და წყაროთა სიმწირიდან გამომდინარე, ჩატარებულ კვლევას საკმარისად არ მივიჩნევთ და ეს დისერტაციის ერთგვარ ნაკლად წარმოგვიდგენია.

კვლევის შედეგებს გააჩნია როგორც სამეცნიერო ღირებულება, ასევე, პრაქტიკული მნიშვნელობა. მათი გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ქართული სამართლის ისტორიის კურსის ფარგლებში, როგორც დამატებითი ლიტერატურა ძველ ქართულ სანივთო სამართლში.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, ნაპოვარი, მონალექი, ხმლით ნაშოები.

Abstract

A fundamental study of the institution of feudal property rights, including the original ways of acquiring property rights, is important for the study of Georgian legal institutions of this period. The relevance of the research topic is determined by the importance of its study for the history of Georgian law. Especially for the scientific community interested in ancient Georgian civil law, since some of the issues raised in the dissertation topic are, to some extent, the subject of initial study. Military booty, hunting game, and sediment as means of acquiring property rights have not been properly studied scientifically so far. As for godsend, it is thoroughly discussed by V. Lomidze within the framework of its thesis, which we filled with additional research on the issue.

The aim of the thesis is to study several ways of acquiring property rights: military booty, hunting game, godsend and sediment, based on the analysis of primary sources and scientific literature, with the complex use of research methodologies. The main objects of the dissertation research are the named sources of the acquisition of property rights in ancient Georgian law. Additional research was performed in Roman law, only in order to show the main legal characteristics of individual institutions.

The dissertation presents the main features of military booty as one of the important sources of acquisition of property rights in ancient Georgian law. The work examines the rules of obtaining property rights to the property belonging to the enemy in feudal Georgia, the order of dividing the acquired property between the warriors and other authorized persons, and also investigates what factors depended on the legality of the booty. The following issues are studied: terms denoting military booty, sword-born as unclaimed property; The tradition of taking Panjiak, the amount of the officials' share in the loot, etc.

Hunting game is also the object of research of the present work. Acquisition of ownership rights to hunting facilities is considered based on the forms of hunting organization. The impact of hunting customs on the acquisition of ownership rights to hunting game is considered. The conditions for the origin of rights to wild animals, birds, bees and their fruits are shown, and fishing issues are discussed.

The analyzed legal norms about godsend reflect a different approach of feudal law in determining the circle of person owning a share in godsend. Due to the material nature of godsend, the issue of the validity of the rights arising from godsend has been raised.

Also, the subject of the study of the dissertation is a sediment in ancient Georgian law, which due to the first attempt to determine its nature and the scarcity of sources, we do not consider the conducted research to be sufficient, and this is a kind of shortcoming of the dissertation.

The research results have both scientific value and practical significance. They can be used in higher educational institutions within the framework of the course of the history of Georgian law, as additional literature on ancient Georgian civil law.

Key words: military booty, Hunting game, godsend, sediment, sword-born.

შესავალი 9

I. საკუთრების უფლების არსი რომის სამართალსა და ქართულ ფეოდალურ და თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში 20

II. სამხედრო ნადავლი როგორც საკუთრების უფლების შეძენის წყარო ძველ ქართულ სამართალში 42

2.1. სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები.....45

2.1.1. ალაფი.....45

2.1.2. ნატყვენავი.....47

2.1.3. იავარი (ავარი).....49

2.1.4. განძი.....51

2.1. 5. დავლა.....52

2.1.6. ფანჯიაქი.....53

2.1.7. ნაშოები, Ãრმლით ნაშოები და Ãრმლით მოგებული.....54

2.2. ხმლით ნაშოები როგორც მოუდევარი საკუთრება.....57

2.3. სამხედრო ორგანიზაცია და ლაშქრის შემადგენლობა.....60

2.4. სამხედრო ნადავლის განაწილების წესები.....67

2.4.1. სამართლის წიგნები სამხედრო ნადავლის განაწილების შესახებ.....71

2.4.2. კანონის ძალის მქონე საბუთები სამხედრო ნადავლის განაწილების შესახებ.....77

2.4.2.1. ამილახვართა წილი.....79

2.4.2.2. რუსთავის სადროშოს წილი.....80

2.4.2.3. სახლთუხუცესთა წილი.....81

2.4.2.4. მოურავის წილი.....81

2.4.3. მდევრობას დაკლებულთა მონარბევი.....84

2.4.4. საზღვაო ნადავლი.....86

2.5. ტყვეზე საკუთრების უფლების შეძენის ხასიათი.....87

2.5.1. ტყვეთა სამართლებრივი მდგომარეობა.....87

2.5.2. ბრძოლაში დატყვევებულთა ერთობლივად გათავისუფლება.....90

2.5.3. ტყვეების ნასყიდობასთან დაკავშირებული გადასახადები.....93

2.6. დროშა როგორც სამხედრო ნადავლის განსაკუთრებული ობიექტი.....96

2.7. სამხედრო ნადავლზე წარმოშობლი დავების გადაწყვეტა.....97

2.8. ზოგიერთი სახის ნადავლის აღების შეზღუდვა ან აკრძალვა.....98

2.9. ალაფი როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება.....100

2.9.1. ალაფზე დაფიცება.....100

2.9.2. ალაფის შექცევა ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის.....102

2.9.3. ალაფის უნახშიროდ შექცევა.....104

2.10. ომის დროს მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.....105

2.10.1. სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დროებითი შეზღუდვა.....105

2.10.2. სალაშქრო ცხენისა და საომარი აღჭურვილობის ქურდობა.....106

2.10.3. ომში მონაწილე მოლაშქრეთა ქონებრივი უფლებების დაცვა.....108

2.11. ლაშქრობასთან დაკავშირებული ტრადიციები.....109

III. ნადირობა როგორც საკუთრების უფლების შეძენის გზა 112

3.1. ნადირობის მნიშვნელობა.....112

3.2. ნადირობა როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება.....115

3.3. ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები.....115

3.4. სანადირო გარემო.....118

3.4.1. სამეფო სანადირო ადგილებით სარგებლობის წესი.....122

3.4.2. სანადირო ნაკრძალები.....124

3.4.3. ნადირობის უფლებით მიწების გაცემა ... *126*
3.5. სანადირო ტრადიციები ... 127
3.5.1. ლოცვის და სამადლობელი რიტუალის სამონადირეო ტრადიცია ... *128*
3.5.2. სამონადირეო შეზღუდვები და აკრძალვები ... *131*
3.6. მონადირეთა გაწვრთნა ... 135
3.7. ნადირობის ორგანიზაციის ფორმები ... 137
3.7.1. ცალად ნადირობა ... *138*
3.7.2. ჯგუფური ნადირობა ... *138*
3.7.3. მასობრივი ნადირობა ... *139*
3.8. სამეფო ნადირობის ორგანიზაცია ... 140
3.8.1. სამეფო ნადირობის სახეები ... *140*
3.8.2. რიგითი სამეფო ნადირობა ... *141*
3.9. სანადირო საქმესთან დაკავშირებული მოხელეები ... 143
3.9.1. მონადირეთუხუცესი ... *143*
3.9.2. სამეფო კარის მონადირეთა უფლება-მოვალეობები ... *145*
3.9.2.1. სამეფო მონადირეთა გასამრჯელო ... 147
3.9.3. გაზიერთუხუცესი და გაზიერები ... *148*
3.9.4. მეძაღლეთუხუცესი ... *149*
3.9.5. ტყისმცველთუხუცესი და ტყის მცველები ... *151*
3.10. ნანადირევის გაყოფა ... 152
3.10.1. ნანადირევ ცხოველზე შეცილება ... *157*
3.11. ფრინველზე ნადირობა ... 161
3.12. თევზჭერა ... 162
3.12.1. სამეფო, საბატონო და საკათალიკოსო თევზჭერა ... *162*
3.12.2. თევზის ბაჟის აღება ... *165*
3.12.3. თევზჭერის წესები მთაში ... *165*
3.13. ტყიური მეფუტკრეობა ... 166
3.13.1. პირველი ცნობები მეფუტკრეობის შესახებ ... *166*
3.14. მეფუტკრეობის ტერმინოლოგია ... 168
3.15. ტყიური ფუტკრის მოპოვების ფორმები ... 169
3.15.1. კლდის მეფუტკრეობა ... *171*
3.15.2. ხეფუტკარზე ნადირობა ... *172*
3.15.3. ტყიურ ფუტკარზე ნადირობის პერიოდი და აყვანის მეთოდი ... *174*
3.16. სარიტუალო რწმენა-წარმოდგენები ... 175
3.17. კოლიზია უპატრონო ნივთების დაუფლებასა და მიწის საკუთრების უფლებას შორის ... 177

IV. ლაშქარ-ნადირობა 180

V. ნაპოვარი როგორც საკუთრების უფლების შეძენის გზა ძველ ქართულ სამართალში 186

5.1. ნაპოვარის სამართლებრივი დახასიათება ... 186
5.2. პირველი წერილობითი წყაროები ნაპოვნი ნივთების შესახებ ... 191
5.3. ნაპოვარის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში ... 192
5.4. ნაპოვარის ობიექტი ... 194
5.5. დავით ბატონიშვილი „საზოგადოობასა“ მყოფ და არავის კუთვნილ ნივთებზე ... 195
5.6. მპოვნელის ვალდებულებები ... 197
5.7. პოვნის ადგილის მნიშვნელობა ნაპოვარზე უფლების მოცულობის დასადგენად ... 201
5.7.1. საკუთარ და სხვის ქონებაში პოვნა ... *202*
5.7.2. ახლად შეძენილ საკუთრებაში პოვნა ... *203*
5.7.3. სამეფო (საბატონო, საქვეყნო) მიწაზე პოვნა ... *204*

5.7.4. ნივთის წყალში აღმოჩენა და ამოტანა..... 205
5.7.5. დამალული ქონების პოვნა..... 205
5.8. „ირაო“ საქონელი 206
5.9. მტკიცებულებათა მნიშვნელობა..... 207
5.10. მთხრობლის მეშვეობით ნივთის პოვნა 208
5.11. მესაკუთრის უფლებათა დაცვა 210
5.12. ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურება 212
5.13. ხანდაზმულობის ვადის საკითხი 214
5.14. პოვნის გასამრჯელო 216
5.15. ბერძნული სამართლის კოლიზიური ნორმები 219
5.16. ეთნოგრაფიული ცნობები ნაპოვარზე 220

VI. მონალექი როგორც საკუთრების უფლების შეძენის საშუალება 221

6.1. მონალექის სამართლებრივი დახასიათება 221
6.1.1. მონალექის სახეები..... 222
6.2. მონალექი ძველ ქართულ სამართალში..... 225
6.2.1. პირველი ცნობები მონალექის შესახებ..... 225
6.2.2. მონალექზე საკუთრების უფლების შეძენის წესები..... 225
6.2.3. კანონის ანალოგია – საკუთრების უფლება წიაღისეულზე..... 228
6.2.4. კლიმატის გავლენა მონალექზე..... 230

დასკვნა 233

ბიბლიოგრაფია 238

აბრევიატურა და შემოკლებები

ა.შ. – ასე შემდეგ

ე.ი. – ესე იგი

თბ. – თბილისი

იხ. – იხილე

მაგ. – მაგალითად

მთ. რედ. – მთავარი რედაქტორი

ნაწ. – ნაწილი

რედ. – რედაქტორი

სხვ. – სხვა

შეად. – შეადარე

М. – Москва

С.-Петербург – Санкт Петербург

ვსგი შრომები - ვახუშტის სახელობის გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სსთსუ გამომცემლობა - სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სსსრ სს თსუ გამომცემლობა - საქართველოს სსრ მეცნიერებათა თსუ გამომცემლობა

სსსრმ სს თსუ მოამბე - საქართველოს სსრ მეცნიერებათა სს თსუ მოამბე

სსუ შრომები - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,

ქსძ - ქართული სამართლის ძეგლები

შესავალი

საკვლევი პრობლემა. სამხედრო ნადავლი, ნანადირევი, მონალექი, როგორც ფეოდალური საქართველოს საკუთრების უფლების შეძენის საშუალებები, სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა მიერ. სადისერტაციო თემის ფარგლებში განსახილველი ზოგიერთი საკითხის ირგვლივ მეცნიერული კვლევა საერთოდ არ განხორციელებულა, ნაწილი კი არასაკმარისადაა დამუშავებული. გამონაკლისს წარმოადგენს ნაპოვარი, რომელიც სპეციალური შესწავლის საგანს უკვე წარმოადგენდა. საკითხის სისტემური კვლევის პროცესში მთავარ სირთულეს წარმოადგენს ფეოდალური საკუთრების უფლების ინსტიტუტის დანაწევრებული ბუნება, რაც გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის შეზღუდვებს, რასაც საკუთრების უფლება განიცდიდა ფეოდალიზმის პერიოდში, ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით. საკვლევი თემის ზოგადი პერიოდიზაცია მოიცავს ადრეული ფეოდალიზმის საწყისი ეტაპიდან[1] XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით პერიოდს. მაგრამ ეს უფრო პირობითი ხაზს წარმოადგენს, რადგან, საკვლევ თემათა სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში, ისიც სამხედრო ნადავლთან დაკავშირებით, შევძელით მეტნაკლებად მოგვეცვა ფეოდალიზმის სრული ციკლი. ხელისშემშლელ ფაქტორებს საკვლევ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ წყაროთა ნაკლები ინტერესი წარმოადგენდა.

კვლევის მნიშვნელობა. საკუთრებით ურთიერთობებს ხანგრძლივი განვითარების ისტორია აქვთ, რომელთა შესწავლას არა მარტო სამართლის ისტორიისთვის აქვს მნიშვნელობა, ეს საკითხი ეროვნული იდენტიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნადაც შეიძლება მივიჩნიოთ. კვლევის ფარგლებში კომპლექსურად დამუშავდა როგორც საკანონმდებლო წყაროები, ასევე საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალები. მიღებული შედეგები, სხვა შესაბამის ლიტერატურასთან ერთად, შექმნის ღირებულ სამეცნიერო ბაზას საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი გზების სრულყოფილად შესწავლის კუთხით.

---

[1] კოლხეთში ადრეფეოდალური ურთიერთობების დასაწყისად მიიჩნევა ახ. წ-ის I საუკუნის მე-2 ნახევარი, იბერიაში IV-VI სს. იხ. *ჩიქობავა აკ.*, განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები, დისერტაცია, თბ., 2019, 174.

კვლევის მიზანი. ნაშრომს რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტა აქვს მიზნად დასახული:

1) ფეოდალური საკუთრების უფლების და, ზოგადად, საკუთრების უფლების შეძენის ძირითადი სამართლებრივი მახასიათებლების შესახებ მეცნიერული ცოდნის წარმოდგენა და მათ გამოყენება კვლევის შემდეგ ეტაპებზე;

2) სამხედრო ნადავლის შესწავლის მიზნით, ისტორიული წყაროების დამუშავება და საკანონმდებლო ნორმებთან ერთად მათი კომპლექსური შესწავლა; სამხედრო ნადავლის სუბიექტების გამოყოფა და ალაფზე უფლების მოპოვების წესების, ნადავლზე შეცილების გადაწყვეტის გზების გამოვლენა;

3) ლაშქარ-ნადირობის, როგორც სამხედრო მომზადების აუცილებელი შემადგენელი ელემენტის დახასიათება და მისი მნიშვნელობის შეფასება მშვიდობიანობის დროს ქვეყნის თავდაცვის მომზადების საკითხში;

4) ნანადირევზე საკანონმდებლო ბაზის სიმცირის გამო, დამატებითი ეთნოგრაფიული მასალის მოძიება და გაანალიზება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან მიმართებაში. ნადირობასთან დაკავშირებული სარიტუალო ტრადიციების შესწავლა და მათი გავლენის გამორკვევა ნანადირევზე საკუთრების უფლების მოპოვების დროს;

5) ნაპოვარზე არსებული სამეცნიერო და საკანონმდებლო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, ურთიერთობის მხარეების უფლება-მოვალეობათა დადგენა, პოვნის ადგილთა დიფერენცირების საშუალებით ნაპოვარზე საკუთრების უფლების მოპოვებისას წილის ოდენობათა გამოკვეთა, ასევე, ნაპოვარის პოვნის ჯილდოს საკითხს;

6) მონალექის შესწავლა რომის სამართლის საფუძველზე და ეროვნული კანონმდებლობის მიდგომების გაანალიზება მდინარის კალაპოტის ცვლილებით გამოწვეული ახალი გარემოებების მიმართ.

7) საკვლევ თემებთან დაკავშირებული იმ ტერმინოლოგიის გამოკვლევა, რომელთა შინაარსის გაგებასა და დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის დასახული მიზნების შესასრულებლად.

სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. შესავალში აღწერილია საკვლევი პრობლემა და კვლევის მნიშვნელობა, მოცემულია ის ამოცანები, რომლებიც ნაშრომის წინაშე დგას, ასევე

მოკლედ არის აღწერილი გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა. ვინაიდან ნაშრომი ეხება საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ საშუალებებს, საჭიროდ მივიჩნიეთ ყურადღება გამახვილებულიყო საკუთრების უფლების არსსა და მისი შეძენის საშუალებების კლასიფიკაციის საფუძვლებზე. ამასთან, ამოსავალ წერტილად აღებულია რომის სამართლის შესაბამისი ინსტიტუტების მთავარი მახასიათებლები, რომლებიც ირიბი თუ პირდაპირი რეცეფციის გზით, გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ფეოდალური საქართველოს ეროვნული სამართლის განვითარებაზე. შესწავლა განხორციელდა თანამედროვე ქართული სამართლებრივი სისტემის მიდგომების გათვალისწინებითაც. რადგან სამხედრო ნადავლი და ნანადირევი უპატრონო ნივთებად მიიჩნევა, ამ თავშივე დავახასიათეთ ამგვარ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვების წესებიც. მეორე თავში მოცემულია სამხედრო ნადავლთან დაკავშირებული საკითხები: ტერმინები, ნადავლში წილის ოდენობა, ცილობის საკითხები, მოკლედაა დახასიათებული სამხედრო ორგანიზაციის საკითხები და სხვა. მესამე თავში ვრცლადაა შესწავლილი გარეულ ცხოველებზე, ფუტკარსა და თევზზე ნადირობის პირობები. მეოთხე თავში მოკლედ ვეხებით ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა ლაშქარ-ნადირობა, ვინაიდან ის წარმოადგენს სპეციფიკურ, სამხედრო ხასიათის ნადირობას. მეხუთე თავი ეხება ნაპოვარს, მპოვნელისა და დამკარგავის უფლებებს, ნაპოვარის ობიექტებს და ა.შ. ბოლო, მეექვსე თავში განხილულია მონალექზე საკუთრების უფლების შეძენის საკითხები. დისერტაციის დასკვნით ნაწილში გამოტანილია კვლევის ძირითადი შედეგები სამხედრო ნადავლის, ნანადირევის, ნაპოვარისა და მონალექის შესახებ, კვლევის დასახული მიზნებიდან გამომდინარე. ბოლო ნაწილია ბიბლიოგრაფია, სადაც გამოყენებული ლიტერატურა წარმოდგენილია სამ ნაწილად: სამეცნიერო ლიტერატურა, წყაროები და ლექსიკონები.

მეთოდოლოგია. თემაზე მუშაობის დროს გამოყენებულია სამართლის ისტორიის შესწავლის როგორც ტრადიციული მეთოდები, ასევე კვლევის მიზნების მისაღწევად აუცილებელი სხვა ხერხები. ფორმალურ-იურიდიული მეთოდის გამოყენებამ, სამხედრო ნადავლზე მუშაობისას, საშუალება მოგვცა ტერმინების დადგენისა და ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი ლოგიკური დასკვნები გამოგვეტანა. სტრუქტურულ-ანალიტიკური მეთოდოლოგია ითვალისწინებს საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და იერარქიის შესასწავლას პოლიტიკური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით. ისტორიულ-შედარებითი და შედარებით-

სამართლებრივი ანალიზის მეთოდების დახმარებით, ძველი ქართული სამართლისა და რომის სამართლის შესაბამისი ინსტიტუტების ერთმანეთთან შეპირისპირებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი საკითხების სისტემური შესწავლა. შეძლებისდაგვარად, დაცულია კვლევის ქრონოლოგიური პრინციპიც, თუმცა, საკვლევი ურთიერთობების ანალიზის საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგჯერ თანმიმდევრულობა დარღვეულია. ამასთან, ვინაიდან მონალექის შესახებ წყაროებში ინფორმაცია მწირია, შევეცადეთ, შემოგვეტანა კვლევის ანალოგიის მეთოდი წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების მოშველიებით, რადგან მისი ისინი ყველაზე ახლოს დგანან მონალექის სამართლებრივ რეჟიმთან.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ძველი ქართული საკუთრების უფლების ინსტიტუტი ყალიბდებოდა როგორც ეროვნული სამართლის საფუძველზე, ასევე უცხოური სამართლის გავლენითაც. ამიტომ, სამართლის პირდაპირ წყაროთა შორის ეროვნულ სამართლის წიგნებთან ერთად ვიყენებთ უცხოური სამართლის წიგნების ქართულ ვერსიებს, განსაკუთრებით ეს ეხება ბერძნულ სამართალსა და სომხური სამართლის მხითარ გოშის ნაწილს. როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს, პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ქართული სამართლის განვითარებაზე ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენა აშკარაა, და, ამასთანავე, მიიჩნევა, რომ საქართველო გამოირჩეოდა „უცხო სამართლის რეცეპციის არაჩვეულებრივი მასშტაბით“.[2] ამიტომ, მათი გამოყენება ქართული სამართლის ინსტიტუტების შესასწავლად განსაკუთრებით ღირებულია. ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიები შეიცავენ უმნიშვნელოვანეს ცნობებს დაკარგული ნივთების პოვნისა და სამხედრო ნადავლის სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ.

ადგილობრივი სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია აღბუღას სამართლის წიგნი, რომელიც არეგულირებს ნაპოვარსა და ალაფთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ვახტანგ VI-ის სამართალი, რომელიც, მართალია, ომის ნადავლის, ნაპოვარისა

---

[2] *ზოიძე ბ.,* ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, წიგნი I, მერიდიანი, 2010, 309.

[2] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 3-4.

და მონალექის საკანონმდებლო მოწესრიგების სიღრმით არ გამოირჩევა, მაგრამ ნადირობისას წარმოშობილ დავებს საფუძვლიანად განიხილავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, რომელიც შეიცავს საერთო სამართლის ნორმებსა და სამხედრო წესებს. ავტორი პროექტის შესავალში საინტერესოდ მსჯელობს საკანონმდებლო ძეგლის შედგენის მიზეზებზე: „შევსთხზე, რომელსაცა აქვს უმეტეს მიდრეკილებაÁ ბუნებითისა მიმართ სჯულისა... და ერთაცა ვუჩ(ვ)ენო გზაი კარგიერებისა და უღელსაცა ქვეშე მორჩილებისასა მოყვანაÁ, და მსაჯულთაცა – რათამცა აქვნდესთ ღონისძიებაÁ განსჯისადმი ნანდვილისა მოქალაქეთადმიცა და მხედართა“.[3] დავით ბატონიშვილის «Обозрение Грузии по части прав и законоведения» კი ასახავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის პერიოდის ქართლ-კახეთში მოქმედ სამართლის ინსტიტუტებს, კანონებსა და ადათ-წესებს, რომლებსაც ავტორი თავისი კომენტარებით აზუსტებს და ახსნა-განმარტებას ურთავს.[4] ა. როგავას მოსაზრებით, საკანონმდებლო ძეგლის რუსულ ენაზე შედგენით, ავტორი 1801 წლიდან „იძულებით დამკვიდრებული რუსული სამართლისა და კანონთმცოდნეობის აღწერას“ კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ქართლსა და კახეთში რუსული მმართველობის დამყარებამდე მოქმედი კანონების აღწერას.[5] ეს საკანონმდებლო აქტი ძველი ქართული სამართლის ინსტიტუტების სამეცნიერო კვლევისთვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, მათ შორის, სამხედრო ნადავლისა და ნაპოვარის სამართლებრივი რეჟიმის შესწავლის თვალსაზრისით. ნაპოვარის შესასწავლად განსაკუთრებული სამსახური გაგვიწია დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ 706-712 მუხლებმა, რომელთა საერთო სათაურია: «Найдевныя вещи [и проч. достояния] – наповни нифти [да схва хвастаги]».[6]

მნიშვნელოვანი წყაროა იოანე ბაგრატიონის „სჯულდებაც“. იგი წარმოადგენს XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტს, რომლის განხორციელება, ავტორის თვალსაზრისით, სასარგებლო იქნებოდა

---

[3] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 3-4.

[4] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, *ა. როგავას* რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959.

[5] იქვე, 27.

[6] იქვე, 339.

საქართველოსთვის.[7] პროექტის ერთ-ერთ ძირითადი მიზანია რეგულარული ჯარის შექმნა, რასაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებისთვის უნდა შეეწყო ხელი. იოანე ბაგრატიონი სამხედრო საქმესთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას იყენებს როგორც ჩვეულებით სამართალს, ასევე შემოაქვს ახალი სამართლებრივი ნორმები.

უცნობი ავტორის მიერ შედგენილი, სახელმწიფო მოწყობის, ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების საკანონმდებლო კრებული „სამოქალაქო ჰსჯულვილება“, რომელიც ფეოდალური საკუთრების სისტემაზეა აგებული, საინტერესოა მდევრის ინსტიტუტის შესახებ განსხვავებული ხედვით.[8]

ვახუშტი ბატონიშვილი ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ განსაკუთრებული გულმოდგინებითაა გადმოცემული საქართველოს ყველა მხარის სანადირო ადგილები, სანადირო ცხოველების, ფრინველებისა და თევზის სახეობები, ასევე ის იარაღები, რომლებიც სხვადასხვა სახის ნადირობის დროს გამოიყენებოდა.[9]

სანადირო ტრადიციების შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ თეიმურაზ მეფის „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“ და არჩილ მეფის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. ორივე პოემაში, განსაკუთრებით კი, თეიმურაზთან დაწვრილებითაა დახასიათებული ნადირობის წესები, როდის, რაზე და რა სანადირო ფრინველებითა და ძაღლებით ნადირობდნენ და ა.შ. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მნიშვნელოვანი წყაროა სალაშქრო და სანადირო ტერმინოლოგიის დასადგენად.

საკუთრების უფლება დამუშავებულია ბ. ზოიძის, თ. ზარანდიას, თ. შოთაძის, ზ. ჭეჭელაშვილი და სხვათა შრომებში. ი. ფუტკარაძის მიერ წარმოებული კვლევები დაგვეხმარა მფლობელობისა და მასთან დაკავშირებული ტერმინების ახლებურად გააზრებაში. საკუთრების უფლება და მისი სახეები ძველ ქართულ სამართალში განხილულია ლ. ანთაძის სტატიაში, სადაც ავტორი ძირითადად ეყრდნობა ი.

---

[7] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 01.

[8] სამოქალაქოს ჰსჯულვიდება (XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *დ. ფურცელაძემ,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

[9] *ვახუშტი ბატონიშვილი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, *ს. ყაუხჩიშვილის* რედაქციით, IV ტომი, 1973.

სურგულაძის შრომებს და მოკლედ მიმოიხილავს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.[10] მ. კოპალიანი იკვლევს საკუთრების უფლების წარმოშობის გზებს ივ. ჯავახიშვილის, ის. დოლიძის, ვ. მეტრეველის, ქართული ჩვეულებითი სამართლის შრომებსა და იუსტინიანეს ინსტიტუციებზე დაყრდნობით.[11] ს. პირველი საფუძვლიანად იკვლევს და ფართო ჭრილში ხედავს საკუთრების უფლების არსსა და მის სოციალური ბუნებას, რაც მისი ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის.[12]

ნაშრომთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურიდან გამოვყოფთ ივ. სურგულაძის ნაშრომებს. მეცნიერმა ვრცელ სტატიაში პირველმა შეისწავლა საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა თსუ-ს შრომებში. მეცნიერი სიღრმისეულად იკვლევს მფლობელობისა და საკუთრების უფლების საკითხებს ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში, მიმოიხილავს როგორ ვითარდებოდა ეს ინსტიტუტები რომისა და ქართულ ფეოდალურ სამართალში, ყურადღებას ამახვილებს საკუთრებისა და მფლობელობის აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინებზე და, ასევე, მსჯელობს საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველად და ნაწარმოებ საშუალებებზე, როგორიცაა განძი, სამხედრო დავლა, ჩუქება, ხანდაზმულობა და სხვა.[13] აქვე დავამატებთ, რომ ნაშრომის მნიშვნელობისა და მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება მისი დამოუკიდებელ ნაშრომად გამოქვეყნება. გარდა ამისა, კვლევისას ვეყრდნობოდით ივ. სურგულაძის სხვა ფუნდამენტურ ნაშრომებსაც.

თემაზე მუშაობისას განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია ბ. ზოიძის სტატიებმა. „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი)“,[14] ნაპოვარის ინსტიტუტის შესწავლის პირველ

---

[10] *ანთაძე ლ.*, საკუთრების უფლება და მისი სახეები ძველ ქართულ სამართალში, საისტორიო ვერტიკალები, თბ., 2016, 33.

[11] *კოპალიანი მ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის გზები ძველი რომაული, ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, თბ., 2015.

[12] *პირველი ს.*, საკუთრების უფლების არსი და მისი სოციალური ბუნება, უნივერსალი, 2014.

[13] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949; *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949.

[14] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003.

ცდას წარმოადგენდა ძველ ქართულ სამართალში და ის ერთგვარი გზამკვლევია საკუთრების უფლების ამ საშუალების შესასწავლად. იგივე შეგვიძლია ვთქვათ მისი მეორე სტატიის, „საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (Ãრმლით ნაშოები)“,[15] რომლის კვლევის საგანს სამხედრო ნადავლი, “Ãრმლით ნაშოები“ ქონება შეადგენს.

სამხედრო ორგანიზაციისა და ლაშქრის შემადგენლობის საკითხები, საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მ. წურწუმიას თავის სადისერტაციო თემაში: „შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება.[16] ვფიქრობთ, კვლევის სიღმიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით არსებულ ლიტერატურას შორის ის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ნაშრომია.

ნაპოვარის ინსტიტუტი შესწავლილი აქვს ვ. ლომიძეს სადისერტაციო ნაშრომში „საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა)“.[17] მკვლევარმა შეისწავლა ძირითადი ტერმინები, გაანალიზა და მიმოიხილა ნაპოვართან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხი, რითაც საშუალება მოგვეცა გაგვეფართოვებინა ჩვენი კვლევის არეალი.

ნადირობის ორგანიზაციის ფორმები ეთნოგრაფიული ცნობების საფუძველზე შესწავლილი აქვს ა. რობაქიძეს ნაშრომში: „შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“,[18] ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული მეფუტკრეობასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები წარმოდგენილი აქვს წიგნში „მეფუტკრეობის ისტორიისთვის“.[19] მისი შრომების მნიშვნელობა ამ სფეროში ფასდაუდებელია.

---

[15] *ზოიძე ბ.*, საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (Ãრმლით ნაშოები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998.

[16] *წურწუმია მ.*, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება, დისერტაცია, თბ., 2014.

[17] *ლომიძე ვ.*, საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), თბ., 2004. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;_special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[18] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941.

[19] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.

ღირებულია მ. კოვალევსკის მიერ საკვლევ თემებთან დაკავშირებული ის მწირი ცნობებიც, რაც კავკასიის მთიელთა ჩვენთვის საინტერესო ჩვეულებების შესახებ აქვს გადმოცემული.[20]

ისტორიულ წყაროთა შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეულია იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები ძველ მართლწესრიგს აღარ ექვემდებარებიან,[21] მითუმეტეს, სამართლის ისტორიის კვლევის დროს მათ განსაკუთრებული ღირებულება გააჩნიათ.

ადრეული, იბერიულ-კოლხური პერიოდის საქართველოს სამხედრო ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ლეონტი მროველის მიერ შედგენილ-გადაწერილი თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ლეონტი მროველი ნაშრომზე მუშაობისას სარგებლობდა ქართული და უცხოური წყაროებით, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობის დროს უნდა იყოს შედგენილი.[22] ამ თხზულებაში აღწერილი ფაქტების უმრავლესობა დღეს არქეოლოგიურადაც დადასტურებულია[23], რაც ძეგლის მიმართ სანდოობას ზრდის. ამავე პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ასევე ფასდაუდებელია „მოქცევაი ქართლისაი“, რომლის ავტორსაც დადასტურებულ წყაროთა გარდა სხვა, ჩვენთვის უცნობი საისტორიო თხზულებებიც აქვს გამოყენებული.[24] ნაშრომში ასევე მოყვანილი გვაქვს თამარ მეფის ისტორიკოსთა და სხვათა თხზულებები. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას მემატიანეები ზოგჯერ სუბიექტურ განწყობებს ამჟღავნებენ და, ხშირ შემთხვევაში, მათი თხრობა ლეგენდებზეა დაფუძნებული, თუმცა ამ წყაროთა საფუძვლიანი შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვანია.[25]

---

[20] *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. II., М., Типография А. И. Мамонтова, 1890.

[21] *კოინგი ჰ.*, „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011, 233.

[22] *გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.,* ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005, 16-17.

[23] *გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.,* ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005, 17.

[24] იქვე, 18.

[25] *სურგულაძე ივ.,* საქართველოს სახელმწიოსა და სამართლის ისტორიისთვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1952, 52.

ცალკე გამოვყოფთ ჰაგიოგრაფიას, როგორც საქრისტიანო მწერლობის დარგს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სხვადასხვა ინსტიტუციისა და ტერმინოლოგიის თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ავტორების მიერ საკითხების ისეთი დეტალური აღწერაა შემოთავაზებული, რაც სხვა საისტორიო მწერლობის ძეგლების ყურადღების მიღმა რჩება.

ქართული ეთნოგრაფიულ მასალებსა და სხვა წერილობით წყაროებში არსებულ ცნობებს მნიშვნელობა აქვს ნადირობისა და ტყიური მეფუტკრეობის, როგორც ფუტკარსა და თაფლზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობების შესასწავლად, რადგან საკანონმდებლო აქტები პრაქტიკულად არ შეიცავენ შესაბამის სამართლებრივ ნორმებს. ამ ხარვეზს, სავარაუდოდ, განაპირობებდა დამატებითი რეგულაციების შემოღების საჭიროების არარსებობა, რადგან ტყიურ მომპოვებლობასთან დაკავშირებული ადათ-წესები საქართველოს ყველა კუთხეში უძველესი დროიდანვე მოქმედებდა.

დასახელებული ლიტერატურის გარდა, ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საკანონმდებლო წყაროები.

I. საკუთრების უფლების არსი რომის სამართალსა და ქართულ ფეოდალურ და თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში

საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი. უფლების, როგორც განსაკუთრებული სოციალური მოვლენის ჩასახვას, ისტორიულ პროცესში შეესაბამება განსაკუთრებულად ღირებულ სიკეთეებზე „ინდივიდუალური განკარგვის“ თავისუფლება.[26] საკუთრების უფლების ცნების ჩამოყალიბებაც ამ პროცესის შედეგია, რაც გამოწვეულია სარჩელების მნიშვნელობის შეფასების შეცვლით სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო გზით მოწყობის სასიკეთოდ.[27] რ. იერინგის განმარტებით, ტერმინი „უფლება“ ორგვარი, სუბიექტური და ობიექტური თვალსაზრისით გამოიყენება.[28] ობიექტური თვალსაზრისით, უფლება არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ძირითადი კანონები, რომლებიც საზოგადოების შიგნით წესრიგს უზრუნველყოფენ; სუბიექტური კი ობიექტურ, ცალკეულ ნორმათა და კანონთა მოქალაქეთა მიერ გამოყენებას გულისხმობს, საკუთარი ინტერესების დასაცავად.[29] ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს გ. პუხტა: უფლება სუბიექტური მოსაზრებით ნიშნავს პირის ძალაუფლებას ნივთზე, სუბიექტის მიერ ობიექტის ფლობას, ხოლო ობიექტური თვალსაზრისით, ის აღნიშნავს იურიდიულ ნორმათა ერთიანობას, რითაც განისაზღვრება სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტისადმი.[30]

საკუთრების უფლება ადამიანის ბუნებითი, თანდაყოლილი უფლებაა და მის ქონას პირის უფლებაუნარიანობა განაპირობებს.[31] ის ადამიანის პირადი დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი წინაპირობა, „ინდივიდის თავისუფალი ნების გამოვლენის გარანტიაა“[32], ამასთან, ის „პიროვნების არსებობის ერთი პირობათაგანია“.[33] საკუთრება კი წარმოადგენს პირის შრომის ნაყოფს და სოციალური

---

[26] იხ. *ნინიძე თ.*, კოინგის „იურიდიული არქეოლოგია“, სამართლის ჟურნალი, თუ გამომცემლობა, №1, 2011, 231.

[27] იხ. *კოინგი ჰ.*, „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, თუ გამომცემლობა, №1, 2011, 243.

[28] *იერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისთვის, თბ., 2014, 33.

[29] *იერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისთვის, თბ., 2014, 33.

[30] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 86.

[31] იხ. *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 85.

[32] იხ. *ქოჩაშვილი ქ.,* მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თუ გამომცემლობა, №1, 2011, 113.

[33] იხ. *იერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისთვის, თბ., 2014, 49.

უთანასწორობის ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირების საფუძველს.[34] საკუთრებაში განმსაზღვრელია „პირის ნივთთან ურთიერთობის ხასიათი, შინაარსი და გარანტიები“,[35] რადგან სამართლის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, ის ყველაზე მეტად შეიცავს პირის ხასიათს[36] – „ვინც ნივთს ეხება, ის პიროვნებას ეხება“.[37] საკუთრების დაცვით უფლებაშელახული იცავს საკუთარ პიროვნებას და არა მხოლოდ ნივთს.[38]

ნივთზე საკუთრების უფლება ნივთზე უშუალო უფლებასაც წარმოადგენს, რაც ნივთის უფლებამოსილი პირისადმი უშუალო კუთვნილებასა და მესაკუთრის მიერ მასზე პირდაპირი, სხვების ნებართვის გარეშე ზემოქმედების განხორციელებას გულისხმობს.[39] გ. პუხტას აზრით, ვინაიდან „საკუთრების უფლება გულისხმობს ნივთის აბსოლუტურ იურიდიულ დაქვემდებარებას, ბატონობას ფიზიკურ ნივთზე“, საჭიროა საკუთრების ობიექტი იყოს ფიზიკური საგანი და მოხდეს ნივთის სრული დაქვემდებარება.[40]

საკუთრების უფლება „ნივთზე გარანტირებული ბატონობის უფლებაა“, რომელიც ყველაზე სრულ, აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს.[41] საკუთრების უფლების აბსოლუტურობა არ გულისხმობს მესაკუთრის შეუბოჭავ უფლებამოსილებას საკუთრებაზე.[42] ამ უფლების აბსოლუტურობა ჩანს მესაკუთრის ურთიერთობაში გარეშე პირებთან,[43] როდესაც ერთი სუბიექტის – მესაკუთრის პირისპირ დგას სუბიექტთა განუსაზღვრელი რაოდენობა.[44]

---

[34] იხ. *ზარანდია თ.*, საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი. შედარებითსამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სსუ შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. V, 2008, 750. შეად. B. Burke, J. Snoe, Property, Aspen Publishers, New Jork, 2004, 3.

[35] იხ. *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 82.

[36] იხ. *ზარანდია თ.*, საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი. შედარებითსამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სსუ შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. V, 2008, 752.

[37] იხ. *ქოჩაშვილი ქ.*, მფლობელობა - ფაქტი და უფლება, სამართლის ჟურნალი, №2, თბ., 6, 2009,

[38] იხ. *იერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისთვის, თბ., 2014, 49.

[39] იხ. *ვოლფი მ. ველენჰოფერი მ.*, სანივთო სამართალი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2016, 1.

[40] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 383.

[41] იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 97-98.

[42] იხ. *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 83.

[43] იქვე.

[44] იხ. *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 106.

საკუთრების უფლება როგორც სანივთო უფლების სახე, კანონითაა განსაზღვრული და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში ექვემდებარება სუბიექტური ნების გამოვლენის შესაბამისად დადგენას; კანონისგან განსხვავებული სანივთო უფლებების დადგენა დაუშვებელია,[45] მხარეებს არ აქვთ უფლება შეცვალონ ის საკუთარი შეხედულებისამებრ.[46] მისი დარღვევა წარმოშობს პირის უფლებამოსილებას, დაიცვას შელახული უფლება.[47]

ს. პირველი საკუთრების უფლების განმარტებებს შორის, რომლებიც მის შინაარსს ყველაზე უკეთ გამოხატავენ, შედარებით რელევანტურად მიიჩნევს ორ მათგანს: „საკუთრების უფლება წარმოგვიდგება იმ გარკვეული „თამაშის წესებად", რომლებიც იშვიათი რესურსების გამო ადამიანებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებს არეგულირებენ, ხოლო შინაარსის თვალსაზრისით - იმ „უფლებამოსულებათა კონად", რომლებსაც ცალკეული აგენტები ფლობენ".[48]

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს განსხვავებული დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ საკუთრების უფლების გამომხატველი ტერმინები გამოემუშავებინათ. მაგალითად, საკუთრების ცნება ძველ ინდოეთში, ძვ.წ-ის I ათასწლეულის 1-ელ მესამედში[49], დასავლეთ ევროპაში კი საკუთრების უფლების გამომხატველი ტერმინი XIII საუკუნიდან ჩნდება, ხოლო რუსეთში XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა.[50] რომის სამართალს საკუთრების უფლების გამომხატველი, ცალკე განყენებული ტერმინი არ შეუმუშავებია.[51] ვინმეს ძალაუფლების ქვეშ მყოფი ნივთის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი dominium, რომელიც „ბატონობის აღმნიშვნელი ძალზე ძველი ტერმინია".[52] რომის სამართლისთვის საჭირო იყო ნივთის საკუთრად ფლობის განზრახვა, ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო მესაკუთრე, კეთილსინდისიერი შემძენი ან

---

[45] იხ. *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტურის გამომცემლობა, ეშსი, თბ., 2009, 219. იხ. ციტირება: შეად. Van Erp, Comparative Property Law, in: Reimann/Zimmermann (eds.), The Oxford Handbook of Comparative Law, 2006, 1053.

[46] იხ. ნინო მესხიშვილი, ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, თბილისი, 2018, 29. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290150/1/Disertacia.pdf> [15.09.2021]

[47] იხ. *ეერინგი რ.*, ბრძოლა უფლებისთვის, თბ., 2014, 43.

[48] *პირველი ს.*, საკუთრების უფლების არსი და მისი სოციალური ბუნება, უნივერსალი, 2014, 4.

[49] იხ. *გარიშვილი მ., ხოფერია მ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, მერიდიანი, 2014, 118. ასეთად მიიჩნევა ტერმინებად „აგამა" და „ჰრამანა".

[50] იხ. *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 117. იხილე: *Венедиктов А. В.,* Государственная социалистическая собственность, М.-Л., 1948, 102-103.

[51] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართალი, მერიდიანი, 2013, 291.

[52] იქვე.

ნივთის უკანონოდ მიმთვისებელი.[53] ამასთან, როგორც მ. გარიშვილი და მ. ხოფერია მიუთითებენ, რომის სამართალი იცნობდა ექვს სხვადასხვა ტერმინს, რომლებიც სხვადასხვა სახის ქონებაზე საკუთრების უფლების განსხვავებულ სახეებს აღნიშნავდნენ. ესენია: dominium, bona, familia, pecunia, proprietas და patrimonium.[54]

როგორც თ. ზარანდია მიუთითებს, დღეისთვის დამკვიდრებული საკუთრების უფლების შინაარსი დაუსრულებელი „ევოლუციის პროდუქტს“ წარმოადგენს.[55] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების უფლებას განმარტავს, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებას, „კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებლო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი,“ თუ ეს შელახავს სხვა პირთა უფლებებს.[56] თანამედროვე სამართლის სისტემებში, მესაკუთრის ძალაუფლება ნივთზე ექსკლუზიური უფლებაა, რომელიც გულისხმობს მესაკუთრის კანონიერ უფლებამოსილებას, გამორიცხოს ნებისმიერ პირის ბატონობა ამ ნივთზე.[57] პირი ქონებაზე სრული ბატონობის შესაძლებლობას მხოლოდ მასზე საკუთრების უფლების არსებობისას მოიპოვებს.[58]

საკუთრების უფლების შინაარსის ამგვარი გაგება ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს. რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს საკუთრების უფლების ელემენტთა ორ ჯგუფად კლასიფიკაცია. პირველში შედის ნივთის არსის, დანიშნულების, ფორმისა და სხვა თვისებების შეცვლის უფლება, ნივთის განკარგვის, მოსპობისა და საკუთრების დაცვის უფლება; მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა ნივთიდან სარგებლობის მიღების უფლება ფართო გაგებით: მფლობელობის, ნივთით სარგებლობის უფლება მისი დანიშნულების შეუცვლელად და ნაყოფის მიღების უფლება.[59] მოგვიანებით, საკუთრების უფლების ელემენტების ამგვარი კლასიფიკაცია

---

[53] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 101.

[54] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.,* რომის სამართალი, მერიდიანი, 2013, 291. იხ. სქოლიო.

[55] იხ. *ზარანდია თ., ჯუღელი თ.,* საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 297.

[56] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, *ჭანტურია ლ.* (რედ.), *თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ.* (ავტ.), II, თბ., 2018, 83.

[57] იხ. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 98.

[58] იხ. *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტურის გამომცემლობა, ეშსი, თბ., 2009, 220. შეად. Puchta, Pandekten, 1877, $141, 210 f.

[59] იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თუ გამომცემლობა, 1963, 36.

დაედო საფუძვლად ფეოდალური „დანაწილებული საკუთრების“ შესახებ მოძღვრებას.

საკუთრების უფლების შეძენის გზების კლასიფიკაციის კრიტერიუმები. უფლება წარმოშობილად ითვლება გარკვეული ფაქტორების გამოვლენისას. საკუთრების უფლების არსებობისათვის აუცილებელია შემდეგი ელემენტები: უფლების კანონიერად აღიარება და დადასტურება; ობიექტი, რომელიც თავისი თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაექვემდებაროს პირის ძალაუფლებას; პირი, რომელსაც საკუთრების უფლება ეკუთვნის.[60]

ტერმინი „შეძენა“, „წარმოშობა“ ისეთ შინაარსს ატარებს, თითქოს უფლების შემძენის მხრიდან მოქმედება ყოველთვის ხორციელდება, მაგრამ „უფლების მოპოვების აქტში“ ყოველთვის არ იგულისხმება უფლების მომპოვებლის ქმედება, ზოგჯერ ამ უფლებას პირი სრულიად დამოუკიდებლად მოიპოვებს, მაგალითად, მამკვიდრებლის გარდაცვალება წარმოშობს საკუთრების უფლებას მემკვიდრეებისთვის.[61]

რომის სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის საფუძველსა (titulus) და შეძენის გზას (modus).[62] საკუთრების შეძენის ან შეწყვეტის გზად, საშუალებად იწოდება ისეთი ფაქტი, რომელთანაც დაკავშირებულია უფლების წარმოშობა ან შეწყვეტა, შესაბამისად, აუცილებელია განხორციელდეს ისეთი იურიდიული მოქმედებები, რომელიც გამოიწვევს საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს.[63] საკუთრების უფლების შეძენის გზების განსაზღვრის საფუძველი კანონით და მხარეთა შორის შეთანხმებით არის დადგენილი. თუ საკუთრების უფლების შეძენის საშუალებას ადგენს მხოლოდ კანონი და არა მხარეთა შორის გარიგება, ან უფლებამოსილი პირის ცალმხრივი ნების გამოხატვა, სახეზეა საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი საშუალება; მაგრამ თუ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება უფლებამონაცვლეობის გზით, წინა მესაკუთრის ნებელობითი აქტის საფუძველზე, რომელიც გამოიხატება ცალმხრივ ან ორმხრივ გარიგებაში, ამ დროს ადგილი აქვს

---

[60] იხ. *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 127.

[61] იხ. *Мейер Д.И.*, Русское гражданское право, Т. 1, под ред. *А. Вицына*, Тип. Н. Тиблена, С.-Петербург, 1861, 297.

[62] იხ. *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 145.

[63] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 130, 131.

საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოებ გზას.[64] თავდაპირველი გზით საკუთრების უფლების შეძენისას უფლება პირველადად წარმოიშობა, რაც ნიშნავს, რომ ახალი მესაკუთრე ნივთზე თავის უფლებამოსილებას განახორციელებს სრული მოცულობით.[65] ამისთვის აუცილებელია შემდეგი პირობები: პირის ნება, ამ ნების მიმართვა რაიმესკენ და ნების გამოვლინება.[66]

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებს შორის არ არსებობს შეჯერებული აზრი, რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენებოდეს საკუთრების უფლების შეძენის გზების კლასიფიკაციისას, წინა მესაკუთრის ნების არსებობა თუ უფლებამონაცვლეობის საკითხი. ითვლება, რომ თავდაპირველი გზით შეძენისას უფლებამონაცვლის უფლება თავისთავად წარმოიშობა, წინამორბედის უფლებისგან დამოუკიდებლად,[67] ხოლო უფლებამონაცვლეობაზე დამყარებული საკუთრების უფლების წარმოშობის დროს მისი შეძენა ნაწარმოები გზით ხდება.[68] როგორც ალ. ვაჩეიშვილი შენიშნავს, თავდაპირველი გზით საკუთრების უფლების შეძენისას შესაძლებელია სახეზე „წინანდელი მესაკუთრე იყოს, მაგრამ წინანდელ და შემდგომ მესაკუთრეებს შორის არაა მონაცვლეობითი კავშირი ... როგორიცაა მაგალითად, ხანდაზმულობა, ნივთთა შეერთება და სხვ.“.[69] გ. დერნურგის თქმით, უფლების სუბიექტები იცვლებიან, იკარგებიან, მაგრამ ქონება რჩება, „სადაც დღეს ერთი ბატონობს, ხვალ მას სხვა განკარგავს“; აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს უფლებამონაცვლეობას, successio-ს, რომელიც შეიძლება იყოს თავდაპირველი - successio originaria ან ნაწარმოები - derivata.[70]

ზ. ჭეჭელაშვილი მიიჩნევს, რომ თავდაპირველ ხერხებს რომის სამართალი ორ ნაწილად ჰყოფდა: პირველს მიეკუთვნება ახლად წარმოშობილი და უპატრონო

---

[64] *ქოჩაშვილი ქ.,* მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თუ გამომცემლობა, №1, 2011, 119. შეად. *Эннекцерус Л.,* Курс германского гражданского права. Т. I., М., 1949, 87.

[65] *ქოჩაშვილი ქ.,* მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თუ გამომცემლობა, №1, 2011, 119. შეად. ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006. 6.

[66] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 131.

[67] *Дернбург Г.,* Пандекты, общая часть, Т. 1, университетская типография, Москва, 1906, 217.

[68] *სუხიტაშვილი დ.,* სიახლე საკუთრების წარმოშობის საფუძვლებში. კრებულში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, თუ გამომცემლობა, 2003, გვ. 221.

[69] *ვაჩეიშვილი ალ.,* ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თუ გამომცემლობა, 1963, 39.

[70] *Дернбург Г.,* Пандекты, общая часть, Т. 1, университетская типография, Москва, 1906, 217.

ნივთების დაუფლება (ნაყოფი, გადამუშავებით ან ახლად წარმოშობილი ნივთი, მისაკუთრება, განძი, გარეული ცხოველები, ფრინველები და სხვა); ხოლო მეორეს კი მიეკუთვნება შეძენა „შეერთებისა და ხანდაზმულობის მეშვეობით“.[71] ნაწარმოები გზით კი უფლების მოპოვების საფუძველი შეიძლება იყოს ასევე ხელშეკრულება, ხოლო შეძენის საშუალებად განიხილება ნასყიდობა, ჩუქება და სხვა.

როგორც იკვეთება, ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მითითება, თითქოს რომის სამართალმა დაამკვიდრა საკუთრების უფლების საშუალებების კლასიფიკაცია თავდაპირველ და წარმოებულ გზებად.[72] თუმცა, ეს მოსაზრება არასწორია. რომის სამართალი საკუთრების უფლების შეძენის გზებს მხოლოდ იმის მიხედვით ყოფდა, რომელ სამართალს ეფუძნებოდნენ ისინი: ბუნებით თუ ცივილურ სამართალს.[73] როგორც იუსტინიანეს ინსტიტუციები განმარტავს: „ცალკეული პირის კუთვნილად ნივთები სხვადასხვა გზით ხდებიან. ზოგიერთ ნივთს ჩვენ ვისაკუთრებთ ბუნებითი სამართლით, რომელსაც ... ხალხთა სამართალს უწოდებენ, ზოგსაც – ცივილური სამართლით“.[74]

განსხვავება საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ, ორიგინალურ და ნაწარმოებ გზებს შორის ცნობილი არ იყო არა მხოლოდ რომაელი იურისტებისთვის, არამედ არც შუასაუკუნეების პერიოდის იურისტებითვის.[75] ამგვარი დაყოფა პირველად შემოიტანა ჰუგო გროციუსმა და მხოლოდ შემდეგ დამკვიდრდა ის რომის სამართლის მკვლევართა შრომებში.[76] მაგალითად, გ. პუხტა აღნიშნავს, რომ ასეთი გზით შეძენილ უფლებებს მხოლოდ ტექნიკურად უწოდებენ თავდაპირველ და ნაწარმოებ გზებს.[77]

---

[71] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა, თბ., 2006, 98. იხილე: Барон Ю., Система римского гражданского права, Книга II – Владение. Книга III – Вещные права, С-Петербург, 1908, 45.

[72] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 9. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021]. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა, თბ., 2006, 98.

[73] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 159.

[74] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 55.

[75] *Дождев Д.В.,* Римское частное право, *Нерсесянц В.С.,* Норма, Москва, 2005, 396. იხ. სქოლიო 24.

[76] იქვე.

[77] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 128.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე არსებობს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საკუთრების უფლების შეძენის გზების ამგვარი დაყოფა არაარსებითი ხასიათისაა. მაგალითად, ვ. ლომიძე, განიხილავს რა საკუთრების უფლების შეძენის გზების კლასიფიკაციის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებას, აღნიშნავს, რომ „ეს დაყოფა საბოლოო ჯამში მაინც პირობითია და მას არავითარი იურიდიული შედეგი არ უკავშირდება.“[78] ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან პირველადი და წარმოებული საშუალებებით საკუთრების უფლების შეძენისას განსხვავებული სამართლებრივი შედეგები დგება: პირველადი საშუალებით შეძენისას შემძენს ნივთზე წარმოეშობა ახალი საკუთრების უფლება, მაშინ როცა ნაწარმოები გზით შეძენისას უფლება გადაეცემა იმ სახით, რითაც ის ნივთის წინა მესაკუთრეს ეკუთვნოდა. ამავდროულად, საკუთრების უფლების ორიგინალური გზით შეძენისას, როგორც ნ. მესხიშვილი აღნიშნავს, „კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის პრობლემა არ დგება“, რადგან პირადი დამოკიდებულება ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არაა, განსხვავებით საკუთრების უფლების წარმოშობის მეორეული საშუალებებისგან.[79]

უპატრონო ნივთის დაუფლება. რადგან ფეოდალურ საქართველოში საკუთრების შეძენის პირველად საშუალებას წარმოადგენდა უპატრონო ნივთის დაუფლება[80] და, ამასთან, ნაშრომის მიზანია სამხედრო ნადავლისა და ნანადირევის შესწავლა, საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე დავახასიათოთ ოკუპაცია, როგორც საკუთრების უფლების მოპოვების გზა.

როგორც აღინიშნა, ზოგჯერ საკუთრების უფლების შეძენა ხორციელდება სხვისი უფლებისგან დამოუკიდებლად, როდესაც უფლების მოპოვება ხდება ნივთზე, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მასზე უფლება სხვა პირს. საკუთრების უფლების შეძენის ზოგიერთი გზა პირდაპირ მოითხოვს ამ პირობის არსებობას. სხვისი უფლებისგან დამოუკიდებლად შეიძლება საკუთრების უფლების მოპოვება occupatio-ს[81] გზით. ამ

---

[78] *ლომიძე ვ.*, საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 10. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[79] *მესხიშვილი ნ.,* ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, დისერტაცია, თბ., 2016, 44.

[80] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 152.

[81] ოკუპაციოს ზოგჯერ შეცდომით მიაკუთვნებენ ნაპოვარს. შეად. *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 48. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

შემთხვევაში უფლება მაშინ წარმოიშობა, როდესაც მითვისებულ ნივთს არ ჰყავს პატრონი ან საკუთრების უფლების შეძენა განპირობებული არ არის იმით, რომ მას ვიღაც უკვე ფლობს.[82] Occupatio საკუთრების უფლების „ძველი და უნივერსალური" გზაა და მას რომაელი იურისტები ხალხთა სამართლის ინსტიტუტად განიხილავდნენ.[83]

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნივთები შეიძლება საკუთრების უფლების ობიექტები გამხდარიყვნენ მათი დაუფლების მეშვეობით მხოლოდ უპატრონოდ ყოფნის შემთხვევაში; გარდა ამისა, სახეზე უნდა იყოს animus domini - ცალმხრივობა.[84] ოკუპაცია უპატრონო ნივთის დაუფლებაა თავისთვის მისაკუთრების სურვილით, თუმცა მხოლოდ ნივთის მიტაცების მცდელობა არ წარმოშობს ნივთზე უფლებას.[85]

ოკუპაციას დაქვემდებარებული უპატრონო ნივთებია: ობიექტები, რომლებიც არასოდეს ყოფილან საკუთრების საგანი, განსაკუთრებით, ისინი, რომლებსაც ბუნება მუდმივად აწარმოებს: გარეული ცხოველები ბუნებრივ თავისუფლებაში – ხმელეთზე, მდინარეებსა და ზღვაში, ჩიტის ბუდეები და კვერცხები, ველური ფუტკრის თაფლი, ზღვის პროდუქტები, მდინარის ყინული; ოკუპაციას ექვემდებარება ასევე ჯერ კიდევ თავისუფალი კუნძული ზღვაში, ასევე მტრის ქონება.[86] მათ res nullius bonis უწოდებდნენ;[87] ნივთები, რომლებიც უკვე იყვნენ სხვის საკუთრებაში, მაგრამ უპატრონოდ დარჩნენ უფლებამონაცვლის არარსებობის გამო, derelictio-ს შემთხვევაში ან სხვა მიზეზით.[88] რომაელი იურისტები Derelictio-ს ქვეშ გულისხმობდნენ მესაკუთრის ცალმხრივ უარს საკუთრებაზე მისი მოცილების განზრახვით.[89] ასეთ შემთხვევაში, უპატრონოდ ნივთის მიჩნევისთვის აუცილებელია მესაკუთრის ნება აშკარად იყოს გამოხატული, საკუთრების უფლების მოსპობის მიზნით და ამ განზრახვით მოიცილოს მან ნივთი გადაგდებით ან თავად მოსცილდეს ნივთს.[90]

---

[82] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 8128.
[83] გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, მერიდიანი, 2013, 297.
[84] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 383.
[85] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное прво, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 90.
[86] იქვე, 91.
[87] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989, 275.
[88] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное прво, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 91.
[89] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989, 106.
[90] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 410.

სამხედრო მოწინააღმდეგის კუთვნილი ნივთები – Res hostiles, res hostium, ასევე ითვლებოდა უპატრონო ნივთებად მათი მითვისების (დაპყრობის) შესაძლებლობით.[91]

დაუფლება, როგორც უპატრონო ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის გზა, რაც გამოიხატება პირის ძალაუფლების გავრცელებაზე ნივთზე მისი ფლობის პერიოდში, გვაროვნული საზოგადოებიდან იღებს სათავეს.[92] როგორც ბ. ზოიძე მიუთითებს, ნივთის „დაუფლება წარმოადგენდა უფლების შეძენის პირველადსა და საერთო გზას“, თუმცა, საზოგადოების განვითარების შესაბამისად, უპატრონო ქონების რიცხვი მცირებოდა[93] და, შესაბამისად, მათი კანონიერი დაუფლების შესაძლებლობაც თანდათან გარკვეულ ფარგლებში შემოისაზღვრა.

უპატრონო ნივთის დაუფლება, ამავდროულად, ნებელობით აქტს წარმოადგენს. ის დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ნივთის მისაკუთრება არ არის აკრძალული კანონით და არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც მისი დაპატრონების უფლება ჰქონდა.[94] ამავდროულად, უპატრონო ნივთის მისაკუთრების აუცილებელ პირობა მისი დაუფლებაა „თავისთვის“ მფლობელობის განხორციელების მიზნით.[95] მესაკუთრის მხრიდან ცალმხრივი ნების გამოვლენა საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით საკმარისია, რომ ნივთი უპატრონოდ ჩაითვალოს, თუ ეს ქმედება განხორციელდება საჯაროდ.[96] ასეთ ნივთებზე მპოვნელი მყისიერად იძენდა საკუთრების უფლებას,[97] თუმცა რომაელი იურისტების ნაწილი ნივთის მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლებაზე ცალმხრივი უარის თქმას, ნივთის მოცილების მიზნით, საკმარისად არ თვლიდა. მაგალითად, პროკულუსიანელებს მიაჩნდათ, რომ ყოფილი მესაკუთრე ნივთზე უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკარგავს, როდესაც მას სხვა დაეუფლება; მათგან განსხვავებით, საბინუსიანელები თვლიდნენ, რომ არამანციპირებადი კატეგორიის ნივთებზე მესაკუთრე საკუთრების უფლებას კარგავს დაუყოვნებლივ.[98] მართებულად მიიჩნეოდა იურისტ იულიანუსის მოსაზრება, რომ

---

[91] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989, 274.
[92] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 153.
[93] იქვე.
[94] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 211.
[95] იქვე.
[96] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 153.
[97] *Дождев Д.В.,* Римское частное право, *Нерсесянц В.С.,* Норма, Москва, 2005, 396.
[98] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989, 106.

ნივთის გადაგდების შემდეგ მესაკუთრის უფლება მასზე წყდება, მაგრამ ის სხვისი საკუთრება მანამდე არ გახდება, სანამ მას არ დაეუფლებიან.[99]

მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთარი ნებით მფლობელობის შეწყვეტა მას უპატრონო ნივთად აქცევს და საჯაროდ ამ მოქმედების განხორციელება მის ნებისმიერ დამსაკუთრებელს ნივთზე საკუთრების უფლების კანონიერად მოპოვების საშუალებას აძლევს. მნიშვნელოვანია, უფლების წარმოშობის დროის საკითხი და, ასევე, როდის ითვლება დაკარგულად საკუთრების უფლება ნივთზე, უფლების მიტოვებისას თუ სხვის მიერ მისი დაუფლების შემდეგ.

ამდენად, უპატრონოდ ის ნივთები მიიჩნევა, რომლებსაც თავიანთი ბუნების გამო მესაკუთრე არასდროს ჰყოლიათ ან მესაკუთრემ მათზე საკუთრების უფლება თავად მიატოვა მფლობელობის მიტოვების გზით. უპატრონო ნივთს მითვისებით, პირი საკუთრების უფლებას იძენს, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან სხვას არ გააჩნია მისი დაუფლების უპირატესი უფლება.[100] უპატრონო ნივთები მათი მიმთვისებლის საკუთრება მხოლოდ მაშინ ხდება, თუ სამართალი ამის შესახებ სხვა მითითებებს არ იძლევა.[101]

საკუთრების უფლების დანაწევრებული ხასიათი. საკუთრების უფლების სისრულეს მაინც ის პოლიტიკური წყობა განსაზღვრავს, რომელსაც ადგილი აქვს კონკრეტულ სახელმწიფოში, ამიტომ საკუთრების უფლების თავისებურებების განხილვა ფეოდალიზმის პერიოდში კვლევის ინტერესის საგანია.

ფეოდალური საკუთრების უფლების ინსტიტუტი რთული იურიდიული მოცემულობაა, რომელშიც საკუთრების უფლების სუბიექტები საფეხურებრივად, განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ფეოდალური საკუთრება იგივე წოდებრივი საკუთრებაა, რომლის „იერარქია იყო ერთი და იმავე დროს როგორც მიწის, ისე პოლიტიკური იერარქია.“[102] ფეოდალთა ხელისუფლება მხოლოდ მიწაზე ბატონობით არ შემოიფარგლებოდა, მათი უფლებები ამ მიწებზე დასახლებულ ადამიანებზეც ვრცელდებოდა.[103]

---

[99] *Дождев Д.В.,* Римское частное право, *Нерсесянц В.С (ред.),* Норма, Москва, 2005, 397.

[100] *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019, 359. შეად. Wieling, Sachenrecht, Berlin, Heidelberg, 1994, 199, 144.

[101] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное прво, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 90.

[102] *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თუ გამომცემლობა, 1963, 46.

[103] იქვე, 47.

ფეოდალური საკუთრების უფლებას დანაწევრებული, არააბსოლუტური ხასიათი აქვს, რომლის მიუხედავად, სახეზეა პოზიტიურ კანონმდებლობისა და ჩვეულებითი სამართლის მხრიდან მისი დაცვის მოთხოვნა იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც ფეოდალური საკუთრების უფლების ბუნება იძლეოდა. ი. ფუტკარაძის მოსაზრებით, სანივთო უფლების აბსოლუტური ბუნება ცხადად ჩანს ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, რაც გამოიხატება ყველა პირის ვალდებულებაში, არ შეუშალონ ხელი მესაკუთრეს თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში საკუთრების მიმართ.[104] საკუთრების უფლების ხელყოფა ფეოდალურ საქართველოში დანაშაულად აღიქმებოდა, რაც კარგად იკვეთება ძველი ქართული კანონმდებლობიდან, განსაკუთრებით კი, სიგელ-გუჯრებიდან.[105] ამ მოსაზრებას განამტკიცებს დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ 605-ე მუხლიც, რომელიც კრძალავს ძლიერის უფლების გამოყენებით სხვისი საკუთრების მითვისებას, რა ქონებაც არ უნდა ყოფილიყო ის.[106]

ფეოდალური სამეფო საკუთრების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მეფე, ამავდროულად, წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ მმართველს და განაგებს სამეფოს მთელ ტერიტორიას.[107] სამეფო საკუთრების ამ თავისებურებას უკავშირდება მეფის მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გადასახადები, მათ შორის, სალაშქრო, სანადირო, საბაზიერო... ი. სურგულაძის მოსაზრებით, ფეოდალურ საქართველოში საკუთრების უფლების სუბიექტები, მეფის გარდა, იყვნენ: ეკლესია, ფეოდალი (მათ შორის, თავადი და აზნაური), ვაჭარი, ხელოსანი და გლეხი.[108] სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს პრაქტიკულად ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენის წევრი წარმოადგენდა.

საქართველოს მეფეები და სხვა უფლებამოსილი საერო პირები მტკიცედ ითხოვდნენ არ დარღვეულიყო მათ მიერ გადაცემული უფლებები, საეკლესიო კანონები კი საეროსთან ერთად საეკლესიო სასჯელებსაც ადებდნენ იმ პირებს, ვინც მათ საკუთრებას შეეხებოდა.[109] ამის თვალსაჩინო მაგალითია კათალიკოზთა

---

[104] *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 106.

[105] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 83.

[106] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 328.

[107] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 21.

[108] იქვე.

[109] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 86.

სამართლის 21-ე მუხლი საყდრის მამულის წართმევის შესახებ: „ ვინცავინ, დიდმან ანუ მცირემან, საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახუას, ანუ სოფელი, ანუ ვენახი, ანუ მიწა და აგარი, ვინცავინ [იყოს], დიდი და მცირე, შეჩუენებული იყოს“.[110]

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების სუბიექტების ერთსა და იმავე ნივთზე არსებობა ისტორიული მოცემულობაა, ფეოდალიზმის პირობებშიც, სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული იყო ცალკეულ წოდებათა საკუთრების უფლება.[111]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლებას ისტორიულად წინ უსწრებდა მფლობელობა. კერძო საკუთრების უფლება სწორედ მფლობელობიდან წარმოიშვა.[112] ამასთან, საკუთრებისა და მფლობელობის ცნებების გამიჯვნა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ფეოდალიზმის პერიოდში, როდესაც საკუთრების უფლებასა და მფლობელობას ერთმანეთისგან ნაკლებად ასხვავებდნენ.[113] რადგან მფლობელობა საკუთრების ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, ზოგჯერ „მფლობელობა და საკუთრება ერთმანეთს ემთხვევა“, ხოლო ვინაიდან მესაკუთრე ამავდროულად მფლობელიცაა, ამ ორი ცნების ერთმანეთში აღრევას ხდება,[114] რაც ფეოდალური სანივთო სამართლის არსებით განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.[115]

რომაულ წყაროებში მფლობელობას (possessio) ორი ელემენტი აქვს, corpus და animus.[116] სუბიექტური, animus posidenti - გულისხმობს პირის განზრახვას, ფლობდეს ნივთს თავისთვის და ობიექტური, corpus possessionis - რომელიც მფლობელობის ობიექტზე რეალურ ბატონობას ნიშნავს.[117] პირველ შემთხვევაში ნივთის მფლობელი მესაკუთრედ ითვლება, განსხვავებით მეორე ელემენტისგან, როდესაც მფლობელი მხოლოდ „მჭერი“ შეიძლება იყოს.[118]

---

[110] სამართალი კათალიკოზთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 396.

[111] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 86.

[112] *ფუტკარაძე ი.*, ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 1979, 109.

[113] იქვე.

[114] *სურგულაძე ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949, 234.

[115] *ფუტკარაძე ი.*, ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 1979, 109.

[116] *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თუ გამომცემლობა, 1963, 46.

[117] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 100.

[118] იქვე, 101.

ტერმინი „ჭერა“ თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გამოხატავს სხვის სასარგებლოდ, მისგანვე მიღებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნივთზე ფაქტობრივი ძალაუფლების განხორციელებას.[119] ივ. სურგულაძეს „ჭერა“ მიაჩნია როგორც თავად მფლობელობის ფაქტის, ასევე მფლობელობის, როგორც საკუთრების ელემენტის გამომხატველი.[120] გვიანფეოდალურ პერიოდში „ჭერა“, ბ. ზოიძის აზრით, „ქონების“ ტოლი ტერმინია; მისი შენიშვნით, შესაძლოა, ეს ტერმინი მფლობელობის აღმნიშვნელ ტერმინად ადრევე ჩამოყალიბდა და გამოიყენებოდა უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის აღსანიშნავად.[121] „ჭერის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „პყრობა“, ხოლო მფლობელობის აღმნიშვნელ ტერმინად „ჯდომა“, ყველა ეს ტერმინი კი ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობას გამოხატავდნენ.[122] ვ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „ქონება“ „დროებითი ან მემკვიდრეობითი მფლობელობის“ აღმნიშვნელი სიტყვაა.[123] ივ. სურგულაძემ გამოიკვლია ამ ტერმინის შინაარსი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქონება „მფლობელობის“ გამომხატველი ტერმინი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ის ძირითად შემთხვევებში კერძო-სამართლებრივი ურთიერთობას აღნიშნავს და საკუთრების მნიშვნელობით გამოიყენება.[124] ბ. ზოიძის ვარაუდით, ტერმინი „ქონება“, ზოგიერთ შემთხვევაში, „დანაწევრებული საკუთრების მდგომარეობასთანაა დაკავშირებული“, მისი გამოყენება მეტწილად იკვეთება მაშინ, როდესაც სახეზეა „დაქვემდებარებული საკუთრება“, რაც ვინმეს მიერ რაიმეს გარკვეული პირობით ფლობას გულისხმობს.[125]

საქართველოს მთასა და ბარში საკუთრებითი ურთიერთობის განვითარების განსხვავებული საფუძვლები არსებობდა. ბარში კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები ფეოდალიზმის პირობებშიც კი ბევრად უფრო დაწინაურდა, ვიდრე საქართველოს მთიანეთში, სადაც გვაროვნული წყობილების გავლენა ახლაც

---

[119] *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, თბ., 2014, 93.

[120] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949, 258.

[121] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 98.

[122] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 100.

[123] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თუ გამომცემლობა, თბ., 285.

[124] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949, 244.

[125] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 98.

შესამჩნევია და საკუთრებით ურთიერთობებს სათემო-გვაროვნული ყოფის ნიშნები ატყვია.[126] აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეძენის საკითხების კვლევა შეუძლებელია საკუთრების თემური ფორმის განხილვის გარეშე. თემური საკუთრება განსაკუთრებით ძლიერი საქართველოს მთიან რეგიონებში იყო, თუმცა მისი კვალი ბარის განვითარებულ ადგილებში XVII-XVIII საუკუნეებშიც საგრძნობია.[127]

თემში საკუთრება მკვეთრად იყო გამიჯნული საკუთრების უფლების სუბიექტების მხრივ და მათ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი ახასიათებდათ; განსხვავებულია სუბიექტის უფლება-მოვალეობებიც სხვა მესაკუთრეთა მიმართ, საკუთრების სუბიექტის შეცვლას კი ზოგჯერ საკუთრების სახის ცვლილება მოჰყვებოდა.[128]

პირველ რიგში, თემური საკუთრების ელემენტების ამ პერიოდამდე შენარჩუნებას ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკა, გადასახადების დაწესების კოლექტიური სისტემა, რაც გულისხმობს ინდივიდუალური საგადახდო სისტემის შემოღების ნაცვლად, საგადახდო სუბიექტად ხშირად მთლიანი სოფლების დადგენას.[129] ამასთან, შრომის დანაწილების იმდროინდელი ორგანიზაცია, მაგალითად, ერთიანი ძალებით სოფლის სახნავი მიწების დამუშავება, თემური წყობილების ხელშეწყობ გარემოებას წარმოადგენდა როგორც ბარში, ასევე მთაში.[130] მაგრამ, უმთავრესი, მაინც მთის ხალხის ხასიათია, რომელიც ძნელად ეგუებოდა ვინმეს ბატონობას და ცდილობდა თავისი საზოგადოებრივი წყობილება შეენარჩუნებინა. ვაჟას ნათქვამი, რომ ფშაველებს ბატონყმობის უღელი არასოდეს დაუდგამთ, მხოლოდ ხატებსა და სალოცავებს ემორჩილებოდნენ და თავის ხატის ყმებად მიაჩნდათ თავი[131], საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეების მოსახლეობასაც მიემართება. ცალკეული თემები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თემის წევრთა შორის თანასწორობის პრინციპი.

---

[126] *ზოიძე გ.*, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), უფლება, თბ., 2000, 35.

[127] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 26.

[128] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 46.

[129] *სურგულაძე, ი.*, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 26.

[130] იქვე, 27.

[131] *ვაჟა-ფშაველა*, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 35.

მაგალითად, ხევი ამ პრინციპს იმგვარად ინარჩუნებდა, რომ თემობის დადგენილებით ყველა გააზნაურებული პირი ხევიდან მოუშორებიათ.[132] აღსანიშნავია, რომ ხევში კერძო საკუთრებასთან ერთად არსებობდა საგვარო, სასოფლო, საოჯახო და სახატო საკუთრება.[133]

ივ. სურგულაძის მითითებით, ძველ ქართულ სამართალში საკუთრების უფლება იმგვარადვე ისპობა, რა გზითაც ხდება მისი შეძენა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.[134] ამასთან, საკუთრების უფლება წყდება შემდეგ შემთხვევებშიც: საკუთრების ობიექტი ფიზიკურად ნადგურდება; სამოქალაქო ბრუნვიდან ხდება ნივთის ამოღება; საკუთრება სხვა სახელმწიფოს კუთვნილება ხდება მიტაცების გზით; სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე; სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე საკუთრების იძულებითი ჩამორთმევით და ა.შ..[135] მაგალითად, ნაპოვარის წილზე საკუთრების უფლებას დაკარგავდა პირი, რომელიც ნივთს საბატონო ან საქვეყნო ალაგზე იპოვიდა და არ განაცხადებდა.[136] ომში ნაშოვარ ქონებაზე, სომხური სამართლის ქართული ვერსია, კერძოდ, მხითარ გოშის სამართალი, ჯარიმის ალტერნატიულ სასჯელად ნატყვენავის ჩამორთმევას ითვალისწინებს (მ. 393-ე).[137] ასევე, საკუთრების უფლება იკარგება ხანდაზმულობითაც, როდესაც ვინმე „სიგრძოთაგან ჟამთაისა“, კეთილსინდისიერად ფლობდა ქონებას, რა დროსაც ისპობა მესაკუთრის ან „მქონებელის“ უფლება.[138]

საკუთრების უფლების გამომხატველი ტერმინები. საქართველოში საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველ ტერმინზე მოთხოვნილება დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებასთან, ასევე იმ ხანგრძლივ პროცესზე,

---

[132] *მერაბიშვილი ჯ.*, რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 118.

[133] იქვე.

[134] *სურგულაძე, ი.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 21.

[135] იქვე.

[136] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,188.

[137] ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები *დაურთო ის. დოლიძემ*, მეცნიერება, თბ., 1965, 112-114.

[138] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თუ გამომცემლობა, თბ., 308.

რასაც ადგილი ჰქონდა თემური მიწათმფლობელობიდან კერძო სამამულო საკუთრებაზე გადასვლის პერიოდში.[139]

ძველ ქართულ სამართალში საკუთრების ზოგადი ცნების დამკვიდრებას ხელს უშლიდა ფეოდალური საკუთრების დანაწევრებული ხასიათი,[140] თუმცა, საკუთრებისა და საკუთრების უფლების აღმნიშვნელი ტერმინები დროთა განმავლობაში მაინც მკვიდრდებოდა.

მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ტერმინმა „ზეპურნი“ დედანი[141], რომელსაც იაკობ ცურტაველი თავის თხზულებაში იყენებს სამთავრო ან სამეფო საგვარეულო წევრების აღსანიშნავად. ტერმინი „ზეპურნი“ „ეზრას აპოკალიფსისის„ ათონისა (978 წ.) და იერუსალიმის (მე-11 ს.) მოკლე რედაქციების ნუსხების შედარებისას დადგინდა სინონიმებისა და მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების მონაცვლეობა[142]. მათ შორისაა ტერმინი „საზეპურო“. ოშკის ნუსხაში საკუთრების აღსანიშნავად გამოიყენება „საზეპურო“, ხოლო იერუსალიმის ხელნაწერში ის ჩანაცვლებულია სიტყვით „საკუთარი“.[143] საზეპურო, ზოგადად, წარჩინებულთა ფენის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს სებეოსის ერთი ცნობა. იგი აღნიშნავს, რომ კონსტანტინე კეისრის მიერ ქართლის დაპყრობისას, „ერთხანს მათ არ სურდათ დანებება, მაგრამ შემდეგ დაემორჩილნენ [ბერძნებს], ხოლო... საზეპურო გუნდი არ დამორჩილდა“.[144]

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტერმინი „საკუთარი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები, რადგან მათ არა მარტო არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, არამედ იქცნენ ამ უფლების გამომხატველ ძირითად ტერმინებად.

ივ. ჯავახიშვილს „საკუთარი“ მკვიდრი სიტყვიდან „კუთვნა“ წარმომდგარად მიაჩნია, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაა „მსახურება, თაყვანისცემა, ზრუნვა და მოვლა“.[145] „საკუთარი“ ნიშნავდა ვინმესთვის, რაიმესთვის განკუთვნილს. იაკობ

---

[139] *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002, 50.

[140] *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თუ გამომცემლობა, 1963, 49.

[141] *იაკობ ხუცესი*, წამებაÁ წმიდისი *შუშანიკისი* დედოფლისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 43.

[142] *ქურციკიძე ც.*, ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბილისი, 1971, 95.

[143] იქვე.

[144] *გაბაშვილი ვ.*, არაბთა სახალიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, 59.

[145] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თუ გამომცემლობა, თბ., 285.

ხუცესი წერს: „და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვ მას“.[146] იგივე შინაარსით გამოიყენება ის დიდ სჯულისკანონში: „ცხოველთა მიმართ წყლისათა ფრიად საკუთრად და შესამსგავსად“.[147] ტერმინს ეს მნიშვნელობა საუკუნეების მანძილზე არ შეუცვლია და ამავე შინაარსითაა გამოყენებული XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის ნაშრომებშიც. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „საკუთრად კათალიკოსს“ აქვს ჯამაგირი;[148] ან კიდევ მეფე „მოიწვევდეს საკუთრად“ სადილად.[149]

ბასილ ზარზმელის მიერ ნათქვამი ფრაზა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი ჩორჩანელმა ანდერძით „ყოველივე, რაÁ აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთÂსა“[150], გულისხმობს მამკვიდრებლის მიერ დისთვის ქონების დატოვებას და დისშვილებისთვის, როგორც მომავალი მემკვიდრეებისთვის საკუთრების უფლების გადაცემას.[151] „საკუთრებით განუთÂსა“ ნიშნავს, რომ ჩორჩანელმა თავისი ქონება მათ „საკუთრებად“,[152] „სრულ, განუსაზღვრელ პირად კუთვნილებად“ აქცია.[153] ი. ფუტკარაძის მოსაზრებით, „დასა მისსა შეჰვედრა“ ნიშნავს დას მიაბარა, ანუ დის საკუთრებად კი არ დაუდგენია, მისთვის მხოლოდ შეუვედრებია, მიუბარებია, მესაკუთრეებად კი დისშვილებს ასახელებს; მხოლოდ გიორგი ჩორჩანელის დის, თეკლას გარდაცვალების შემდეგ „წარემართა უფლებÁ მათი“[154] ბიძის მემკვიდრეობაზე.[155]

---

[146] *იაკობ ხუცესი,* წამებაÁ წმიდისი *შუაშანიკისი* დედოფლისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 38.

[147] დიდი სჯულიკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ავტორებმა: *გაბიძაშვილი ე., გიუნაშვილი ე., დოლაქაძე მ., ნინუა გ.,* მეცნიერება, თბ., 1975, 482.

[148] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, სსთსუ გამომცემლობა, 1975, 23.

[149] იქვე, 50.

[150] *ბესარიონ ზარზმელი, ცხორებაÁ სერაპიონ ზარზმელისაÁ*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 96.

[151] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თუ გამომცემლობა, თბ., 280.

[152] იქვე, 280-281.

[153] იქვე, 283.

[154] *ყუბანეიშვილი ს.,* ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), თბ., 1963, 340-341.

[155] *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 120-121.

„წარემართა უფლებაÁ“ თავისთავად საინტერესო სიტყვათშეთანხმებაა, რომელიც, ამ შემთხვევაში, ქონებაზე საკუთრების უფლების გასავლის ფაქტს გულისმობს.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში გამოყენებული ტერმინი „საკუთრება“ წერილობით მხოლოდ X საუკუნიდან დასტურდება. თუმცა, როგორც ი. ფუტკარაძე აღნიშნავს, მეცნიერთა ერთ ჯგუფს (პ. ინგოროყვა, გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ა. ბოგვერაძე) სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების პირველი რედაქცია VII საუკუნეში დაწერილად მიაჩნია, რომელიც რეალურად VI-VII საუკუნეების მიჯნაზე არსებულ ვითარებას ასახავს.[156] ამიტომ მეცნიერი მიზანშეწონილად თვლის ტერმინ „საკუთრების“ დამკვირების პერიოდად მიღებულ იქნეს VII საუკუნე.[157]

„საკუთრება“ ფშავში ერთდროულად მფლობელობასა და სრულ საკუთრებას აღნიშნავდა, რაც ფშავის საზოგადოებრივი წყობილების ბუნებიდან მომდინარეობს; ხოლო „ქონების დასაკუთრება-დაპატრონება აღინიშნებოდა ტერმინით „გათავისება“.[158] როგორც დ. ჯალაბაძე აღნიშნავს, ფშაველი ქალი ასე ამბობდა: „ეს ძროხა ან ეს ცხვარი ჩემიაო და გაითავისებდა მას“.[159] სათავადოების სისტემა, რომელიც გვიანფეოდალურ საქართველოში ჩამოყალიბდა, სათავისო საკუთრების განვითარებას აფერხებდა, რადგან ის ფეოდალური მეურნეობისთვის მიუღებელ გარემოებას ქმნიდა.[160]

ტერმინები „საკუთრად დადგინება“ და „საკუთრად განთვისება“ გამოყენებულია პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ რედაქციაში ასეთი მნიშვნელობით: მთავრებისგან ან სხვა თავისუფალ პირებისგან მონასტერში მონაზვნად გაგზავნილი თუ მსახურის ან მოწაფის „საკუთრად დადგინებას“ ისურვებდა, უფლება არ უნდა მიეცათ.[161] ამის დაშვება მონასტრის ძმათა შორის მრავალი უწესობის შემოტანის საბაბი იქნებოდა,

---

[156] იქვე, 118. იხ. *ინგოროყვა პ.*, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 324-339.

[157] *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 118.

[158] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 44.

[159] *მერებაშვილი ჯ.*, სახალხო მმართველობის სისტემა ფშავში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 44. იხილე: *ჯალაბაძე დ.*, მასალები ფშავურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., 28.

[160] *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, განათლება, თბ., 1965, 283.

[161] *შანიძე ა.*, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, მეცნიერება, თბ., 1971, 76.

მათ შორის: „...განთÂსებით საკუთრად წესისა ძიებითა ზოგად საცხოვრებელსა მას წესსა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ და, - რაÁთა ესრეთცა ვთქუა, ვითარმედ, - საÃმარსა მას უÃმრად გამოაჩინებენ თავხედობით.“[162] „საკუთრად დადგინება“ ამ შემთხვევაში ნიშნავს თავისად ვინმეს დადგენას, პირად დაქვემდებარებაში შეყვანას; წესის საკუთრად განთვისება კი გულისხმობს საკუთარი წესების შემოღებასა და გავრცელებას, რაც მონასტრის წესდების დარღვევად ითვლება.

თხზულებაში „სიბრძნÊ ბალაჰვარისი“ ტერმინი „გაუსაკუთრე“ თავის მიკუთვნების, მინდობის მნიშვნელობითაა გამოყენებული: „ღმერთსა სრულიად გაუსაკუთრე თავი ჩემი“.[163] იგივე შინაარსს ატარებს „საკუთრება“ რუის ურბნისის ძეგლისწერაში: იოანე კათალიკოსი იყო „ღმრთისა მიმართისა საკუთრებისა-თანა სიმშÂდითაცა სულისაÁთა მიმსგავსებული მოსესი“.

ივ. ჯავახიშვილს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოყენებად, „საკუთრების გადაცემის აღმნიშვნელ ტერმინად“ მიაჩნია „განთÂისებაი“, რომლის დამკვიდრება IX საუკუნეზე ადრე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ეს ტერმინი გამოყენებულია ბესარიონ ზარზმელის ცნობასა და „ზაქარიას“ დაბადების ამ ქართულ თარგმანში: „ტომნი და დედანი მათნი განთÂისებით“.[164]

„განითვისა“ დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობაშიც გამოყენებულია მითვისება-მისაკუთრების მნიშვნელობით: მუჰამედმა „განითÂსა ქუეყანაÁ ეგÂპტისა და პალესტინისაÁ“.[165]

„განთÂსებული“ დიდი სჯულისკანონშიც განკუთვნილის, გამოყოფილის მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, „მეძავთ-საძოვნებელთათვს განთვსებული არს ნაწილი ორმოცდამეერთე“[166], ესე იგი სამეძაო სახლისთვის განკუთვნილია ორმოცდამეერთე კანონი.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ტერმინებს „განჩემება“ და „განჩემებული“. მისი მოსაზრებით, ის უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონებიდან წილის

---

[162] იქვე.

[163] *სიბრძნÊ ბალაჰვარისი*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 286.

[164] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თუ გამომცემლობა, თბ., 289.

[165] მარტÂლობაÁ *დავით* და *კონსტანტინესი,* ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 234.

[166] დიდი სჯულიკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ავტორებმა: *გაბიძაშვილი ე., გიუნაშვილი ე., დოლაქაძე მ., ნინუა გ.,* მეცნიერება, თბ., 1975, 210.

გამოყოფის აღმნიშვნელ სიტყვას, როდესაც „რაიმე ჩემად აღვიარე და ჩემ კუთვნილებად ვაქციე“, როგორც, მაგალითად ლევიტელთა წიგნშია: „ქუეყანა იგი განჩემებული ქალაქთა არა განიყიდოს“.[167]

ტერმინების – „დაჩემება“ და „დასაკუთრება“ განმარტებისას, გ. ნადარეიშვილი დ. ბოსტოღანაშვილის ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ეს ტერმინები გამოიყენებოდა სათემო მიწათმფლობელობის პერიოდიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ მიწების პერიოდულ გადანაწილებას; მათ გარკვეულ ნაწილზე მრავალწლიანი კულტურების გაშენების გამო, მიწის მფლობელები ცდილობდნენ ასეთი მიწები კერძო საკუთრებაში შეენარჩუნებინათ.[168] ამ გზით დაპატრონებულ მიწებს „დაჩემებულ“, დასაკუთრებულ, „საბლის“ მიწებს ეძახდნენ.[169] დ. ბოსტოღანაშვილი ქიზიყის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ასკვნის, რომ რამდენიმე წლით მიწების უწყვეტად ფლობისა და სარგებლობისას, ეს მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა, რის გამოც „თანდათანობით განიცდიდა დაჩემებას ანუ იქცეოდა საკუთრებად“.[170] ამასთან, ანალოგიურ პროცესს ჰქონდა ადგილი მტრის შემოსევებს განრიდებულ სოფლის მოსახლეობის უკან დაბრუნებისას, როდესაც, რეალურად თავდაპირველზე უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობა ახერხებდა სოფელში დაბრუნებას და ისაკუთრებდა თავისუფალ მიწებს.[171]

გ. ნადარეიშვილის მიიჩნევს, რომ „განჩემება“ გამოიყენებოდა „განკუთვნება-მისაკუთრების, განცალკევების“ მნიშვნელობით.[172] მისივე მოსაზრებით, მიწაზე დაჩემების უფლებაზე ადრე მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობას ექნებოდა ადგილი.[173]

---

[167] *ჯავახიშვილი ივ.* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თუ გამომცემლობა, 1984, 289.

[168] *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002, 50. შეად. *ბოსტოღანაშვილი დ.*, მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თუ გამომცემლობა, თბ., 2004, 74-75.

[169] *ბოსტოღანაშვილი დ.*, მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 58.

[170] იქვე, 59.

[171] *ბოსტოღანაშვილი დ.*, მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 59-60.

[172] *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002, 50.

[173] *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002, 50.

„დაჩემება“ ზოგჯერ უკანონოდ მიწების მიტაცებას ნიშნავდა. დავით ბატონიშვილის სამართლის დამატებითი, მე-7 მუხლი დასათაურებულია „დაჩემებისთვის სახელმწიფოთა მამულთა, და ეკლესიისა“ და ეხება სამეფო და საეკლესიო გაუკაცრიელებული მიწების სიცრუით მითვისებას.[174]

დაჩემება „ჩემობის“ ფორმითაც არსებობდა.[175] „ჩემობა“ ხევსურულ დიალექტზე ნიშნავს „ჩემს გვარეულობას“, „ჩემს შთამომავლობას“.[176] გურულ დიალექტში გამოიყენება „ჩემოულობა“, რაც ქონების, ავლადიდების აღმნიშვნელია.[177] მართალია, ჩემობა სასაუბრო ენიდან თანდათან განიდევნა, მაგრამ სიტყვა “ჩემი“ საკუთარის აღმნიშვნელ ნაცვალსახელად მყარად არის დამკვიდრებული.

ფშავ-ხევსურეთში, მიწაზე საკუთრების უფლებას ტერმინი „გაუნჯება“ აღნიშნავდა, სოფლის საერთო საკუთრებაში არსებული მიწების საკარმიდამო ნაკვეთებად გადაცემას „კარის წილს“ უწოდებდნენ, ხოლო დამატებით გამოყოფილ შედარებით უხარისხო მიწებს, რომლებსაც ასევე სოფლის თითოეულ კომლს უნაწილებდნენ, „ნაწილარი“ ერქვა.[178]

აღსანიშნავია, რომ ფშავში ქალის მიერ მიღებული შემოსავალი მის პირად საკუთრებას, ე.წ. „სათავნოს“ წარმოადგენს, მაშინ, როცა მამაკაცის მონაგები ოჯახის საერთო ქონებაში შედიოდა.[179] ქალს პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას ხევსურეთში „ნამაშვრალი“ ერქვა.[180]

მესაკუთრის აღმნიშვნელი სიტყვად „პატრონიც“ გამოიყენებოდა. მაგალითად, ჩვეულებითი სჯულის მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ ვალისთვის მოვალე სარგებელს თვე და თვე ძლევას დაუწყებდა თეთრის პატრონს“.[181] ფულის პატრონი მისი

---

[174] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 161.

[175] *ნადარეიშვილი გ.*, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002, 50.

[176] იქვე.

[177] *ღლონტი ა.,* ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, წ. 1,2, 1974.

[178] *ჯალაბაძე დ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კვკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 79. იხილე: *ოჩიაური ალ.,* ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ხევსურეთის რჯული, М́ 84, 12.

[179] *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. II., М., Типография А. И. Мамонтова, 1890, 86.

[180] *ჯალაბაძე დ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კვკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 79. იხილე: *ოჩიაური ალ.,* ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ხევსურეთის რჯული, М́ 84, 12.

[181] *დოლიძე ი.*, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 44.

მესაკუთრეა, ამიტომ იღებს მსესხებლისგან სესხზე დარიცხულ სარგებელს. შესაბამისად, დაპატრონებას დასაკუთრების მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე საკანონმდებლო ძეგლით, თუ გარდაცვლილს არ ჰყავდა „ვაჟი, გაუყრელი ძმა და ბიძაშვილი“, ქედხუდები და მოურავები მისი ქალის ქმარს ზედსიძედ შეიყვანდნენ და გარდაცვლილის ქონებას „დააპატრონებდნენ“ (მუხ. 32-ე).[182]

II. სამხედრო ნადავლი როგორც საკუთრების უფლების შეძენის წყარო ძველ ქართულ სამართალში

გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასა და სახელმწიფოებრივი ჩანასახების ჩამოყალიბებას, გვარ-ტომებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების გარდა, ხელი შეუწყო არსებობისთვის ბრძოლის გამო ხშირმა ომიანობამ, რომელიც ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩასაგდებად

[182] იქვე, 58.

წარმოებდა.[183] ძლიერი თემების მიერ სუსტებზე განხორციელებული თავდასხმები და, ზოგადად, საომარი მოქმედებები წარმოების თავისებურ სახეს წარმოადგენდა, მოპოვებული ნადავლი – მეორადი წარმოების პროდუქტს.[184] საზოგადოების განვითარების ამ ეპატზე, იბერიასა და კოლხეთში მიწათმოქმედთა და სამხედრო ფენა ჯერ კიდევ არაა ერთმანეთისგან განცალკევებული და ყველა სრულწლოვანს შეუძლია ლაშქრობაში მონაწილეობა.[185] განსაკუთრებით, მთიანეთის მოსახლეობა გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით, რომლებიც, რომაელების აზრით, მთაგორიან ადგილებში მათზე უკეთესი ხერხებით აწარმოებდნენ ბრძოლებს.[186] ამასთან, ყალიბდება სამხედრო დიდკაცობა, რომლის მთავარი ბირთვია სეფე-წულები და ტაძრეული, უმაღლეს სარდლობას ასევე შეადგენენ სპასპეტი, სპასალარები და ათასისთავები.[187]

ბრძოლის ველზე დამარცხებული ან დანებებული მტრის კუთვნილი ნივთების ხელში ჩაგდება და მითვისება საკუთრების შეძენის კანონიერ გზას წარმოადგენდა. სალაშქრო აღჭურვილობა, ტყვეები, ცხენები, დროშები და სხვა ნივთიერი ფასეულობა, ზოგჯერ მიწებიც, გამარჯვებული სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა. სამხედრო ნადავლის ობიექტი იყო როგორც დამარცხებული შეიარაღებული მტრის, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის ქონება, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით.

სამხედრო მოწინააღმდეგის ნივთის დაუფლებით, სამუდამოდ წყდებოდა მასთან დაკავშირებული ყველა უფლება, თუმცა მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობისას: დაუფლება უნდა მომხდარიყო მტრის, უცხო ხალხის მიერ და არა მეკობრეობით ან ერთ საზოგადოებაში წამოწყებული ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე; ამავდროულად, უნდა განხორციელებულიყო ნივთის ფაქტობრივი დაუფლება ან გადამალვა უსაფრთხო ადგილზე.[188] თუმცა, ომის კანონებით, დაშვებული იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. მიწები, ტყვეები, ცხენები და პირუტყვის ჯოგი, რომლებიც ომში იყო გამოყენებული, მაგრამ მათი თავდაპირველი მესაკუთრე იღებდა

---

[183] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. *მელიქიშვილი გ.* (რედ.), საბჭოთა საქართველო, თბ, 1970, 20.
[184] იქვე, 85.
[185] *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1928, 107.
[186] *ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.,* საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1953, 74.
[187] იქვე, 72-73.
[188] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 380.

ვალდებულებას გამოესყიდა და აენაზღაურებინა მის საკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მას უბრუნდებოდა.[189]

როგორც რომაელი იურისტები აღნიშნავდნენ, „ის, რასაც ჩვენ მტერთაგან ვიტაცებთ... მაშინვე ჩვენი ხდება“,[190] რადგან მოწინააღმდეგის ნივთები უპატრონო, არავის კუთვნილ ნივთებად მიიჩნეოდა და მასზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მათი ფაქტობრივი მიტაცება, ხელში ჩაგდება იყო საჭირო. ამ გზით საკუთრების უფლების მოპოვებას რომაელები უწოდებდნენ Occupatio-ს. ის საკუთრების უფლების თავდაპირველი გზით შეძენის მთავარ საშუალებად მიიჩნეოდა.[191] თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი. ნადავლზე უფლების მოსაპოვებლად ის დამსაკუთრებლის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მცირე ხნით მაინც. სწორედ ეს ძირითადი პირობა ახასიათებს სამხედრო ნადავლს, როგორც საკუთრების უფლების მოპოვების საშუალებას.

ძველი რომაული სამართლით, დაპყრობილი მიწები და მტრისგან მოპოვებული მოძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრება ხდებოდა და მხოლოდ მისი მეშვეობით შეიძლებოდა გადასცემოდა ის ცალკეულ პირებს - სახელმწიფო ითვლებოდა მუდმივ მესაკუთრედ.[192] როგორც გ. პუხტა აღნიშნავს, მოძრავ ნივთებთან მიმართებაში ეს სრულად შეუსაბამოა, მაგრამ „რამდენადაც უცნაურად უნდა ჩანდეს“, პირს მის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო ქონების ვარგისიანობაზე ისე უნდა ეზრუნა, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაზე.[193]

ომის ნადავლის აღების მიზანი ყოველთვის სიმდიდრის საკუთრად მოხვეჭა არ იყო. ამ ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესია-მონასტრების მშენებლობას ხმარდებოდა. მაგალითად, როდესაც თორნიკე ერისთავმა თავისი მხედრობის დახმარებით ბიზანტიაში ჩაახშო ბარდა სკლიაროსის აჯანყება და დიდძალი ნადავლი აიღო. მისი ნაწილი ათანასეს ლავრასა და სხვა მონასტრებს გადასცა, ხოლო უდიდესი

---

[189] იქვე.

[190] *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70; *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. *სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 56. გაიუსს ნადავლზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლად ბუნებითი სამართალი მიაჩნია, იუსტინიანეს ინსტიტუციები კი ასეთად ხალხთა სამართალს მიიჩნევს.

[191] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989, 231.

[192] *Пухта Г.Ф.,* История римского права, типографія Семена, 1864, 17.

[193] იქვე, 18.

წილი ათონის ივერთა მონასტრის მშენებლობას მოახმარა:[194] მან ნახა „შუა მთაწმიდისა“ ადგილები, მოეწონა და „ვიდრე იმერად ზღვამდე თÂსითა საფასითა იყიდნეს“.[195] აღსანიშნავია, რომ სამღვდელოებას ბუნებრივად მიაჩნდა ომში ნაშოვარი ქონებით ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, როდესაც ბერები დიდძალ შესაწირავს იღებენ მთავრებისგან, აბრაჰამ მამა-მთავარსა და დავით წინასწარმეტყველს იშველიებენ, რომლებმაც: „სწორად მეჰომეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი“, ასევე თქვენგან „გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილეულ არიენ მარადის“.[196] ამგვარად, ეკლესია ეჭვქვეშ არ აყენებდა ომით მოპოვებული მონაგების მიღების კანონიერებას.

2.1. სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები

ძველ ქართულ ენაში სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი ტერმინები მრავალგვარია. მათ შორის, ყველაზე გავრცელებული იყო ალაფი, ავარი (იავარი), ნაშოები, ნატყვენავი, ნარბევი, ნაძარცვი, დავლა, ნადავლი და ა.შ. ლაშქრობის მიზანს, ძირითადად, მტრის ჯარის დამარცხება და ალაფის აღება წარმოადგენდა და არა მოწინააღმდეგის კუთვნილი მიწების დაკავება, ამიტომ ტერმინთა უმრავლესობა მხოლოდ მტრისგან მიტაცებული სხვადასხვა სახის მოძრავი ქონების აღმნიშვნელ სიტყვებად ჩამოყალიბდა.

2.1.1. ალაფი

სამხედრო ნადავლის, როგორც ომითა და რბევით მოპოვებული[197], ნაძარცვი[198] ქონების აღმნიშვნელი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ტერმინია ალაფი.[199] ქართულ სალიტერატურო ენაში „ალაფი“ ომონიმური სიტყვაა. სულხან-საბა

---

[194] ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, *მეძმარიაშვილი, ე.*, (რედ.), თბ., 2017, 177.

[195] *გიორგი მთაწმინდელი, ცხორებაÁ იოვანესი და ეფთვმესი*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 181.

[196] *გიორგი მერჩულე, ცხორებაÁ გრიგორ ხანძთელისაÁ*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 286

[197] *ძეგლი ერისთავთა* (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მემატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო *შ. მესხიამ*, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 363.

[198] *აბულაძე, ი.,* „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ (მასალები). „მეცნიერება“, თბ., 1973.

[199] ძველ ქართულ ენაში ლაშქრობისა და ალაფობის აღმნიშვნელი ტერმინები და მათგან ნაწარმოები სინონიმური ხასიათის სიტყვები საკმაოდ ბევრია, ამიტომ ყველას განხილვა არამიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

ორბელიანის განმარტებით, „ალაფი“ არის „საფენელი[200] და ჭურჭელი ნატყუენავი“.[201] ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონით, „ალაფს“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) „ნაშოვარი საქონელი ჟამსა ბრძოლისასა“ და 2) „მეფქვილე, ფქვილის მოფარდული, Ἄλερας“.[202] ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი მას სამი მნიშვნელობა აქვს: 1) [არაბ.] საქონლის საკვები, ფურაჟი, 2) მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი; 3) (ძვ.) იგივეა, რაც ნადავლი.[203] ალაფი საქონლის საკვების მნიშვნელობით უფრო ქართლში გამოიყენებოდა. საძოვრებს სალაფებსაც უწოდებნენ: „იტყვიან ხოლმე - ზეით მივალ, საქონელი უნდა დავლაფოო“.[204]

მ. ანდრონიკაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ტერმინი „ალაფი“ ფონეტიკური ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, უკავშირდება თურქულ ზმნას almak – „დაპყრობა, წართმევა“ და მისგან ნაწარმოებ სიტყვას – alpay (დამპყრობელი). ამავე ზმნიდანაა ნაწარმოები სიტყვა alap – “ ჩანთა, კალათა, ის, რითაც რაიმე მიაქვთ, ასაღები, წასაღები“.[205]

ალაფი მხოლოდ მოძრავი ნივთების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. შესაბამისად, ალაფობაც ომის ნადავლის მიტაცებას გულისხმობს. მაგალითად, ვეფხისტყაოსანში თინათინის გამეფების შემდეგ მისი ბრძანებით გახსნეს საჭურჭლენი, სადაც ლაშქარი „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა ვითა ნათურქალსა“. „ალაფობდეს“ აქ მიშნავს მითვისებას, მოხვეჭას. ჯარი ნივთებს ისე იტაცებდა, თითქოს ის არა მეფის, არამედ დამარცხებული თურქებისთვის წართმეული ნადავლია.[206]

---

[200] საფენელის განმარტებას სულხან-საბა არ აკეთებს. ეს სიტყვა გვხვდება *ბასილ ეზოსმოძღვრის* ნაშრომში „ცხორებაÁ მეფეთ-მეფისა თამარისი“: „ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე და კარავთა და საფენელთა ურიცხუება, რომელ დაყარეს“. როგორც ჩანს, ის გამოიყენებოდა დასაფენის, ქვეშაგების მნიშვნელობით. ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 505.

[201] *სულხან-საბა ორბელიანი*, სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი, *ს. იორდანაშვილის* რედაქციითა და წინასიტყვაობით, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949, 23.

[202] *ჩუბინაშვილი ნ.*, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ *სულხან-საბა ორბელიანისა, ალ. ღლონტი* (რედ.,), 1961.

[203] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *არ. ჩიქობავას* რედაქციით, ერთტომეული, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, 23.

[204] *გეგეშიძე ე.*, ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა (არაგვისა და ქსნის ხეობის მასალების მიხედვით), სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 175.

[205] *ანდრონიკაშვილი მ.*, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბ., 1965, 310. იხ. ციტირება: *G. Th. Zenker*, Dictionnaire turc-arabe-persane, Leipzig, 1866, 84.

[206] *ჯანაშვილი მ.*, ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო, XXIV, აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი, ელექტ. მბეჭდ. *ს. მ. ლოსაბერიძისა*, ტფ., 1910, 12.

ალაფობას ჯარი თვითნებურად არ იწყებდა. ამას მეფის ან სარდლის ბრძანება სჭირდებოდა. მაგალითად, ჯუანშერის გადმოცემით, სპარსთა დამარცხების შემდეგ ვახტანგის გუნდი გავიდა ალაფობად, „მეფე ვახტანგ აყენებდა მიძულებად სპათა-მათ მეალაფეთა“.[207] როდესაც ისტორიკოსი წერს, რომ გუნდი გავიდა ალაფობად, უნდა გულისხმობდეს არა მთლიანად ჯარს, არამედ მის ნაწილს, რომლებსაც მეალაფეებს უწოდებს.[208] თ. მიქელაძე „ანაბასისზე“ დაყრდნობით წერს, რომ მეალაფენი ეწოდება საგანგებო მეომრებს, რომელთა მოვალეობა ალაფის შეგროვებაა; მათ ალაფი მოჰქონდათ ხელშუბებით, აქედან გამომდინარეობს მათი სახელიც - ბიρυ φόροι (შუბის გადასახადები).[209]

არჩილ მეფის პოემაშიც ნადავლის აღებას ალაფობა ჰქვია და მას ქვეითი ჯარი ახორციელებს:

„ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთოდეს,

მათ, გლახ, თურმე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს“.[210]

ალაფობის დროს მიჩენილი ადგილის უნებართვოდ დატოვება დანაშაულად მიიჩნეოდა და სასჯელი პირის ვინაობისა და ჩადენილის სიმძიმიდან გამომდინარე ისჯებოდა: „პატიმრობითა, განჯოხვითა და პატივის მოკლებით“.[211]

მეალაფეს გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში მენაშოვრეს უწოდებდნენ.[212]

2.1.2. ნატყვენავი

ქართულ ნარატიულ წყაროები ომის ნადავლის აღსანიშნავად ხშირად იყენებს „ნატყვენავს“. სულხან-საბა მას განმარტავს როგორც „ფორიაქ ქმნილს“,[213] ნაფორიაქალი კი “ნატაცებია“.[214] ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით, ნატყვენავი არის

---

[207] *ჯუანშერი*, ცხორებაÁ ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 186.

[208] *მიქელაძე ი.*, ქსენოფონტის „ანაბასისი“, ლექსიკონი, თბ., 1967, 55.

[209] იქვე.

[210] *არჩილ მეფე*, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 647-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <https://wikisource.org/> [17.03.2020]

[211] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 32.

[212] იქვე, 74.

[213] *სულხან-საბა ორბელიანი*, სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი, *ს. იორდანაშვილის* რედაქციითა და წინასიტყვაობით, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949, 254.

[214] იქვე.

ნაშოვარი, ალაფი,[215] ტყვენვა - აფორიაქება, წარტყვენვა,[216] წარტყვენვა - (წარვსტყვენავ) სრულიად დატყვევება, იავარქმნა.[217] ი. აბულაძის ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიებისადმი თანდართულ ლექსიკონში ნატყვენავს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ალაფი; 2. ტყვედ მყოფი: „იგი უცხოქმნულნი გარეხადნეს სიმრავლესა მას ერისა მის ნატყუენავისასა“.[218]

„ტყუევნა“ ალაფობის აღმნიშვნელ ტერმინად, ხოლო „ნატყვენავი“ უმეტესად ნაალაფარი ნივთების ერთობლიობაზე ხაზგასმის მიზნით გამოიყენება. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგმა ბაყათარის და ოსთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ, სამი დღე შეისვენა და შემდეგ გავიდა „ტყუენვად ოვსეთისა: შემუსრნეს ქალაქნი მათნი და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხÂ“.[219] მატიანე ქართლისაის ავტორიც, ალაფის შემადგენლობას ამ ფორმულით გამოხატავს: ბაგრატ მეფემ მოაოხრა განძა და „აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხÂ“ და გაგზავნა თავის სამეფოში.[220] აქ ნადავლში შედის როგორც შინაური პირუტყვი, ასევე ძვირფასეულობა და სამოსი.

ლეონტი მროველი აღწერს ქართლის მეფეთა, აზორკისა და არმაზელის ლაშქრობას სომხეთში და მათ მიერ სომხეთის ნაწილის აოხრებას: მათ „წატყუენეს დაშტი ვიდრე ნახიჭევანამდე, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხÂ, და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტაგითა“.[221] ნატყუენავი სომხითით იყო: „პირუტყÂ, ოქროÁ და ვეცხლი და ნაქსოვი“.[222]

ალაფობისას ტყვე და ნატყვენავი წყაროებში თითქმის ყოველთვის ერთად იხსენიება, როგორც ომში დანარჩუნებული ქონების შემადგენელი ორი განსხვავებული სახის ნადავლი, სადაც ნატყუენავი ყველანაირი მოძრავი ნივთის აღმნიშვნელი სიტყვაა. თუმცა, იშვიათად შემთხვევებში, ეს ტერმინი მხოლოდ ტყვეებსა და თვითძვრად ნივთებს მიემართებოდა. მაგალითად, ჯუანშერის

---

[215] *ჩუბინაშვილი ნ.*, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ სულხან-საბა ორბელიანისა, *ალ. ღლონტი* (რედ.,), 1961.
[216] იქვე.
[217] იქვე.
[218] *აბულაძე, ი.*, ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, მეცნიერება, თბ., 454.
[219] *ჯუანშერი*, ცხორებაÁ ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 169.
[220] *მატიანე ქართლისაÁ*, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 169.
[221] *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 59.
[222] იქვე.

გადმოცემით, ვახტანგმა თავის ბიძის, ვარაზ-ბაკურისთვის გასცა ნატყვენავი: „მონაÁ–ათასი, ცხენი საÃედარი – ათასი, Ãდალი ცხენი – ათასი“.[223]

ძეგლი ერისთავთას[224] ტექსტის შემდეგ წინადადებაშიც ნატყვენავს კონკრეტულად ტყვედ წასხმულთა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: ერისთავ ვირშელის ლაშქარმა მოაოხრა თლე და წერღუ და „ყოვლითა ალაფითა და ნატყუენვითა“ დაბრუნდა გამარჯვებული. ალაფი და ნატყვენავი ცალ-ცალკეა დასახელებული, ხოლო ტექსტიდან აშკარაა, რომ ნატყვენავი აქ მხოლოდ ტყვეებს აღნიშნავს. ამავე ძეგლში ნახსენებია, რომ თემურმა საქართველოს მოოხრებისა და „ტყუენის“ შემდეგ ტყუე და ალაფი სამარყანდს გააგზავნა.[225] აქაც ნატყვენავში ტყვე და ალაფი იგულისხმება.

2.1.3. იავარი (ავარი)

იავარი ასევე გამოიყენებოდა ომის ნადავლის სინონიმად.[226] „იავარი - ალაფი, ნაშოვარი, ნაფორიაქალი (იერემ. 17,3)“,[227] იავარ-ყოფა - აკლება, გაძარცვა. მაგალითად, „იავარ-ყვეს მონაგები მათი“.[228]

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტერმინი უკავშირდება ხუნძახის სახანოსა და მისი მოსახლეობის სახელწოდებას - ავარი, თუმცა მე-20 საუკუნემდე ხუნძახის ხალხის გავრცელებული ენდოეთნომი მაარულალი იყო. საკვლევი ტერმინი კი ქართულ წერილობით წყაროებში X საუკუნიდან მაინც გამოიყენება. ამიტომ ეს შეხედულება უარყოფილია.[229] ასევე დადგენილია, რომ „ავარი“ არც VI-IX საუკუნეების მომთაბარე თურქულენოვან ხალხს ავარებს უკავშირდება.[230]

---

[223] *ჯუანშერი,* ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 171.

[224] „ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს XIII-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს, ხოლო ქართლის მთიანეთის სამხედრო ისტორიის შესასწავლად ამ ძეგლის მნიშვნელობა სხვა წყაროებთან შედარებით, განუზომელია, *ანჩაბაძე, გ.*, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე), ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 93.

[225] ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 115.

[226] *ნეიმანი ა.*, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978, 559.

[227] *ჩუბინაშვილი ნ.*, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ *სულხან-საბა ორბელიანისა, ალ. ღლონტი* (რედ.,), 1961.

[228] *აბულაძე, ი.*, ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, *ეზრა* თ, 4, მეცნიერება, თბ., 439.

[229] *თოფჩიშვილი, რ.*, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, უნივერსალი, თბ., 2007, 86.

[230] იქვე.

ციალა ქურციკიძემ ეზრა სუთიელის წიგნის ძველ რედაქციაში ყურადღება მიაქცია სიტყვას იაჰრავი. ეზრას უფალი ეკითხება: „განწონე შენ, რომელი უპატიოსნეს და საწადელ არს? უმრავლესი, იგი, ანუ რომელი იაჰრავად იპოვების?“ – V, 35 ლბ. კონტექსტით და სომხური და ეთიოპური მოკლე რედაქციის თარგმანის შესატყვისითაც „იაჰრავად“ ნიშნავს ძნელად მოსაპოვებელს, რაც იავარის მნიშვნელობას უახლოვდება. ეს სიტყვა სხვა ქართულ წყაროებში აღარ იძებნება.[231] ამიტომ, შესაძლოა, საკვლევი ტერმინის წარმოშობა უკავშირდებოდეს ქართული ენის მახასიათებელს - სიტყვის მარცვალში ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ „იაჰრავმა“ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ფონეტიკური ცვლილება განიცადა და იავარის სახით დამკვიდრდა. უფრო სარწმუნოა, რომ ეს ტერმინი ქართულ ენაში შემოსულია ძველი სომხურიდან: Ավար (ავარ) - ალაფი, ნადავლი, ნატყვენავი, იავარი.[232]

ნარატიულ წყაროებში სამხერო ნადავლთან „ავარის“ გამოყენების კონტექსტი აჩვენებს, რომ ის მხოლოდ ისეთი ნაალაფარი მოძრავი ქონებას გამომხატველია, რომელიც განსაკუთრებულ ძვირფასეულობად არ მიიჩნეოდა. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ანდერძში, მის განკარგულებას თვალ-მარგალიტისა და ბროლის საგნების გამოყენების შესახებ მოსდევს შემდეგი წინადადება: “სხუაი ჭურჭელი, იავარი სპარსთაი, რომელი არსენისდა იოვანესდა მიმითუალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონაზატერსა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრემ“.[233]

ხშირად ავარი შეპირისპირებულია განძთან, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ ავარი ისეთი ქონებაა, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება არ გააჩნია. მაგალითად, „წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო სრულიად,

---

[231] *ქურციკიძე, ც.*, ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბ., 1971, 95. შდრ. *М. Шавров*, О третьей книге Эздры (опыт исследования о книгах апокрифических), СПб., 1861, 56.

[232] *მელიქსეთ-ბეგი*, ლ. სომხურ-ქართული ლექსიკონი, გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა *მ. რობაქიძემ*, ნეკერი, თბ., 1996.

[233] *სილოგავა ვ.*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124 წწ.), მრავალთავი: ფილოსოფიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 9, 1981, 97.

რომელი აქუნდა“;[234] ან კიდევ, „მიუხდეს ესე ყოველნი ეკლეცს, ფადლონს ზედა, გააქციეს ფადლონ და აუწყვიდეს ლაშქარნი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვი“.[235]

„იავარი“ ბრალდებულად მიჩნეული პირისთვის ქონების ჩამორთმევის აღმნიშვნელ ტერმინადაც გამოიყენებოდა. ვახუშტი წერს, რომ ქართული სამართლის თანახმად, ხმალში დამარცხებულისთვის თავი უნდა მოეკვეთათ და „იავარი მამულით და სახლით“ ეყოთ.[236]

2.1.4. განძი

ტერმინი „განძი“[237] სომხური წარმომავლობისაა და ნიშნავს საუნჯეს.[238] ეს სიტყვა ძველ ქართულ ენაში მხოლოდ მისი დღევანდელი მნიშვნელობით არ გამოიყენებოდა, ანუ როგორც ისეთ ნივთთა ერთობლიობა, რომელიც იმდენი ხნის განმავლობაშია დაფლული მიწაში, რომ მისი თავდაპირველი მესაკუთრისა თუ მფლობელის დადგენა შეუძლებელია. ამ შინაარსით ის უახლოვდება სიტყვას „ნამარხევი“.[239] მაგალითად, გიორგი მერჩულეს ნაამბობით, ცქირი წავიდა „ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხევი მისი იყო“. ნამარხევი აქ გულისხმობს შენახულ, დაცულ ნივთებს.[240] ამავდროულად არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნივთი მიბარებული იყო თუ საგულდაგულოდ შენახული და დაცული.[241]

ზოგადად, „განძი“ ყოველგვარ ძვირფას ნივთს, სიმდიდრეს, ქონებას აღნიშნავდა. ამ სიტყვას უკავშირდება ტერმინი „განძარცვაც“, თავდასხმით, ძალადობით რაიმეს

---

[234] *სუმბატ დავითის-ძე,* ცხორებაÁ და უწყებაÁ ბაგრატონიანთა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, VIII, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, მეცნიერება, თბილისი, 1990, 56.

[235] *მატიანე ქართლისაÁ*, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 281.

[236] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., თ, 1991.

[237] ტერმინ „განძის“ როგორც საკუთრების უფლების შეძენის მნიშვნელობა დაწვრილებით აქვს განხილული ვ. ლომიძეს თავის სადისერტაციო ნაშრომში: საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 25-27. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021]

[238] *მელიქსეთ-ბეგი, ლ.,* სომხურ-ქართული ლექსიკონი გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა *მ. რობაქიძემ*, ნეკერი, თბ., 1996.

[239] *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება“, თბ. 1973.

[240] *ფუტკარაძე ი.*, სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 120.

[241] იქვე.

წართმევა.[242] ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში „განძი“ იმ სარიტუალო ნივთებისა და ვერცხლის ჭურჭლეულობის გამომხატველი სახელია, რომელიც ხატისადმია შეწირული.[243] ფშავ-ხევსურეთში ყველა სოფელს საკუთარი ხატი ჰყავდა, ამ ხატებს კი თავისი დროშა და განძები.[244]

ნარატიულ წყაროებში „განძი“, ხშირ შემთხვევაში, სამხედრო ნადავლის შემადგენელი ნაწილის გამომხატველი ტერმინია. როგორც აღინიშნა, ის ზოგჯერ ავარის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვად გამოიყენება და მასთან ერთად მოძრავ უსულო ალაფს შეადგენს. წყაროებში „განძს“ უსულო ნივთებისგან შემდგარი ერთიანი ალაფის მნიშვნელობაც აქვს. მაგ., მემატიანე წერს, „... შევიდეს თურქნი ქალაქად და ტყუე ყვნეს ურიცხვი სულნი ქრისტიანეთა. და აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალ-ქალაქისა სისხლითა“.[245] აქ განძს ყველანაირი ალაფის მნიშვნელობა აქვს, გარდა ტყვეებისა. იგივე შინაარსი აქვს „განძს“ ჟამთააღმწერლის ამ წინადადებაში: დემეტრე მეფის ლაშქარმა დარუბანდში აიღეს ციხე, „და თავადნი მათნი დაჩოცეს, და წარმოიღეს ტყვე, და განძი და დედა-წული ურიცხვი“.[246]

2.1. 5. დავლა

მ. ანდრონიკაშვილის განმარტებით, დავლა (დავლათიანი, სვე და დავლა) სპარსული წარმომავლობის სიტყვაა (doulä), რომელმაც ფონეტიკური დიფერენციაცია განიცადა სემანტიკური ნიუანსების გადმოსაცემად: დავლა – დავლათი – დოვლათი.[247] ვეფხისტყაოსანში „დავლა“ იგივე მნიშვნელობითაა გამოყენებული - დიდება, ძლიერება, შეძლება, ხელმწიფობა; დავლამრავალი - შეძლებით სავსე:[248]

---

[242] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *არ. ჩიქობავას* რედაქციით, ერთტომეული, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, 126, 143.

[243]ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, *მეტრეველი. რ.* (რედ); მერიდიანი, თბ., 2011.

[244] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 24.

[245] *მატიანე ქართლისაÁ*, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 289.

[246] *ჟამთააღმწერელი,* „ასწლოვანი მატიანე“, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 623.

[247] *ანდრონიკაშვილი მ.*, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბ., 1965, 310.

[248] *შოთა რუსთაველი*, ვეფხისტყაოსანი, ლექსიკონი შეადგინა *ა. შანიძემ*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 349.

„თაყვანის-ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეთანი.“ (487)

„თქვენვე გნახე მხიარული დიდებით და დავლა-მრავლად“. (796)

„მელიქ-სუხრავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა“. (1065)

ა. ჩიქობავასა ლექსიკონით, ნადავლი, დავლა ნიშნავს ნაძარცვ, ნაყაჩაღარ, ომში ნაშოვნ ქონებას, იარაღს და სხვ.[249] ა. ღლონტის განმარტებით, ტერმინი „დავლა“ დაკავშირებულია არაბულ-თურქულ Davlat-თან. ფშავ-თუშურ კილოკავში „დავლა“ გავრცელებული იყო ასევე „დავლათის“ ფორმით, რაც ნიშნავდა ქონებას, ნადავლს, ნაალაფარ, ომში ნაშოვარს.[250] ვაჟას თქმით, მოწმეს ხევისბერი ასე აფიცებდა: „ვინც მართალი დამალოს და არა თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენის ბატონის მადლი და დავლათი“[251], ესე იგი ბატონის გულმოწყალება მოაკლდესო. ფშავში ლაშქრობას ზოგჯერ „სადავლაოდ“ წასვლას, მტრისთვის წართმეულ ქონებას კი „ნალაშქრს“ უწოდებდნენ.[252]

მიუხედავად იმისა, რომ „დავლა“ ქართულ ენაში, ყველაზე გვიან, XII საუკუნის ბოლოდან მაინც მოჩანს, მას ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ფართო გამოყენება არ ჰქონია. თუმცა, ეს სიტყვა ისე ადაპტირდა თანამედროვე ქართულში „ნადავლის“ სახით, რომ სრულად განდევნა და ჩაანაცვლა სხვა ენებიდან ნასესხები თუ მკვიდრი სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელი სიტყვები.

2.1.6. ფანჯიაქი

ფანჯიაქის ანუ ნადავლიდან მეხუთედი წილის სახელმწიფოს მმართველისათვის გადაცემის წესი არაბთა სახალიფოში მოქმედებდა და, დასაშვებია, საქართველოშიც სწორედ აქედან გავრცელდა. სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობით (VIII ს.), მურვანმა ჰონებზე ლაშქრობიდან წამოღებული დიდძალი „ნადავლის მეხუთედი [ნაწილი] და ტყვეები თავის გამგებელს ჰეშიმს გაუგზავნა წერილთან ერთად, რომლითაც მას გამარჯვებას აუწყებდა“.[253]

---

[249] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *არ. ჩიქობავას* რედაქციით, ერთტომეული, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, 349.

[250] *ღლონტი, ა.*, კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2, განათლება, თბ., 1974.

[251] *ვაჟა-ფშაველა*, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 35.

[252] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 47, 48.

[253] *ცაგარეიშვილი ე.*, სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბილისი, 1971, 483.

კვლევითი მუშაობის მიუხედავად, წერილობით წყაროებში ვერ მოვიძიეთ დამატებითი ინფორმაცია, არსებობდა თუ არა რაიმე სპეციალური დადგენილება სამეფო ფანჯიაქის შესახებ. იოანე ბატონიშვილი „სჯულდებაში“ ახსენებს, რომ მტრის დავლის მოტანისას მეფის წილს ისე აიღებდნენ, როგორც იყო „დებულება სამეფო ფანჯიაქისი“.[254] შესაძლოა, დებულება აქ ზოგადად დამკვიდრებულ წესს აღნიშნავს და არა სამეფო ფანჯიაქის განმსაზღვრელ რომელიმე სპეციალურ კანონს.

ტერმინ ფანჯიაქის მნიშვნელობა ზოგჯერ არასწორად არის გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში და მას აღიქვამენ როგორც მთლიან საგარეო ალაფს. პ. ცხვილოელი[255] გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ვრცელ სტატიაში წერს: „ქართველთა მხედრობამ დაიპყრო თავრიზი, აიკლო ხორასანში გურგანი და იმოდენა ფანჯიაქი შეიძინა, რომ მოძრაობა გაუძნელდა და იძულებული იყო შინისაკენ დაბრუნებულიყო.“[256] ეჭვგარეშეა, რომ აქ საუბარია სრულ ალაფზე, რომელიც ქართველთა ჯარს ირანში გალაშქრების დროს აუღია და არა ნადავლში მეფის მეხუთედ წილზე. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ დამკვიდრებული ჩვეულებით, ფანჯიაქის გამოყოფა მხოლოდ შინ დაბრუნების შემდეგ ხდებოდა, როდესაც ჯარის ალაფი ერთად შეიკრიბებოდა.

2.1.7. ნაშოები, Ãრმლით ნაშოები და Ãრმლით მოგებული

„ნაშოები“ ინფორმაციულად ყველაზე დატვირთული და სრული ტერმინია. ის ფართო ცნებაა და „Ãრმლით ნაშოები“ მის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს,[257] ის ომის როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ნადავლის გამომხატველი სიტყვაა, რომელიც რომაულ res hostiles უტოლდება შინაარსით.[258] ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებლის ანდერძის სიტყვები „რომელნი მიშოვებიან“ გულისხმობს იმ მიწებს, რომლებიც მან ომებით შეიძინა.[259] ი. დოლიძის მოსაზრებითაც, ბრძოლის ველზე

---

[254] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 48.

[255] პ. ცხვილოელის ფსევდონიმით ისტორიკოსი პოლიევქტოს კარბელაშვილი ბეჭავდა პუბლიკაციებს.

[256] *პ. ცხვილოელი,* საქართველო და მისი ისტორიული წარსული, ივერია, 1891, №38.

[257] *ზოიძე ბ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 19.

[258] *ივ. ჯავახიშვილი,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 291.

[259] იქვე.

მოპოვებულ საკუთრებას „ნაშოები“ ეწოდებოდა.[260] 1125 წლის ანდერძით, დავით მეფე თავის მემკვიდრეს ავალებს, მისი ნაშოვნი ადგილებიდან, რომლებიც არიან „უმკვიდრონი და უმამულონი“, ბერ არსენსა და კათალიკოსს წერილითა და სიგელით „ყოველითურთ უნაკლულოდ“ გადასცეს მათ მიერ შერჩეული მიწები.[261] აქ „ნაშოები“ ნამდვილად გულისხმობს ომით დაპყრობილ მიწებს. მოანდერძის მითითება, რომ ადგილები გადაეცეს „ყოვლითურთ უნაკლულოდ“, უნდა ნიშნავდეს მიწის გადაცემას მასთან დაკავშირებულ სხვა ქონებასა და უფლებებთან ერთად. ივ. ჯავახიშვილი ძაგან აბულეთის ძის დაწერილზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „ნაშოებს“ ასევე ჰქონდა ომით მოპოვებული მოძრავი ნივთების მნიშვნელობა.[262] საბუთში ნახსენებია, ძაგან ერისთავმა მონასტერს შესწირავა სოფელი, რომელიც მას ბაღდადს „ნაშოებით“ გამოუსყიდია.[263] ნაშოვარი მოძრავი ალაფის მნიშვნელობით გვიანდელი პერიოდის წყაროებშიც ჩანს. მაგალითად, სეხნია ჩხეიძე (1670-1745) თავის ისტორიულ თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“ აღწერს ხოსროს მიერ ბანდარის მამულების დარბევას: ხოსრო „უკანვე საშოვრად დამდგარიყო და ორი მისი სარდალი და ნაშოვარი გამოესტუმრებინა“.[264]

დასახელებულ ტერმინებთან ერთად „ნაშოვნიც“ გამოიყენებოდა. მაგალითად, არჩილ მეფე თამარის ქმარყოფილ გიორგი რუსის კახეთში შემოსვლასთან დაკავშირებით ამბობს, რომ ის მოვიდა კამბეჩოვანში, მოარბია ირგვლივ ადგილები და „აიღო სიმრავლე ნაშოვარისა მუნით დიდძალი წაიღო, ვეღარ წაბძანდა მშვიდობით, ვერც შინ ნაშოვნი მიიღო.“[265]

ბასილი ეზოსმოძღვარი ახლადშემოერთებული ტერიტორიებისა და დამპყრობლებისგან გათავისუფლებულ მიწებზე მეფის ხელისუფლების პოლიტიკის

---

[260] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 152.

[261] *ანდერძი დავით აღმაშენებლისა* [1125 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1965, 20. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, დავითის ეს ანდერძი ყალბი ან ნაწილობრივ ნაყალბევია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ანდერძის ტექსტი შეცვლილი უნდა იყოს ვახტანგ უფლისწულის მომხრეების ან გიორგი III მიერ.

[262] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 291.

[263] იქვე.

[264] *ხუბუა მ.*, ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, აკადემიკოსს *ივანე ჯავახიშვილს* სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939), აკად. *ნ. მარის* სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., 1940, 241.

[265] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 848-ე სტროფი, ინტერნეტი გამოცემა: <https://wikisource.org/>.[04.07.2020]

შესახებ აღნიშნავს, რომ მეფე „არა თÂსის ქონებისა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თვით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალაობდა, თÂსთა ლაშქართა“.[266] მ. ბერძენიშვილის განმარტებით, თამარი დაპყრობილ მიწებს აძლევდა მათ, ვისაც „აუცალოებდა“, ანუ ქვეყნის პატრონს, რომელიც ამჯერად „უცალო“ ანუ ცარიელი რჩებოდა.[267] ლ. გვრიტიშვილის მოსაზრებით, თამარი ამ ტერიტორიებს მას კი არ აძლევდა, ვისაც ის მანამდე ეკუთვნოდა, „არამედ იმათ, ვისაც „აუცალოებდა“, ე.ი. ვისაც „არა მისცემდა მოცალეობასა“, ვისაც კი არ აუქმებდა, პირიქით, დაპყრობილი ტერიტორიის შემომტკიცებისთვის ტოვებდა ადგილზე. ასეთ მამულებს მეცნიერი „Ãრმლით დაჭერილი“ მამულის კატეგორიას მიაკუთვნებს, რადგან მათი ფლობის საფუძველი „Ãრმლით“ მისი შოვნაა.[268] XI-XIV საუკუნეების „მამულში“, ლ. გვრიტიშვილი „Ãრმლით დაჭერილ“, „Ãრმლით ნაშოებ“ ქონებაში უძრავ-მოძრავ ქონებასაც გულისხმობს.[269]

ტერმინ „ნაშოებს“ მხოლოდ ომში მოპოვებული ქონების მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხანდაზმულობითი მფლობელობით და პატრონისგან მიტოვებულ, ოხერი[270] ნივთების დაუფლებასაც ნაშოები ერქვა.[271]

ფანჯიაქის აღების შემდეგ, დანარჩენი ალაფი მოლაშქრეებს შორის ნაწილდებოდა, რომელსაც ზოგჯერ „Ãრმლით მოგებული“ ეწოდებოდა. ლ. გვრიტიშვილი იმოწმებს XIV ს. ფიტარეთის მონასტრის წარწერას, რომლის მიხედვითაც გიორგი V მეფობის პერიოდში ამირეჯიბ ქავთარ ქაჯაფაის ძეს აუშენებია საყდარი მხოლოდ მისი ომში ნაშოვარი ქონებით: „არა ვის ჰრთავს თÂნიერ ჩემისა

---

[266] *ბასილი ეზოსმოძღუარი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 491.

[267] *გვრიტიშვილი ლ.*, საკუთრების ერთი ფორმის სახელწოდებისთვის ფეოდალურ საქართველოში („Ãრმლით ნაშოები“), სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 63, №2, მეცნიერება, თბ., 1971, 505. შეად. *ბერძენიშვილი მ.*, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970, 132, 93.

[268] იქვე, 506.

[269] იქვე, 507.

[270] ოხერი - უპატრონო, აოხრებული, დატევებული, ხელაღებული, ანუ მოძაგებული პატრონისგან, *ჩუბინაშვილი ნ.*, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ *სულხან-საბა ორბელიანისა, ალ. ღლონტი* (რედ.,), 1961. სიტყვა „ოხერი“ სპარსულ და არაბულ ენებში ერთგვარი მნიშვნელობისაა და ნიშნავს უკანასკნელს, ბოლოს, *ანდრონიკაშვილი მ.*, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბ., 1965, 306.

[271] *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 291.

ლაშქრისა და Ãრმლითა მოგებულისა. ვიყიდინ ტანძიაი თევდორეწმინდანი ჩემითავე Ãრმლითა მონაგებთა საფასითა.[272]

2.2. ხმლით ნაშოები როგორც მოუდევარი საკუთრება

ვიდრე ნაალაფარი, ნატყვენავი ქონება საბოლოოდ განაწილდებოდა, ის შესაძლოა დავის საგანი გამხდარიყო და პირს საკუთრების უფლება მასზე ვერც მოეპოვებინა, „ხმლით ნაშოები“ კი უკვე მშოვნელის სრული და შეუცილებელი საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა.

ეს კარგად ჩანს ზემოთ დასახელებული ძაგან აბულეთის ძის შეწირულების დაწერილიდან. ძაგანი საბუთში აღნიშნავს, რომ შიომღვიმის მონასტრისთვის შეწირული სოფელი ანგროინი მას ადრეც ეკუთვნოდა, მაგრამ მის ბიძაშვილს, ივანეს გაუყიდია და მან უკანვე გამოისყიდა „ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა“.[273]

1258 წელს ძაგან ერისთავი სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად მონაწილეობდა მონღოლთა მიერ ბაღდადზე გალაშქრებისას, როცა მათ ბაღდადი დაიპყრეს და ნადავლი მონღოლებთან ერთად ქართველებსაც ხვდათ წილად.[274] რადგან ოქრო ხმლით ნაშოებია[275] და ნასყიდში არც მამულისგან[276] და არც სოფელთაგან აღებული თანხა არ არის გადახდილი, შეწირული ითვლება „მოუდევრად ყოვლისა კაცისაგან“.[277] ძაგანის თქმით, ამ შეწირულში:

---

[272] *გვრიტიშვილი ლ.*, საკუთრების ერთი ფორმის სახელწოდებისთვის ფეოდალურ საქართველოში („Ãრმლით ნაშოები“), სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 63, №2, მეცნიერება, თბ., 1971, 507. იხ. *თაყაიშვილი ე.*, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწ. I, პარიზი, 1929.

[273] *შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი* [1260 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 70.

[274] *კიკვიძე ა.*, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 57.

[275] ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ ძაგან აბულეთისძის შეწირულების წიგნის ტექსტში შეცდომაა. ნაცვლად სიტყვისა „Ãრმლითა“ წერია „Ãელით“ ნაშოები. მეცნიერს ნაშრომზე მუშაობისას ხელთ ჰქონდა თ. ჟორდანიას მიერ 1896 წელს გამოცემული შიომღვიმის ისტორიული საბუთები, სადაც ამ საბუთის ტექსტიცაა შეტანილი და იქ სწორედ „Ãრმლითა“ წერია. ამავე გამოცემის ტექსტით ისარგებლა *ის. დოლიძემ* ქართული სამართლის ძეგლების II ტომზე მუშაობისას. შეად. *ჯავახიშვილი, ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 291; შეად. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, *ჟორდანია თ.,* (მთ. რედ.), სტამბა *ექვთიმე ივ. ხელაძისა,* თბ., 1896, 66.

[276] ა. აბულაძის მოსაზრების შესაბამისად, მამული ოჯახის სამემკვიდრეო საკუთრებად ითვლებოდა და მემამულეს უფლება არ ჰქონდა შვილებისთვის შეეკვეცა ან საერთოდ მოესპო მასზე საკუთრება იმ ქონებაზე, რომელიც მას, თავის მხრივ, მამისგან ჰქონდა მიღებული. *კიკვიძე ა.*, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 56.

[277] შეწირულების დაწერილი *ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი* [1260 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 70.

არავის რაი საქმე უც: არცა პატრონსა ღმრთის სწორსა ამას ადგილსა თანა, არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სათათრო გამოსაღებელი ზედა-აც ჩემისა სახლისაი ანგროვნელთა და არცა რაი სხუაი გამოსავალი და ბეგარი.[278]

ამ საბუთით მტკიცდება, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარიდან მაინც, მეომრის მიერ ომში ნაშოვნი მტრის ქონება მისი სრული საკუთრება ხდება. საკუთრების უფლება ხმლით ნაშოებზე იმდენად მტკიცე და ხელშეუვალია, რომ პოლიტიკურ მფლობელსაც კი არ შეუძლია მასზე რაიმე უფლების მოითხოვოს. ამასთან, შემწირველი მემკვიდრეებსა და ნათესავებს მომავალშიც ართმევს შესაძლებლობას მოითხოვონ წილი შეწირული ქონებიდან ან ანგროვნელებს დააკისრონ დამატებითი გადასახადები. მეტი სიმტკიცისთვის, შეწირულობის წიგნის ძირითადი ტექსტი სეფის მწიგნობრის, იოანე მაჩხოიტისძის ხელით არის დაწერილი.[279]

საბუთის დასასრულს, ძაგანი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გარდა „ჩემსა ნასისხლისა ბაღდადით მოგებულისა მეტი“, შეწირულ სოფელში არაფერი დევს და ამიტომ არც ღმრთის სწორს, არც შვილებსა და მომავალს, არც სხვებს მასში საქმე არა აქვსო.[280] ამ წინადადებაში ყურადღებას იქცევს ტერმინი „ნასისხლი“, რომელსაც ძაგან ერისთავი ხმლით ნაშოების ნაცვლად იყენებს. ნასისხლი ნიშნავს სისხლის ფასში მიღებულ საზღაურს, მაგრამ წინადადების კონტექსტის გათვალისწინებით, ის აქ ნაშოებ ქონებას უნდა უდრიდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს დავითის 1125 წლის ანდერძის ერთი ჩანაწერი. დავითი თხოვს დემეტრე მეფეს: „ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა“.[281] დასაშვებია, რომ აქ დავით მეფეს მხედველობაში აქვს ომებში, პირადად მისი წვლილით დამარცხებული მტრისგან აღებული ფული და არა სისხლის დაურვებით მიღებული საზღაური, მითუმეტეს, რომ მეფის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის გადახდა შეუსაბამოა ძველი ქართული სამართლისთვის.

---

[278] შეწირულების დაწერილი *ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი* [1260 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1965, 70.
[279] იქვე, 71.
[280] იქვე.
[281] ანდერძი *დავით აღმაშენებლისა* [1125 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ, 1965, 20.

აღსანიშნავია, რომ სხვისგან შეძენილ ნაალაფარ ქონებაზეც იმგვარადვე ვრცელდება საკუთრების მოუდევარი ხასიათი, როგორიც საკუთარი ხელით ნაშოებს აქვს. კახა თორელი რკონის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულების დაწერილში აღწერს მის მცდელობებს როგორმე შეესყიდა სოფელი ხოვლე მისი რკონის მონასტრისათვის შეწირვის მიზნით.[282] აფხაზთა მეფის მიერ მისი ბაღდადში მოციქულად გამწესების პერიოდში იქაური ნაალაფი ქონება ძალიან იაფი ღირებულა; რადგან კახას სახსრები არ ჰქონია, მისი ყიდვის მიზნით სესხი აუღია ორტაღებთან და ხოვლეს ნასყიდობის ფასი ამით გადაუხდია.[283] აღწერს რა შეძენის პროცესს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ნასყიდში არაა „არც მამეულისა, არც დედულისა, არც [სხუა] რა გუარისაი“, ამიტომ, მისი გადაწყვეტილებით, მემკვიდრეებს, მათ შორის, მომავალ შვილებსაც უკრძალავს ხოვლეს ნებისმიერი სახით გამოყენებას.[284] ნაალაფარით შეძენილი ქონების სიმტკიცესა და მოუდევრობას ყველაზე მეტად კახა თორელის ეს სიტყვები ადასტურებს: „და თუ ღმერთი შეგურისხოდეს და აფხაზთა მეფეთა რაი შეცოდებაი შემოუვიდეს: თუ მონასტერს და საფლავთაც დათხრას ემართლებოდეს, ხოვლეს ნურაი მაშინ ხელი მიჰყოს, ღმერთმან მას აფხაზ[თა მეფეს] ჰკითხოს ამას ყოფასა და მას საუკუნეს“.[285] მეფის მიმართ სიგელში გამოთქმული ერთგვარი მუქარა, რომ თუ მეფე რკონის მონასტრის მიმართ დანაშაულს ჩაიდენდა და ხოვლესაც მიითვისებდა, ამას ღმერთი მოკითხავდა, გამოხატავს იმ სიმტკიცესა და უფლებრივ შეუვალობას, რაც არა მხოლოდ ნაალაფარი ქონების სყიდვას ახლავს, არამედ თან მიჰყვება მისი საშუალებით შეძენილ საკუთრებასაც.

ნაშოებთან ასოციაციური კავშირი აქვს სიტყვათა შემდეგ შეთანხმებას: „Ãელთა თÂსთა ნადირებულთა“.[286] დავითის ცხოვრების ჟამთააღმწერელი მის ქველმოქმედებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მეფე ხშირად სხვებისგან ფარულად ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს სხვადასხვა მიზნებისთვის და ამ სახსრებს ის გასცემდა:

---

[282] შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს *კახა თორელისა* რკონის მონასტრისადმი [1259], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ, 1965, 57.
[283] იქვე, 58.
[284] იქვე.
[285] იქვე, 59.
[286] *ცხორებაÁ მეფეთ-მეფისა დავითისი,* ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 337.

არა თუ Ã ელოსანთა მორთმულისაგან, ანუ საჭურჭლით, არამედ Ã ელთა თÂ სთა ნადირებულთა, რომელთაგანი ოდესმე თÂ სსა მოძღუარსა იოვანეს მისცა დრაჰკანი, ვითარ ოცდახუთ ათასეული, რაÁ თა განუყოს გლახაკთა.[287]

ფრაზას – „ხელთა თვისთა ნადირებულთა“, თხზულების ავტორი იყენებს „ხმლით ნაშოების“ მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, აქ მონადირებული გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება, მაგრამ ის მოტივირებულია მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ქონება, როგორც ნანადირევი, მისი მომპოვებლის პირადი საკუთრებაა. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ამ საფასეში არც ვინმეს მირთმეული და არც სამეფო ხაზინიდან აღებული ქონება არაა.

ალ. ვაჩეიშვილი, სტეფანოს ორბელიანის ცნობაზე - „Ãრმლით დაჭერილი და თეთრით ნასყიდი ერთი მამული არს კაცისთვის ნამდვილ ესენიო“, აღნიშნავს, რომ ხმლით ნაშოები ისეთივე მტკიცე და საიმედოა, როგორც თეთრით ნასყიდი ქონება.[288]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნადავლის მშოვნელი მასზე სრულ საკუთრების უფლებას იძენდა, თუ ის ომში პირადად მისი წვლილით იყო მოპოვებული და მას მცირე ხნით ფლობდა მაინც როგორც საკუთარს.

2.3. სამხედრო ორგანიზაცია და ლაშქრის შემადგენლობა

საკუთრების სამხედრო გზით შეძენა, როგორც მაღალი წოდების წარმომადგენლებისთვის, ასევე რიგითი მოლაშქრეებისთვის, მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების და, ზოგიერთ შემთხვევაში, გამდიდრების წყარო იყო. განსაკუთრებით კი იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა თავდაცვითი ომებიდან ალაფობაზე გადადიოდა.[289] შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე ხარკის აღებასა და ნადავლის მოპოვებაზე იყო დაფუძნებული,[290] რაც სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვდა.

---

[287] იქვე.

[288] *ვაჩეიშვილი ალ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963, 77.

[289] *ანთელავა ილ.*, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, განათლება, თბ., 1980, 13.

[290] შეად. *ნათაძე გ.*, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწილი I, II, ტფილისი, 1925.

ფეოდალიზმის სხვადასხვა საფეხურზე, სამხედრო ნადავლის სუბიექტთა წრე, ლაშქრობისა თუ სამხედრო ნადავლის აღების წესები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, რასაც, თავის მხრივ, სახელმწიფო წყობილების თავისებურებები განაპირობებდა. ფეოდალიზმის დასაწყისიდანვე ლაშქარი არსებობდა როგორც დროებითი სამხედრო ერთეული, როდესაც ერთჯერადი შეკრებები ხდებოდა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.[291] ქვეყნის სამხედრო მეთაური მეფეა, რომელიც ამირსპასალარის უწყებას დაქვემდებარებული მოხელეებისა და საქვეყნოდ გამრიგე ერითავთა საშუალებით ახორციელებდა საომარ მოქმედებებს. ლაშქრის შემადგენლობაში იყვნენ „სპანი... ქვეყანათა-გან და ერის-თავთა ქვეშე დაწესებულნი“, რომლებსაც „მოუწოდიან ჟამად“,[292] ე.ი. სამეფო სპა მოიწვეოდა მთელი ქვეყნიდან, ცალკეულ საერისთაოებს გამოჰყავდათ ამ ერთეულებში შეკრებილი ლაშქარი. მიუხედავად იმისა, რომ მხედრობა მხოლოდ კონკრეტული მიზნის მისაღწევად ერთიანდებოდა და შემდეგ იშლებოდა, მას მაინც მუდმივი ლაშქრის ორგანიზაციის ხასიათი ჰქონდა. ამ პერიოდში ჯარის ძირითადი შემოსავალი ნადავლი ქონებაა მათი წოდებრივი მდგომარეობისა და დამსახურების შესაბამისად.

XIII ს.-ის მე-2 ნახევრიდან, მონღოლთა ბატონობის შედეგად, საქართველოს მუდმივი ჯარის ორგანიზაციას ფინანსური ბაზა გამოეცალა და სამხედრო ძალების დასაყრდენი მემამულეობა გახდა.[293] მემამულეები აიარაღებდნენ და გამოჰყავდათ თავიანთი სამხედრო ძალები საჭიროების შემთხვევაში.[294] ამ ვალდებულებას თავადები მამულის მიღების სანაცვლოდ კისრულობდნენ. XVII საუკუნის საბუთი აჩვენებს, რომ სამამულოდ მიწების გაცემას საერო პირებზე კათალიკოსიც ახორციელებდა და სამხედრო მოვალეობა ამ ქონებას ისევე მიჰყვებოდა, როგორც მეფის მიერ გაცემულ მამულებს. ხუდადა ხოჯაშვილისადმი გაცემულ წყალობის წიგნში აღწერილია, რომ ხუდადა საფრანგეთიდან მოსული ნათესავისთვის კათალიკოზს მამულს სთხოვს. დომენტი კათალიკოზს მიუმართავს ქართლის მეფისთვის და სარდლებთან და „დარბაზის ბატონებთან“ შეთანხმებით მიუცია

---

[291] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 012.

[292] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, ც, 32.

[293] *კიკვიძე ა.*, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 82.

[294] იქვე.

მამული „სადიდკაცო, რადგან მამულის მქონებელს ლაშქარი, პირობა და სამსახური მეფისა ქონიაო“.[295]

ფეოდალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩნდება დაქირავებული ჯარი, რომლის წევრები არ არიან დამოკიდებულნი მხოლოდ ალაფის აღებაზე, მათ ჯარში სამსახურისთვის საზღაურსაც უხდიდნენ.[296] გვიან ფეოდალურ ქართლ-კახეთში ასევე გამოიყენებოდა დაქირავებული, ე.წ. „ნოქარი“[297] ჯარი, რომლის გამოყვანა ადგილობრივ მოსახლეობაზე ჰქონდათ გაწერილი და მათ გასამრჯელოსაც, „ნოქარის თეთრს“ მოსახლეობა იხდიდა.[298]

დავითის დროს, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, როქის სპაზე[299] „არღა-რა განიყოფოდა საჭურჭლე, მათი პატივი სხვა იყოო.[300] ამ ცნობიდან ჩანს, რომ დაქირავებული ჯარისთვის გასამრჯელოს გაცემა სამეფო საჭურჭლიდან ზოგჯერ იზღუდებოდა. ის პატივი, რაზეც ვახუშტი არაფერს ამბობს, უნდა იყოს ომის ნადავლი. თუმცა, გამოსარკვევია, რას გულისხმობს ტერმინში „საჭურჭლე“. თუ მასში სწორედ ნადავლი ქონება იგულისხმება, მაშინ დასაშვებია, რომ ნადავლი სრულად დამქირავებელს ეკუთვნოდა და როქის სპისთვის გადახდა სხვაგვარად ხდებოდა. დაქირავებული ჯარი ხშირად სხვადასხვა ეროვნების პირებისგან იკრიბებოდა და

---

[295] წყალობის წიგნი *დომენტი* კათალიკოზისა *ხუდადა ხოჯაშვილისადმი* [1660 წ. 1 მაისი], ქსძ, IV, სასამართლო განჩინებანი [XVI-XVIII სს.], ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1972.

[296] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 012.

[297] ნოქარი აზერბაიჯანში გლეხობის ყველაზე უუფლებო ფენის აღმნიშვნელ სიტყვად გამოიყენებოდა. დასტურლამალში კი ყველგან სამხედრო ფუნქციის მატარებელია, დაქირავებულ მოლაშქრეს ნიშნავს. იოანე ბატონიშვილი ნოქარს მხოლოდ ქვეით მოლაშქრეს უწოდებს. ეს ტერმინი ირანის დაქირავებული ჯარის სახელწოდების, „ნოქარის“ გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო. ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 815.

[298] *კლიმიაშვილი ა.*, მორიგე ლაშქრის საკითხისთვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, კრებული: მოამბე, V, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, 184.

[299] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფეებს „როქით სპა“ ჰყავდათ და აქვე მირიანისა და დავითის მაგალითები მოჰყავს: მათ თავისად „სამ-ოცი ათ-ასსა მარადის მცველად“ ემსახურებოდათო. მეფის „მარადის მცველად“ მონა-სპა მსახურობდა. როგორც ჩანს, აქ ვახუშტი როქის სპას შეცდომით მონა-სპასთან, ანუ მუდმივ ლაშქართან აიგივებს. *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებამი საქართველოსანი, I ნაწილი, სამცხე, თბ., ც, 1991, 32.

[300] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებამი საქართველოსანი, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, 32.

ამიტომ სანდო არ იყო. მისი შემადგენლობის გარკვეულ ნაწილს არ აინტერესებდა იმ სახელმწიფოს მდგომარეობა, რომლის ლაშქარშიც მსახურობდა.[301]

საქართველოს მთიანეთში, სადაც ძლიერი იყო თემური წყობილება, მთავარი სამხედრო მეთაური, „ლაშქართ თავადი“ თემის პირველი პირია. მაგალითად, ასეთი ფუნქცია ფშავ-ხევსურეთში ჰქონდა ხევისბერს, რომელსაც საჭიროების დროს დროშა უნდა აღემართა და ლაშქარს წინ გასძღოლოდა; სამხედრო ფუნქცია ჰქონდათ ციხისთავებსაც.[302] ჯ. მერებაშვილის ცნობით, ფშაველთა ლაშქარს ომში წინ თავხევისბერი და მედროშე ხევისბერი მიუძღოდნენ ყავარჯნით ანუ სპეციალური საბჯენი კვერთხითა და სახატო დროშით ხელში.[303] საჯვარო დროშას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და „ყავარჯენთან ერთად უდიდესი ძალა ენიჭებოდა თვით მოდავეთა ხელჩართული ბრძოლის მომენტშიც“.[304]

1773 წელს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის უსაფრთხოების გასაზრდელად შექმნა მორიგე ჯარის სახელით ცნობილი რეგულარული ლაშქარი, რომლის შემადგენლობაში ქართველები, სომხები და „თათრები“ მსახურობდნენ.[305] ა. გორგაძის მითითებით, ჯარს ყველა ის მოქალაქე ავსებდა, რომელიც კერძო საკუთრებას ფლობდა.[306] 1774 წელს გამოქვეყნდა „მორიგის ჯარის განაჩენი“, რომლის მიხედვითაც ყოველი სრულწლოვანი, ჯანმრთელი მამაკაცი მოვალე იყო თვეში ერთხელ, თავისივე სურსათის „თადარიგით“ მორიგეობაში შესულიყო.[307] ოც წლამდე ვაჟს მორიგე ჯარში არ წერდნენ.[308] როგორც ღმერთის სამსახურში, მოლაშქრეებს ისე უნდა ემსახურათ ქვეყნისთვის, ამ მიზეზით მათთვის გასამრჯელოს გადახდა არ იყო

---

[301] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 012.

[302] *ხიზანაშვილი ნ.*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 112.

[303] *მერებაშვილი ჯ.*, სახალხო მმართველობის სისტემა ფშავში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 36.

[304] იქვე, 37. იხ. *კანდელაკი მ.*, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისთვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, თბ., 1975, 114.

[305] *გორგაძე ალ.*, საქართველოს XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები, სახელგამი, 1927, 33.

[306] იქვე.

[307] მორიგის ჯარის ლაშქრობის განაჩენი [1774 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 436.

[308] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 223.

გათვალისწინებული.[309] მორიგე ჯარში შესვლის ვალდებულებისგან, გარდა ზემოთ დასახელებული ფშავ-ხევსურებისა და თუშებისა, გათავისუფლებულნი იყვნენ ოსები, ვაჭრები და ქალაქის ადგილობრივი მოხელეები.[310]

განაჩენი ძირითადად გაწვევის წესებსა და მისი დარღვევისთვის დადგენილ სასჯელებს აღწერს და არაფერს ამბობს ნადავლზე. ერთადერთი შეღავათი მორიგე-მოლაშქრეებისთვის გაწვევის პერიოდში ჯარის სურსათის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებაა; თუ გაწვეულ პირს „შეუძლებელობის“ გამო თავისი სარჩოს თან წაღება არ შეეძლო, მისთვის კოდის პურისა და ღვინის გაცემას მისი ბატონი უზრუნველყოფდა.[311]

ერეკლეს მეფობის პერიოდშივე შემოიღეს ლეკთა თავმდამსხმელი „რაზმების“ მდევრობის კუთხობრივი სისტემა.[312] იოანე ბაგრატიონმა თავის პროექტში გაითვალისწინა რეგულარული ჯარის რეფორმა[313]. ეს რეფორმა ნაწილობრივ ცვლიდა ერეკლეს მიერ დადგენილ გაწვევის წესსა და სავადებულო სამსახურის პირობებს.[314] ამ სამსახურის გამო შემადგენლობა გათავისუფლებული იყო ყველა გადასახადისგან: „ყოველსა თავადის ყმასა, ეკლესიის ყმასა, აზნაურის ყმასა“, არ ეკისრებოდა სამეფო ხარჯი და ბეგარა.[315] თუმცა რეგულარული ჯარის შესანახად იბეგრებოდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ეს დაკისრებული ბეგარა[316] იმდენად დიდი იყო,

---

[309] მორიგის ჯარის ლაშქრობის განაჩენი [1774 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 439.

[310] *გორგაძე ალ.*, საქართველოს XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები, სახელგამი, 1927, 33.

[311] მორიგის ჯარის ლაშქრობის განაჩენი [1774 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 437.

[312] *თაბუაშვილი ა.*, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, კოლორი, თბ., 2020, 206.

[313] გვიანფეოდალური საქართველოს სამხედრო რეორგანიზაციისთვის აუცილებლად მიაჩნდა რეგულარული ჯარის შემდეგი სახით არსებობა: ყოველი 10 კომლიდან ერთ კაცს თავისი ხარჯით უნდა ემსახურა მეფის ჯარში, ხუთი წლის შემდეგ კი გათავისუფლდებოდა დაქორწინების მიზნით და მას სხვა ჩაანაცვლებდა. ამგვარად შეიქმნებოდა 2000-კაციანი რეგულარული ჯარი. *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 3-4.

[314] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 012.

[315] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 3-4.

[316] ბეგარა ეწოდებოდა გლეხის თავისი ხარჯით უსასყიდლოდ მუშაობას მეფის ან ბატონის სასარგებლოდ. ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 781.

რომ ისინი სხვა გადასახადების გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდებოდნენ.[317] თუმცა, თავად სამხედრო ორგანიზაციის წესები, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებებს არ განიცდიდნენ. იოანე ბაგრატიონი „სჯულდებაში“ აღნიშნავს, რომ უცვლელი უნდა დარჩენილიყო ჯარში დაუკლებლობის ძველი ჩვეულება.[318] მეწინავე, მემარჯვენე, მემარცხენე, მეუკანე და სხვა ჯარები ისე უნდა განეწესებინათ, როგორც ადრე იცოდნენ და ომის დროს ვინც მხედრობის უფროსი იქნებოდა, განკარგულებაც მას უნდა გაეცა.[319]

ფეოდალურ საქართველოში სალაშქრო საქმესთან დამოკიდებულება განსაზღვრავდა საზოგადოების წევრის სოციალურ სტატუსს - არამოლაშქრე პირი არათავისუფალი, მშრომელთა ფენის წარმომადგენელია და მას ეკისრება საზოგადოების დანარჩენი წევრების რჩენა, სამხედრო ვალდებულება კი „პრივილეგირებულობის საფუძველი და ნიშანია.[320] ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ „ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველ კეთილშობილ მამაკაცისთვის“.[321] შეკრებილი ჯარის შემადგენლობის გარკვევა სამხედრო ნადავლის სუბიექტთა წრის დადგენის აუცილებელი პირობაა. თუმცა, როგორც ამ საკითხის სპეციალურად შემსწავლელ მკვლევართა ნაშრომებში ჩანს, ლაშქრის ძირითადი დასაყრდენის სოციალური წარმომავლობის გარკვევა პრობლემატურია და ამის შესახებ შეჯერებული აზრი არ არსებობს. აქ, რა თქმა უნდა, მმართველი სამხედრო ფენა არ იგულისხმება. ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებით, XVII საუკუნემდე, ფეოდალური ლაშქრის შემადგენლობაში გლეხები არ შედიოდნენ, რადგან მათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იხსენიებენ საისტორიო წყაროები. ამიტომ, ის გამორიცხავს გლეხის, როგორც სათაკილო საქმის შემსრულებლის ფეოდალურ ლაშქარში სამსახურს.[322] მისი მტკიცებით, ამ პერიოდამდე ფეოდალებთან ერთად

---

[317] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 015.

[318] იქვე, 47.

[319] იქვე.

[320] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 3.

[321] *ჯავახიშვილი ივ.*, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I. 1928, 61.

[322] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 17.

სამხედრო საპატიო სამსახურს მხოლოდ მსახურეული ფენა ასრულებდა, რადგან ბეგარადადებულ გლეხს ფიზიკურადაც არ შეეძლო შეესრულებინა საგადასახადო და სამხედრო ვალდებულება.[323] ნ. ბერძენიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მოლაშქრე მსახურთა „დამცრობა-გაგლეხება“ X-XIII საუკუნეებში მიმდინარე პროცესია, რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის შედგენის დროს უნდა დასრულებულიყო.[324] მოლაშქრე გლეხად ქცეული ყოფილი მსახურეული ფენის აღსანიშნავად მეცნიერმა შემოიტანა ტერმინი „მდაბიორ-მოლაშქრე“, რომელსაც ის „ყმა-მოლაშქრისა“ და „თავისუფალი მოლაშქრის“ მნიშვნელობით იყენებდა.[325] დ. გოგოლაძე „მდაბიორ-მოლაშქრეს“ „მსახურ-მოლაშქრეს“ უწოდებს.[326] მ. წურწუმიას არასწორად მიაჩნია მოსაზრება, რომ მოლაშქრეთა ფენა თავისუფალი მიწათმოქმედებისგან შედგებოდა; ვინაიდან მოლაშქრე კარგად გაწვრთნილი, პროფესიონალი მებრძოლია და მისი აღჭურვილობა და სალაშქრო ცხენები ძვირად ფასობს, „მდაბიორი მოლაშქრე ვერ იქნებოდა, მას ამისთვის საჭირო მატერიალური შეძლება არ ჰქონდა“.[327] საკამათოა ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გლეხები არ შედიოდნენ ფეოდალურ ლაშქარში. რატომღაც მეცნიერი არ ითვალისწინებს, რომ გარდა არათავისუფალი, ბეგარადადებული გლეხებისა, არსებობდა თავისუფალ გლეხთა კატეგორია. მდაბიორ-მოლაშქრეებიც წარმოადგენდნენ პირადად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენას, მაგრამ მათ ჰყავთ თავიანთი „პატრონები“ მეფის, ეკლესია-მონასტრების, დიდი და მცირე ფეოდალების სახით.[328] აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ ისინი როგორც თავისუფალ გლეხთა ფენიდან გამოსულ მოლაშქრე-მსახურები შუასაუკუნეების ფეოდალური ლაშქრის ძირითად დასაყრდენს შეადგენდნენ. მ. წურწუმიას ქართული ლაშქრის შედგენილობის კვლევის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ ლაშქრის ძირითად ბირთვს „აზნაურ-დიდებულები“ და მსახურეული ფენა წარმოადგენდა, გლეხები კი

---

[323] იქვე.

[324] იქვე; შეად. *Бердзенишвили Н.А.,* Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVIII вв.), 1938, 9.

[325]იქვე; შეად. *Бердзенишвили Н.А.,* Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVIII вв.), 1938, 3.

[326] *გოგოლაძე დ.*, სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისთვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1981. 3.

[327] *წურწუმია მ.*, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება, დისერტაცია, თბ., 2014, 26.

[328] *ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.,* საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1953, 177.

ლაშქრობაში თან ახლდნენ თავიანთ „პატრონ-აზნაურებს“ და ბრძოლებში ქვეითად მონაწილეობდნენ, ამასთან, მათი რაოდენობა დიდი არ უნდა ყოფილიყო.[329] გვიანფეოდალურ საქართველოში ფეოდალური ლაშქარი ფეოდალთა ყმების, თავადაზნაურთა ყმა-გლეხობისა და თავად აზნაურებისგან, ასევე სამეფო ყმა-გლეხებისა და სამეფო აზნაურებისგან იკრიბებოდა.[330] თუშები, ხევსურები და ფშაველები, მეფის პირად ლაშქარს კრავდნენ. მათ ეს უფლება და პრივილეგია საუკუნეები ეჭირათ – მთის კაცები არიან და მეფის ერთგულებიო.[331] სავარაუდოდ, ამ მიზეზით იყვნენ გათავისუფლდნენ ისინი მოგვიანებით მორიგე ჯარში სამსახურისგან.[332]

სამხედრო ორგანიზაციის ფორმებიდან და ლაშქრის შემადგენლობიდან გამომდინარე, ომის ნადავლის სუბიექტები, საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო სარდლობის გარდა, იყვნენ ან მთელი ქვეყნის სამხედრო ვალდებულების მქონე, ბრძოლისუნარიანი მამაკაცები და უცხო ქვეყნის დაქირავებული მეომრები, ან კიდევ, რეგულარული ჯარის ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ მასში გაწვეული მოლაშქრეები.

2.4. სამხედრო ნადავლის განაწილების წესები

გვიანი შუასაუკუნეების საბუთებსა და სამართლის წიგნებში საკმარისად მოიპოვება ცნობები ომის ნადავლის განაწილების შესახებ, თუმცა უფრო ადრეული პერიოდის ნარატიული წყაროები მხოლოდ ნადავლის შემადგენლობასა და რიცხოვნობაზე ამახვილებენ ყურადღებას და, ძირითადად, გვერდს უვლიან ალაფის გაყოფის იმდროინდელი წესების აღწერას.

ლეონტი მროველისა და ბასილი ეზოსმოძღვრის ნაშრომებში მოცემულია რამდენიმე საინტერესო ცნობა, რაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სად და როგორ ხდებოდა ნაალაფარი ქონების გაყოფა. ლეონტი მროველის წერს, რომ ქართლელებისა და ჩრდილო კავკასიელთა გაერთიანებული ლაშქარი სომხეთის მორბევის შემდეგ

---

[329] *წურწუმია მ.*, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება, დისერტაცია, თბ., 2014, 33, 37.

[330] *კლიმიაშვილი ა.*, მორიგე ლაშქრის საკითხისთვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, კრებული: მოამბე, V, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, 182.

[331] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 223.

[332] *გორგაძე ალ.*, საქართველოს XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები, სახელგამი, 1927, 33.

დაბრუნდა და დადგა „კამბეჩოანთან“, იორის ნაპირზე და დაიწყეს ტყვეებისა და ნატყვენავის გაყოფა.[333] ვის რა ოდენობის წილი ერგებოდა, ისტორიკოსი ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ ჩანს, რომ ომის ნადავლი ნაწილდებოდა ქვეყანაში დაბრუნებისას, სანამ ლაშქარი გაიყრებოდა. გავრცელებული მოსაზრებით, ლაშქარი იქ გაიყრებოდა, სადაც თავიდანვე შეიკრიბა.

იგივეს ამბობს ბასილი ეზოსმოძღვარიც, რომელიც დაწვრილებით აღწერს შამქორის ბრძოლაში გამარჯვებული ლაშქრის ალაფით დაბრუნებას თბილისში. ლაშქარი ჯერ თბილისის შემოსასვლელთან დადგა. ნადავლი ისეთი მრავალრიცხოვანი ყოფილა, რომ თბილისის შემოგარენი ტყვეების, ცხენების, ჯორებისა და აქლემების სიმრავლეს ველარ იტევდა. მათი იაფად გაყიდვა უკვე ქალაქში შესვლამდე დაუწყიათ. აქ გვხვდება პირველი ცნობა ნადავლში მეფის წილის ოდენობის შესახებ. ისტორიკოსი წერს, რომ ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა აიღეს სამეფო ფანჯიაქი და ის განაწყვეს დიდუბის ველიდან ავჭალამდე.[334] ამ პერიოდში ზაქარიას მხარგრძელს ამირსპასალარის სახელო უჭირავს, ხოლო ივანეს – მსახურთუხუცესის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეფო ნადავლის აღების უფლებამოსილება ამ მოხელეთა ხელშია. შესაძლოა, ივანემ, როგორც მსახურთუხუცესმა, დახმარება გაუწია ძმას, რადგან „ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ იყო.[335] ლაშქრობის გამარჯვებით დასრულების შემდეგ მონაწილეთა დაჯილდოვება ამირსპასალარის გარეშე არ ხდებოდა, რადგან მან ყველაზე უკეთ იცოდა მოლაშქრეთა დამსახურების შესახებ.[336]

მხარგრძელების მიერ სამეფო აღებული ფანჯიაქის შემადგენლობა თამარის ისტორიკოსს დაწვრილებით აქვს აღწერილი:

> *აქლემი ყუელა ტÂრთითა, ცხენი ყუელა შეკაზმული, ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თÂს-თÂსითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი - შემდგომად; გააწყუეს კარითგან ქალაქისათა Ãევამდე გლდანისა ტყუე*

---

[333] *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 59.

[334] *ბასილი ეზოსმოძღუარი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 492.

[335] ხელმწიფის კარის გარიგება, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 262.

[336] ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტრლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 25-26.

ყოველი. განიყვანეს თამარ და შესწირეს, და ათაყუანნეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი.[337]

როგორც ბასილი ეზოსმოძღვრის ამ ცნობიდან ირკვევა, ტყვედ ჩავარდნილ მტრის სამხედრო მეთაურებსა და ყველა ტყვეზე, მტრის დროშებზე, ასევე სალაშქრო ცხენებსა და სატვირთო აქლემებზე, პირველადი საკუთრების უფლება ეკუთვნის მეფეს. ამ უფლებას ადასტურებს თამარის თბილისის შემოგარენში, ნადავლის თავმოყრის ადგილზე მიბრძანება და მისთვის ფანჯიაქის შეწირვა. მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდება მეფე ქალაქში და სხვა ნაალაფარი ნივთების მიღებას იწყებს მოლაშქრეებისგან. ამ შემთხვევაში არ ჩანს, მეფისთვის ძღვნად მისართმევი ალაფის აღების რაიმე წესი მოქმედებდა თუ მოლაშქრე თავად განსაზღვრავდა მის ოდენობას. დასახელებულია მხოლოდ ეს ნაალაფარი ქონება:

...და თÂთეულმან იწყო ძღუენთა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა და ჭურჭელთა მისთა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაჭუთა, მუზარადთა, Ãრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა, ცხენთა და ჯორთა; მანიაკთა ოქროსათა თუალიან-მარგალიტიანთა, სუნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა...“.[338]

ამავე დროს, მეფის გარდა, სამეფო აზნაურებიც იღებდნენ ნადავლიდან ნაწილს: რჩეულ ტყვეებს, ოქროს ნივთებს, ინდურ ქვებსა და ურიცხვ მარგალიტს.[339] ავტორის მონათხრობით გაურკვეველია, აზნაურები ამ ქონებას უშუალოდ მეფისგან იღებდნენ თუ მოლაშქრეებისგან. სავარაუდოა, რომ დიდებულებს ამ ქონებას მეფე თავისი ფანჯიაქიდან და დამატებით მიღებული ძღვენიდან უნაწილებდა. ამ დაშვების საფუძველს წარმოადგენს ბასილი ეზოსმოძღვრის მითითება ყოველი ტყვის თამარ მეფისადმი შეწირვის შესახებ. თუ ტყვეები მეფის საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი განკარგვაც მეფის უფლებამოსილება იქნებოდა.

ზოგჯერ წყაროები ისე აღწერენ ალაფის გაყოფის ამბავს, თითქოს, სარდლები ნადავლის უმეტეს წილს თავად იღებდნენ. გიორგი მთაწმინდელის თხრობით, თორნიკე ერისთავმა „დაატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და თÂთ დაიმჭირა

---

[337] *ბასილი ეზოსმოძღუარი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 493.
[338] იქვე.
[339] იქვე.

ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქრო და ვერცხლი და სტავრაÁ და სხუაÁ ესევითარი“, რომლებიც შემდეგ მან ეკლესია-მონასტრებისთვის გამოიყენა.[340] ამ ცნობით ირკვევა, რომ თორნიკე ერისთავს ნადავლის რაღაც ნაწილი ლაშქრისთვის მიუცია, თავისთვის კი საკმაოდ მოზრდილი ალაფი დაუტოვებია. წყარო ამ ფაქტს ისე აღწერს, თითქოს რაც მთელმა ლაშქარმა აიღო, მათზე მეტი ხვდა წილად ერისთავს. ტექსტის ამგვარი გაგება არ უნდა იყოს მართებული, რადგან მოლაშქრეთა ომში წასვლის მიზანს, გარდა რელიგიური და პოლიტიკური საფუძველებისა, ქონების შოვნა შეადგენდა და თორმეტი ათასი მხლებელი მოლაშქრე უფრო ნაკლებ ნაშოვარს არ აიღებდა, ვიდრე ერთი მხედართმთავარი.

სამხედრო ხასიათის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს „ძეგლის ერისთავთა“. ამ წყაროს თანახმად, ვირშელ II-ე დვალეთის დალაშქვრის შემდეგ აურაცხელი ალაფით, რომლის მეფის კარამდე გადატანაში ლაშქარს ქვემო მთიულებიც ეხმარებიან, წარმსდგარა გიორგი მეფის წინაშე:

> *ხოლო მეფემან განიხარა და მიუგზავნა ალაფისგან ვ საკიდი ჭურჭელი ვერცხლისა და ოქროსაÁსაÁ, საკიდი ᲬᲬ ლარი, ს ზროხაი, ლ ცხენი, ფ ცხუარი, კივ ქუაბი დიდ-დიდი. ხოლო მეფემან მრავალი მადლი წარმოთქუა და უბოძა ორი პირუტყÂისაÁ და ვეცხლი, ოქროÁ სხუაი...*[341]

ცხადია, რომ თავდაპირველად ვირშელმა მიართვა მეფეს ნაალაფარი ქონება და ამის შემდეგ ასაჩუქრებს მეფე ერისთავს, თუმცა ტექსტის ბოლო წინადადება ნაკლულია და სრულად არ ჩანს, რა ნადავლი მიიღო მან. ბ. ზოიძე აანალიზებს რა ალაფის გადაცემის საკითხს, მიუთითებს, რომ აქ გაურკვეველია ალაფი ამ შემთხვევაში მეფის საჩუქარია თუ ერისთავის ვალდებულებას წარმოადგენს.[342]

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებამდე, სამხედრო ნადავლის განაწილების ძირითადი პრინციპები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რასაც დავით ბატონიშვილის სამართლის 127-ე მუხლის შემადგენლობაც ადასტურებს. დავითი ნაშოვარის სასეფოდ შემდეგი თანმიმდევრობით გამოყოფას ითხოვს: „ჯერ-არს ზარბაზნისა, ბავრაყისა, მხედართ მძღვანთა, დიდის კაცის შვილთა და ოფიცერთა და

---

[340] *გიორგი მთაწმინდელი, ცხორებაÁ იოვანესი და ეფთვმესი*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 180.

[341] ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 117.

[342] *ზოიძე ბ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 19.

ხაზინათა სამეფოდ გარდადებაÁ“[343] – ესე იგი, ჯერ ნადავლი დროშა და ზარბაზანი უნდა მიართვან მეფეს, შემდეგ მტრის დატყვევებული სამხედრო დიდკაცობა უნდა წარუდგინონ და მათი ქონება. ზემოთ ჩამოთვლილი ნადავლის გარდა, მეფის სასარგებლოდ ხუთისთავის აღებაც გათვალისწინებულია; ხუთისთავში სარდალთა წილი ფანჯიაქის ათისთავს შეადგენდა - იმ სრული ნადავლიდან, რაც ბრძოლის ველზე მოგროვდებოდა.[344] ცალკე წილი ჰქონდა მეფეს იმ საქონელში, რომელიც აღებული ქალაქის მორბევით მოგროვდებოდა.[345]

2.4.1. სამართლის წიგნები სამხედრო ნადავლის განაწილების შესახებ

ეროვნული და საქართველოში მოქმედი უცხოურიდან ნათარგმნი სამართლის წიგნების საფუძველზე დგინდება რა ნორმები მოქმედებდა სამხედრო ნადავლის აღებისა და მისი გაყოფის, ასევე ნადავლზე დავის წარმოშობის დროს.

უცხოური სამართლის ქართული ვერსიებიდან, ომის ნადავლთან დაკავშირებულ საკითხებს ყველაზე ვრცლად სომხური სამართლის წიგნი, უფრო კონკრეტულად კი, მხითარ გოშის სამართალი არეგულირებს.

სომხური სამართლის მიხედვით, ნადავლის განაწილება იმის მიხედვით ხდება, ლაშქარი მეფის დავალებით მიდის მოსარბევლად თუ ჯარი თავისი გადაწყვეტილებით მოქმედებს. ასევე, მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედებების მოცულობასაც, გალაშქრება ერთი კონკრეტული ადგილის მოსარბევლად ხორციელდებოდა თუ მტერთან საომრად.

ლაშქრობისას, თუ მეფეც თან ახლდა ჯარს და მისი ბრძანებით ერთ ადგილს დაესხმებოდნენ თავს, სრულად მოაოხრებდნენ მას და თან ყველაფერს დაინარჩუნებდნენ, ნაშოვარი ოქრო სრულად მეფეს ეკუთვნოდა და მისთვის უნდა მიერთმიათ. თავად მეფეს ამ ოქროდან კათალიკოზისთვის ათისთავი უნდა გამოეყო. სხვა ნაშოვარი და ტყვეები თანაბრად ნაწილდებოდა: ერთი ნახევარი მეფის იყო, მეორე ნახევარი კი – თავადების. თავის მხრივ, თავადებიც თავის წილ ნადავლს ორად ჰყოფნენ ნადავლს. სავარაუდოდ, თითოეული თავადი მის კუთვნილ წილის ნახევარს

---

[343] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 74.

[344] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 74.

[345] იქვე.

თავად იტოვებდა, დანარჩენი კი ლაშქარში ნაწილდებოდა. სამართალი თავადებსაც ავალდებულება ათისთავი ეკლესიისთვის გადაეცათ (მ. 418).[346]

თუ მეფე ლაშქარში არ იყო, მაგრამ მისი ბრძანებით იგზავნებოდა ჯარი და საშოვარსაც შოულობდა, ნადავლი ოქრო ისევ სრულად მისი იყო, სხვა ალაფისა და ტყვეებისგან კი მას მხოლოდ ათისთავი ეკუთვნოდა. ეკლესიის წილის ოდენობაც მეფის ლაშქრობაში მონაწილეობაზე იყო დამოკიდებული. რადგან ამ შემთხვევაში მეფე ჯარს თან არ ახლდა, ეკლესიაც მხოლოდ ნადავლის მეორმოცდაათს მიიღებდა (მ. 418-ე).[347]

მხითარ გოშის სამართლის 420-ე მუხლი ნაწილობრივ იმეორებს 418-ე მუხლის დანაწესებს. ამ დადგენილებითაც, ხელმწიფის ბრძანებით სალაშქროდ წასული ჯარისა და თავადების მიერ ნაშოვნი ალაფიდან ნახევარი მეფისაა, მეორე ნახევარი კი თავადებსა და მოლაშქრეებს შორის უნდა განაწილდეს. თუ ჯარი და თავადები თავისი სურვილით დაესხმებოდნენ თავს მტერს, ნადავლის ორი წილი მათი იყო, მეფის კი მხოლოდ ერთი, რადგან ისინი საკუთარი ნებით მიდიოდნენ ომში და სწირავდნენ თავს (მ. 421-ე).[348]

ამავე სამართლის 425-ე მუხლი განსაზღვრავს ტყვის, მისი ცხენის, იარაღისა და აღკაზმულობის დასაკუთრების წესებს: „მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს კაცი, დარჩომილის კაცის იარაღი, ტანისამოსი, ცხენი, ვინც დაინარჩუნოს, მისი იყოს. და კაცი, ჯაჭვი და მუზარადი, Ãელმწიფეს მიართვან,“ ხოლო 426-ე მუხლი ადგენს თუ როგორ უნდა განაწილდეს ნაალაფარი ძვირფასეულობა და სხვა დანარჩენი ქონება: „ომში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მძიმე ზარბაბი ვინც იშოვნოს, ხელმწიფის წილია, მარგალიტი და ვერცხლი თავადების არის და სხვა რაგინდარა ნაშოვარი ჯარისა არის“.[349]

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი ნაწილის მხოლოდ ერთი, 178-ე მუხლი ეხება სამხედრო ნადავლის დანაწილებას. თუმცა, ეს მუხლი, იმ

---

[346] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ქართული ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 386.

[347] იქვე, 387.

[348] იქვე.

[349] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ქართული ვერსია, *ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 388. 425-ე და 426-ე მუხლები ასევე შეტანილის *მხითარ გოშის* სამართლის 152-ე მუხლში [სამართალი Ãელმწიფეთა].

ხელნაწერებში, რომელთა მიხედვითაც ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის გამოსაცემად მომზადდა, მხოლოდ ნორმის ფრაგმენტს შეიცავს: „ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე ირჩოდნენ“.[350] მუხლის შინაარსი დგინდება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში დაცული 201-ე ხელნაწერის შესაბამისი ნორმით: „მისი ასე იქნეს, თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჯაჭვი, ზუჩი[351], მუზარადი და ამგვარი ხელმწიფისა არის, - მძიმე თვალი და მარგალიტი.“[352]

კანონმდებლის მოთხოვნა ნათელია. მოლაშქრე, რომელიც მოკლავს ან ტყვედ ჩაიგდებს მტრის მეომარს, უფლებამოსილია მისი ცხენი და ნივთების ნაწილი მიისაკუთროს. აქვე, კონკრეტულადაა განსაზღვრული, რა სახის ნაალაფარი ქონება ეკუთვნის მეფეს – ეს არის სალაშქრო აღკაზმულობა და ძვირფასეულობა. საყურადღებოა, რომ ალაფის განაწილების ეს წესი „ორბატონობასა და ორიანობაში მიÃდომის“ პარაგრაფში შეტანილ 176-ე და 177-ე მუხლებს[353] მოსდევს. რადგან 178-ე მუხლი არ არის გამოყოფილი ცალკე სათაურით, შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს 178-ე მუხლი მიემართება აღნიშნულ პარაგრაფს. რადგან ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითად ნაწილში ლაშქრობასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვა არცერთი დადგენილება ითვალისწინებს, სარწმუნოა, რომ ეს ნორმა ზოგადი ხასიათისაა და როგორც შიდა, ასევე საგარეო ომებში ალაფის აღების წესებს არეგულირებს.

178-ე მუხლის სათაურიდან გამომდინარე, მას ასევე სამართლებრივად უნდა დაერეგულირებინა ალაფის გაყოფის დროს მოლაშქრეთა შორის წარმოშობილი დავებიც, თუმცა ის. დოლიძის მიერ გამოცემულ ძირითად ტექსტში ეს ნორმები შეტანილი არ არის და სავარაუდოდ, სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაამატეს სამართლის წიგნში 254-ე და 255-ე მუხლები. ეს ნორმები ვახტანგის სიცოცხლეშივე უნდა იყოს მიწერილი.[354] ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერის 178-ე

---

[350] სამართალი *ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 525.

[351] ზუჩი – „თავს დასარქმელი საომარი რკინა, რომელსა უხმობენ კვერცხსაცა. წინათ და უკანითა აქუს მოვლებული ჯაჭვის ბადე, რომელსა ჰქვიან ზარადი“. *ჩუბინაშვილი, დ.*, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1984.

[352] სამართალი *ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 525.

[353] იქვე.

[354] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 668.

მუხლით გათვალისწინეულია მოკლული მტრის ნივთების მითვისება: „მოკლულ კაცს ვერავინ მიედავება მომკვლელს და ვერცა ვინ გაუცარცვის. და თუ მან არ ინდომა ჯერ გაცარცა და ისევ მტერსა სდევს, და სხვას უთხრა, ეგ კაცი მოვკალ, შენ გაცარცვეო, იმასაც ცოტა რამ წილი უც იმ ნაცარცვში მისი კარკაცობით.“[355] დახმარების სანაცვლოდ წილის მიცემა მომკვლელს თავიდან ააცილებდა სხვის მიერ მის გაძარცვას.

ეჭვს არ იწვევს, რომ ვახტანგს 178-ე მუხლით დადგენილი ალაფის გაყოფის წესები მცირეოდენი რედაქციით საკუთარ სამართალში მხითარ გოშის სამართლის წიგნის გავლენით შეუტანია და ამით ეროვნული სამართლის შემადგენელ ნაწილად უქცევია.[356] განსხვავება ვახტანგის სამართლის წიგნის დასახელებულ მუხლსა და მხითარ გოშის სამართლის 425-ე და 426-ე მუხლების შინაარსს შორის ისაა, რომ პირველი მთლიანი ძვირფასეულობის მხოლოდ მეფისთვის გადაცემას ითვალისწინებს, უკანასკნელი კი მეფესა და თავადებს შორის გაყოფას აწესებს.

მტერთან ომში ნაშოვნი ქონების მეხუთედის მეფისთვის გადაცემას ითვალისწინებს ვახტანგის სამართლის 255-ე მუხლი. თუ საქონელი თარეშობით იქნებოდა ნაშოვნი, მეფე იღებდა ფანჯიაკს და არ ჰქონდა მნიშვნელობა ის თან ახლდა ლაშქარს თუ არა. თუ მეფე თავად ახლდა ლაშქარს, მას ფანჯიაკთან ერთად ნებისმიერი მისთვის სასურველი საქონლის აღება შეეძლო.[357]

ვახტანგის სამართლის წიგნის 255-ე მუხლის მეორე ნაწილით: „ამხანაგში ჯეთ თუ გარიგდენ, პირობა მისცეს ერთმანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს, და ათისთავს საცხენმალოს მაშოვარი კაცი აიღებს“.[358] ანუ რიგით მოლაშქრეებს შორის ომში დანარჩუნებული ქონების წილის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მათ შორის გარიგება. თანამოლაშქრეებს უფლება ჰქონდათ წინასწარ, ურთიერთშეთანხმებით, განესაზღვრათ ალაფის გაყოფის პირობები. კანონი კრძალავდა ამ პირობების დარღვევას. აქ არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინმე მტერთან ბრძოლაში ხელცარიელი დარჩებოდა თუ დიდი ნადავლს იშოვიდა, ალაფი მაინც თანაბრად უნდა გაიყოთ. ოღონდ ალაფი ნაწილდებოდა მას შემდეგ, რაც

---

[355] სამართალი *ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 526.

[356] *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 653.

[357] იქვე, 434.

[358] იქვე, 546.

საცხენმალოს აიღებდა მისი მშოვნელი. ის. დოლიძის განმარტებით, საცხენმალო იყო ნადავლი ქონების მეათედი, რომელსაც ზედმეტი წილის სახით იღებდა ამ ქონების მშოვნელი.[359]

დავით ბაგრატიონი აღნიშნავს, ვინც მტრის თავდასხმისას, რომელსაც ის «репресал»-ს უწოდებს, სხვას ცხენს ათხოვებს, მაშინ ამ უკანასკნელის მიერ მოპოვებული ნადავლი თანაბრად უნდა გაეყო ცხენის მესაკუთრესთან; თუ თავდასხმისას ცხენს მტერი მიისაკუთრებდა ან მოკლავდა, მისი წამყვანი ცხენის პატრონის წინაშე ვალდებულებისგან თავისუფლდებოდა.[360] მაგრამ თუ ცხენი მთხოვნელის დაუდევრობისა და უმეთვალყურეობის გამო დაიკარგებოდა ან დაზიანდებოდა, გარემოებების გათვალისწინებით, მესაკუთრისთვის ზარალი უნდა აენაზღაურებინა (877-ე მუხ.).[361]

ომის ნადავლის აღების ძირითადი პრინციპები აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის ბოლოსაც შენარჩუნებულია. მტერზე გამარჯვებისას, ჯარის ნაშოვარს ანაწილებდა მათი რიგიდან უფროსი და ერთმანეთის შური არ უნდა ყოფილიყო.[362] სარდალს ნადავლი უნდა გაეყო „შეფარდებით“, თავად მას კი სასარდლოსაც მიართმევდნენ რაიმეს და დამატებით კიდევ ერთი კაცის წილს.[363] მტრის ციხე-ქალაქის აღებისას „ხალხის ქონება, თეთრი თუ ფარჩა“, – უნდა აეღოს ჯარს, ხოლო ტყვეები, ტყვია-წამალი, სურსათი და ხაზინა სამეფოდ უნდა დადებულიყო.[364]

ყველა საჯარისო ერთეული ყოველთვის ერთდროულად არ ერთვებოდა ბრძოლაში და ნაწილი ზურგში რჩებოდა, ამიტომ მათი ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო. „ნაშოვრიანი“ ჯარი ალაფის აღების შემდეგ ადგილს უცვლიდა ჯერ ისევ ბრძოლაში ჩაურთველს იმისთვის, რომ „უნაწილოდ“ არავინ დარჩენილიყო.[365] თუ ჯარი დამატებით ალაფს ვერ მოკრებდა, მეფე ხაზინიდან უბოძებდა.[366] ამ სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ „იქმნება

---

[359] იქვე, 766.
[360] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 368.
[361] იქვე.
[362] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 48.
[363] იქვე.
[364] იქვე.
[365] იქვე.
[366] იქვე.

შთაბეჭდილება თითქოს უმთავრესი მიზანი მტერზე გალაშქრების მისი ქონების დაპყრობა იყო“, ამიტომ გასცემს სამეფო ხაზინა მოლაშქრეებისთვის წილს.[367]

„სჯულდება“ ერთი სოფლიდან გაწვეულ მოლაშქრეებს ავალდებულებდა ნადავლი ერთმანეთისთვის გაეყოთ: „ყოველი სოფლის კაცი, ორი წილი, თუ ნახევარი რომ შეუშონ ქალაქში და სხვანი დაშთენ კარში, რაც იმ სოფლის კაცთ იშოონ, ამ თავის მეზობლებსაც“ უნდა დაუდონ წილიო.[368] ბრძოლის დროს ვინც მეტად გაირჯებოდა, ჯარის სარდალს მეფესთან უნდა წარედგინა ჯილდოზე.[369] დავითი სამართალი, სხვა მოლაშქრეების მისაშველებლად თავისი მხედრობის დამტოვებელი პირისთვის ნაშოვარის წილის გამოკლებას კრძალავდა, რადგან ის მენაშოვრეთა დამხმარედ და მფარველად უნდა ჩაითვლება და ამის გამო ნაშოვარსაც იმსახურებს.[370]

სჯულდების პროექტი დავლის ხუთის თავის მეფისთვის მირთმევას ითვალისწინებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, ნადავლის აღების სხვადასხვა რეგულაციის ნაცვლად ერთიანი სისტემის – მეხუთედი წილის სასეფოდ დადების შემოღება იგეგმებოდა.[371]

ნადავლად მტრის ტერიტორიაზე მოპოვებული საკვებიც მიიჩნეოდა. ზაფხულში ჯარიანობის დროს, სხვა ქვეყანაში პურის მომკა თავისებურ ნადავლს წარმოადგენდა; მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასვლისას მეომრებს თან უნდა ჰქონოდათ ერთი ნამგალი და ხელსაფქვავი ერთ კაცზე, რათა ხორბალი ან სხვა მარცვლეული მოეჭრათ, დაებერტყათ და ამ ხელის წისქვილზე დაეფქვათ.[372]

სამხედრო ნადავლის გაყოფის თვასაზრისით ძალიან საინტერესოა „მიმოხილვის“ 971-ე მუხლი. მთელი სავაჭრო საზოგადოების მიერ ვაჭრობით მიღებულ მოგება, ისევე, როგორც მტრისგან მიღებული ნადავლი, იყოფა თანაბრად,

---

[367] *ზოიძე გ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 22.

[368] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 48.

[369] იქვე.

[370] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 74.

[371] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 8.

[372] *გურგენიძე გ.*, სამეურნეო საქმიანობისა და მისი აღრიცხვის საკითხები იოანე ბატონიშვილის შრომებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 112, 1965, 195.

ყველაფერში ურთიერთმისაღები პირობების დაცვითა და ერთმანეთის წყენინების გარეშე, თანახმად სპეციალურ არტიკულებში[373] მოცემული წესებისა.[374] ცხადია, რომ დავითი ნადავლს განიხილავს, როგორც საერთო შრომის ნაყოფს, რომელშიც ყველას თანაბრად უდევს წილი. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება სამხედრო საზოგადოების რიგითი წევრები, რადგან მეფე და ცალკეული რაზმების მეთაურები დამატებით წილს ყოველთვის იღებდნენ ალაფიდან.

პირს, რომელიც მტრის ალაფში თავის საქონელს ამოიცნობდა, ამ ნივთის გამოთხოვა არ უნდა ეკადრა, რადგან მისი „ნაქონები“ მტრის იმიტომ გახდა, რომ მან მოწინააღმდეგს თავისი ნივთი ვერ დაატოვებინა.[375] „მტაცებელი ხალხები“, რომლებიც სახლობდნენ კავკასიის მთების ხეობებსა და შავი ზღვის სანაპიროზე, თავს ესხმოდნენ მოსახლეობას, ძირითადად, ქურდავდნენ და იტაცებდნენ დასახლებების საერთო ნახირს.[376] თუ თავდასხმას ლაშქარი მაშინვე ვერ მოიგერიებდა და წასხმულ ნახირს ვერ გამოსტაცებდნენ მტერს, ხოლო შემდეგი ახალი ლაშქრობით მოხერხდებოდა მათი უკან დაბრუნება, ნახირზე საერთო საკუთრების უფლებას მოიპოვებდნენ ლაშქრობაში მონაწილე პირები ისე, თითქოს მათ სისხლის საფასური გაუყვიათ.[377]

2.4.2. კანონის ძალის მქონე საბუთები სამხედრო ნადავლის განაწილების შესახებ

სამართლის წიგნებისგან განსხვავებით, სამხედრო ნადავლთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე მეტი ინფორმაცია მოიპოვება სიგელ-გუჯრებსა და დაწერილებში, განსაკუთრებით კი, XVII-XVIII დოკუმენტებში. თუმცა, უფრო

---

[373] დავით ბაგრატიონი არ ხსნის, რომელი სპეციალური არტიკულები აქვს მხედველობაში. დ. ფურცელაძე დავითის სამართლის წიგნისადმი თანდართულ გამოკვლევაში წერს, რომ ერეკლე II ბრძანებით, არქიმანდრიტმა და თელავის სემინარიის რექტორმა გაიოსმა, 1784 წელს თარგმნა პეტრე I სამხედრო წესდება, რომელიც შედგენილია 1716 წელს და მოქმედებდა 1832 წლამდე, ვიდრე ახალი სისხლის სამართლის კანონთა კრებული არ გამოიცა. შესაძლოა დავითი ამ სპეციალურ არტიკულებს გულისხმობდა. სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964. შეად. Шворина Т., Воинские артикулы Петра I, 1940, 15; Памятники русского законодательства XVIII столетия, I, 19076 35.

[374] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, *ა. როგავას* რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 388.

[375] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 74-75.

[376] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, *ა. როგავას* რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 394.

[377] იქვე.

ადრინდელი და, ასევე, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი საბუთებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ამ საბუთებით შესაძლებელია დადგინდეს, რა გარემოებებზე იყო დამოკიდებული სამხედრო ნადავლში მეფის წილის აღება, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ფანჯიაქად იწოდება. ასევე, მეფის ფანჯიაქიდან ქართლ-კახეთის დიდი მოხელეების, ქართლისა და კახეთის სახლთუხუცესების[378], სადროშოს სარდლებისა და დაბალი წოდების სამხედრო პირებისათვის გასაცემი ალაფის ოდენობა.

XVI საუკუნის დასაწყისში ქართლში ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა. „სადროშო“ იმ სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს ერქვა, რომელიც ცალკე სამხედრო ნაწილს, ანუ „დროშას“ აყალიბებდა.[379] სადროშო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულია და მას სარდალი ხელმძღვანელობს, რომელიც ყველაზე მსხვილი ფეოდალია სადროშოში და დიდი პოლიტიკური უფლებებიც აქვს.[380] ამ პერიოდში სამხედრო რეფორმები საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებშიც გატარდა.[381]

ზემო ქართლს სარდლობდა ამილახვარი; მუხრან ბატონის სადროშოს, სადაც შედის სამუხრანბატონო და, ასევე, ქსნისა და არაგვის საერისთავოები მათ გაუქმებამდე; მეწინავე სადროშოში შემავალ სომხით-საბარათიანოს სათავადოებს ორბელიანი და მეოთხე, მეფის სადროშოს[382], რომელშიც მტკვრის სამხრეთით მდებარე შიდა ქართლის ნაწილი შედიოდა, უმთავრესად ციციშვილები სარდლობდნენ.[383] იოანე ბატონიშვილის აზრით, რეფორმების გატარების შემდეგ სადროშოები უნდა ჩამოყალიბებულიყო: ამილახვრთა სახლი, აბაშიძეები, მუხრანის ბატონი და ყალფლანიშვილების ოჯახი.[384] მათ, როგორც ჯარის მეთაურებს, სამხედრო ნადავლში წილი ჰქონდათ.

---

[378]სამეურვეო ფუნქციების მქონე მსხვილი მოხელე გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში, სამეფო შემოსავალ-გასავალთა გამგე.

[379] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 387.

[380] იქვე.

[381] იქვე.

[382] გაერთიანებული საქართველოს პერიოდში მეფის სადროშოს ჩუხჩარხი მეთაურობდა; იხ. *ინგოროყვა პ.*, თხზულებანი, I, 1963, 563.

[383] *კლიმიაშვილი ა.*, მორიგე ლაშქრის საკითხისთვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, კრებული: მოამბე, V, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, 179.

[384] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 5.

2.4.2.1. ამილახვართა წილი

როგორც აღინიშნა, ამილახვარი იყო ზემო ქართლის სარდალი, სადროშოს ხელმძღვანელი.[385] მას ქართლში მეწინავე სარდლობა ებარა, ამიტომ მათ საკმაოდ დიდი წილიც ჰქონდა მეფის ფანჯიაქში. 1656 წლის წყალობისა და სასარდრო გარიგების წიგნითა და სიგელით, ამილახორთა სახლს დაუმტიცდა „სარდრობის სარგო“ და ფანჯიექის აღების წესიც განესაზღვრათ.[386] მეფე ამილახორთა სახლს მიმართავს: „რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიექენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათის თავი გერგებოდეს მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ“.[387] ამილახორთა სახლს ფანჯიაქში წილი კი ჰქონია, მაგრამ მისი მოცულობა ამ პერიოდში მცირეა. მეფის კუთვნილი მეხუთედი წილის აღების შემდეგ, ამილახორს დარჩენილი თანხის მეათედის მხოლოდ ნახევრის აღების უფლება ჰქონდა.

მოგვიანებით ამილახვართა წილის ოდენობა ფანჯიაქში გაზრდილა. ამას მოწმობს თავად ოთარ ამილახვარის წერილი ციციანოვისადმი. ის, როგორც ამილახვარი, ანუ მეფის მემარჯვენე სარდალი, წარადგენს მის სახელოსთან დაკავშირებული შემოსავლების ნუსხას. პირველ რიგში, ასახელებს ფანჯიექს და იქვე განმარტავს მოთხოვნის საფუძველს: „როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშოვარს მოიტანდა, იმ ნაშოვრიდან სამეფოთ ფანჯიექი აიღებოდა, ესე იგი ხუთზედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი მეფისა იყო და მეხუთე ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა“.[388] ამავე საბუთით ირკვევა, რომ თუ სასარდლოდან მეფეს ლაშქარი დააკლდებოდა, მეფე მათ არბევდა და „რაც სარბევი დადგებოდა სამეფოთ“, იქიდანაც ამილახორს მეხუთედი წილი ერგებოდა.[389]

---

[385] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 68.

[386] *მესხია შ.*, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, I, 1948, 85.

[387] იქვე.

[388] იქვე.

[389] იქვე.

2.4.2.2. რუსთავის სადროშოს წილი

დავით იმამყულიხანმა რუსთვლის საღმრთოდ და საეროდ გამწესებულ მთავარეპისკოპოს ანტონ მარტომყოფელის „ღრმთაების საყდარში“ დადგინების შემდეგ დაამტკიცა მისი წილი რუსთვლის სადროშოს სამხედრო ნადავლში, რადგან რუსთვლის მთავარეპისკოპოსი ამავე დროს სპის უფროსია.[390] სადროშოს ნატყვენავსა და ნაშოებში საყდარსა და რუსთველს ეკუთვნოდა „ფანჯიექი ხუთის თავი“ იქიდან, რასაც სპა იშოვიდა - ცხოველსა თუ ხმელს.[391] მეფის თქმით, „დროშისათვის ღმრთეებისა პატივად“ სხვა მეფეებიც წირავდნენ ნადავლს და ამიტომ ღრმთაების დროშის ყმებს, გლეხებს, აზნაურებს, თავადებსა და ეპისკოპოსებს მისთვის ნაშოვების ხუთის თავი უნდა მიერთმიათ.[392] აქ ფანჯიაქის გაცემის მიზეზი ღმრთაების დროშის სამადლობელია, რადგან მხოლოდ მისი მფარველობით ხდება მტრის დარბევა და დამორჩილება.[393] როგორც ჩანს, ფანჯიაქის უკლებლივ რუსთველისთვის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ სადროშოს სპა მეფისგან დამოუკიდებლად ლაშქრობდა.

იმამყულიხანის სარუსთველო დროშისთვის 1722 წ. გაცემული განწესებით, თუ რუსთვლის გალაშქრება მეფისგან იქნებოდა ნაბრძანები, ჯარი მტერს დაამარცხებდა და ნატყვენავს იშოვიდა, ფანჯიაქი სამეფოდ და სარუსთვლოდ უნდა აღეწერათ მეფის მოხელეებსა და რუსთვლის მედროშეებს.[394] ისინიც ერთად აგროვებდნენ „ცხოვარსა, ძროხასა, ცხენსა, გინა რვალთა, ანუ ვერცხლთა და ოქროთა. ყოველსავე ორად განყოფდენ, ნახევარს ღმრთაებისა დროშასა და რუსთველს მიართმიდენ, ნახევარსა ჩვენნი მოხელენი წამოიღებდენ“.[395]

წესდებიდან ჩანს, რომ რუსთველის სადროშო სხვებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია. როგორც იმამყულიხანი საბუთში წერს, ეს მანამდეც „რიგნი ძველთა მეფეთანის“ მიერ ასე ყოფილა დამტკიცებული, თეიმურაზსაც იგივე დაუდგენია და ისიც ამ მეფეთა წესს მისდევს.[396]

---

[390] ღმრთაების გუჯარი [1722 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 363.
[391] იქვე.
[392] იქვე.
[393] იქვე.
[394] განწესება სარუსთველო დროშისა [1722 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 385.
[395] იქვე.
[396] იქვე.

2.4.2.3. სახლთუხუცესთა წილი

საბუთებით ირკვევა, რომ ქართლისა და კახეთის სახლთუხუცესებს[397] მეფის ფანჯიაქში თავისი წილი ჰქონდათ. ქართლის სამეფოს სახლთუხუცეს ივანე ორბელიანს შედგენილი აქვს მისი სახელოს სარგებელ-შემოსავალი,[398] მათ შორის ის ასახელებს ფანჯიექსაც. ივანე განმარტავს მის მნიშვნელობას: „ფანჯიექი, ესე იგი ხუთზედ ერთი; როდესაც საქართუელოს ჯარი მტრის ქვეყანაში მივიდოდა და იქიდამ საშოვარს მოიტანდნენ, ხუთის თავს სამეფოთ აიღებდნენ და რაც მეფეს ერგებოდა, იქიდამ თერთმეტის თავი ჰქონდა, როდესაც აიღებ(ო)და“.[399]

კახეთის მეორე სახლთუხუცესი ალექსანდრე მაყაოვი (მაყაშვილი) თხოვნით მიმართავს პავლე ციციანოვს (1803 წ. საბუთი). იგი ჩამოთვლის მისი სახელოსთვის განკუთვნილ ყველა ფულად და ნატურით გადასახადს, რომელსაც ის იღებდა საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებამდე და ითხოვს მათ აღდგენას. ამ ჩამონათვალშია შემოსავალი: „კახეთის ფანჯიექიდამ და ჯარიმიდამ [შვიდი თუმან ნახევარი]“.[400] კონტექსტით ჩანს, რომ დასახელებული თანხა მხოლოდ ჯარიმის ოდენობას შეადგენს. კონკრეტულად რა წილი ერგებოდა კახეთის ფანჯიექიდან სახლთუხუცესს, არ არის მითითებული.

ასეთივე თხოვნის საბუთები აქვთ წარდგენილი სხვა სახლთუხუცესებს, მაგრამ იქ ფანჯიექი არ არის ნახსენები.

2.4.2.4. მოურავის წილი

XV საუკუნის ბოლოს კახეთი, სამხედრო რეორგანიზაციის შედეგად, ოთხ სადროშოდ დაიყო. სადროშოების სარდლობა, ამ სახელოს მემკვიდრეობით გადაცემის თავიდან ასაცილებლად, ჩააბარეს კახეთის ეპისკოპოსებს.[401] ასევე, გაუქმდა საერისთაოები და მათ ნაცვლად კახეთი დაიყო მეტ ტერიტორიულ ერთეულად –

---

[397] სახლთუხუცესი (სალთუხუცესი) იყო სამეურნეო ფუნქციების მქონე მსხვილი მოხელე გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში.

[398] ეს საბუთი დაუთარიღებელი და ხელმოუწერელია. როგორც შ. მესხია აღნიშნავს, მან რუსული თარგმანიდან გაარკვია, რომ ის ეკუთვნის ივანე ორბელიანს და შედგენილია 1803 წელს. *მესხია შ.,* მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, I, 1948, 2.

[399] *მესხია შ.,* მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, I, 1948, 3.

[400] იქვე., 9.

[401] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 387.

სამოურაოდ, რომლებსაც მოურავები დაენიშნათ.[402] მოურავი ადგილობრივი ადმინისტრაციის ფეოდალური მოხელეა, რომელიც ექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას და სახლთუხუცესის სახელოს ქვეშ ინარჩუნებს სამეურნეო ფუნქციებს.[403] მოურავს ასევე ევალებოდა სამხედრო-სამობილიზაციო ბრძანებათა აღსრულება, განსაკუთრებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მდევრის ლაშქრის ჩამოყალიბების შემდგომ, რადგან ცალკეული ადგილის საზღვრებში მდევარს მოურავი ხელმძღვანელობდა. დიდ ნაკრებ მდევარში[404] მოურავები თანმყოფ პირებს შორის წოდებრივად ყველაზე მაღალს უნდა დაქვემდებარებოდნენ.[405] ამავდროულად, მოურავები სამხედრო ხაზით სადროშოს სარდლებს ემორჩილებიან, გარდა კათალიკოსის მოურავებისა, რომლებიც კათალიკოსის სარდლების დაქვემდებარებაში არიან.[406] ქიზიყის მოურავი გამონაკლისს წარმოადგენდა. ის ქიზიყის უპირველესი სარდალი იყო გვიანფეოდალურ კახეთში. ერეკლე II ქიზიყში სამეფო და სამოურაო სარგოს შესახებ განჩინებაში აღნიშნავს, რომ მან განაახლა ქიზიყის ძველთაგანვე განწესებული გამოსავალი; ასევე, შემოიღო ახალი გადასახადები და სადაც მოსაკლები იყო, იქ მოუკლო.[407] ამ განჩინების ხუთი დადგენილება ნარბევის გაყოფისა და ფანჯიაქის აღების წესებს ადგენს. ოღონდ აქ ნარბევში მტრის ნაძარცვი ქონება არ მოიაზრება. მე-15 დადგენილებით, თუ ბატონი ან მოურავი ქიზიყში არ იქნებოდნენ და მტრის მდევრებს კაცი დააკლდებოდათ, „იმისი ნარბევი“ სოფელს უნდა გაეყო. აქ იგულისხმება იმ პირის სახლ-კარი დარბევა, რომელიც სალაშქრო საქმეს თავს აარიდებდა.[408] როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, ქართლ-კახეთში მტრის, განსაკუთრებით, დაღესტნელი ფეოდალების მოულოდნელი

---

[402] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 224.
[403] იქვე, 396.
[404] დიდ მდევარში რამდენიმე სასაზღვრო ერთეულის მდევართა გაერთიანება იგულისხმება.
[405] სამოქალაქოს ჰსჯულვილება (XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. ფურცელაძემ, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 76.
[406] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 396.
[407] განჩინება ერეკლე II-ისა ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ, [1744-1762 წწ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 410.
[408] იქვე, 412.

თავდასხმების დროს, დგებოდა მტრის მადევარი რაზმები.[409] მდევრების ვალდებულებას მტრის მანამდე მოგერიება წარმოადგენდა, სანამ ის თავდასხმას მოახერხებდა.[410] საჭიროების დროს, მდევრებს ნადავლი ქონებისა და ტყვეების დასაბრუნებლად დევნა უნდა განეხორციელებინათ და თუ რაზმის რომელიმე წევრი თავს აარიდებდა ვალდებულებას, დარბევით ისჯებოდა.[411]

თუ ბატონი ან მოურავი ადგილზე იქნებოდნენ, ნატაცების ერთი წილი მებატონის იყო, ერთი წილი მოურავის და ერთიც - სოფლის. ლაშქრის შეკრებისას თუ ბატონს კაცი დააკლდებოდა, ნარბევიდან ორი წილი ბატონის იქნებოდა და მესამედი მოურავის (მე-16 დადგენილება).[412] აქაც, ალბათ, ის პრინციპი მოქმედებდა, რომ მეფეს შემოსავალი არ უნდა დაკლებოდა. რადგან საჭირო რაოდენობის მოლაშქრეების გამოყვანა ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მარბეველი რაზმებიც ცოტა იქნებოდა და, შესაბამისად, ნადავლიც. ამის გამო, მეფე ფანჯიაქიდან ერთ წილის ნაცვლად ორს იღებდა. ბატონი თუ ჯარს გაგზავნიდა და თავად არ გაჰყვებდა, მხოლოდ ფანჯიექი ეკუთვნდა. თუ ლაშქარს ან თავად მეფე ახლდა, ან მოურავი, მაშინ ორი წილი ისევ ბატონის იყო, მესამედი კი - მოურავს.[413] ამავე განჩინებით, დარბევის აღმსრულებელი მეჯურუმეა, რომელიც უშუალოდ მებატონეს ექვემდებარება: „მეჯურუმე ბატონისა უნდა იყოს. ნარბევი და ან ჯარიმა რაც გამოვა, ორი წილი ბატონისა არის და ერთი წილი მოურავისა.“[414]

რევაზ ანდრონიკაშვილს ახალი გარემოებების გათვალისწინებით, 1802 წ. განწესებით, ქიზიყის მოურავის სარგო ახლიდან შეუდგენია. აქ უკვე მოურავის სარგო უცვლელია იმის მიუხედავად, ომში ბატონთან ერთად მონაწილეობს თუ არა. როგორც საბუთიდან ჩანს, თუ ბატონიც ჯარში იქნებოდა და იქ საშოვარი მოხდებოდა, საშოვრიდან ხუთზე ერთი ფანჯიაქად უნდა აეღო ბატონს. აქედან ორი წილი ბატონისაა და მესამედი მოურავის. თუ ბატონი მოურავს ბრძოლაში გააგზავნიდა როგორც სარდალს, რასაც ჯარი იშოვიდა, მისი ფანჯიაქიდან ისევ ორი წილია ბატონის

---

[409] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 012.

[410] იქვე.

[411] იქვე.

[412] განჩინება *ერეკლე* II-ისა ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ, [1744-1762 წწ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965,412.

[413] იქვე.

[414] იქვე.

და მესამედი მოურავის (მე-7 დადგენილება). ქიზიყის ლაშქრის მიერ მოტანილი დავლიდან აღებული ფანჯიაქიდან ასევე ორი წილი ბატონს ეკუთვნის, მესამედი კი - მოურავს.[415]

ფანჯიექიდან წილი შედარებით დაბალი რანგის მოხელეებსაც ჰქონდათ. აზნაური მირზა აფრიამ ენიკლოფოვი საქართველოს მთავარმმართებელ ციციანოვის სახელზე წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მას ეკუთვნოდა წილი ფანჯიექიდან „თხუთმეტზე ერთი“.[416] საბუთში მითითებულია წილის ოდენობა - ხუთი თუმანი.

2.4.3. მდევრობას დაკლებულთა მონარბევი

როგორც ერეკლე მეფის 1772 წლის განჩინებიდან ჩანს, მე-18 საუკუნეში მეფის ჯარში სამსახურისთვის თავის არიდების გამო, ადგილობრივი მოსახლეობის დარბევა და აკლებულის მიტაცება-დანაწილება წესად ჰქონიათ. ერეკლეს ამ ბრძანებით მოწესრიგებულია ზემო ქართლის მდევრობის საქმე.[417] განწესება ითვალისწინებს მდევრობაში საყოველთაო გამოსვლას წოდების მიუხედავად, რაზმებს შორის შეტყობინებასა და ურთიერთმიშველებას ცალკეულ სოფლებში, ასევე მუდმივი დაზვერვის ორგანიზებას გარკვეულ საზღვრებში.[418]

იოანე ბაგრატიონის „სჯულდებითაც“, მდევრობა არც სამომავლოდ უნდა მოშლილიყო ქართლსა და კახეთში.[419] მხოლოდ იცვლებოდა ნარბევის აღების წესი: „ვინც ნარბევს დააკლდეს, მოურავნი ნუ მიიღებს მათ ნარბევს, არამედ მდევრის კაცმან დაუკლას საკლავი, ვის როგორ შეუძლიან და შეუსონ ღვინო შეძლებისამებრ სარბევის კაცსა.“[420] პროექტის ავტორი ამსუბუქებს სასჯელს მდევრობაში მონაწილეობის არმიღების გამო და მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს საკლავისა და ღვინის სახით.

---

[415] ქიზიყის მოურავის სარგო შედგენილი *რ. ანდრონიკაშვილის* მიერ [1802 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 560.

[416] *მესხია შ.,* მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, I, 1948, 44.

[417] ზემო ქართლის მდევრობის განწესება *ერეკლე* II-ისა [1772], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965,412.

[418] სამოქალაქოს ჰსჯულვილება (XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. ფურცელაძემ, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 76.

[419] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 5.

[420] იქვე.

ამ მხრივ მეტ სიმკაცრეს ამჟღავნებს სამოქალაქო სჯულვილების ავტორი. მდევრობაში დაკლებისთვის „ყოველთ საშინლად“ გარდახდებოდათ სამართლით.[421] ამ პროექტით აღარ არის გათვალისწინებული მდევრის მორბევა და მისი ქონების ნადავლად მითვისება, არც ჯარიმა ან საკლავის დაკვლა და ღვინის შევსება.[422] აზნაურები, თავადები და მოურავები პასუხს აგებდნენ როგორც მეფის მუხანათი და სამეფოს ორგული პირები.[423] პროექტით, მდევრობის სისტემის საერთო ორგანიზაციაზე პასუხისმგებელია მოურავი და პროცესსაც ის ხელმძღვანელობს.[424]

ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების საკანონმდებლო ძეგლი „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ ასევე იცნობს მდევრობის ინსტიტუტს და მდევრის დაკლების დროს მორბევის აღებასაც ითვალისწინებს. მე-16 მუხლით დადგენილია, რომ თუ ტყვე ან საქონელი დაიკარგებოდა, სოფელი მდევრად უნდა გასულიყო და გზები შეეკრა იმ ადგილამდე, სადამდეც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მდევრობაში დაკლებისთვის კი „მუხანათის მსგავსი“ სასჯელი გარდახდებოდათ.[425] რომელი სოფელიც მდევრობაში დააკლდებოდათ, მასაც „დიდად გარდახდებოდა“ და ტყვესაც ის სოფელი გამოიხსნიდა, მაგრამ თუ სოფლიდან მხოლოდ „კაცი დააკლდებოდა“, მდევრობის მოსარბეველი ორი „ზროხა“ იყო და მდევრებს ერთმანეთში უნდა გაეყოთ (მე-17 მუხ.). დავით ბატონიშვილის სამართლით, მდევრობაში დაკლებული „თეთრითა მებრ მდგოობისა“ დაირბეოდა.[426]

მორბევა, როგორც სასჯელის სახე, იმერეთის ჩვეულებითი სამართლისთვისაც ცნობილია. საერთო საქმისთვის თავის არიდებისას, სოფლის მოსახლეობის ნაწილი მის ოჯახში მივიდოდა და მოარბევდა, რაც გულისხმობს საკლავის დაუკითხავად დაკვლასა და მისი ღვინის დალევას, ასევე გადაუბრუნებდნენ ურემს და სხვა ზიანსაც

---

[421] სამოქალაქოს ჰსჯულვილება (XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. ფურცელაძემ, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, 77.
[422] იქვე.
[423] იქვე.
[424] იქვე, 76.
[425] *ფუტკარაძე ი.*, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1964, 97.
[426] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 223.

აყენებდნენ.[427] თანასოფლელს იმგვარად ექცეოდნენ საერთო საქმეში მონაწილეობის არმიღების გამო, თითქოს მტერს დაესხნენ თავს.

2.4.4. საზღვაო ნადავლი

წერილობითი წყაროები საზღვაო ლაშქრობებისა და ნაოსნობისას მოპოვებული ნადავლის შესახებ მცირეა. პირველი ცნობები კოლხეთში მცხოვრები ქართველური ტომების საზღვაო თავდასხმების შესახებ ანტიკურ წყაროებში გვხვდება. მათი გადმოცემით, კოლხეთის სანაპირო დასახლებული იყო მშვიდობიანი მცხოვრებლებით, ხოლო სანაპიროს მომიჯნავე მთიან ნაწილში მეომარი ტომები ცხოვრობდნენ.[428] ძველი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის არტემიდორეს (ძვ.წ. II-I სს.) მიხედვით, სოჭიდან სოხუმამდე ტერიტორია მეომარ-მეკობრე ჰენიოხებს ეკავათ.[429] უფრო ჩრდილოეთით დასახლებული „სამართლიანი და კეთილი“ ხალხის, კერკეტების ტომისგან განსხვავებით, რომლებიც ნაოსნობას, ვაჭრობას მისდევდნენ, ჰქონდათ ნავსადგურები და სოფლები, ჰენიოხები, ჯიქებისა და აქაელების მსგავსად, ზღვაზე მეკობრეობით ირჩენდნენ თავს.[430] სტრაბონი ჰენიოხების ტომის ცხოვრების წესს საკმაოდ დაწვრილებით აღწერს: ისინი აგებდნენ მსუბუქ ნავებს, რომლებსაც ბერძნები კამარას უწოდებდნენ. ნავები მსუბუქი იყო და დაახლოებით 25 ადამიანს იტევდა. ჰენიოხები ასეთი ნავებისგან ჰკრავდნენ ფლოტს და თავს ესხმოდნენ ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქებსა და ქვეყნებს, ასევე სატვირთო ხომალდებს. რადგან მათ თავად არ ჰქონდათ ნავსადგურები, უკან დაბრუნებულები კამარებს მხრებზე იდებდნენ და ტყეებში მალავდნენ შემდეგ ნაოსნობამდე, თავად კი ტყვეების ხელში ჩაგდების მიზნით ფეხით გადაადგილდებოდნენ.[431] პლინიუსის ცნობით, ჰენიოხებს მდიდარი ქალაქი პიტიუნტიც გაუძარცვავთ, ხოლო დიოსკურია მათი მორბევის შემდეგ დაცარილებულა.[432] ბოსფორის მმართველები მათ ზოგჯერ უფლებას აძლევდნენ მათ ნავთსაყუდლებში შესულიყვნენ და ბაზარში ნადავლი ქონება და

---

[427] *დავითაშვილი გ., ზოიძე ო.*, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1991, 172.

[428] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. *მელიქიშვილი გ.* (რედ.), საბჭოთა საქართველო, თბ, 1970, 324.

[429] იქვე. შეად. V ს. ანონიმი, $ 65.

[430] იქვე. შეად. Strabo, XI, 2, 12.

[431] იქვე.

[432] იქვე.

ტყვეები გაეყიდათ. მოპოვებულ ნადავლს ხშირად თავად გაძარცვულებსაც სთავაზობდნენ გამოსასყიდლად.[433]

საქართველოს აფხაზურ სანაპიროზე მცხოვრები ჰენიოხების მეკობრული წესი გვაროვნული წყობილების რღვევის ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. ჰენიოხების ტომობრივ გაერთიანებაში შემავალი ოთხი კავშირიდან მოსახლეობის ნაწილს ჩრდილოეთ კოლხეთში მცხოვრები სვანური მოსახლეობა შეადგენდა, რომელიც სტრაბონის მიერ აღწერილ პერიოდში, პირველყოფილი თემური წყობილების უმაღლეს საფეხურზე იდგა და ამ გაერთიანებაში ყველაზე ძლიერი ტომია, რომელსაც 200 000 კაციანი ლაშქრის შეკრება შეეძლო.[434]

ფეოდალური პერიოდის ნარატიული თუ სხვა ძეგლებში საზღვაო მოლაშქრეობაზე თითმის არაფერია მოცემული. მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშნავს, რომ აფხაზები ოლეჭკანდრებით[435] თავს ესხმოდნენ ოსმალთა ნავებს ზღვაში, ლაზ-ჭანეთისა და ოდიშ-გურიის მხრიდან.[436] სხვა დამატებით განმარტებას ამ საკითხზე ვახუშტი არ აკეთებს და ვერც სხვა შესაბამისი წყაროების მოძიება მოხერხდა.

2.5. ტყვეზე საკუთრების უფლების შეძენის ხასიათი

2.5.1. ტყვეთა სამართლებრივი მდგომარეობა

ნადავლი ქონება მოძრავ ნივთებთან ერთად ტყვედ აყვანილ ადამიანებსაც გულისხმობს და, შესაბამისად, საკუთრების უფლება მათზეც ვრცელდებოდა.[437] თუმცა, ტყვეზე საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. დამტყვევებელი გარკვეული დათქმით იძენდა საკუთრების უფლებას ტყვეზე. ტყვის უფლებრივი მდგომარეობა კი, ძირითადად, მის სარწმუნოებასა და სქესზე იყო დამოკიდებული.

თუ პირი მტერზე ლაშქრობისას ტყვედ უცხო გვარის ქალს ჩაიგდებდა და მისი სილამაზის გამო ცოლად შერთვას გადაწყვეტდა, მესაკუთრეს მისთვის ჯერ თმა უნდა

---

[433] იქვე. შეად. NH, VI, 15-16.
[434] იქვე. შეად. Strabo, XI, 2, 19.
[435] ოლეჭკანდარი - ნავი. ნეიმანი, ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ., განათლება, 1978, 559.
[436] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი სოსო ჭანტურიშვილი, 1997, 170.
[437] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 152.

გადაეპარსა, ქრისტიანად მოენათლა და ტყვეობის სამოსი გაეხადა, შემდეგ კი უფლება ჰქონდა სახლშიც დაესვა. ქალი თუ თავის მშობლებს დარდობდა და ამის გამო ტიროდა, მისი შემრთველი ვალდებული იყო ერთი თვე ედროვებინა და შემდეგ გაეაზატებინა. ქმარს ქალის გაგდების, გაყიდვის ან შეურაცხყოფის მიყენების უფლება არ ჰქონდა, რადგან ის ცოლად ინდომა, მას შესაბამისადაც უნდა მოქცეოდა. ვინც დატყვევებულ ქალს ცოლად შეირთავდა, მას ვეღარ გაეყრებოდა, რადგან ქალი თავად მოანათვლინა და გვირგვინის კურთხევაც მისი სურვილით მოხდა. გამონაკლის წარმოადგენდა ბოზობის დანაშაულის ჩადენა.[438]

ვახტანგის სამართლის წიგნით, თუ ტყვე შორი ქვეყნიდან მოსული არაქრისტიანი იყო და, ამავე დროს, არც მეფე გამოართმევდა მას დამტყვევებელს და ტყვეც თავს ვერ დაიხსნიდა, ის დამნარჩუნებისთვის უფლებრივად ნასყიდ ტყვეს[439] უთანაბრდებოდა (254-ე მუხლი).[440] მაგრამ თუ ტყვედ ჩავარდნილი პირი „ახლოული კაცი“ ან “ჩვენის რჯულის“ იყო და მას მეფეს მიართმევდნენ, მეფეს მასში ჯილდო უნდა მიეცა. თუ ტყვის მესაკუთრე მას მეფეს არ მიართმევდა, მაშინ მისთვის თავის გამოხსნის საშუალება უნდა მიეცა. აქ კანონმდელი ურთავს, რომ ეს „ნამუსიანათ“ უნდა მომხდარიყო,[441] რაც შესაბამის, გონივრულ გამოსასყიდს გულისხმობს. ბერძნული სამართლითაც, თუ ქრისტიანი ტყვე გათავისუფლდებოდა ტყვეობისგან და მას სხვა ქრისტიანები ხელმეორედ დაატყვევებდნენ, ის ისე უნდა ემსახურათ როგორც ნასყიდი ტყვე.[442] ნასყიდი ტყვე კი გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა გათავისულებულიყო. მაგალითად, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიით, თათრის ხელიდან გამოსყიდული ტყვე შემძენს მხოლოდ სამი წლით უნდა ემსახურა

---

[438] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ქართული ვერსია, *ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 319.

[439] ივ. სურგულაძის განმარტებით, გლეხების კატეგორიაში ნასყიდი ყმა ყველაზე უუფლებოა და მასზე უფლებრივად დაბლა მხოლოდ ტყვე, ანუ მონა დგას. *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 269.

[440] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 545.

[441] იქვე.

[442] სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 40.

და შემდეგ გაეთავისუფლებინა. უფრო მეტი ხნით დაყოვნებისას, ის უსჯულოდ და ურწმუნოდ ცხადდებოდა.[443]

გარდა დატყვევებულ ქალზე დაქორწინების შემთხვევისა, წყაროებში არ ჩანს, აიძულებდნენ თუ არა არაქრისტიან ტყვეებს სარწმუნოების შეცვლას. ივ. ჯავახიშვილის მართებული მოსაზრებით, ქართველები მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების დაპყრობის დროსაც კი არ ებრძოდნენ მათ სარწმუნოებას და დანებებულ მტერს ჰუმანურად მოპყრობოდნენ.[444] მისივე თქმით, ქართველები რომ მაჰმადიანებს სარწმუნოებრივ ნიადაგზე დაპირისპირებოდნენ, შარვანშაჰი და მისი ქვეშევრდომები, სავარაუდოდ, საქართველოს საიმედო მოკავშირეები არ იქნებოდნენ.[445]

დავით ბატონიშვილის სამართალი ნასყიდ კაცსა და ტყვეს შორის ტოლობას სვამს და ორივე მოუდევარ საკუთრებად მიაჩნია:

> *უკეთუ კაცმან ნასყიდი ანუ ტყვენÁ ანდერძითა ანუ უანდერძოთ განათავისუფლოს, მაშინ ნურა რომელი შვილთაგანი, გინა ნათესავთაგანი იკადრებს დაპატრონებად მისა, მით რომე ყოველთა აქუს ნებაÁ მოპოვებულისა თÂსისა ეგრეთ ყოფად, ვითარ ნებავს თÂთ.*[446]

როგორც დავითის სამართლის ამ ნორმიდან იკვეთება, ნადავლის იურიდიული რეჟიმი დროთა განმავლობაში საერთოდ არ შეცვლილა. XVIII საუკუნის ბოლოსაც ლაშქრობაში მოპოვებული ნადავლი ტყვის სახით იმგვარ პირად მონაგებად ითვლება, რომლის მესაკუთრის მხრიდან გათავისუფლებისას პრეტენზიას ვერც შვილები და ვერც სხვა, მის ქონებაზე უფლებამოსილი პირები ვერ წამოაყენებდნენ.

ტყვეს, განსაკუთრებით ქრისტიანს, როგორც ნაშოვარს, კანონი იცავდა მათი მკვლელობისთვის სასჯელის დაწესებით. დავით ბაგრატიონის 76-ე მუხლი ამ დანაშაულის ჩამდენ მოხელეს პატივის მოკლებასა და ჯარიმას უწესებს, ასევე საეკლესიო კანონებით განკანონებას, გლეხები და ჯარისკაცები წკეპლის დარტყმით ისჯებოდნენ.[447]

ბ. ზოიძის მართებული მოსაზრებით, ტყვე არ მიიჩნევა საკუთრების ობიექტად, მას გარკვეული უფლებებიც აქვს, მაგრამ თუ მას „ტყვეობა მონად არ აქცევს,

---

[443] იქვე.
[444] *ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, მეცნიერება, თბ., 1983, 273.
[445] იქვე,, 274.
[446] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 28.
[447] იქვე, 48.

თავისუფლებას მაინც აკარგვინებს“.[448] მართალია, ტყვე სამხედრო ნადავლის ობიექტია, მაგრამ ძველი ქართული სამართლის მიერ შემუშავებული მიდგომით, ტყვე განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება, მას შეუძლია თავი გამოიხსნას, რის შემდეგაც ის ტყვეობას აღარ ექვემდებარება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ეხება მტრის დატყვევებულ მეომარს, ყურადღებას მიიქცია ტერმინმა „ტყუის მპარავი“. ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილ ზერდგინისძისადმი გაცემულ ორ (1425 და 1429 წწ.) წყალობის სიგელში, მეფის კარის მოხელეთა შორის, იხსენიება „ტყუის მპარავები“.[449] რადგან ის პურისა და საკლავის მკრებელთა, მეულაყეთა, მემეძებრეთა (მეძებართა) და ა.შ. შორისაა დასახელებული, დასაშვებია, რომ მისი მოვალეობა დატყვევებულთა გამოხსნა იყო და არა მათი დატყვევება. მეტი ინფორმაციის მოძიება ამ საკითხზე ვერ მოხერხდა.

2.5.2. ბრძოლაში დატყვევებულთა ერთობლივად გათავისუფლება

საისტორიო წყაროებში გვხვდება ცნობები ტყვეთა მასობრივი შეწყალების აქტების შესახებ, რის საფუძველზეც ხდებოდა ტყვეების გათავისუფლება და, შესაბამისად, მათზე საკუთრების უფლების შეწყვეტა. ამ მხრივ საინტერესოა თამარის ისტორიკოსისა და ერისთავთა მემატიანეს მიერ აღწერილი შემთხვევები, რომლებიც გაკვრით ეხებიან ტყვეთა შეწყალების მიზეზებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის გადმოცემით, თამარისა და დავით-სოსლანის პირველი შვილის დაბადებამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია. უფლისწულის შეძენის გამო ბევრმა ქვეყანამ გამოაგზავნა „ნიჭნი და განძნი კმა-საყოფელნი“.[450] სამეფო ოჯახმა კი თამარის „პირველი დარჩომა“ და „აღმოშობა ძისა გორგასლიანისა“, წყალობათა ხელგაშლილად გაცემით აღნიშნა. თამარის ისტორიკოსი არ იშურებს მათ საქებარ სიტყვებს და, პირველ რიგში, ტყვეთა გათავისუფლებას ახსენებს:

> *იხარებდეს, იშუებდეს, იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწუთროსასა, განმათავისუფლებელნი ტყუეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწვირვებელნი*

---

[448] *ზოიძე ბ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 20.

[449] წყალობის სიგელი *ალექსანდრე მეფისა* ავთანდილ ზერდგინისძისადმი [1425 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 118.

[450] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 429.

ღმრთისანი და მიმცემელნი ეკლესიათანი, მწირვებელნი მღდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლახაკთანი, ერთბამად მადიდებელნი ღმრთისანი, მწყალობელნი ეპისკოპოზთანი და შÂდისავე სამეფოსა სპათანი.[451]

საქართველოს ლაშქარმაც, როგორც ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს, ეს მოვლენა „თავისებურად“, ბარდავზე გალაშქრებით აღნიშნა. ქალაქის აღებისას მათ მრავალი ტყვე და აურაცხელი საუნჯე იგდეს ხელთ, საქართველოში დაბრუნებულებმა კი „ათავისუფლეს სამზევრობა ტყუეთა დღეგრძელობისათÂის თამარისა და ძისა მისისა“.[452] ივ. ჯავახიშვილი ეხება ამ საკითხის და აღნიშნავს, რომ ოცდაათი ათასი ტყვის გათავისუფლება დიდი სიკეთეა, მაგრამ ქართველთა ამგვარი აგრესიული შეჭრები მეზობელ ქვეყნებში არასწორი იყო და ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის ურთიერთობას ართულებდა.[453]

მართლაც, ამ ლაშქრობის აღწერა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო მხოლოდ ალაფობისთვის და არა ომის აუცილებლობისთვის. ტყვეების საქართველოში ჩამოყვანა, მათი იძულება ელოცათ საქართველოს მეფის სიცოცხლისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ გათავისუფლება, უფრო დამამცირებელ ელფერს ატარებს, ვიდრე გულმოწყალების. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ტყვეთა გათავისუფლება, ჯერ სამეფო ოჯახის და შემდგომ უკვე მხედრობის სარდლობის მხრიდან, მეფის ტახტის მემკვდრის დაბადებას უკავშირდება.

„ძეგლი ერისთავთაშიც“ აღწერილია ტყვეების უსასყიდლოდ, ერთობლივად გათავისუფლების ორი შემთხვევა. პირველ შემთხვევაში, გორის ოსებისგან გასათავისუფლებლად წარმოებულ ომში, გიორგი V-ის მიერ ქსნის საერისთავოს მოლაშქრეების შექებამ არაგველები ისე გააბრაზა, რომ მათ ქსნელები ლომისის მთაზე ომში გამოიწვიეს. დავით უფლისწული შეეცადა თავიდან აეცილებინა მათ შორის სისხლისღვრა. მან ლომისას მყოფი ორივე საერისთაოს ლაშქარს ლომისას ხატი

---

[451] იქვე.

[452] *სტეფნაძე, ჯ.,* საქართველო XII ს და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, მეცნიერება, თბ., 1985, 134; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 430.

[453] *ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, მეცნიერება, თბ., 1983, 273. ეს საკითხი, როგორც ჩანს, გვიან ფეოდალურ ქართლ-კახეთშიც მსჯელობის საგანი იყო. იოანე ბაგრატიონი გარეშე მეზობლებთან პოლიტიკით მოქცევის შესახებ თავში წერს, რომ ახლო მეზობლებთან, ხანებთან და ფაშებთან, საჭირო იყო ყოველთვის „ალერსით“ მოქცევა – თავდასხმითა და ძარცვით, ვაჭრების შეწუხებით მათ არ უნდა „ვამიზეზებდეთ“ ჩვენზე სამტროდო; *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 50-51.

დაუსვენა და შეევედრა შერიგებულიყვნენ, თუმცა უშედეგოდ. ვირშელ ქსნის ერისთავის ბრძანებით, გაქცეული არაგველები დაატყვევეს. ლომისას მობრუნებულმა ერისთავმა სალოცავს „არამცირედი“ შესწირა და ყველა ტყვე გაათავისუფლა.[454] მეორე შემთხვევა ვირშელ II-ეს უკავშირდება. მან დვალეთისა და თრუსოს დალაშქვრისას დიდი რაოდენობით ტყვეებიც წაასხა. გამარჯვებული ერისთავი ხადას ველზე დადგა და ნადიმი გადაიხადა, შემდეგ გადავიდა ლომისას, ლაშქარი დაითხოვა და ლომისის წმინდა გიორგის შესწირა ძღვენი, ასევე, „ტყუენი ყოველნი მოწამესა აპატივნა“ და გაათავისუფლა.[455] ვ. ქენქაძის მოსაზრებით, საქართველოს მთიანეთში მთა და მთის მწვერვალები წარმართულ და ქრისტიანულ პერიოდშიც განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა. რელიგიური წარმოდგენებით, მთა ზეცისა და მიწის შემაერთებელი ცხოვრების ხეა, კიბეა. ლომისის მთაზე აგებული სალოცავის განსაკუთრებული მნიშვნელობა და გავლენა აქედან უნდა მომდინარეობდეს. ის ითვლებოდა წმინდა გიორგის მახვილად და ქრისტიანთა მტრების შემმუსვრელად, ქსნისა და არაგვის საერისთავოთა ლაშქრის შეკრებაც აქ ხდებოდა.[456]

ერისთავთა მემატიანეს მიერ აღწერილი ეს ორი შემთხვევა აჩვენებს, რომ ტყვეების გათავისუფლების საფუძველი ლომისის წმინდა გიორგის სალოცავისადმი გამოხატული პატივისცემაა. ამასთან, ერისთავთა მიერ ტყვეების გათავისუფლება თავისი მოლაშქრეებისთვის თანხმობის უკითხავად, ნიშნავს, რომ ბრძოლაში მონაწილე ჯარის სარდალი მათი ერთპიროვნული მესაკუთრეა და თავად განსაზღვრავს მათ ბედს.

ბ. ნიჟარაძე ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით დაწვრილებით აღწერს ტყვეებთან დაკავშირებულ სვანურ წეს-ჩვეულებებს. მისი გადმოცემით, ერთი საზოგადოების წევრთა შორის დატყვევება მძიმე დანაშაულია და მიუღებელ საქციელად ითვლებოდა, ტყვედ აყვანა მხოლოდ მტრის შეიძლებოდა, სხვა საზოგადოებაში ან ქვეყანაში მცხოვრების.[457] ტყვეობა არც სხვადასხვა საზოგადოების წევრთა შორის ყოფილა მოსაწონი, რადგან სვანური ადათი უფლებას აძლევდა იმ

---

[454] ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 109.

[455] იქვე, 112-114.

[456] *ქენქაძე ვ.,* ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი, პოლიგრაფ თბილისი, თბ, 2002, 14-15.

[457] *ნიჟარაძე ბ.*, თავისუფალი სვანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, 120.

კუთხის წარმომადგენლებს, რომლის ტერიტორიაზეც დამტყვევებელი ტყვეს გაატარებდა, გამოეხსნათ ეს ტყვე და სახლშიც წაეყვანათ; დამტყვევებელს შეწინააღმდეგების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.[458]

თავისუფალი სვანები დატყვევებულ მტერს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ მანამ, სანამ გამოსასყიდის მიღების მოლოდინი ჰქონდათ. როგორც ეთნოგრაფი წერს: „მტრის ხელში ჩავარდნის შემდეგ ტყვე ხელუხლებელი იყო, ე.ი. ცემა და სხვა ნაირი მისი წვალება არ შეიძლებოდა. დამტყვევებელი მოვალეა კარგი, მუდამ სახსნილო ხარჯი მისცეს ტყვეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დამტყვევებლის ოჯახი, თემი, სოფელი, საზოგადოება დაიმსახურებს ქვეყნის აუგს, სირცხვილს“.[459]

ტყვეს იმის უფლება აქვს, რაც ადგილობრივებისთვის დანაშაულია: შეუძლია დაიჭიროს და თავისთვის დაიკლას ნებისმიერი კუთვნილი „ქათამი, გოჭი, ბატკანი, კრავი“; ასეთი „ნანადირევით“ ტყვეს შეუძლია სხვებსაც გაუმასპინძლდეს და დამტყვევებელი ვერ აუკრძალავს.[460] ტყვე ამგვარი უფლებებით სარგებლობს მანამდე, სანამ ტყვის ოჯახიდან არ შეიტყობს აპირებენ თუ არა მის გამოხსნას. უარის შემთხვევაში თავისუფალი პატიმრობის ფორმა პატიმრობის ერთ-ერთი სახით: ტყვეს ფეხებზე ან რკინის ბორკილებს დაადებდნენ, ან ცალ ფეხში ხის ხუნდს გაუკეთებდნენ, ან კიდევ დილეგში დაამწყვდევდნენ; ხუნდს ხის ბოქლომი ჰქონდა, რომლის გასაღებს ტყვის პატრონი საგულდაგულოდ ინახავდა.[461] თუმცა ტყვეს იშვიათად ათავსებდნენ დილეგში, რადგან ტყვის გულშემატკივრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის ტყვეობიდან გამოსახსნელად.[462]

2.5.3. ტყვეების ნასყიდობასთან დაკავშირებული გადასახადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველი ქართული სამართალი, ომში დანარჩუნებულ ტყვეს ზოგჯერ უფლებრივად ნასყიდ ტყვეს უთანაბრებდა, ამიტომ ტყვის

[458] იქვე.
[459] *ნიჟარაძე ბ.*, თავისუფალი სვანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, 121.
[460] იქვე.
[461] იქვე.
[462] იქვე, 122.

ნასყიდობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების გამოკვლევა მნიშვნელოვანია ტყვეთა სამართლებრივი მდგომარეობის გამოსარკვევად.

ტყვის სყიდვა ამიერკავკასიაში უძველესი დროიდანვე არსებობდა როგორც „სამეურნეო პრაქტიკის“ შემადგენელი ნაწილი.[463] მესაკუთრეს უფლება ჰქონდა თავისუფლად გაეყიდა ტყვე, როგორც მისი პირადი საკუთრება. ამასთან, გარიგების მონაწილენი ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ მოსაკრებლები, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია დატყვევებულისა და შემძენის სადაურობაზე, გარიგების დადებისა და დატყვევების ადგილზე – საქართველოში იყო პირი ტყვედ აყვანილი თუ მის ფარგლებს გარეთ.

დასტურლამალში, ზარაფხანისა და ქალაქის გამოსაღებთა შორის, ჩილიქის ბაჟის[464] ჩამონათვალში, ტყვის გაყიდვისთვის დაწესებულია ორი, მყიდველისა და გამყიდველის გადასახადი.[465] საქართველოში მცხოვრები „თათრის“ ან ქართველის მიერ, მთაზე ან ყაიყულში ურუმის მიერ მიყვანილი ტყვის შემენისას, მყიდველს ერთი მინალთუნი და ერთი აბაზი უნდა გადაეხადა თითოეულ ტყვეზე.[466]

თუ მთაზე ადგილობრივი “თათარი“ ან ქართველი აიყვანდა ტყვეს და გაჰყიდდა, მაშინ გადასახადი გამყიდველილსთვის ორმაგდებოდა და ექვს მინალთუნსა და ორ აბაზს შეადგენდა.[467] ტყვის შემძენი გადასახადისგან თავისუფლდებოდა.

დასტურლამალში ცალკეა გამოყოფილი ტყვის ბაჟის შესახებ დადგენილებები. ქალაქის, გორის, ალისა თუ სხვა ადგილების მებაჟე ერთი – მეფის იჯარადარი იყო.[468] მის გარდა ტყვის გაყიდვისთვის დაწესებული ბაჟის აღების ორგანიზება არავის შეეძლო.

XVI-XVIII სს. დასავლეთ საქართველოში „ტყვის სყიდვის“ მასშტაბიდან გამომდინარე, ტყვეების ფასი უფრო დაბალი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომ ტყვეებით მოვაჭრეები ტყვეებს იმერეთშიც ყიდულობდნენ

---

[463] *ფუტკარაძე ი.*, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1964, 96.

[464] ბაჟს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა - ნიშნავდა სახელმწიფოში საქონლის შემოტანისა და გატანის გადასახადს და, ასევე, საქონლის დამზადების გადასახადს. ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ*, საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 780.

[465] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 285.

[466] იქვე.

[467] იქვე.

[468] იქვე, 286.

და აღმოსავლეთ საქართველოში ჰყიდნენ. დასტურლამალში ასეთი ტყვეებით ვაჭრობისთვის ცალკე ბაჟია დაწესებული – ქართველი, თათარი, სომეხი თუ სხვა რჯულის კაცი ტყვის სყიდვისთვის სამ მინალთუნს იხდიდა „საბატონოდ“.[469] იმერეთიდან გადმოყვანილ ტყვეზე ნასყიდობის გარიგების დადებისთვის სამ-სამ მინალთუნს ორივე იხდიდა, შემძენიც და გამყიდველიც.[470] ტყვის მებაჟისგან აკრეფილ გადასახადს ჩილინგის მებაჟე აკრეფდა.[471]

ტყვეებით ვაჭრობა აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან შემცირებულა, რაზეც მიუთითებს 1712 წლის რუსუდან დედოფლის წიგნი. დედოფალი კათალიკოზ დომენტის აცნობებს სამეფოს ზოგიერთ ადგილზე შემჩნეული ტყვის სყიდვის შემთხვევებზე და სთხოვს ყველა ღონე იხმაროს ამ დანაშაულის აღსაკვეთად.[472] თარიღის ქვეშ რუსუდანს ჩაუმატებია ბრძანება იმერელის მიერ ქართლში გადმოყვანილი ტყვეების შესახებ: იმერელის მოყვანილი ტყვე საქართველოს კაცს მხოლოდ მოსამსახურედ უნდა დაეხსნა, გასაყიდად ტყვის შეძენა იკრძალებოდა.[473] 1758 წლის შემდგომი პერიოდის საბუთებში აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთიდან გადმოყვანილი ტყვეების ბაჟი აღარ ჩანს.[474]

სვანეთში ტყვეებს ნივთიერი გამოსასყიდით ათავისულებდნენ, თუმცა ხშირი ყოფილა შემთხვევები, რომ „უსახსროთ“ გაუთავისუფლებიათ. გამოსასყიდის გარეშე გათავისუფლებას მაშინ მიმართავდნენ, როცა მტერს შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს უხდიდდნენ,[475] ამ ქმედებას გარკვეული დამამცირებელი ხასიათი ჰქონდა.

გამოსხსნელად ტყვის წარმომადგენელი ხვდებოდა დამტყვევებელს და მერე მისი საზოგადოების მახვშს, გაიგებდა „რამდენი სახსარი უნდა გადახდენოდა ტყვის ჭირისუფალს“; შემდეგი ეტაპი დამტყვევებლის რამდენიმე კაცთან ერთად ტყვის

---

[469] იქვე.
[470] იქვე.
[471] იქვე.
[472] წიგნი *რუსუდან* დედოფლისა კათალიკოზ დომენტისადმი ტყვის-სყიდვის აკრძალვაზე [1712], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 332.
[473] იქვე, 333.
[474] XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთიდან გადმოყვანილი ადილობრივი ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას ხელი შეუწყო იმერეთის მეფე სოლომონ I ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის 1758 წელს გორში დადებულმა ურთიერთახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულებამ. თაბუაშვილი ა., ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, კოლორი, თბ., 2020, 217.
[475] *ნიჟარაძე ბ.*, თავისუფალი სვანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, 122.

გამომსყიდველთან მისვლაა გამოსასყიდის მისაღებად. რამდენი კაციც დამტყვევებელს გაჰყვებოდა, იმდენ მძევალს აგზავნიდა ტყვის მხარე დამტყვევებელთან ერთად.[476]

სვანური ჩვეულებითი სამართლით, ტყვედ ჩავარდნა სასირცხვილო საქმედ მიაჩნდათ და ღირსების აღდგენა მხოლოდ დამტყვევებლის მოკვლით შეიძლებოდა. ის ტყვე კი, რომელიც „ბორკილებ და ხუნდებ ნაყარი“ იყო, ღირსებააყრილად ითვლებოდა და მისი დაკრძალვა ნაკურთხ მიწაზე იკრძალებოდა.[477]

2.6. დროშა როგორც სამხედრო ნადავლის განსაკუთრებული ობიექტი

საბრძოლო მოქმედებების დროს, უპირველეს ამოცანას, მტრის დროშების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ ომის მოგება იდეოლოგიურ ხასიათსაც ატარებდა. სარდლები მოლაშქრეებს ბრძანებას აძლევდნენ, შეტევისას უსწრაფესად „ეხეთქნათ“ დროშის მქონებლისთვის, რაც მოწინააღმდეგის დაბნევასა და მტრის ბანაკის დაცემას გააიოლებდა. დამარცხებული მტრის დროშაზე, როგორც ძვირფას ნადავლზე, საკუთრების უფლება მეფეს ეკუთვნოდა და მათი გადაცემაც საზეიმოდ ხდებოდა.

ქრისტეს სახელით მებრძოლი მეფეები ამ დროშებს ზოგჯერ მონასტერსაც სწირავდნენ. მაგალითად, თამარ მეფემ შამქორის ბრძოლაში შალვა ახალციხელის მიერ მოპოვებული ხალიფას დროშა შესწირა ხახულის ღვთისმშობლის ხატს გელათის მონასტერში ისევე, როგორც მისმა პაპის მამამ გააკეთა.[478] მსგავსად დავით აღმაშენებლისა, მან ხატს მიართვა იამბიკო:

> შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
> ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა შევრთე,
> ცრუსჯულთა მოძღურისა ღაზოოდ მძღუანი.[479]

ლექსში მეფე ხაზს უსვამს, რომ მან, ქვეყნის მფლობელმა ხატს ხალიფას დროშა მიართვა როგორც ომის ნადავლი და დიდი პაპის ძველ იავარს შეჰმატა.

---

[476] იქვე.
[477] იქვე.
[478] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 444.
[479] იქვე, 445.

თავის მხრივ, საქართველოს ლაშქარიც უფრთხილდებოდა მათი დროშების მტრის ხელში ჩავარდნას. დავით ბაგრატიონის სამართალში, დროშისა და ზარბაზნის დაკარგვა ერთმანეთთანაა გაიგივებული და სარდალი თუ ორგულობით დაჰკარგავდა მათ, თავის მოკვეთით ისჯებოდა; ქრთამის აღების გამო თუ გადასცემდა – სამსახურიდან განდევნა, ერისგან გაკიცხვა, განდევნა იყო ამ სირცხვილის თანასწორი სასჯელი.[480]

2.7. სამხედრო ნადავლზე წარმოშობლი დავების გადაწყვეტა

ძველი ქართული სამართლის ძეგლები არეგულირებენ როგორც ბრძოლის დროს ნაალაფარ ნივთებზე, ასევე ტყვედ ჩავარდნილ პირებთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს. ასეთი შეცილება, უმეტესად, ადგილზევე წამოიჭრებოდა და იქვე ირჩეოდა.

აღბუღას სამართლის 91-ე მუხლით გათვალისწინებულია საკუთრების უფლების მოპოვება ტყვეზე, მის ცხენსა და აბჯარზე. დასახელებული მუხლით დადგენილია მეომრის მიერ საკუთარ ნადავლზე უფლების მოპოვებისას წარმოშობილი დავის ფიცით გადაწყვეტის მექანიზმი:

> *„თუ ომსა შიგან Ã ელთა დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდნენ, რასაცა აბჯარსა ზედა რომლისა ნაკრავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს. ასრე რომე იგი დარჩომილი კაციცა გაიკითხონ ფიცითა; მანცა როგორცა უმოწმოს, სხვა იყოს, - მეორესა კაცსა მართებს უცილოდ“.*[481]

შეცილება ფიცით მაშინ გადაწყდებოდა, თუ „ნაკრავის“ გასინჯვით უფლების სუბიექტი ვერ დადგინდებოდა. ფიცი კი ტყვეს ეკისრებოდა და ვის სასარგებლო ჩვენებასაც მისცემდა, ქონებასაც ის მეომარი დაისაკუთრებდა. ფიცით გამტყუნებული ვალდებული იყო დაებრუნებინა ნივთები და ტყვე.

ვახტანგის სამართლის 254-ე მუხლის ნორმით, თუ მოლაშქრე ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეს იარაღს ჰკრავდა და დაჭრიდა, მაგრამ მის დატყვევებაზე არ იზრუნებდა, ტყვე ნებისმიერ მსურველს შეეძლო წაეყვანა.[482]

მართალია, ომში დანარჩუნებულ ტყვეზე შეცილება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, თუმცა ვახტანგის სამართალი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა დავა

---

[480] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 32.

[481] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 460-461.

[482] იქვე, 545.

კანონმდებელს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. 254-ე მუხლის ერთ-ერთი ნორმა ტყვის დასაკუთრების ასეთ შემთხვევასაც აღწერს:

> *„დარჩენაშიაც ეს ურევია, რომ თუ სხვის კაცისაგან ან ჩამოგდებული არის ან დაკოდილი, თუ კაცმან შემოიძახოს, რომე, მამეÃმარეო ან ჩემგან ჩამოვარდნილი ან დაკოდილი არიო, თუ დაირჩინა, დაანებე, - მამაცობა არ გაიყიდება“.*

როგორც მოყვანილი ნორმა აჩვენებს, თუ მეომარი ტყვეს დაჭრიდა ან ცხენიდან ჩამოაგდებდა და სხვას თხოვდა დახმარებას, ის კიდევ იტყოდა, ჩემგან ჩამოგდებულია ან დაჭრილიო და ტყვეს თავისთვის დაიტოვებდა, ტყვე უნდა დაენებებინა, რადგან, როგორც კანონმდებელი აღნიშნავს, „მამაცობა არ გაიყიდება“.[483] სავარაუდოდ, აქ მხოლოდ ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როდესაც მტრის მეომრის ჩამოგდების ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავს. განსხვავებით აღბუღას სამართლისგან, ვახტანგის სამართლის წიგნი სიმართლის დასადგენად ფიცით თავის მართლებას კი არ ითხოვს მხარეებისგან, არამედ ტყვედ ჩავარდნილის დათმობას.

თუ ტყვეს სხვა დაინარჩუნებდა და არა მისი დამჭრელი პირი და ამ ფაქტს მოწმე ეყოლებოდა, ტყვეზე შეცილებისას დავა მოწმის ჩვენების საფუძველზე წყდებოდა. მოწმეს ამაში გასამრჯელო – დავის მომგების ყველაზე უკეთესი იარაღი ერგებოდა.[484]

განხილული მუხლები აჩვენებს, რომ ტყვეზე დავა იმგვარად წყდება, თითქოს ის მტრის ნივთია, მისი დაუფლება კი მასზე პირველად საკუთრების უფლებას წარმოშობს. როგორც ბ. ზოიძე შენიშნავს, 254-ე მუხლი „მტრის დაუფლებაზე ისე მსჯელობს, ვითომც აქ საქმე ეხებოდეს მონადირეთა დავას ნანადირევის კუთვნილებაზედ“.[485]

2.8. ზოგიერთი სახის ნადავლის აღების შეზღუდვა ან აკრძალვა

მიუხედავად იმისა, რომ დამარცხებული მტრის ქონება უპატრონო ქონებად ითვლებოდა და ნადავლის აღებაზე შეზღუდვები თითქმის არ იყო დაწესებული, კანონისა თუ ზოგჯერ ჯარის სარდლობის მოთხოვნით კონკრეტული აკრძალვები და დათქმები მოქმედებდა. ეს აკრძალვები უფრო მორალური ხასიათისაა. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის კანონიკური ნაწილი საეკლესიო სასჯელებს

---

[483] იქვე, 545.

[484] იქვე.

[485] *ზოიძე ბ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 20.

უწესებს მათ, ვინც მოკლულ მტერს აბჯრის გარდა ტანსაცმელს ან „ნიფხავ-პერანგს“ გახდის.[486] იგივეს იმეორებს ვახტანგის სამართალიც: „მოკლულს კაცს არასგზით ნიფხავი და პერანგი არ გაეცარცვების და ნურცა ვინ ცელს მიყოფს, თვარა კანონი აქვს. და თუ ვინმე იკადროს ამისი ქნა, მათი უფროსი ნუ აქნევინებს.“[487] მოკლული მტრისადმი პატივისცემით მოპყრობის მაგალითები ქართულ ფოლკლორშიცაა შემონახული. ხალხური ტრადიციები დაუშვებლად მიიჩნევდა მოკლული მტრის გაშიშვლებას, მის დასახიჩრებასა და დაუმარხავად დატოვებას.[488] გამონაკლისს წარმოადგენდა ხევსურეთში არსებული მტრისთვის ხელის მტევნის მოკვეთის ტრადიცია, რაც რელიგიური წარმოდგენებით იყო განპირობებული და არა მტრის მიმართ შეურაცხყოფის გამოხატვით.[489]

ლაშქრის მიერ მტრის ციხის ან ქალაქის აღებისას, ხელი არ უნდა ეხლოთ ქალაქის მებატონის, მისი ცოლ-შვილისა და ქონებისთვის.[490]

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორის გადმოცემით, შალვა ერისთავმა მაღაროზე თავდასხმისას გაიმარჯვა, მაგრამ ლაშქარმა ალაფი არ აიღო გარდა აბჯრებისა. ასეთი შეზღუდვა მხოლოდ სარდლის ბრძანებით დაწესდებოდა. როგორც ჩანს, ქსნის ერისთავმა დაინდო მაღაროს მოსახლეობა, რადგან ეს მაინც შინაური მტრობა იყო და მხოლოდ აბჯრების აღება საკმარისად მიიჩნია. თუმცა, მას შემდეგ, რაც მაღაროს ლაშქარი უკან დაედევნა და ჩასაფრება მოუწყო თავდამსხმელებს, გამარჯვებულმა შალვა ერისთავმა უკვე აღარ შეიბრალა დამარცხებული მტერი, სრულად მოაოხრა მათი სამფლობელო და დიდი ალაფით უკან გაბრუნდა.[491]

ამგვარი აკრძალვები რელიგიური მოსაზრებებითაც წესდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ფშავის აღწერისას ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ვერც ხევსური და ვერც ფშაველი, ნაშოებ ოქროსა და ვერცხლს სათავისოდ ვერ გამოიყენებდა. ის

---

[486] *აღბულას* სამართალი, *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 471.

[487] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 526.

[488] *იოსელიანი, ხ.*, სამხედრო ეტიკეტის საკითხები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV, თბ., 2012, 20.

[489] იქვე.

[490] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 48.

[491] ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1965, 20.

უნდა შეეწირათ მეფე ლაშა-გიორგის მიერ აშენებული ეკლესიისთვის,[492] რომელსაც „ლაშას ჯუარი“ ეწოდებოდა.[493] ფშავ-ხევსური სათავისოდ ოქროს არ იყიდდა და, სავარაუდოდ, ეს აკრძალვა ომში ნაშოვნ ოქრო-ვერცხლს ეხებოდა. რადგან ფშაველების „ლაშარს“ მათ გარდა ხევსურები და თუშებიც ემორჩილებოდნენ[494], ეს წესი მათზეც გავრცელდებოდა.

2.9. ალაფი როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება

სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ლაშქრობისას აღებული ალაფის უკანონოდ მითვისება დანაშაულად ითვლებოდა. განსაკუთრებით მკაცრი იყო კანონი იმ შემთხვევაში, თუ მეფე თავად ახლდა ლაშქარს და მოლაშქრე ამ დროს დამალავდა ნადავლ ოქროს. მხითარ გოშის სამართლის 418-ე მუხლის თანახმად, სპეციალურად ხდებოდა მოლაშქრეების გაფრთხილება: ვისაც ოქრო ჰქონდა ნაშოვნი, მეფისთვის უნდა მიერთმია. თუ ვინმე დამალავდა და ამას შეიტყობდნენ, ერთისთვის შვიდმაგად აზღვევინებდნენ დამნაშავეს.[495]

2.9.1. ალაფზე დაფიცება

წყაროების ანალიზით იკვეთება, რომ შიდა თავდასხმების დროს, ალაფის კანონიერება დამოკიდებული იყო ლაშქრობის სამართლიანობასა და თავდასხმის საფუძველზე. უსაფუძვლო თავდასხმა დანაშაულად ითვლებოდა. მხარეებს თავი ფიცით უნდა ემართლებინათ.

---

[492] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი სოსო ჭანტურიშვილი, 1997, 165.

[493] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი სოსო ჭანტურიშვილი, 1997, 165. ფშავურ სალოცავს „ლაშარის ჯვარი“, ლაშარობა“ ჰქვია და ფშავებს ის თავიანთ მფარველ ხატად მიაჩნიათ. გავრცელებული მოსაზრებით, მათ შორის, ვახუშტის აზრითაც, ის წმინდა გიორგის სახელზე აუგია ლაშა-გიორგის და მისივე ხატი შეუწირავს ეკლესიისთვის. ნ. ხიზანაშვილის აზრით, ფშაველები ისეთ მეფეს, როგორიც ლაშა-გიორგი იყო, ასე არ გააღმერთებდნენ. მისი თქვით, ვახუშტი ცდება, როცა ამბობს, ფშავში აშენებულ ლაშარის ჯვარს ლაშას ჯვარს უწოდებენო. მეცნიერს მიაჩნია, რომ „ლაშარის ჯვარს“, ლაშარობას“, ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს „ლაშქრობის ჯვარს“, „ლაშქრობას“, „ლაშქრის ხატს“. ფშაველთათვის „ვაჟკაცობა, გმირობა, და ლაშქრობა“ ღვთიური საქმეა და ისინი აუცილებლად შექმნიდნენ სალოცავად საკუთარ „ლაშქრის ჯვარს“. შეად. *ნ. ხიზანაშვილი,* ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 103.

[494] *ნ. ხიზანაშვილი,* ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 104.

[495] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ქართული ვერსია, *ვახტანგ VI-ის* სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 386.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ბექას სამართლის 37-ე მუხლი. შინაარსობრივად ამ მუხლის პირველი წინადადება ესადაგება 36-ე მუხლის შემადგენლობას. ის ეხება პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილი თავდასხმისათვის და, სავარაუდოდ, ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ მომდევნო მუხლში ის შეცდომით შეიტანა. 37-ე მუხლის სხვა ნორმები ალაფის დაფიცების წესს განსაზღვრავს: „ფიციცა ალაფსა ლაშქართა მართებს, და თუ ორთავე სწორედ ერბიოს, თავისათვის დაიფიცონ ალაფი. თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა. და ფიცსა შიგა დასახელება და დაუსახელებლება მოფიცართა წესია“.[496]

ბექასა და აღბუღას სამართლის ეს ნორმები ამ სამართლის წიგნის უძველეს, 1672 წლის ხელნაწერში შემოკლებული რედაქციითაა წარმოდგენილი: „... და ალაფისა ფიცი – ლაშქართა მართებს. თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიციცა მძიმე უნდა. და ფიცსა შინა დასახელება უნდა“.[497] ვახტანგის კომისიის რედაქციით კი ეს მუხლი განვრცობილია. თუ 1672 წლის ხელნაწერი მხოლოდ დასახელებული მოფიცრის წარმოდგენის ვალდებულებას ადგენს, ვახტანგისეული რედაქციით მოდავეებს ეკისრებათ დასახელებული და დაუსახელებელი მოფიცრების წარმოდგენა. ასევე, აქვე ჩამატებულია ერთი წინადადება: „და თუ ორთავე სწორედ ერბიოს, თავისათვის დაიფიცონ ალაფი“. შესაძლოა, ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისია ბექას სამართლის მათ ხელთ არსებული სხვა ხელნაწერით სარგებლობდა. ამასთან, რაც უფრო დიდი იქნებოდა ნაალაფარი ქონების ოდენობა, ფიციც შესაბამისად მძიმე უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, მძიმე ფიცში კანონმდებელი გულისხმობს მეტი დასახელებული და დაუსახელებელი მოფიცრის წარმოდგენას მოდავეების მხრიდან. ის. დოლიძის მოსაზრებით, მხარეებს ამ ფიცით უნდა ემტკიცებინათ სადაო ქონების რაოდენობა.[498] ბექას სამართლის იმ მუხლებში, რომლებიც ნაძარცვი ქონების უკან დაბრუნებას ეხება, დაზარალებული, მართლაც, ვალდებულია ფიცით ამტკიცოს რა ოდენობის ქონება მიითვისეს მძარცველებმა. მაგალითად, ბექას სამართლის ბოლო, 65-ე მუხლით, ქარავანზე თავდასხმისას, კაცი იქნებოდა თუ ლაშქარი, ვალდებული იყო ალაფის ფიცით დამოწმებული ქონება უკლებლივ დაებრუნებინა.

---

[496] სამართალი *ბექსი* და *აღბუღასი, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 438.

[497] *ნადარეიშვილი გ.,* ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, 15.

[498] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 230.

თუმცა, 37-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების - ალაფზე დაფიცების მოთხოვნის მიზანი ალაფის ოდენობის დადგენა არ უნდა ყოფილიყო. ფიცის დაკისრების საფუძველს ნათლად განმარტავს კანონმდებელი, „ლაშქართა“ ალაფის „თავისთვის“ დაფიცება მართებთ მაშინ, „თუ ორთავე სწორედ ერბიოს“. ეს წინადადება, სავარაუდოდ, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ, როდესაც მოლაშქრე მხარეები თავს არ მიიჩნევენ დამნაშავედ, მხოლოდ მაშინ ეკისრება ორივე მხარეს ალაფზე დაფიცება. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ვახტანგის სამართლის წიგნის 176-ე მუხლი, რომლის თანახმად, ორბატონობასა და ორიანობაში ურთიერთ დალაშქვრა, მიხდომა, კაცის კვლა, რბევა და მოტაცება დანაშაულად არ ითვლება და „არც გამოიკიდების“. ამას კანონმდებელი ხსნის იმით, რომ მხარეები მტრები არიან და გაყოფილნი, რაც მათ ერთმანეთზე თავდასხმის უფლებას აძლევს. ამიტომ, ის. დოლიძის მოსაზრება, რომ 37-ე მუხლი ითვალისწინებს ალაფის რაოდენობაზე დაფიცებას, მცდარია.

ი. ფუტკარაძემ 176-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების უსანქციოდ დატოვება უკანონო მფლობელობის დაცვის ფაქტად ჩათვალა, რადგან სუსტი ხელისუფლების მხრიდან „არსებული მდგომარეობის ძირეულად გადასინჯვის ცდა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, რომლის აღკვეთა“ ქართლის მაშინდელ სამეფო ხელისუფლებას არ შეეძლო.[499] ეს მტკიცება ბ. ზოიძეს სათუოდ მიაჩნია, რადგან თავად „ორბატონობასა და ორიანობაში“ ურთიერთთავდასხმაში არ ჩანს, რომელი სავალდებულო ნორმის დარღვევით მოხდა ქონების დაუფლება. მკვლევარი უშვებს ვარაუდს, რომ აქ სახეზე უნდა იყოს ნარბევი, როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი.[500] თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, კანონი იცავდა ფაქტობრივ მფლობელობას, მისი წარმოშობის კანონიერების მიუხედავად.[501]

2.9.2. ალაფის შექცევა ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის

ალაფის დაფიცების განხილული წესი მიუთითებს, რომ ალაფი ზოგჯერ დანაშაულებრივი გზით მიღებულ ქონებას აღნიშნავს, რომელიც არ წარმოადგენს

---

[499] *ფუტკარაძე ი.*, ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 1979, 120.

[500] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 110.

[501] იქვე, 112.

საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერ გზას. ამგვარი მნიშვნელობა აქვს ალაფს ბექა-აღბუღას სამართალში და ძალით მიტაცებულ ნაჩაყაღარ ყოველგვარ ქონებას ნიშნავს.[502] 25-ე მუხლში, რომელიც სასაფლაოს გაძარცვისა და მორბევის დანაშაულს ეხება, ალაფი ნიშნავს ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ ნაძარცვ ქონებას. დამნაშავეს სისხლის ფასის გადახდის გარდა სრულად უნდა დაებრუნებინა ნაძარცვი: „რაცა ალაფი წაეღოს, აგრევე შეაქციოს“.[503] არ ჰქონდა მნიშვნელობა, ის უშუალოდ სამარხიდან იყო ამოღებული თუ მხოლოდ სასაფლაოს ზედაპირული მორბევით მიტაცებული.

„ალაფის შექცევას“ ბაგრატ კურაპალატის სამართლის 113-ე და 114-ე მუხლებიც ითვალისწინებს. ამ შემთხვევებშიც ალაფი წამოადგენს არა საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერ საშუალებას, არამედ ნაძარცვ, მეკობრეობით მიღებულ ქონებას. 113-ე მუხლით, თუ მეკობრეები ეკლესიას გატეხდნენ თავიანთი პატრონის დაუკითხავად და ამავე დროს, მას დასწამებენ, რომ იცოდა დანაშაულის შესახებ, მეკობრის პატრონი ვალდებული იყო თავი ოცდაოთხი კაცის ფიცით ემართლებინა. მეკობრეებს ალაფი უკლებლივ უნდა „შეექციათ“. ამ დანაშაულისთვის ნებისმიერი სასჯელის დადება იყო ნებადართული და მეკობრის პატრონი მის აღსრულებას ხელს ვერ შეუშლიდა.[504] ნებისმიერ სასჯელში, რა თქმა უნდა, სისხლის ფასის გადახდა არ იგულისხმება, რადგან ეკლესიის გატეხვა დიდ დანაშაულად ითვლებოდა და ქონებრივი საზღაურით მისი გამოსყიდვა დაუშვებელი იყო.

მომდევნო მუხლიც მსგავსი ხასიათის დანაშაულს ეხება. თუ მეკობრე პატრონის უკითხავად მის მტერს თავს დაესხმებოდა, ის თავის პატრონს დასასჯელად უნდა გადაეცა. ამავე დროს, პატრონი ვალდებული იყო თავისი უდანაშაულობა თორმეტი კაცის ფიცით ემტკიცებინა. იმ შემთხვევაში, თუ პატრონი მეკობრეს „არ მისცემდა“, მეკობრე ვალდებული იყო გადაეხადა ხუთი ათასი თეთრი და ალაფიც სრულად დაებრუნებინა.[505]

---

[502] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 229.

[503] *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 434.

[504] იქვე, 466.

[505] *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 466.

ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებით, ფეოდალური საქართველოს მოლაშქრეები ხშირად მეკობრეობნენ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით მეცნიერი ასკვნის, რომ აქ მეკობრე ვასალია და მას თავისი პატრონი ჰყავს, ის შეიარაღებული მხედარია – შეუძლია ეკლესია გატეხოს და ჯოგი წაასხას; ამასთან, ქონებრივად შეძლებულიცაა, ჯარიმად დიდ თანხას იხდის და გლეხებს ფლობს: ცხენის ჯოგის წამსხმელმა მეკობრემ დაზარალებულს 12 გლეხი უნდა მისცეს.[506] შემოთავაზებული არგუმენტები, ალაფის უკან დაბრუნების ვალდებულების გათვალისწინებით, ამტკიცებს მეცნიერის მოსაზრებას, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი დასახელებულ მუხლებში მეკობრედ მოლაშქრეს უნდა გულისხმობდეს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მეკობრეობა ყოველთვის დასაძრახი საქმე არ იყო და მისი მოპოვებული ნადავლიც კანონიერად ითვლებოდა. მაგალითად, როგორც ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, ხევსურებისთვის ერთმანეთისგან არ განასხვავებდნენ უბრალოდ მეკობრესა და მტერთან მოლაშქრეს; მათთვის ორივე თანასწორი და საქებარია, თუ ვაჟკაცობასა და სიმამაცეს გამოიჩენს.[507]

2.9.3. ალაფის უნახშიროდ შექცევა

ზოგ შემთხვევაში, კანონი ითხოვდა ალაფის „უნახშიროდ“ შექცევას. ამ მხრივ საინტერესოა ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნორმები. 122-ე მუხლით, „მონაზონთა, ხუცესთა და დიაკონთა“, ასევე მეომართა ძარცვისთვის სისხლის ფასი ორმაგი ოდენობით უნდა გადაეხადა დამნაშავეს. ამ მუხლს მოსდევს შემდეგი შინაარსის დადგენილება: „თუ გამოითრიოს და Ã ელად გაძარცვოს, სისხლის ნახევარი უზღოს და ალაფიცა შეაქციოს უნახშიროდ“ (მ. 123-ე),[508] ესე იგი, სისხლის გადახდასთან ერთად დამნაშავეს ნაძარცვი ქონება სანახშიროს გადახდის გარეშე უნდა დაებრუნებინა. ბუნდოვანია, ალაფის შექცევა უნახშიროდ რას უნდა გულისხმობდეს. სანახშირო როგორც გადასახადის სახე ძირითადად ცნობილია ქართული სასისხლო სიგელებიდან. ის. დოლიძის მტკიცებით, სანახშირო წარმოადგენდა სისხლის

---

[506] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 121.

[507] *ნ. ხიზანაშვილი,* ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 113.

[508] *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 467.

დაურვების საწინდარს, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელსაც დამნაშავე უხდიდა დაზარალებულს მათი დაზავების შემდეგ სრული სისხლის გადახდამდე.[509] ამავე მნიშვნელობითაა ის გამოყენებული ბაგრატ კურაპალატის 159-ე და 162-ე მუხლებშიც. ალაფის შექცევა კი დაზარალებულისთვის წართმეული ქონების სრულ, უკლებლივ უკან დაბრუნებას ნიშნავს და არა სისხლის დაურვებას. სავარაუდოდ, 123-ე მუხლში სიტყვა „უნახშიროდ“ მიემართება სისხლის ნახევრის ზღვევინებას და არა ალაფის შექცევას. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ამ დადგენილების შემდეგი ფორმულირებით ცხადი ხდება მის შინაარსსაც: „თუ გამოითრიოს და Ã ელად გაძარცვოს, სისხლის ნახევარი უზღოს უნახშიროდ და ალაფიცა შეაქციოს“. დასაშვებია, რომ მუხლი კანონმდებლის მიერ ასეც იყო ჩამოყალიბებული და შემდეგ გადამწერის შეცდომით მოხდა „უნახშიროს“ წინადადების ბოლოში გადატანა.

2.10. ომის დროს მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი

მიუხედავად იმისა, რომ ეს პარაგრაფი ნადავლზე საკუთრების უფლების შეძენის საკითხს უშუალოდ არ ეხება, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ საომარი პირობების დროს ქონებრივ ინტერესებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვა, რადგან ომის დროს მოქმედი კანონები, გარკვეულწილად, ნადავლის მოპოვებასა და მის ათვისებაზეც ახდენდნენ გავლენას.

2.10.1. სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დროებითი შეზღუდვა

ძველი ქართული სამართალი ცნობდა სხვისი მფლობელობიდან საკუთრების დაუყოვნებლივ გამოთხოვის უფლებას, რაც ვახტანგის სამართლით აღიარებულ ამ პრინციპსა თუ ფორმულაშიც ცალსახად ჩანს: როცა „კაცი თავის საქონელს იცნობს, შუა წყალში ჩაეჭიდებისო“.[510] ი. ფუტკარაძე ამ წინადადებას ადარებს რომაულ გამონათქვამს: Ubi rem meam invenio, ibi vindico, გულისხმობს, რომ „სადაც ჩემს ნივთს

[509] *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 635.
[510] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 520.

ვიპოვნი, იქ მოვახდენ ვინდიკაციას“.[511] მეცნიერის მოსაზრებით, ვახტანგის სამართლის ეს სიტყვებიც მესაკუთრის უფლებების დაცვას გულისხმობს, უკანონო მფლობელობიდან ნივთის მყისიერი გამოთხოვის უფლებას, ხოლო ტერმინი „ჩაჭიდება“ მას Vindico-ს, ანუ „მოთხოვნას ვუყენებ“ სწორ ტერმინად მიაჩნია.[512]

თუმცა, როგორც ვახტანგის სამართლის 158-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია მიანიშნებს, ძველი ქართული სამართალი ყოველთვის თანაბრად არ იცავდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის მყისიერად გამოთხოვის უფლებას.[513] თუ მეფე მტერზე ან ქვეყნის მოსარბევად ერთკვირიან ლაშქრობაში გაემგზავრებოდა და ამ დროს ერთი მეომარი სხვის ხელში თავის ნივთს იცნობდა, არ უნდა წაკიდებოდა, რადგან მესაკუთრის ცხენი იქნებოდა თუ აღჭურვილობა, მას ლაშქრობაში თავისი დანიშნულება ჰქონდა; ამ კაცის ცხენიდან ჩამოგდება ან იარაღის აყრა ერთი მეომრის დაკლებას ნიშნავდა და ასეთი შუღლი კიდევ ჯარიანობის დროს სიკეთეს არ მოიტანდა.[514] თუმცა, დავის დაწყების შეზღუდვა დროებით ღონისძიებას წარმოადგენდა. კანონმდებელი შემდავებელს ურჩევს, „მოწამე დაიჭიროს, ამ ცხენს, ამ იარაღს ვირჩითქო“ და ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ჯარის შინ დაბრუნდებოდა, მოსამართლისთვის მიემართ მხარეებს მოწმის თანხლებით და დავა იქ გადაეწყვიტათ.[515]

2.10.2. სალაშქრო ცხენისა და საომარი აღჭურვილობის ქურდობა

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლით, ლაშქრობის დროს ჩადენილი ქურდობა, ქალის გაძარცვისა და ცოლ-ქმრის საწოლ ოთახში ჩადენილი პარვის დანაშაულის თანასწორ, კვალიფიციური დანაშაულად ითვლება. როგორც სჯულმდებელი მეფე აღნიშნავს, „ქურდობა ყველა სწორე არ არის, მაგრამე ამ სამს ოთხს გარდაისად სწორედ“ მიიჩნევდნენ.[516] ლაშქრობისა და ბრძოლის დროს ჩადენილ ქურდობას კი ასე აფასებს: „ლაშქრობაში თუ ან ცხენი და ან იარაღი, ან ტანსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოჰპაროს, თავად დიდი სირცხვილია: ერთი ეს, რომე უმტროდ და

---

[511] *ფუტკარაძე ი.*, ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 1979, 128.
[512] იქვე.
[513] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 520.
[514] იქვე.
[515] იქვე, 521.
[516] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 519.

შეუბმელად, დაუნარჩომებლად, მუხთლად იარაღი აჰყრია, აუგი დასდებია; და მეორე ესე, თუ ომი მოჰÃდა, იმ ლაშქრობაში უიარაღობით მკუდარი შეიქმნების“ (მუხ. 152-ე).[517] იარაღის ჩუმად, შეუბრძლოლებლად, დაუმსახურებლად ართმევა სასირცხვილო საქმეა, რამაც შესძლოა მოლაშქრის სიკვდილიც გამოიწვიოს. კანონმდებელი ქურდობის ამ სახეებს ქურდობის სხვა შემთხვევებისგან ამორალურობის ხარისხით განასხვავებს. სამივე უფრო დასაძრახი ქმედებაა, ვიდრე სხვა ყველა დანარჩენი. თუ ქურდობის სხვა შემადგენლობებისთვის, ძირითადად, შვიდმაგი ზღვევინებაა დაწესებული, კვალიფიციური პარვის დანაშაულებისთვის დამატებით ნახევარის სისხლის გადახდევინებას ითვალისწინებს კანონი.[518] ბერძნული სამართალიც ლაშქარში ჩადენილ ქურდობას ასევე კვალიფიციურ პარვის დანაშაულად მიიჩნევს. თუ ვინმე ცხენს, ჯორს ან სხვა პირუტყვს მოიპარავდა, 316-ე მუხლით მას ხელის მოკვეთა შეეფარდებოდა.[519] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული სამართლის 323-ე მუხლი იძლევა ქურდობის განსაზღვრებას: ქურდად ის ითვლება, ვინც უიარაღოდ, მალვით მოიპარავს რამეს – მისი არც გახეიბრება, არც სიკვდილით დასჯა არ დაიშვებოდა. ლაშქრობაში საკიდარი თუ საბრძოლო პირუტყვის მოპარვა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ჩვეულებრივი ქურდობა. თუმცა იარაღის მოპარვა პირუტყვის ქურდობასთან შედარებით მცირე დანაშაულია და დამნაშავე მხოლოდ ცემით ისჯება (316-ე მუხ.). დავით ბატონიშვილის სამართლის 79-ე მუხლითაც, „ლაშქრით მომპარველი“ ქურდების მსგავსად უნდა გასამართლებულიყო.[520] თუმცა, ამავე სამართლის 127-ე მუხლით ლაშქრობაში მპარაობის ხელის მიმყოფი, ლაშქრიდან „უნაწილოდ“ გაძევდებოდა.[521] დავითის სამართლის წიგნის კიდევ ერთი, 91-ე მუხლს დართულ განმარტებაში კანონმდებელი იგივეს იმეორებს, რომ ნაშოვართა ძარცვისთვის ქურდს „მინახვეჭი“ უნდა ჩამორთმეოდა და მხედრობიდან წილის გარეშე გაეძევებინათ.[522] 91-ე და 127-ე მუხლები ერთი და იგივე დანაშაულისთვის

[517] იქვე.
[518] იქვე.
[519] სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 202.
[520] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 48.
[521] იქვე, 74.
[522] იქვე, 56.

სასჯელსაც ერთგვარს აწესებენ, თუმცა 79-ე მუხლი დამნაშავის გასამართლებას ქურდის მსგავსად ითხოვს, რაც სხვა სამართლის წიგნების გავლენით უნდა აიხსნას.

2.10.3. ომში მონაწილე მოლაშქრეთა ქონებრივი უფლებების დაცვა

ომში მყოფი პირებისთვის ანდერძის შედგენის გამარტივებული პირობები მოქმედებდა. ბრძოლაში მონაწილე ჯარს თან სასულიერო პირებიც ახლნენ, რომლებსაც რელიგიური წესების აღსრულების გარდა, ლაშქრობისას მძიმედ დაჭრილი მებრძოლებისგან ანდერძის მიღება ევალებოდათ. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიით, ზეპირი ან დაწერილი ანდერძის შედგენა შეიძლებოდა ორი ან სამი მოწმის თანდასწრებითაც; მათი მოწმეობა სარწმუნოდ მიიჩნეოდა, თუმცა მოსამართლეს მაინც კარგად უნდა გამოეკვლია მისი ნამდვილობა.[523] იოანე ბაგრატიონის პროექტი ითვალისწინებდა მხედრობასთან ერთად სასულიერო პირების თანხლებას, რომელთა ფუნქცია გარდა რელიგიური მსახურებისა, უნდა ყოფილიყო დაჭრილი და მომაკვდავი მოლაშქრეებისგან ანდერძის მიღება. იოანე ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ მომავალშიც აუცილებელი იყო დადგენილიყო „სამხედრო ჯარის მღვდელთა უფროსი“, რომელიც სამღვდლო საქმის კარგი მცოდნე იქნებოდა.[524] დავით ბატონიშვილის სამართლით, ჯარს ორი მღვდელი მაინც უნდა ხლებოდა.[525] ანდერძის შედგენის ასეთი პირობები აადვილებდა მოლაშქრის არა მხოლოდ ლაშქრობაში წასვლამდე არსებულ ქონებაზე მოანდერძის სურვილის გაცხადებას, არამედ ლაშქრობაში მოპოვებული ალაფის სამართლებრივ ბედსაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იქიდან გამომდინარე, რომ ტყვედ ჩავარდნილის შედგენილ ანდერძს უკვე ძალა არ ჰქონდა, ის არ დაიჯერებოდა.[526]

---

[523] სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 160.

[524] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 26-27.

[525] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა,* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 195.

[526] სამართალი ბერძნული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 160.

2.11. ლაშქრობასთან დაკავშირებული ტრადიციები

სალაშქრო საქმის წარმოების ხანგრძლივმა პერიოდმა და მისმა მნიშვნელობამ განაპირობა გარკვეული ჩვეულებებისა და შეხედულებების ჩამოყალიბება, რომლებიც უფრო მეტად თვალსაჩინოა მთის ყოფის მაგალითზე.

ნ. ხიზანაშვილმა შეისწავლა ფშავში, ხევსურეთსა და თუშეთში გავრცელებული სალაშქრო ტრადიციები. ფშაველებს „რჯულიან“ და „ურჯულო“ მტერთან ბრძოლა ხშირად ჰქონდათ, ხან თავად ესხმოდნენ თავს მეტრს, ხან მათზე ილაშქრებდნენ; ფშაველთათვის „ვაჟკაცობა, გმირობა, და ლაშქრობა“ ღვთიური საქმეა და ამიტომ მათ სალოცავად შექმნეს საკუთარი „ლაშქრის ჯვარი“.[527] ფშავურ სალოცავს „ლაშარის ჯვარი“, ლაშარობა“ ჰქვია და ფშავებს ის თავიანთ მფარველ ხატად მიაჩნიათ. გავრცელებული მოსაზრებით, მათ შორის, ვახუშტის აზრითაც, ამ ეკლესიას „ლაშას ჯვარი“ ერქვა, რადგან ის წმინდა გიორგის სახელზე აუგია ლაშა-გიორგის და მისივე ხატი შეუწირავს ეკლესიისთვის.[528] ვ. ბარდაველიძის ცნობითაც, სახლთუხუცესს პაუას ლაშარის ჯვრისთვის ზარი შეუწირავს ლაშა-გიორგის სულის მოსახსენიებლად და თავისი ცოდვების შესანდობლად.[529] თუმცა, ნ. ხიზანაშვილი მიიჩნევს, რომ ფშაველები ისეთ მეფეს, როგორიც ლაშა-გიორგი იყო, ასე არ გააღმერთებდნენ და ვახუშტი ცდება, როცა ამბობს, ფშავში აშენებულ ლაშარის ჯვარს „ლაშას ჯვარს“ უწოდებენო.[530] მეცნიერს მიაჩნია, რომ „ლაშარის ჯვარს“, „ლაშარობას“, ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს „ლაშქრობის ჯვარს“, „ლაშქრობას“, „ლაშქრის ხატს“.[531]

ლაშქრობის ხატი რამდენიმე ადგილზე იყო, მათ შორის უმთავრესია „გუდანის ჯვარი“, რომლის ბრძანებაზეცაა დამოკიდებული ლაშქრობად წასვლა:

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა, –

ბრძანებს გუდანის ჯვარიო;

---

[527] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 104. ნ. ხიზანაშვილის ვარაუდით, „ლაშქრის-ჯვრობა“ წარმართობის დროინდელი გადმონაშთი უნდა იყოს, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების დროიდან წმინდა გიორგის, გმირ ქრისტიან მოლაშქრეს ჩააბარეს.

[528] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი სოსო ჭანტურიშვილი, 1997, 165. შეად. *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 103.

[529] *ბარდაველიძე ვ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1, ფშავი, თბ., 1974, 36.

[530] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 103.

[531] იქვე.

ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა,

სიწმინდის ელვენ ცანიო![532]

ხალხური ლექსის ამ სტროფში, რომელიც ჩაწერილია არხოტში, ბადია ბალიაურისგან, აღწერილია მოლაშქრეების მიერ გაწმენდის რიტუალების შესრულება ბრძოლის წინ. სალაშქროდ წასვლამდე ფშაველები „ლაშარში“ ლოცულობდნენ და „ლაშქრის ჯვარს“ „სამხვეწროს“ მიართმევდნენ.[533] ხატზე „სამხვეწაროს“ მიტანის ჩვეულებას, ზოგადად, დანაშაულის მონანიებისას მიმართავდნენ,[534] მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა დატვირთვა ჰქონდა. როგორც ნ. ბარდაველიძე მოგვითხრობს, ლაშარობას „ლაშარის ჯვარის“ ყმებს მისი „საბრძანისის კარზე“ აჰყავდათ სამსხვერპლო ცხოველები: კურატები და ნაყოჩრები კისერზე შებმული საკადრისებით, ხოლო დანარჩენებს კი – ზანზალაკებით, რომლებსაც ხევისბერი შეწირვის შემდეგ ჩამოხსნიდა და იქვე ხეზე ჰკიდებდა.[535] ხევისბერის გარდა, მხოლოდ მონადირეებს ჰქონდათ უფლება ჩაეტარებინათ მსხვერპლთშეწირვის რიტუალი ირმისა და ჯიხვის რქებით.[536]

ითვლებოდა, რომ „სახვეწარის“ მირთმევის შემდეგ, მეომარი თუ მტერს ჩაუსაფრდებოდა და ტყვიას ესროდა, მტერი ვერ დაინახავდა, რადგან წმინდა გიორგის „ლაშქრის ჯვარი[537] შეეწეოდა.“ ზვარაკის „სამხვეწროდ“ შეწირვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთში საყოველთაოდ გავრცელებული ჩვეულება აჩვენებს, რომ ლაშქრობა ერთგვარი რელიგიური კულტიც იყო.

საერთოდ, სალოცავებისთვის ალაფის შეწირვაც მიღებული წესი ყოფილა. მ. კოვალევსკის ასეთი გადმოცემა მოჰყავს: ფშაველ გოჩაურს 200 კაციანი მტრის რაზმი დაუმარცხებია, მათი მეთაური თამაზხანი მოუკლავს და დიდძალი ალაფიც აუღია. გოჩაურისთვის მეფეს აზნაურის თუ თავადის წოდება მიუცია, მაგრამ მას უარი უთქვამს წოდების მიღებაზე და სანაცვლოდ ალაფის გადაცემა უთხოვია. მეფისგან

---

[532] ხევსურული სიმღერები, შეკრებილი *ნ. ურბნელის მიერ*, ივერია, №264, 1887.

[533] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 104.

[534] მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალში (ფშავი, მესხეთი, 1986), ქართული ჩვეულებითი სამართალი, I, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1988, 149.

[535] *ბარდაველიძე ნ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, მეცნიერება, თბ., 1974, 21.

[536] იქვე.

[537] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 106.

თანხმობის მიღების შემდეგ გოჩაურს ნადავლი ფშავის ეკლესიებისთვის შეუწირავს, მოკლული ბელადის მუზარადი კი ჩარგლის ეკლესიას ხვდა წილად, რომელსაც ფშაველები დღესასწაულებზე ლუდის დასალევად იყენებდნენ.[538] საერთოდ, ნადავლიდან ხატს „ხარს, ცხვარ-ძროხას, იარაღს“ სწირავდნენ, დანარჩენს კი მოლაშქრეები იყოფდნენ.[539]

ალაფობის, როგორც საკუთრების უფლების შეძენის მნიშვნელოვანი წყაროს მნიშვნელობა, საქართველოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია. ბ. ზოიძე აფასებს რა სამხედრო ნადავლის აღების წესებსა და იმ პირთა უფლებებს, რომლებიც მას მოიპოვებდნენ, დასკვნის სახით წერს: „უფლების განვითარებაც ისე ხდებოდა, რომ იგი კერძო უფლებიდან თანდათანობით საჯაროდ იქცეოდა, თანდათანობით ვიწროვდებოდა იმ ქონების ნუსხა, რომელსაც შეიძლებოდა დაუფლებოდა მოლაშქრე-ლაშქარი“.[540] ასე ეტაპობრივად იკვეთებოდა ნაშოვარზე მეფის უფლებები, ბოლოს კი უპირობოდ მთელს „ხრმლით ნაშოვარზე“ სახელწიფოს უფლება ცხადდება.[541] ამის შემდგომ კი, თითქოს კიდეც ქრება ასპარეზიდან „ხრმლით ნაშოები იურიდიულად მკვდარია, ფაქტობრივად კი, ხშირად იგი საკუთრების წყაროცაა“.[542] თუმცა, ქართლ-კახეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მეფობის გაუქმებამდე, არ მორღვეულა ნადავლის გაყოფისა და ფანჯიაქის აღების ტრადიცია. პირიქით, დავით და იოანე ბატონიშვილები, სამხედრო რეფორმების გზით აპირებდნენ უფრო მკაცრ ჩამორჩოებში მოექციათ როგორც ლაშქრობის წესები, ასევე ნაალაფარი ქონების აღებისა და განაწილების წესები. იოანე ბაგრატიონის სჯულდების პროექტით, XVIII საუკუნის ბოლოს, ნადავლის აღების სხვადასხვა რეგულაციის ნაცვლად ერთიანი სისტემის – მეხუთედი წილის სასეფოდ დადების შემოღება იგეგმებოდა.[543]

---

[538] *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 65.

[539] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 48.

[540] *ზოიძე ბ.,* საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, 25.

[541] იქვე.

[542] იქვე.

[543] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 8.

III. ნადირობა როგორც საკუთრების უფლების შეძენის გზა

3.1. ნადირობის მნიშვნელობა

მომპოვებლობით მეურნეობას ადამიანის ცხოვრებაში უძველესი დროიდან წინასახელმწიფოებრივ პერიოდამდე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი არსებობისთვის. ამიტომ, იმ საშუალებების დაუფლება, რომლებიც გამოკვებისა და გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, არ იკრძალებოდა. როგორც ძველინდური მანუს კანონები მითითებული, „ძირხვენების, ხეთა ნაყოფის,

ცეცხლისთვის შეშისა და ნახირისთვის ბალახის მოგროვება დანაშაულად არ ითვლებოდა.[544]

როგორც ამგვარ მომპოვებლობას, ასევე ნადირობას საქართველოს სამეურნეო ყოფაში მკვიდრი ადგილი ეჭირა, განსაკუთრებით, ეს ეხება საკვებად ვარგის გარეულ ნადირსა და ტყიური ფუტკრის ნაყოფზე ნადირობას. ნადირობა პრეისტორიულ ხანაში მთავარი სამეურნეო დარგს წარმოადგენდა, სახელმწიფოების შექმნის ეტაპიდან კი ის თავის რჩენის დამატებით საშუალებად გადაიქცა.[545]

სტრაბონის ცნობით, იბერიელები ნადირის ტყავისაგან ამზადებდნენ და ბრძოლაში იყენებდნენ ფარებსა და მუზარადებს; ასევე, მას იყენებდნენ სამოსად, საგებ-სახურავად, ქუდებად, ხოლო თივთიკისგან ქსოვდნენ ხელთათმანებსა და თავსახურ შალებს.[546] ტყავის ფარები საკმაოდ გამძლე იყო. ქსენოფონტე საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ მათ ადგილობრივებთან ერთ-ერთი შეტაკებისას გარეული ხარის დაუმუშავებელი ტყავისგან გაკეთებული ოცი ფარი იგდეს ხელთ.[547] ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალს ჰქონია „ფარი ვიგრისა“, რომელიც ან ზღვის ცხოველს ან კიდევ ნიანგს უნდა ნიშნავდეს, ზოგიერთი მოსაზრებით, ლომისა და ვეფხვის თანაბარ ცხოველადაა მიჩნეული.[548]

ნადირობას განსაკუთრებულად სასიცოცხლო მნიშვნელობა მთაში მცხოვრები ხალხისთვის ჰქონდა. მთიან ადგილებში მობინადრე ქართველური ტომები, სახნავი მიწების სიმწირისა და მკაცრი ჰავის გამო იძულებულნი იყვნენ იმით ერჩინათ თავი, რასაც ბუნებისგან იღებდნენ – ნადირის ხორცით, ნიგვზითა და ტყის ხილით იკვებებოდნენ.[549] სტრაბონის თქმით, გრძელი და თოვლიანი ზამთრის გამო, სვანები მიწათმოქმედებას ვერ მისდევდნენ და მათი ძირითადი საკვებიც ნანადირევი, რძე და ველური ხილეულობაა.[550] ნადირის ქონი და ხორცი ქარების სამკურნალო წამლად

---

[544] История государства и права зарубежных стран, *Жидкова О.А.* (Ред.), *Крашенинникова Н.А.* (Ред.)., Норма, Москва, 2003, 109.

[545] *შოშიტაშვილი ნ.*, ნადირობა ძველ საქართველოში, ჟურნალში: ისტორიანი, თბ., 2020, 45.

[546] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 153.

[547] *მიქელაძე ი.*, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, 84.

[548] *შოშიტაშვილი ნ.*, ნადირობა ძველ საქართველოში, ჟურნალში: ისტორიანი, თბ., 2020, 47.

[549] *ჯავახიშვილი ი.,* ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979, 67. შეად. Geogr. lib. XII, cap. III, 18.

[550] იქვე. შეად. სტრაბონი, lib. XII, cap. 5, 6.

მიაჩნდათ.[551] შავი ზღვის სანაპიროს ბარში მცხოვრები ქართველური ტომები კი მეთევზეობას მისდევდნენ. ისინი თევზის ხორცს ჭრიდნენ და ამარილებდნენ, მის ქონს - ზიპს იყენებდნენ საკვების მოსამზადებლად.[552] ქსენოფონტეს ცნობით, მას მოსინიკების საცხოვრებლებში უნახავს დიდ ქილებში შენახული დაჭრილ-დამარილებული ზღვის ღორის ხორცი, ქონს კი დოქებში ათავსებდნენ და საქონლის ცხიმის ნაცვლად იყენებდნენ.[553] როგორც ჩანს, ზღვის ნაპირით მოსახლეობა თანაბრად სარგებლობდა, რადგან სტარობინისა და ქსენოფონტეს ცნობებში არაფერია ნათქვამი ამ უფლების შეზღუდვის შესახებ. პირიქით, მოსახლეობა დელფინზე ერთად ნადირობს და ხორცისა და ქონის დიდ მარაგს აკეთებს. ზღვაზე თევზაობა, რომის სამართალსაც, ყველას საერთო უფლებად მიაჩნია – არავის ეკრძალებოდა ზღვის ნაპირზე თევზჭერის წარმოება.[554]

მთის ყოფაში ნადირობის მნიშვნელობა XX საუკუნემდე არ შემცირებულა. გ. თედორაძის შენიშვნით, მთაში მობინადრეთა ოჯახები კვლავ მკაცრად ინარჩუნებდნენ ოჯახის წევრთა შრომით ვალდებულებებს, კაცები მეტწილად გარეთ საქმიანობდნენ, მათ შორის, ნადირობდნენ.[555]

ნადირობას უკავშირდება ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა თუ ლეგენდა. მაგ., ფარნავაზის მიერ ირემზე ნადირობისას განძის აღმოჩენა, რაც მას დაეხმარა ქუჯისთან კავშირი შეეკრა; მირიან მეფის მიერ ნადირობისას ნუნნას ღმერთის აღიარება და ა.შ.

---

[551] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 107.

[552] *ჯავახიშვილი* ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I, თბ., 1979, 67. შეად. Strabo, Geogr. lib. XII, cap. III, 19.

[553] *ჯავახიშვილი* ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I, თბ., 1979, 67. შეად. Anab. lib. V. cap. 4, 28.

[554] *იუსტინიანეს* დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძე, ივ. ჯავახიშვილის* სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2012, 109.

[555] როგორც დ. ჯალაბაძე აღნიშნავს, გ. თედორაძეს, როგორც ექიმს, რამდენიმე წელი ფშავ-ხევსურეთში გაუტარებია და წიგნიც დაუწერია: „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“. *ჯალაბაძე დ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 79.

3.2. ნადირობა როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება

ნადირობა ადამიანის „თავდაპირველი და ბუნებითი“ უფლებაა, რადგან მეურნეობის სხვა დარგების განვითარებამდე, ადამიანი გამოსაკვებად, ძირითადად, ნადირობას მისდევდა.[556] იუსტინიანეს ინსტიტუციებით, ბუნებითი სამართლით, ადრე არავის კუთვნილი ნივთები იმის საკუთრებაა, ვინც მას პირველი დაეუფლება.[557] ამასთან, გარეული ცხოველი, ფრინველი და თევზი, „ყველა ცოცხალი არსება, რომელიც მიწაში, ზღვაში ან ცაში ჩნდება, როგორც კი მათ ვინმე მიიტაცებს, ხალხთა სამართლით მაშინვე მისი (ამ პირის) კუთვნილება ხდება“,[558] დაჭერისთანავე მათი მომპოვებლის საკუთრებად განიხილებოდნენ მანამ, სანამ ისინი დამჭერის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.[559] თუ დაჭერილი ცხოველი ან ფრინველი ბუნებრივ თავისუფლებას მოიპოვებდა დამჭერის ზედამხედველობის არედან გასვლით, მასზე უფლებას ის მოიპოვებდა, ვინც მას დაეპატრონებოდა.[560]

ნებისმიერი უფლება გარეულ ცხოველებზე ითვალისწინებდა მათი თავისუფლების შეზღუდვას, ამიტომ უფლება წყდებოდა ცხოველის გათავისუფლების შედეგად.[561] ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ცხოველს ათავისუფლებენ თუ თავად აღწევს თავს ადამიანის ბატონობას. დაჭრილი ნადირიც კი მხოლოდ მისი საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ ხდებოდა მომნადირებლის საკუთრება.[562]

3.3. ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები

„ნადირობა“ ნადირის მოპოვებაზე მიუთითებს, რაც არა მხოლოდ გარეულ ცხოველებზე, არამედ ფრინველზე ნადირობასა და თევზაობასაც აღნიშნავდა.[563]

---

[556] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.*, რომის სამართალი, მერიდიანი, 2013, 291.

[557] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 55.

[558] იქვე.

[559] იქვე; *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70.

[560] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 55. *იუსტინიანეს* ინსტიტუციები ცხოველთა ბუნებრივ მდგომარეობად განიხილავს ასევე იმ შემთხვევას, როდესაც მას ხედავენ, მაგრამ დაჭერა შეუძლებელია.

[561] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 380.

[562] *კილასონია ი.*, საკუთრების უფლება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქუთაისი, 2004, 33.

[563] *შოშიტაშვილი ნ.*, ნადირობა ძველ საქართველოში, ჟურნალში: ისტორიანი, თბ., 2020, 45.

როგორც რომაელი იურისტები განმარტავდნენ, ნივთების შეძენა მხოლოდ გადაცემის გზით კი არაა შესაძლებელი, მიტაცების, დაუფლებისს მეშვეობითაც, რადგან ისინი მანამდე არავის ეკუთვნოდნენ – „ასეთი ნივთებია, რომლებსაც ჩვენ მიწაზე, წყალში და ჰაერში (ცაში) ვიჭერთ“.[564] ზოგადად, ამგვარი ნივთების მითვისება არ საჭიროებდა ცოდნას, რომ ნივთი უპატრონოა; შესაბამისად ის, ვინც განზრახვით მიიტაცებდა, ამ ნივთის მესაკუთრე გახდებოდა,[565] თუ კანონით სხვა რამე არაა დადგენილი.

„მონადირება“ ყველაზე ადრე გამოყენებულია იაკობ ცურტაველის თხზულებაში, სადაც ის ამბობს: „ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაÁ ნეტარისაÁ მის“.[566]

განსაკუთრებით საინტერესოა ბასილი ზარზმელის მონათხრობი, სამონასტრო ადგილების შესარჩევად წასულ მამებთან დაკავშირებით. სერაპიონ ზარზმელსა და ბერებს ტბასთან ახლოს შემოხვდნენ „კაცნი უკეთურნი“, რომლებმაც მოსთხოვეს მათთვის ეცლიათ „სლვაი კერძოთა“, რადგან „ჟამი არსო ნადირთაÁ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ“.[567] ეს ტექსტი მნიშვნელოვანია ნადირობის ისტორიის შესასწავლად. აქედან ირკვევა, რომ IX საუკუნის შუა ხანებში ზარზმის მიდამოებში ორგანიზებული ნადირობას მისდევდნენ. მონადირეები ჯგუფურად ნადირობენ, ნადირს ტბის მიდამოებთან ჩასაფრებას უწყობენ, რაშიც ხელს ბერების მოძრაობა უშლით. ამიტომ ითხოვენ მონადირეები ბერებისგან გაეცალონ ამ ადგილებს. რადგან სანადირო ადგილები გიორგი ჩორჩანელს ეკუთვნოდა, მონადირეებიც მის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყვნენ.

მონადირება, ნადირობა თევზაობის მიმართაც გამოიყენებოდა. ლეონტი მროველი წმინდა ნინოს ჯავახეთში, ფარავნის ტბაზე ყოფნის ეპიზოდს ასე აღწერს: დაჰყო მან ორი დღე და „ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა მას შინა

---

[564] *გაიუსის ინსტიტუციები,* რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო *ნ. სურგულაძემ,* უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70.

[565] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное прво, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 90.

[566] *იაკობ ცურტაველი,* წამებაÁ წმიდისა *შუშანიკისი* დედოფლისაÁ, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 32.

[567] *ბასილი ზარზმელი,* ცხორებაÁ *სერაპიონ* ზარზმელისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 93.

მონადირეთაÁსა“.[568] ფშავ-ხევსურეთში თევზაობას „კალმახობას“ უწოდებდნენ, რადგან კალმახის გარდა არაგვში თევზი არ ბინადრობდა.[569] გადმოცემით, აქ ორაგულიც სცოდნია, რომელსაც ხალხი თოფითა და ხანჯლით ხოცავდა და ამის გამო ეს სახეობა აქ გამქრალა.[570] ტყიდან ველური ფუტკრის თაფლის მოპოვებასაც „მონადირეობას“ უწოდებდნენ.[571]

ცალკეულ ადგილთა დასახელებები ორგანულად უკავშირდება ნადირსა და ნადირობას. მაგალითა, საირმე – ბაღდადში, საირმის სვეტები – ლეჩხუმში, სამელე კლდე – ჭიათურაში და ა.შ. სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში არსებობდა სარეკი, საკვალიე, საჯიხვე და ნაჯიხვარი, დათვისელა, სახუნდარი და სხვა მრავალი.[572]

ნადირობასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინის შინაარსობრივი გაგება ადვილია თავად სიტყვებიდან გამომდინარე. მაგრამ ასევე გამოიყენებოდა ტერმინები, რომლებიც განმარტებას საჭიროებს. მაგალითად, სიტყვა ჯელგა იგივე ჯეგლა. ჯელგა ნიშნავს ჯგუფურ, მასობრივ ნადირობას სანადირო ადგილების შემოსაზღვრის ფორმით. ა. რობაქიძის მოსაზრებით, ეს ტერმინი საქართველოში XV-XVI საუკუნეებამდე არ გვხვდება.[573] ჯელგაობა ერთგვარი სანადირო გადასახადის სახეც იყო. სავალდებულო მონაწილეობის გარდა, ზოგჯერ მონადირეთა სასმელ-საკვების გაღებასაც საჯელგაო ერქვა. მაგალითად, XVII საუკუნის შუა ხანების საბუთი კათალიკოსის სახლთუხუცესის სარგოს შესახებ ითვალისწინებს „საჯელგაო ღვინო ლიტრა ერთი“.[574] რადგან ღვინოს სარგოს სახე აქვს და საჯელგაოა, მიუთითებს, რომ კათალიკოსის მიწებზე ნადირობას ორგანიზებას სახლთუხუცესი უწევდა, ან ამ საქმის

---

[568] *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 97.

[569] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 157.

[570] იქვე.

[571] *გუჯეჯიანი რ,.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 522.

[572] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 22.

[573] იქვე, 102-103.

[574] კათალიკოსის სახლთუხუცესის რიგი და შესავალი [1660-1676 წწ.], ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970, 575.

ერთ-ერთი მთავარი მოხელე იყო. ჯელგა ზოგჯერ ჯერგის ფორმითაც მოიხსენიება, მაგალითად, დასტურლამალის ერთი პარაგრაფი ითვალისწინებს ყარაიის ჯერგას.[575]

3.4. სანადირო გარემო

კავკასიაში ნადირობის მნიშვნელობას ხელი შეუწყო გარეულ ცხოველთა მრავაფეროვნებამ და სანადირო ადგილთა რიცხოვნობამ მთასა და ბარში. განსაკუთრებით საინტერესოა ადგილობრივი სახეობები, რადგან სწორედ მათთან არის დაკავშირებული ნადირობის ორგანიზაციის უძველესი სახეები. ამის მაგალითია კავკასიური ჯიხვი, რომელიც უძველესი ენდემური სახეობაა კავკასიისთვის.[576]

ძველ საქართველოში ფაუნის იშვიათ მრავალფეროვნებას ბევრი ცნობა ადასტურებს, მათ შორის, ჰაგიოგრაფიულ თხზულებები. ბესარიონ ზარზმელი ამბობს, რომ სამცხეში „იყო მუნ სიმრავლე თხათაÁ და სხუათა ნადირთა ველურთაÁ“.[577]

ლეონტი მროველი ცნობით, ქართლოსის მეუღლემ თავის ვაჟს გაჩიოს გადასცა ორბისციხე და სკვირეთის ხევი, სადაც მან „აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადიროÁ ქალაქი“.[578] ქვემო ქართლის ეს ადგილები ნადირით ისე ყოფილა განთქმული, ქალაქისთვის სანადიროც კი უწოდებიათ.

თამარის ისტორიკოსის გადმოცემით, მეფის ქმრობის მაძიებელ მუტაფრადინს ძალიან მოსწონებია სომხეთისა და თბილისის ზამთრის სანადირო ადგილები, ამიტომ „ღანუყობისას“ ანუ გაზახულზე ის კახეთ-ჰერეთში, სადაც იყო „საყოფნი სანადირონი, მინდორნი, მოედანნი.“[579]

ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღწერს სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიულ თავისებურებებს, მათ შორის, იმ ადგილებს, სადაც გარეულ ცხოველსა თუ ფრინველზე ნადირობა და თევზაობა იყო შესაძლებელი. მაგალითად, სამცხის დახასიათებისას მიუთითებს იმ ადგილებზე, სადაც ნადირი, ფრინველი თუ

---

[575] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 295.

[576] *რობაქიძე ა.,* შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 19.

[577] *ბესარიონ ზარზმელი, ცხორებაÁ სერაპიონ ზარზმელისაÁ*, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 95.

[578] *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 29.

[579] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, *მეტრეველი რ.* (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008, 418.

მდინარისა და ტბის თევზი საკმარისად იყო. მესხეთში კარგი სანადირო ადგილები ყოფილა, მაგრამ ქურციკი არ ბინადრობდა.[580] მდინარეებში, დიდი და წვრილი კალმახი სცოდნია, „ჩიტნი და სირნი“ უამრავია, „ფუტკარი მრავალნი, თაფლნი კარგნი და მრავალნი“.[581] სამცხეც „წყარო-მდინარიანი და „ნადირ-ფრინველიანია“.[582] კარწახის ტბა „აღვსილია“ თევზითა, „ფრიად გემოვანითა“.[583] შავშეთშიც „ნადირნი, ფრინველნი და თევზნი“ საკმარისია.[584] კალმახი ტაოს მდინარეებში ბევრია, ტაოს საერისთაოში ვახუშტი ასახელებს ძლიერ და შეუვალ ციხეს „კალმახისა“,[585] რომელსაც ეს სახელწოდება იმ ადგილებში კალმახის სიუხვის გამო მიუღია. კალმახი ბევრი ყოფილა თიანეთში, სადაც ბადითა და წყაწყურით ნადირობდნენ.[586]

ბოსტან-ქალაქის (რუსთავის) ახლოს, ყარაიის ველი სავსე ყოფილა ქურციკით, რომლებზეც საქართველოს მეფეები ყოველ წელს ნადირობდნენ.[587] მტკვრის ხეობა ირმით, „ეშვით“ ანუ ღორით, წვრილი ნადირითა და ხოხობით[588] ყოფილა ცნობილი.[589]

ერწო განთქმული ყოფილა კურდღლით, მწყერითა და წეროთი, მის მეჩხერ ტყეებში კი იმდენი ნადირი ბინადრობდა, გამოსარეკად მონადირეთა მცირე ჯგუფიც საკმარისი იყო.[590] კარგი სანადირო ადგილები ყოფილა მდინარე იორის მთიან შემოგარენში. არჩილ მეფე ამის შესახებ თავის პოემაში წერს: „მთიდან ნადირს მოიტანენ, გორა ხორად დაეყრება.“[591] იოანე ბატონიშვილიც ქართლ-კახეთის აღწერისას დიდ ყურადღებას უთმობს ნადირო ადგილის აღწერას.[592]

---

[580] ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, 6.
[581] იქვე.
[582] ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, 17.
[583] იქვე, 19.
[584] იქვე, 32.
[585] იქვე, 35.
[586] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 347-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <https://wikisource.org/>.
[587] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, II ნაწილი, სამცხე, თბ., 99, 1991.
[588] ხოხობი გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოშიც და მისი უძველესი სახელი „ფასიანუს“ ფასისიდან წარმოდგება. *გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.,* ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005, 13.
[589] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, II ნაწილი, სამცხე, თბ., 99, 1991.
[590] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 346-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <https://wikisource.org/>, [12.02.2020].
[591] იქვე, 350-ე სტროფი.
[592] *იოანე ბაგრატიონი,* ქართლ-კახეთის აღწერა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, V, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს *თ. ენუქიძემ* და *გ. ბედოშვილმა,* მეცნიერება, თბილისი, 1986, 79.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, საქართველოს ტბები და მდინარეები „თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი“ ყოფილან.[593] თევზის სახეობები მრავალგვარია: „ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული, და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხუანიც“.[594]

როგორც არჩილ მეფე აღწერს, საუკეთესო სათევზაო ადგილები ყოფილა მდინარე იორის მიდამომებში:

ერთი წყალი საკალმახეთ იორს არსად შეედრება,

სხვა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვას გახარება,

მოწყენილმან კაცმან ნახოს, ჯავრი სხვაგან გაეყრება.[595]

ზოგიერთი სანადირო ადგილი ესაზღვრებოდა ქართველებთან მტრულად განწყობილი ხალხების ტერიტორიას, რის გამოც მონადირეები საფრთხეში იგდებდნენ თავს ნადირობისას მტერთან პირისპირ მოსალოდნელი შებმის გამო.[596] მაგალითად, საჯიხვე კლდეები ხევსურებს ქისტების მეზობლად, საზღვართან ახლოს ჰქონდათ და თუ ქისტი და ხევსური ნადირობისას შემთხვევით შეხვდებოდნენ, ერთმანეთს არ დაინდობდნენ.[597] საერთოდ, ხევსური ჯიხვზე ნადირობასთან ერთად ქისტი მონადირის მოკვლითაც ითქვამდა სახელს. როშკის მცხოვრები მიხა წიკლაურს ნადირობისას მის მოსაკლავად ჩასაფრებული ქისტი მონადირე შეუნიშნავს, თვითონაც ჩასაფრებია და თოფის გასროლაც მოუსწრია; მიხას ნათქვამი კი ხევსურებს ზეპირსიტყვიერებაში შემოუნახავთ:

„კარგ ნადირ კი გაგაგორი, მეყვ ყველაად, სახელადაც და ნადირადაცო“.[598]

ეს ხევსურული ანდრეზიც კარგად გამოხატავს მონადირის მტერთან შეხვედრის მზადყოფნას: „გზაში შაყრილს ჯიხვს კი შაიძლების გაუშობდ კაცი თოფის დაუკრავად, ღილღველიდ არხოტიონ კი ერთუცს არ გაუშობდ გზაში შაყრილი მაუკლავად“-ო.[599]

---

[593] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, 134.

[594] იქვე, 136.

[595] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 350-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <https://wikisource.org/>, [5.01.2021]

[596] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 144.

[597] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 194.

[598] იქვე.

[599] *ფუტკარაძე ი.*, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1964, 54.

ნადირობის მნიშვნელოვან სამეურნეო დარგად შენარჩუნებას ხელს უწყობდა ის, რომ მთაში ტყე, ძირითადად, საერთოდ მფლობელობაშია. მაგალითად, სვანეთში ტყე იყო როგორც კერძო საკუთრებაში, ასევე „საზოგადო, სასოფლო და სათემო მფლობელობაში“, საერთო ტყის გამოყენებას ერთმანეთს ვერავინ დაუშლიდა.[600] ნადირობა ფშავშიც თავისუფალი იყო, რასაც ხელს უწყობდა ტყეებზე ფშავის ხალხის საერთო მფლობელობა, გარდა ხატის ტყეებისა, რომელთა მიახლოებასაც კი ვერავინ ბედავდა „ხატის“ რისხვა გამოწვევის შიშით.[601] ზოგადად, ნადირობა დაუშვებელი იყო ხატის კუთვნილ ტყეებში, მაგრამ სოფლის სათემო ტყით ყველას შეეძლო სარგებლობა, რადგან სათემო თუ სასოფლო ტყეები ყველას თემის წევრების საერთო საკუთრებაში იყო, კომლებზე დანაწევრების გარეშე.[602]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წყალზე თემის წევრთა საერთო საკუთრების უფლება ვრცელდება. ფშავშიც წყალი „საზოგადო“ საკუთრებაა და თევზაობა ნებისმიერ ადგილზე დაიშვებოდა; თუმცა არსებობდა ხატის წყლები, რომლებიც ხატს ჰქონდა დასაკუთრებული, მაგალითად, დასტურის წელიწადში ერთხელ განსაბანი, „სახუთმეტიოს“ ტერიტორიაზე არსებული „დეკანოზის წყალი“.[603]

ამავდროულად, აკრძალული იყო კერძო ტერიტორიაზე სხვების შესვლა სანადიროდ. გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ირკვევა, რომ ვინმეს კუთვნილ ტყეში შესვლა და ნადირობა ნებართვის გარეშე აკრძალული იყო და მესაკუთრის უპატივცემულობად ითვლებოდა. ჩორჩანელის მიერ გამოხატული გულისწყრომა ამაზე მიუთითებს: „ვინაÁ არს ადგილსა იმას სიÃშოÁ კუამლისაÁ, ანუ თუ ვის რად უÃმს ცეცხლი? უკეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა რად კადნიერ და ურცხÂნო ქმნილ არს.“[604]

დროთა განმავლობაში ბევრი ნადირ-ფრინველისა და თევზის სახეობა გაქრა. X საუკუნის ოშკური ბიბლიის XIX საუკუნეში სლავურად მთარგმნელებს, ბიბლიაზე დართულ ბოლოსიტყვაობაში მითითებული აქვთ, რომ „ნადირთა, მÃეცთა, თევზთა,

---

[600] *ნიჟარაძე ბ.*, თავისუფალი სვანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, 115.

[601] *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. II., М., Типография А. И. Мамонтова, 1890, 85.

[602] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 84.

[603] *ბარდაველიძე ვ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1, ფშავი, თბ., 1974, 167.

[604] *ბასილი ზარზმელი*, ცხორებაÁ სერაპიონ ზარზმელისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, *ყუბანეიშვილი ს.* (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946, 88.

ხეთა სახელნი, რომელიცა ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით“,[605] ანუ შესატყვისი თარგმანის გარეშე გადაწერეს იმიტომ, რომ მათთვის ეს სახეობები უკვე უცნობი იყო.

3.4.1. სამეფო სანადირო ადგილებით სარგებლობის წესი

მეფეს საკუთარი სანადირო ადგილები ჰქონდა, რომელთა ნაწილით თავისუფლად სარგებლობდა მის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 172-ე მუხლი, სადაც კანონმდებელი მეფე განმარტავს რატომ არ იკრძალება მეფის საკუთრების – მთისა და შეშის გამოყენება, ასეთ რამეს ამბობს: „მთა და შეშა ამისთვის არ დაეჭირვის, – თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შეშით არ დარჩების, ქუეყანაზე შენობა მოაკლდების და ხელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დააკლდების“.[606] ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მთის, როგორც სანადირო ადგილის გამოყენების უფლებრივი ფარგლები. ნ. ურბნელის მოსაზრებით, სახასო საკუთრებით შეუზღუდავი სარგებლობა დამახასიათებელი იყო იმ ადგილებისთვის, სადაც ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა „მოშორებულია აწინდელს ფულებრივს სიმდიდრეს“ და მიუხედავად იმისა, რომ „კანონმა სახასო ტყე სახელმწიფოს საკუთრებად იცნო“, მასზე შეუზღუდავად მიუწვდებოდათ ხელი გლეხებს.[607] ვახტანგ VI სამართლის ამავე მუხლზე მითითებით, ივ. სურგულაძე ასკვნის, რომ ტყე ამოღებული იყო სამოქალაქო ბრუნვიდან.[608] მეცნიერი ყურადღებას აქცევს მეფის, როგორც საჯარო ხელისუფალის მცდელობას, მოსპოს თემის უფლებები მათ მფლობელობაში არსებულ ობიექტებზე.[609] ამ მიზნით ვახტანგ VI სამართლის 169-ე მუხლს შემოაქვს სპეციალური ნორმა: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის - წყალი, შეშა და ბალახი“.[610] ივ. სურგულაძე მეფის ამ მოთხოვნას უკავშირებს, პირველ რიგში, ფეოდალთა მზარდ ინტერესს დაუფლებოდნენ თემის კუთვნილ ქონებას, ხოლო,

---

[605] *გოგუაძე ნ.*, „ნეემიას წიგნის“ ძველი ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბ., 1971, 90.

[606] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 524.

[607] *ურბნელი ნ.,* სატყეო საქმე ჩვენში, ივერია, №102, 1886.

[608] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 28.

[609] იქვე, 269.

[610] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 523.

მეორე მხრივ, მეფის საგადასახადო პოლიტიკას, გლეხების მიერ ამ ობიექტების გამოყენებით დამატებითი სახაზინო შემოსავლების მობილიზაცია მომხდარიყო.[611]

ვახტანგის სამართლის 169-ე და 172-ე მუხლებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მეფის მიერ მთითა და ტყით სარგებლობის უფლების მიცემა მოსახლეობისთვის, პირველ რიგში, დაკავშირებული უნდა იყოს უსახლკარობისა და უშეშობის გამო შესაძლო დემოგრაფიული პრობლემების წამოჭრის თავიდან აცილებასთან. ამით სამეფო ხელისუფლება ნაწილობრივ იზიარებდა მთის უმეტეს ნაწილში არსებულ ჩვეულებითი სამართლით დამკვიდრებულ ტრადიციას, სათემო ტყის საერთო სარგებლობაში არსებობის შესახებ. ამავდროულად, სამეფო კარი ზრუნავდა ლაშქარ-ნადირობის ინსტიტუტის შენარჩუნებისთვის, რისთვისაც მოსახლეობის რიცხოვნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ყურადღებას იქცევს რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1810-1815 წლებში შედგენილი ჩვეულებითი სჯულის 64-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, აზნაურებისა და თავადების მფლობელობაში, მთასა და ბარში არსებული ტყით, წყლითა და ბალახით სარგებლობა არავის შეეძლო, გარდა ადგილობრივი და უახლოესი სოფლის მაცხოვრებლებისა, ისიც მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის – შეშად და სახლის საჭიროებისთვის და არა გასაყიდად (მუხ. 64).[612] რადგან ჩვეულებით სჯულში აქ მეფეთა მიერ შემოღებული წესები იგულისხმება, არ არის გასაკვირი, რომ ეს მუხლი ვახტანგის სამართლის შესაბამისი დადგენილებების მსგავად არეგულირებს ამ სამეურნეო ადგილების მფლობელობისა და გარეშე პირთა მიერ მათი გამოყენების წესებს. თუმცა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შემდგენლები მეფეს საერთოდ არ ახსენებენ და მხოლოდ იმას წერენ, „არიან თავადნი და აზნაურიცა, რომელთაც აქვსთ ალაგი ტყისა...“[613] და ა.შ. ცხადია, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სამართლის ნორმით განსაზღვრულ სუბიექტთა წრე შემცირებულია. სავარაუდოდ, ქვეყანაში დარჩენილი სამეფო სახლის წევრებიც,

---

[611] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949, 28.

[612] *დოლიძე ი.,* საქართველოს ჩვეულებითი სჯული, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 76.

[613] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა,* ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 580.

რომლებსაც ქონების რაღაც ნაწილი ისევ შემორჩათ, რიგით ფეოდალთა წრეში იგულისხმებიან. ლაშქარ-ნადირობა კი, როგორც საუკუნეების განმავლობაში სამეფო ხელისუფლების მიერ ქვეყნის დასაცავად შემუშავებული სამხედრო-სანადირო ვარჯიშობის წესი, საერთოდ აღარაა გათვალისწინებული, რაც ფეოდალთა გავლენიანი ნაწილის მხრიდან ქვეყნის თავისუფლების დაკარგვის მიმართ შემგუებლობით უნდა აიხსნას.

იოანე ბაგრატიონის პროექტით, სამეფო-სადედოფლო სანადირო ადგილები, ბაღებისა და ვენახების მსგავსად, შესაძლებელი იყო ვაჭრებს გადასცემოდათ - თანხა 25 თეთრიდან ათას თუმნამდე მერყეობდა.

3.4.2. სანადირო ნაკრძალები

ქართული ფეოდალური სამართალი, მეფისა და ფეოდალთა სამონადირეო ინტერესების დაცვის მიზნით, მათ კუთვნილ ზოგიერთ სანადირო ადგილში ნადირობის უფლებას ზღუდავდა.

ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ვახტანგის სამართლის 172-ე მუხლის სამართლებრივი ნორმა პატრონისთვის „ერთი სანადირო ადგილი ყორუღად“ დარჩენისა და იქ ტყის ჭრის აკრძალვას თაობაზე.[614] არ. ჩიქობავას ლექსიკონით, „ყორუღი“ ნაკრძალი სათიბი, საძოვარია,[615] ჯავახურ ლექსიკონში კი განმარტებულია როგორც „დაცვა, ყურის გდება, მფარველობის გაწევა. ყორუღობს - პატრონობს, იცავს“.[616] სანადირო ნაკრძალები დაცული უნდა ყოფილიყო და იქ ტყის გაკაფვა და ნადირობა არ დაიშვებოდა. როგორც ივ. სურგულაძე თვლის, ეს აჩვენებს, რომ „მსხვილ ფეოდალებს მიჩენილი ჰქონდათ ტყეები, სადაც სხვა ვერ ინადირებდა. მაშასადამე, ნადირობას ფეოდალების მისდევდნენ“.[617]

მეფის სანადირო ნაკრძალად ითვლებოდა რამდენიმე ნადირით განთქმული ადგილი. განსაკუთრებული აკრძალვა მოქმედებდა ყარაიისა და იორის ხეობაში,

---

[614] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსმ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 524.

[615] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *არნოლდ ჩიქობავას* რედაქციით, ერთტომეული, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, 467.

[616] *ზედგინიძე გ.,* ჯავახური ლექსიკონი, საუნჯე, თბ., 2014.

[617] *სურგულაძე ივ.* სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, 1952, 341.

სადაც მეფის გარდა არავის ჰქონდა ნადირობის უფლება.[618] ყარაიის ყორუღს თავისი ზედამხედველი, მეყორუღე ჰყავს გაბაშვილების სახლიდან, რომლებსაც მეფის მიერ გაცემული წიგნიც ჰქონიათ და ამ დაწერილის შესაბამისად უნდა ემოქმედათ.[619] დასტურლამალით განწესებული „ყარაიის კონის“ საქმე აჩვენებს, რომ ყარაიის სათევზაო ადგილებიც მხოლოდ მეფის განკარგულებაშია და „რაც კონს თევზი მოხვდებოდეს“, სამოხელეო გასამრჯელოს გარდა, სრულად მეფის კარზე იგზავნებოდა.[620]

ყარაიის ველს თავისი ჯერგა ჰყავდა, რომელიც დასტურლამალით იყო განსაზღვრული: ყარაი[ი]ს ჯერგა სძეს დავთარზე ცხენკეთილი, და ქუეითი კაცი ვერ დაკვაკლდების; თავისი აღსაყალი, მისი განაყარი, სახლის-კაცი და ნოქარი“.[621] ყარაიის ჯერგა თრიალეთის საშობაო და სააღდგომო გამოსაღებს წარმოადგენდა.[622]

დასტურლამალში დაწვრილებითაა აღწერილი „შავარდენთა“ დასაბუდებლად ყორუღად გამოყოფილი ადგილების დაცვა. კანონმდებელი ვალდებულ სოფლებს მიმართავს, კარგად „დააყორუღონ“ შავარდნების ბუდობის ადგილები: რამდენი ბუდეც მოიძებნება

> *„იმთენი ალაგი ყორუღათ შეინახეთ. იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოსჭრიან. სანამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდოდეს ნურავინ ბუდეში ჩაკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას ნახვენ; შორიდამ თვალი ეჭიროს... ვინც უჩვენ-ბაზიეროთ ნახავს და ჩაეკიდების, შვიდეულად ვაზღვევინებთ“.*

შევარდენთა ნაკრძალად გამოყოფილ ადგილებში შესვლა და, მითუმეტეს, ტყის ჭრა, აკრძალული იყო. ყურადღებას იქცევს დაწესებული სასჯელიც – შვიდეულად ზღვევინება. მცდელობის მიუხედავად, ვერ მოიძებნა შევარდენთა სახეობების ფასი, თუმცა, ცნობილია, რომ კარგად გაწვრთნილი შევარდენი ძვირად ფასობდა და კარგ საჩუქრადაც ითვლებოდა.

---

[618] *იოანე ბატონიშვილი,* ხუმარსწავლა, I, მერანი, თბ., 1990, 463.
[619] იხ. სქოლიო. დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 323.
[620] იქვე, 265.
[621] იქვე, 295.
[622] იქვე.

3.4.3. ნადირობის უფლებით მიწების გაცემა

წყალობის სიგელების შედგენის დამკვიდრებული წესი, რაც ნაბოძები ძირითადი ქონებისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების ზოგად აღწერაში გამოიხატება, ითვალისწინებდა სანადირო ადგილების გადაცემასაც. მაგალითად, ანდრონიკე მეფის წყალობის სიგელით, წითლოსან ქვენიფნეველს და მის მომავალ მემკვიდრეებს, ებოძათ სოფლები კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი „მათითა სამართლიანითა მძღვრითა, მთითა, ბარითა, ვენაÃითა, წყლითა... სანადიროთა, მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]ლად, მათითა საÃმარითა, და უÃმარითა, ერთობ ყოვლითა“.[623] წყალობის სიგელთა გამცემი მეფეები სამეფო კარის მომავალ მმართველებს, მონაპირე ერისთავებსა და უფლებამოსილ პირებს სთხოვდნენ არ მოეშალათ და შეეცვალათ სიგელით გათვალისწინებული პირობები. ანდრონიკე მეფის სიგელში ჩანს, რომ მეფე სხვა მოხელეებთან ერთად, მონადირეებსა და ბაზიერებს უბრძანებს, მხოლოდ შეეწიონ, დაეხმარონ, ხელი არ შეუშალონ და არაფერი დააკლონ მიწის მფლობელს.[624] მეფეთა მიერ უფლებების გადაცემა ნაბოძებ საკუთრებაზე ორგვარად ხდებოდა: ნაწყალობევი ქონება იტვირთებოდა საგადასახადო ვალდებულებებით ან სრულად თავისუფლდებოდა ამ მოვალეობის შესრულებისგან შეუვალობის სიგელით. ამ წყალობის სიგელით, ანდრონიკე მეფე სანადირო ადგილების გამოყენებისთვის რაიმე საგადასახადო შეღავათს არ აწესებს, განსხვავებით დავით ნარინის შეუვალობის განახლების სიგელისგან.

მეფის მხრიდან განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვისას, სანადირო ადგილების მიღების მიუხედავად, წყალობის მიმღები თავისუფლდებოდა საბაზიერო გადასახადისგან, რომელიც ბაზიერის სასარგებლო გადასახადია. ამას აჩვენებს 1466 წლის კონსტანტინე მეფის სიგელი ჯავახიშვილებისადმი, რითაც მეფე სამხედრო დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ მას რამდენიმე სოფელს უბოძებს.[625]

ბაგრატ იმერეთი მეფე განსაკუთრებულ ყურაღებას იჩენს გელათის მონასტრისადმი და მას ათავისუფლებს ყოველგვარი „სათხოვარისგან“, მათ შორის

---

[623] წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველისადმი {1348 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 98.
[624] იქვე, 99.
[625] წყალობის სიგელი *კონსტანტინე* მეფისა *ჯავახიშვილისადმი* [1466], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 135.

გელათს არ ეთხოვებოდა „... არა საბაზიარო, არა ლაშქრობა...“. თუმცა ნადირობისა და „ნადირ[ი]ს ჯერგად“ ყოფნის ვალდებულება კვლავ ძალაში დაუტოვებია.[626]

შეუვალობის უფლებით დამტკიცებულ მამულებში მეფის მონადირეები და ბაზიერები არ შედიოდნენ იშვიათი გამონაკლისის გარდა. გიორგი III სიგელში შიომღვიმისადმი ნათქვამია, რომ ზემოდან მომავალ ბაზიერებს მხოლოდ ერთი დღე-ღამით შეეძლოთ აგარას დამდგარიყვნენ „უწყენლად“, სხალტბელებს კი მათი პატივისცემა ევალებოდათ.[627]

3.5. სანადირო ტრადიციები

სამონადირეო ინტერესების შესაბამისად, დროთა განმავლობაში, ყალიბდებოდა ნადირობასთან დაკავშირებული ადგილობრივთა რწმენა-წარმოდგენები. ქართულ მითოლოგიურ და რელიგიურ წარმოდგენებში ნადირობა წმინდა საქმეა, წმინდა ნადირებად კი მიიჩნევა: ჯიხვი, არჩვი, ირემი და შველი.[628] ჯიხვებზე ნადირობა გაიგივებულია ვაჟკაცობასა და სამშობლოს დაცვასთა. ხევსურებიც მონადირედ მხოლოდ მას მიიჩნევდნენ, ვინც ჯიხვებზე ნადირობდა, დათვსა და მგელზე მონადირეებზე ამბობდნენ: ეს ბიჭობაა და არა „ვაჭკაცობაო“.[629] საერთოდ, მთაში მტაცებელი ნადირის მოკვლა ნადირობად არც ითვლებოდა, მხოლოდ აუცილებლობის დროს კლავდნენ.[630]

ხევში ნადირსა და ნადირობას რელიგიური დატვირთვა ჰქონდა, განსაკუთრებით, ტყეში ხატის კლდეებზე მობინადრე ნადირს გამოჰყოფდნენ.[631] ისინი „ანგელოზებად“ მიაჩნდათ და იქ შეხიზნულ ნადირს თოფს არავინ ესროდა, ასევე

---

[626] შეწირულების სიგელი *ბაგრატ* მეფისა გელათისადმი [1545 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 185.

[627] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი *გიორგი* III-ისა შიომღვიმისადმი [1170 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები *დაურთო ის. დოლიძემ*, მეცნიერება, თბ., 1965, 23.

[628] *ზურაშვილი მ.*, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 23; შეად. *ბადიაური მ., მაკალათია ნ.,* 1940, რვ.1, 33.

[629] იქვე.

[630] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 109.

[631] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 151.

ერიდებოდნენ მდედრის მოკვლასაც.[632] სასახელო საქმედ არ ითვლებოდა ფსიტისა და შუნის მოკვლა, მათგან განსხვავებით დიდრქებიანი ხარჯიხვის, ნიამორის, ხარირემის მოკვლა საქებარია.[633] განსაკუთრებით სანაქებო 9-10 წლის მამალი ჯიხვის მოკვლაა, რომელიც ტანადაც დიდია და რქებიც უფრო მოზრდილი აქვს.[634] მთიულეთში, თუ მონადირე მამალ ჯიხვს ვერ მოკლავდა, შუნის ანუ დედა ჯიხვისა და ფსიტის მოკვლაც საამაყო იყო, სხვა ნადირს ჯიხვზე მონადირე არ ესროდა.[635]

3.5.1. ლოცვის და სამადლობელი რიტუალის სამონადირეო ტრადიცია

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამკვიდრებული იყო სანადიროდ წასვლამდე ნადირთმფარველის სახელზე ლოცვის სამონადირეო ტრადიცია.

ხევსური „ნადირთ-მენადირის გამჩენს“ ჯერ სახლში თხოვდა ბედნიერ ნადირობას,[636] სანადიროდ წასულს კი თან სამი სანთელი მიჰქონდა სალოცავად, რომლებსაც ის ანთებდა სალოცავშიც და სანადირო ადგილებშიც, სადაც უფალს ნადირობაში ხელის მომართვასა და შინ მშვიდობით დაბრუნებას სთხოვდა.[637] სანთელთან ერთად საკმეველი და ნახშირიც მიჰქონდა, „იღბლისთვის“ რომ ელოცა სანამ დასაძინებლად ეხოში შევიდოდა.[638]

სვანური ტრადიციით კი, ნადირობის დაწყებამდე მონადირე ცოლის ან დედის ხელით დამცხვარ „ხმელგანატეხზე“ სანთელს აანთებდა, დალის მშვიდობით შინ დაბრუნებას შეავედრებდა და „ხმელგანატეხს“ მხოლოდ მერე შეჭამდა.[639]

რაჭაში კი მონადირის ოჯახის უფროსი ჯიხვის რქებზე აანთებდა სანთელს და მთელ ოჯახთან ერთად ლოცულობდა: „ოჩოპინტრა ბედნიერო! ოჩოპინტრა

---

[632] იქვე.
[633] იქვე.
[634] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 104.
[635] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 104.
[636] *ზურაშვილი მ.*, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 29. შეად. *ბალიაური მ., მაკალათია ნ.*, 1940, რვ. 10.
[637] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 151.
[638] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 109.
[639] *ვირსალაძე ე.,* 1964, 27. ხმელგანატეხი ერქვა ხმიად პურს, რომელსაც ზემოდან მზის სხივები ჰქონდა გამოსახული.

მშვენიერო! მოგვეც შენი მოწყალება, შენი ნამწყესური ნადირი“.[640] ფშავშიც სანადიროდ წასვლის დღეს ან წინა ღამით სანთელთან ნადირთ მეფეს მიმართავდნენ: „შენს სახელზე იყოს ეს დანთებული სანთელი, გთხოვ, დალოცვილი ხელი აღმიმართეო“.[641]

მონადირეს საგზლად ნოყიერი საკვების წაღება ეკრძალებოდა და ძირითადად, მშრალი საკვები მიჰქონდა, მეტწილად მხოლოდ პური, ყველი და მარილი. მიზეზი ის იყო, რომ მწირი, უხორცო საკვების გამო მონადირე ნადირთ-ანგელოზს შებრალებოდა და მისთვის ნადირის მოკვლის საშუალება მიეცა.[642] მიუხედავად იმისა, რომ ციცაბო კლდეებზე გადასაადგილებლად საუკეთესოდ მიიჩნეოდა ღორის ტყავის ქალამანი, რაჭაში ითვლებოდა, რომ მისი ჩაცმა უბედურების მომტანი იქნებოდა, ნადირთ ანგელოზს ღორის ხორცი ეჯავრება და ტყავის ამოცმაც გაანაწყენებსო.[643]

სამონადირეო ტრადიცია ნადირთღვთაების მიმართ სამადლობელი რიტუალის შესრულებასაც ითვალისწინებდა. საქართველოს მთაში ფართოდ იყო გავრცელებული ნადირის მოკვლისთანავე ლოცვის აღვლენა ნადირთ მფარველის მიმართ, შემდეგ კი გულ-ღვიძლის შეწვა და ჭამა.[644] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გულ-ღვიძლის შეწვის შემდეგ, ფაშვის მოხარშვაც სცოდნიათ ქონსა და სისხლთან ერთად, თუმცა ეს უკანასკნელი XIX საუკუნიდან აღარ ფიქსირდება.[645]

ხევსურეთშიც სანადირო ველზევე ეწყობოდა გულ-ღვიძლის შეწვის რიტუალი.[646] იგივე წესი მოქმედებდა სვანეთშიც, მონადირე გულ-ღვიძლს წმინდა გიორგისა და ანგელოზების სახელზე წვავდა და ამით მადლობას უხდიდა ნანადირევისთვის.[647]

როგორც მ. ზურაშვილი აღნიშნავს, გულ-ღვიძლისა და თორკმელების შეწვის სამონადირეო ჩვეულება ამ რიტუალის არქაულობაზე მიანიშნებს – ღვთაებებისთვის

---

[640] *როგაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 189.

[641] *ბოძაშვილი ლ.*, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988, 40.

[642] *როგაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 37.

[643] იქვე, 31.

[644] იქვე, 189.

[645] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 103.

[646] *ზურაშვილი მ.,* ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 29. შეად. *ბალიაური მ., მაკალათია ნ.,* 1940, რვ. 2, 18.

[647] *ზურაშვილი მ.,* ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 40.

მსხვერპლის შეწირვა დაწვის სახით გამოიხატებოდა და მიიჩნეოდა, რომ სურნელი ღვთაებას მისდიოდა.[648] გულ-ღვიძლის შეწვა სამადლობელი რიტუალის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და მისი შეწირვა აუცილებლად უნდა შესრულებულიყო; თუ მონადირე ნანადირევის გულ-ღვიძლის არ შეწვავდა, ნადირთმფარველს მწვადის სურნელიც არ მიუვიდოდა და მონადირეს დასჯიდა – ამის გამო სიკვდილი ელოდა.[649] ქ. ალავერდაშვილის მოსაზრებით, გულ-ღვიძლის შეწირვის ტრადიცია დაკავშირებული უნდა იყოს ღვიძლისა და სისხლის კავშირთან; ღვიძლი სისხლისმიერს, ძალიან ახლობელს ნიშნავს და მისი შეწვითა და მირთმევით მონადირე ნადირთა ღვთაებასთან კავშირს ამყარებს.[650]

ზოგიერთ მხარეში არსებობდა ნანადირევის რქების სალოცავისთვის ძღვნად მირთმევის ტრადიცია. როგორც გ. ღუდუშაური აღნიშნავს, ფშავში, ხევსურეთში, რაჭასა და სვანეთში მონადირეები ცდილობდნენ სხვაზე დიდი და ლამაზი რქები შეეწირათ ხატისთვის.[651] მონადირეს ჯიხვის რქები თავის ჯვარში მიჰქონდა და კარზე მიაკრავდა ან თვალსაჩინო ადგილზე დადებდა.[652] ზოგან შესაწირავის დასაბრძანებლად შესაფერის ადგილად მიიჩნეოდა სალოცავის მაღლა შემოდგმა ან მისი ყორეში ჩაშვება.[653] ბევრი ჯიხვის მომკვლელს სხვადასხვა ჯვარის კარზე მიჰქონდა რქები; თუ ბევრი იყო, სახლშიც ტოვებდა, მაგრამ ყველაზე დიდ რქას აუცილებლად ჯვარში დატოვებდა.[654] სალოცავებს ნანადირევ ხორცსაც სწირავდნენ. ნანადირევი გაუტყავებელი, მაგრამ გამოსუფთავებული უნდა მიეტანათ ხატში.[655] მონადირეს ხატში პატივით ხვდებოდნენ და მის სახელს ასე ლოცავდნენ: „კვლავამც ხელი მოგემართოსო“.[656]

---

[648] *ზურაშვილი მ.*, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 42-43.
[649] იქვე. 42-45.
[650] *ალავერდაშვილი ქ.*, შესაწირავი გულ-ღვიძლის სიმბოლიკა, კლიო, 1999, № 5, 186.
[651] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 150-151.
[652] *გალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 106.
[653] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 150.
[654] *გალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 106.
[655] იქვე..
[656] იქვე.

3.5.2. სამონადირეო შეზღუდვები და აკრძალვები

ნადირობა არ იყო მხოლოდ საკვების მოპოვების რიგითი საშუალება. მასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა სარიტუალო წესი და აკრძალვა. სამონადირეო აკრძალვათა შესახებ ცნობები ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალებშია დაცული, თუმცა სამართლის ძეგლების რეგულირების საგანსაც წარმოადგენდა. მაგალითად, მოსეს სამართალი კრძალავდა იმ ფრინველის მოკვლას, რომელსაც ბუდეში კვერცხები ჰქონდა დადებული ან მართვეები ესხდა; მპოვნელს არც ფრინველის მართვეები უნდა ამოეყვანა ბუდიდან (მუხ. 25-ე).[657] ფრინველის ბუდის მშვიდობით დამტოვებელს ღმერთისგან სიკეთე მიეცემოდა და დღეგრძელი იქნებოდა.[658] მსგავსი სამართლებრივი ნორმაა მოცემული მხითარ გოშის სამართლის 267-ე მუხლში. ეს მუხლიც კრძალავს დედის აყვანას შვილებით, მაგრამ დედის გაშვება კვლავ გამრავლების მიზნით და მხოლოდ ბარტყების ამოსხმა ზნეობრივი საქციელია – „შენთვის კარგი იქნების; და დღეგრძელი იქნები“ო, ურჩევს კანონმდებელი.[659]

აკრძალვის განსაკუთრებული სახეა „სამონადირეო ენა“, რაც ნადირობისას ზოგიერთი ტერმინის უთქმელობას ან მის ჩანაცვლებას გულისხმობს.[660] ენობრივი შეზღუდვის პრაქტიკა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მისი ნაშთები ყველაზე უკეთ მონადირეობა-მეფუტკრეობამ შემოინახა, რაც ტყიური მეურნეობის ხანგრძლივი გამოყენების შედეგი უნდა იყოს.[661] მაგალითად, აფხაზეთში ტაბუდადებული სიტყვები იყო: ვარსკვლავი, დანა, ქვაბი, მარილი, თოფი ყაბალახი.[662]

---

[657] სამართალი *მოსესი, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 117.

[658] იქვე.

[659] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის სამართლის ვერსია, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 321.

[660] *ზურაშვილი მ.*, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 15.

[661] *როგაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 170.

[662] *ზურაშვილი მ.*, ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 17; შეად. Кумахов М., Кумахова З., 1985, 18-19.

მონადირე სანადიროდ წასვლამდე ერიდებოდა ბოროტსიტყვაობას და სახლიდანაც უხმოდ გადიოდა.[663] ამ წესების დარღვევა ნადირობის ცუდად დამთავრებას მოასწავებდა.[664]

ნადირობა იკრძალებოდა შემდეგი გარემოებების არსებობისას: თუ ოჯახის წევრ ქალს „ივიშდა“ ანუ დედათა წესი ჰქონდა; ოჯახში ან ახლო სამეზობლოში ქალმა იმშობიარა და ჯერ არ იყო ორმოცი დღე გასული; მონადირეს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ცოლთან ან სხვა ქალთან - ამ შემთხვევაში ორი-სამი დღე ვერ ინადირებდა და გაწმენდისთვის ტანიც უნდა დაებანა.[665] დედათწესიან ქალს არც ნანადირევს აჭმევდნენ.[666] ხევსურეთშიც მსგავსი სამონადირეო ჩვეულებები არსებობდა. სანადიროდ წასვლამდე აუცილებელი იყო ტანის დაბანა, თითქოს ამით ცოდვებისგან თავისუფლდებოდა მონადირე, გარკვეული დრო მეუღლესთან სქესობრივი ურთიერთობისგან თავი უნდა შეეკავებინა და ოჯახის წევრის დედათწესის დროსაც სანადიროდ არ გასულიყო.[667]

ზოგიერთი ჯვარი ხევსურეთში თავის მსახურებს სანადიროდ წასვლის უფლებას არ აძლევდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ხუცესი იყო თუ დასტური[668]; თუმცა, გამონაკლისებიც დაშვებოდა. მაგალითად სოფელ როშკის დიდგორის ჯვრის ხუცესი მონადირე ყოფილა, მასზე ამბობდნენ, ჯვარი ნადირობას არ უკრძალავს, პირიქით, ხელს უმართავს ნადირობაშიო.[669]

ხევსურეთში გავრცელებული სამონადირეო ტრადიციით, თუ მონადირე რქებს გაჰყიდდა, მას ნადირობისას ბედ-იღბალი აღარ ექნებოდა.[670] ხევში კი, პირიქით,

---

[663] იქვე, 15.
[664] იქვე.
[665] იქვე, 23.
[666] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 105.
[667] *ზურაშვილი მ.,* ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009, 23. შეად. *ბალიაური მ., მაკალათია ნ.,* 1940, რვ. 4.
[668] დასტური ხევისბერის თანაშემწეა, რომელიც ხატში მისულებს სასმელსა და საკვებს ურიგებდა – *დავითაშვილი გ.*, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 44.
[669] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 106.
[670] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 150. შეად. Калиновский А., Очерки кавказской фауны и кавказских охот, Тифлиси, 1990, 5.

რქებით ვაჭრობა დაშვებული ყოფილა და მას სასმისად იყენებდნენ.[671] თუმცა აქაც არსებობდა ხარჯიხვის, ხარირემისა და ნიამორის რქებით ხატ-სალოცავების შემკობის ტრადიცია და ამ შესაწირით უფალისთვის ნადირობისას შეწევნის თხოვნა.[672]

მთის ადგილობრივი ჩვეულებებით იკრძალებოდა ღვთისგან ნიშანდადებული ნადირის მოკვლა და მისი ვინმესთვის, მითუმეტეს, ხატისთვის ძღვნად მირთმევა.[673] მაგალითად, ხევსურეთში მკერდჯვარიანი ან ხალიანი ნადირი „წმინდანად“ ითვლებოდა და მისი მოკვლა უბედურებას შეამთხვევდა მონადირეს.[674]

ხევსურები ღორსა და კურდღლზე არ ნადირობდნენ, რადგან მათი ჭამა იკრძალებოდა – უწმინდურია და „ხატი გვიკრძალავსო“.[675] ბევრი ნადირის მოკვლა ისეთ ცოდვად ითვლებოდა, რომ მას ვერც „საკლავ-პატივი“ და ვერც ხატში შესაწირი ძღვენი შველოდა.[676] უძეობას, გვარის გადაშენებასა და თავს დამტყდარ სხვა უბედურებებსაც ამ მიზეზს აბრალებდნენ.[677] ამიტომ ყოველი ასი ხარჯიხვის მოკვლის შემდეგ თოფს მიწაში მარხავდნენ მიწისთვის ცოდვების მისაბარებლად. ამ წესს ხევსურეთში „აზარი“ ეწოდებოდა და ზოგიერთი მონადირე მას რამდენჯერმეც ასრულებდა:

სამჯელ ხქონივა შეთესა
აზარი ათავებული,
ვაი თუ მოგკლეს, შეთეო,
დღე გქონდას გათავებული.[678]

---

[671] იქვე.
[672] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 151.
[673] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 151.
[674] იქვე, 152.
[675] იქვე, 151.
[676] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 152.
[677] იქვე, 152.
[678] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 108.

დაცული უნდა ყოფილიყო ნადირობის სეზონიც. ხევსურები ჯიხვსა და ნიამორზე მხოლოდ შემოდგომაზე ნადირობდნენ,[679] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ ადგილეზე კი ჯიხვზე ნადირობა შემოდგომასა და ზამთარში გრძელდებოდა, რადგან ამ დროს ხორცი მსუქანია და გემრიელი, ტყავი კი გამძლე გამოდის.[680] ბარში სექტემბერში ყვირილობის დაწყებისას ხარსა და ფურზე ნადირობაც იწყებოდა, რადგან ამ დროს ხარის ყურადღება მოდუნებული იყო და მასთან მიპარვა ადვილდებოდა. ნოემბრიდან იანვრამდე ბოტობა მიმდინარეობს, ამიტომ ნადირი ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ნადილი ნაკლებად ფრთხილია, მასზე არ ნადირობდნენ სპეციფიკური სუნისა და ხორცის უხარისხობის გამო.[681]

კურდღელზე ნადირობის ტრადიცია მთაში მიღებული არ ყოფილა. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში ადრე კურდღლის ხორცს არ ჭამდნენ, ამბობდნენ, „ციცაის ჯიშის“ არისო“, ფეხები ძაღლით აქვს, წვერები – კატის, ყურები ვირის, ხორცი კი – ბატკნისო, თუმცა წინა საუკუნიდან კურდღლის ჭამა აქაც დაუწყიათ.[682] ზემო რაჭაში კურდღელი „გლახა კვალის“ ცხოველად მიაჩნდათ და ნადირობისას მის წინ გადარბენა ცუდ ნიშანს მოასწავებდა.[683] სვანეთში კი კურდღელი კატის ნათესავად ითვლებოდა და მასზე არავინ ნადირობდა.[684]

ხევსურული ტრადიციით, ნადირის ძვლებს დაუმარხავს არ ტოვებდნენ, ჭამის შემდეგ აგროვებდნენ და ეზოში მიწაში მარხავდნენ.[685]

მთიულეთში მონადირეს ეკრძალებოდა შინ მიტანილი ნანადირევი მეზობლისთვის ან სხვებისთვის გაგეზავნათ, რადგან ხორცი სახლის კარს არ უნდა

---

[679] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 153.

[680] *გალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 156.

[681] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 153.

[682] *გალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 140.

[683] *რობაქიძე ა.,* შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 91.

[684] *რობაქიძე ა.,* შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 91-92. შეად. *ონიანი გ.,* ქვემო სვანეთის 1939 წლის ექსპედიციის დღიურიდან.

[685] *გალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 111.

გასცილებოდა; მონადირეს თუ ვინმეს პატივისცემა უნდოდა, სახლში უნდა მოეწვია.[686] ხევსური ცალად მონადირე შინ მიტანილ ხორცს მხოლოდ სანდოს თუ გაუგზავნიდა, ისეთს, რომელიც უმ ხორცს არ შეჭამდა; მაინც გააფრთხილებდა, არ შეჭამო, საქმე ცუდად წამივაო.[687]

იოანე ბატონიშვილის პროექტითაც, ნადირობა უნდა აკრძალულიყო „პეპლობისა და პირუტყვთ ახურების, ასევე ბარტყობისა და ნუკრობის“ დროს, სანადირო ფრინველებისა და ცხოველების გამრავლებას ხელი რომ არ შეშლოდა.[688]

3.6. მონადირეთა გაწვრთნა

მამაკაცები ადრეული ასაკიდანვე ეუფლებოდნენ ნადირობის წესებს, მაგრამ კარგი ყმა, კარგი მონადირე ცოტა თუ ხდებოდა. ნადირობა დიდ ამტანობას, სანადირო ტრადიციების დაცვას მოითხოვდა. განსაკუთრებით რთული ჯიხვთა ბილიკებზე სიარული და დათოვლილ მთებში ღამის თევა იყო.[689] ჯიხვებზე ნადირობა ყოველთვის გულადობასა და საკუთარი მიწის დაცვასთან იყო გაიგივებული[690], ამიტომ მასზე მონადირეები გამორჩეული პატივისცემით სარგებლობდნენ. ყველა ცდილობდა თანამონადირისთვის სროლა დაესწრო და ნადირი თვითონ მოეკლა, რადგან „სახელიც და ჯიხვის თავ-ტყავიცა“ და რქებიც მას ერგებოდა.[691]

ახალბედა მონადირე ასაკით ჩვიდმეტ-თვრამეტ წელზე ნაკლების არ უნდა ყოფილიყო; ამ ასაკის ვაჟზე ამბობდნენ, კლდეში სახეტიალოდ გულიც გამაგრებული აქვს და თვალიცო.[692] ის სანადიროდ გამოცდილ ნათესავს, ბიძას, ძმას ან სხვა ნათესავს მიჰყავდა. გარეშე პირი არ წაიყვანდა, ყველა ერიდებოდა გვარის წინაშე

---

[686] იქვე, 105.
[687] იქვე, 111.
[688] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, სსთსუ გამომცემლობა, 1975, 19.
[689] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 145.
[690] იქვე, 144.
[691] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 101.
[692] იქვე, 99.

პასუხისმგებლობას, ახალგაზრდა მონადირეს კლდეებში უბედურება რომ შემთხვეოდა.[693]

ხევსურეთში, ახალგაზრდა მონადირე ჯიხვზე სანადიროდ წასვლამდე წვრილ ნადირსა და ფრინველზე, განსაკუთრებით, შურთხზე ნადირობდა, რომელიც კლდეებში, საჯიხვეებს დაბლა ბინადრობდა.[694] მას მხოლოდ „ნადირთ დასამთხობად“ ანუ დასაფრთხობად იყენებდნენ - ჯიხვები იქ უნდა მიერეკა, სადაც მათ გზები ჰქონდათ შეკრული.[695]

პირველი ნადირის მოკვლის შემდეგ ნადირობის მცოდნედ თვლიდნენ და მონადირესაც უწოდებოდნენ; თუ კლდეშიც კარგად დადიოდა, იმაზე ამბობდნენ: „კლდეჩი ძალიან გვერდალჩი დადის..., მაგას კლდეჩი სიარულით ვერავინ აჯობებს, კლდეჩი, სიმაგრეჩი ნადირი არ მასჩების, ყველგან მივაო“.[696]

ნადირობა უსაფრთხო საქმედ არ ითვლებოდა. ახალგაზრდა მონადირეს ოჯახის წევრები ხშირად სთხოვდნენ არ წასულიყო სანადიროდ, ამიტომ მას ზოგჯერ გაპარვაც უწევდა: „ჩემიმც მტერია, დედაო, მთას მონადირის ცოლია,

გასწირავს თბილთა ლოგინთა, მივა, ჭიუხში მწოლია,

რო შუაღამეც არ იყვას, მას გათენებულ ღგონია“.[697]

მშობლები შვილებს „მენადირე ეშმაკითაც“ აშინებდნენ: „მენადირე ეშმაკთ საქონთ დასდევს, ნადირნი ეშმაკთ საქონნი... მენადირეს ეშმაკთან აქვს საქმე გაზიარებული... არ გინდა ეშმაკთ საქონის Ãორცი“.[698] სხვა მიზეზებიც არსებობდა, რის გამოც განსაკუთრებით ახალბედა მონადირეს უშლიდნენ ნადირობას: „ნადირობას დაეჩვევა, მერე შინაურ სახლის საქმეზე აღარ მიუვა Ãელ-გული – მონადირეს არცვის არ ხქონივ ბედიდ დავლათი, არც შვილ ბოლოჩიად, არც ქონა-ყოლაჩი“.[699]

საერთოდ, ხევსური მონადირე სანადიროდ წასვლის სურვილს ხმამაღლა არ ამჟღავნებდა, „მეშურნე მეჯაბრე აშინებდა, რომელიც ავი თვალითა და ავი გულით შეკრავდა მონადირის თოფსა და თოფის წამალს.[700]

---

[693] იქვე,.
[694] იქვე, 96.
[695] იქვე, 100.
[696] იქვე, 100.
[697] იქვე, 96.
[698] იქვე, 99.
[699] იქვე, 99-100.
[700] იქვე, 96.

3.7. ნადირობის ორგანიზაციის ფორმები

საქართველოში ნადირობის სამი ტიპია ცნობილი: ცალად, მცირე ჯგუფებად, სადაც რაოდენობა სამი მონადირიდან თხუთმეტ მონადირემდე მერყეობდა და მასობრივი ნადირობა.

ნადირთა სიმრავლითა და ნადირობის ორგანიზაციის განვითარებით განსაკუთრებით საქართველოს მთიანი მხარეები იყო ცნობილი: რაჭა, სვანეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი... სიგელ-გუჯრებშიც მრავლადაა ბარის ისეთი სოფლები მოხსენებული, რომლებიც თავიანთი სანადირო ადგილებით მტკიცდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის სამეფო ლაშქარ-ნადირობის ვალდებულების შესახებ საკმარისი ცნობები მოიპოვება ისტორიულ საბუთებსა თუ სხვა წყაროებში, საეკლესიო ყმათა მიერ საკუთარი ან ეკლესიის საჭიროებებისთვის ცალკე ნადირობა ეწყობოდა თუ არა, ეს არ ჩანს. ამ საკითხს რამდენადმე უკავშირდება ფავნელის ნასყიდობის დაწერილი. ფავნელმა მეფისგან ნაბოძები სოფლები მიჰყიდა თევდორე მემღვიმეს, რომელმაც ნასყიდის ღირებულება, თანხის გარდა, გადაიხადა სანადირო ძაღლებითა და ფრინველებით: „და მოვიყვანე მთავარი მემღუ[ი]მე თევდორე და მივათუალენით სოფელნი; და მომიწონა... შუიდი ქორი კაპოეტი, შუიდი მეძებარი, შუიდი მწევარი წაუვალი.“[701] თუმცა, ნადირობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ საეკლესიო გლეხთა ნადირობის უფლებასაც, მითუმეტეს, რომ ბეგარის სახით ნადირობა პირველად ნახსენებია 893-918 წლებით დათარიღებულ შიომღვიმის დაწერილში. მიქაელ მემღვიმე ამბობს, რომ წელიწადში ერთი დღე ნადირობა ბეგარის სახით მათი „მოსაცემელი“ იყო, ამასთან კაცის თავზე ორი ჯამ შეჭამანდს, ორ პურსა და ორ „პირ“ ღვინოს კისრულობდა.[702] საფიქრებელია, რომ მიქაელი, როგორც საკუთარი მამულის მფლობელი, ამ სახასო ვალდებულებას სოფელ ცხირეთში დასახლებული მისივე ყმების საშუალებით ასრულებდა და სანადირო დღეს მათ დღიურ ხარჯს იღებდა.

---

[701] ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი [IX], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები *დაურთო ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 3. ამ საბუთის შედგენილობასა და შედგენის თარიღზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ შინაარსის ნამდვილობა ეჭქვეშ არ დგას.

[702] ბეგრის დადების დაწერილი შიომღვიმისა {893-918], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 4.

3.7.1. ცალად ნადირობა

მარტოდ მონადირეები ნადირობის „წმინდა ხელოვნების საიდუმლოს“ არავის უზიარებდნენ, ისინი ნადირის ზნის კარგი მცოდნეები იყვნენ, ბილიკებიც ყველაზე უკეთ იცოდნენ.[703] ცალად მონადირე ძალიან გამოცდილია, იცის სად მოუყაროს თავი და ჩაუსაფრდეს ნადირს ისე, რომ ვერ შენიშნოს.[704] ასეთი მონადირე ნადირობასთან დაკავშირებული რელიგიური რწმენის დამცველია.[705]

ცალად მონადირეები ნადირს ჩასაფრებით, მიპარვით კლავდნენ, ჯგუფურად მონადირენი კი სხვადასხვა ფორმას ირჩევდნენ: მორეკვას, სავალი ბილიკების გადაჭრას, სანადირო ადგილისა და ნადირის დაკეტვას.[706] სანადიროდ გასული ჯგუფის თითოეული მონაწილე ინდივიდუალურ დავალებას იღებდა და მკაცრად იცავდა უფროს-უმცროსობის წესებს.[707]

3.7.2. ჯგუფური ნადირობა

მცირე ჯგუფებში მონადირეთა რიცხოვნობა უმეტესად დამოკიდებული იყო ნადირის სახეობასა და სანადირო სეზონზე. ერთად მონადირეთა რიცხვიც დიდი არ იყო და, ძირითადად, ჯგუფში მხოლოდ ორი-სამი მონადირე იყო.[708] ხევსურეთში მონადირეები ერთი გვარის ან სოფლის მიხედვით შეამხანაგდებოდნენ ხოლმე, თუმცა სხვა სოფლებთანაც შეიძლებოდა.[709] ნადირობის ფუნქციები წილის ყრით ნაწილდებოდა და ყველა ემორჩილებოდა. კენჭს მხოლოდ ახალბედას არ უყრიდნენ და პირდაპირ დასაფრთხობად გზავნიდნენ.[710]

---

[703] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 148.

[704] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 96.

[705] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 148.

[706] იქვე, 149.

[707] იქვე.

[708] იქვე, 147.

[709] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 99.

[710] იქვე, 101.

მონადირეთა შედარებით დიდი ჯგუფების, თორმეტ-თხუთმეტ კაციანი შემადგენლობით ნადირობის დროს არჩვზე, შველზე, ჯიხვზე - გულ-ღვიძლი და სხვა შიგნეულობა ადგილზე იწვებოდა და უნდა შეჭმულიყო; ტყავებს ცალკე გადააწყობდნენ გასაყიდად, ხორცს კი ჩხირის ყრით ანაწილებდნენ.[711] ტყავის გაყოფა მონადირეთა რაოდენობაზე შეუძლებელი იყო, ამიტომ მას ერთიანად ჰყიდდნენ და თანხას იყოფდნენ. რაჭველ მონადირეებს ასეთი ჩვეულებაც ჰქონდათ, გაყიდული ტყავით სასმელს ყიდულობდნენ და „ოჩხარს“[712] აწყობდნენ.[713] ნადირის ტყავი საერთოდ ძვირად ფასობდა. მაგალითად, მთიულეთში ორი ჯიხვის ტყავისგან ერთ ბეწვგარეთა ტყავს კერავდნენ, რომელიც ერთი ძროხა ღირდა.[714]

რაჭაში ჯიხვზე ნადირობისას, ჯიხვის მოსაჭირავის[715] დროს, როდესაც ჯგუფში მხოლოდ გაწაფული მონადირეები იყვნენ, ნადირის ხორცი თანაბრად ნაწილდებოდა, მხოლოდ ჯიხვის მომნადირებელი ჯიხვის თავრქას იღებდა დამატებით.[716]

3.7.3. მასობრივი ნადირობა

მასობრივი ნადირობისას მოხალისეთა რაოდენობა გაცილებით მეტია მონადირეებზე, მაგალითად, მტაცებლების შემოჩვევისას, დიდთოვლობის ან ნადირთა გამრავლების დროს.[717] ამ დროს მონადირეებს თან ახლდნენ თანაამტანები, ანუ არამონადირეები, რომლებიც მოჰყავდათ ჯგუფური ნადირობისას დამხმარეებად, განსაკუთრებით, დათვზე ნადირობისას. დათვზე ნადირობა, მეტწილად, მისი როგორც მტაცებელი ნადირის მოსაკლავად იმართებოდა. ხორცი საჭმელად

---

[711] *როგაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 118.

[712] ოჩხარს უწოდებდნენ გარკვეული წესით, ხელმოკლე პირების კოლექტიურ დახმარებს სხვადასხვა პროუქტებით.

[713] *როგაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 118.

[714] *გალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 107.

[715] მოსაჭირავი – ძირითადად იგულისხმება კლდის ნადირისთვის ბილიკის ჩაჭრა და ჩასაფრება ანუ ჩასახუნდრება. *როგაქიძე ა.*, რაჭაში მივლინების ანგარიში (1939 წ. 10.VII-7.VIII), აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XI, თბ., 1941, 7.

[716] *როგაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 119.

[717] იქვე, 77.

უვარგისად მიაჩნდათ, ქონს, ნაღველს და ტყავს ღირებულების მიხედვით იყოფდნენ, მის მომკვლელს კი დათვის თავის შეხვდებოდა.[718]

რაჭაში მასობრივი ნადირობა უმეტესად ეწყობოდა შველზე, იშვიათად, ჯიხვებზე.[719] ნადირობა ეწყობოდა ჯელგაობით, ძაღლების დახმარებით. საერთოდ, ნადირობისას მადევარი ძაღლები იშვიათად გამოიყენებოდა. რაჭაში ამბობდნენ: „მადევარი ძაღლი კლდეს ან ხეს შეასკდება ან ხევში გადაიჩეებაო“, ამიტომ სანადიროდ უმეტესად გამოჰყავდათ მეძებარი ან მეძებრისა და მწევრის ნაშიერი, რომელსაც ეზერი[720] ერქვა.[721] ნადირობის ფუნქციები წილის ყრით ნაწილდებოდა და ყველა ემორჩილებოდა. კენჭს მხოლოდ ახალბედას არ უყრიდნენ და პირდაპირ დასაფრთხობად გზავნიდნენ.[722]

3.8. სამეფო ნადირობის ორგანიზაცია

3.8.1. სამეფო ნადირობის სახეები

ფეოდალური საქართველოს სამხედრო საქმის ორგანიზაციაში ნადირობას, როგორც ვასალურ მოვალეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, განსაკუთრებით გაერთიანებული საქართველოს პირობებში. სამეფო ნადირობა მასობრივი ნადირობის გამორჩეული სახეა.

საქართველოს მეფეებს ყველა მხარეში თავიანთი სანადირო ადგილები ჰქონდათ, ამიტომ სამეფო ნადირობა, გარდა წესად ქცეული საახალწლო-ზამთრის ნადირობისა, ნებისმიერ დროსა და მხარეში შეიძლება გამართულიყო. ამასთან, რიგითი სამეფო ნადირობა განსხვავდებოდა საახალწლო ნადირობისგან, რომელსაც მეფე პირად შემადგენლობასთან, დარბაზის, სავაზიროს წარმომადგენლებთან და ქვეყნის სხვა დიდებულებთან ერთად მართავდა და რომელიც უფრო ერთგვარ საომარ დღეობას წააგავდა. ლაშქრობისა და ნადირობის საქმის მოხელეები და მცოდნე პირები იყვნენ ამ დღის და, საერთოდ, ზამთრის პერიოდის სტუმრები სამეფო კარზე. სამეფო ლაშქარ-

---

[718] იქვე, 120.
[719] იქვე, 77.
[720] ეზერი ასევე ნიშნავდა სანადიროდ დაგეშილ ძაღლს.
[721] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 111.
[722] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 101.

ნადირობის მოწყობის წესი განხილულია ლაშქარ-ნადირობის თავში, აქ კი მხოლოდ ჩვეულებრივ, რიგით სამეფო ნადირობას შევეხებით.

3.8.2. რიგითი სამეფო ნადირობა

სამეფო ნადირობის პროცესი დაწვრილებით აქვს აღწერილი თეიმურაზ მეფეს პოემაში „დღისა და ღამის გაბაასება“[723]: მეფის მიერ ისრით ნადირობის მოწყობის ბრძანების გაცემისას, სოფლებში კაცი იგზავნებოდა ხალხის ჯელგისთვის მოსაგროვებლად. ჯელგა ღამით მივიდოდა იმ მინდორზე, სადაც ბევრი ჯეირანი იყრიდა თავს და მთლიანად ალყაში აქცევდა ნადირს. ნადირობა დილით იწყებოდა. შუაში ალყა ჩაიხსნებოდა და ისრით მონადირენი იწყებდნენ ჯეირანების დევნას. კარგი მოისარი ის იყო, რომელიც „ზნეობითა და ცოდნით“ პირველივე ისრის კვრაზე მოკლავდა ნადირს და მშვილდის მეორედ მოზიდვა არ დასჭირდებოდა. აქ თეიმურაზი ასეთ ტაეპს წერს: „სწორედ არ ერჭოს ისარი, ნადირს არ ჩაუგდებენო“.[724] ბუნდოვანია, რას გულისხმობს ნადირის არ ჩაგდება. ნადირობა ერთგვარი შეჯიბრიც იყო და მონადირეები კარგი მონადირის სახელისთვის ცდილობდნენ სხვაზე მეტი ნადირი დაეხოცათ.[725] ამიტომ, სავარაუდოდ, ნადირზე ისრის სწორად და მრუდედ მსროლელებს შორის დავისას ცუდად მსროლელს ნანადირევს არ მიუთვლიდნენ. ცუდ მონადირედ ითვლებოდა და შეიძლება ნანადირევის გარეშე დარჩენილიყო ის, ვინც ცხენს „ავს დროს“ დაძრავდა და ნადირს დააშავებდა.[726] როგორც ჩანს, ეს სამონადირეო დანაშაულადაც კი ითვლებოდა და სასჯელად ჯოხით ცემას ითვალისწინებდა:

„კიდეც გალახვენ ამგვარს კაცს,
ზედ დაჰკვრენ ბევრსა ჯოხებსო“.[727]

---

[723] *თეიმურაზ მეორე,* დღისა და ღამის გაბაასება, პოემის 644-დან 701-ე ჩათვლით სტროფები სრულად ნადირობას ეხება, ინტერნეტ გამოცემა: <http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/> [25.02.2020]

[724] *თეიმურაზ მეორე,* დღისა და ღამის გაბაასება, 612-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/> [25.02.2020]

[725] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 148.

[726] *თეიმურაზ მეორე,* დღისა და ღამის გაბაასება, 615-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/> [25.02.2020]

[727] იქვე.

ისრით ნადირობის დღის დასასრულს, მონადირეები საკუთარ ნანადირევს მეფეს მიართმევდნენ. მეფის მდივნები ნანადირევს ყოველდღე ითვლიდნენ და უკლებლივ აღრიცხავდნენ.[728]

როგორც თეიმურაზ მეორე პოემაში აღწერს, თოფით ნადირობისას, ჩასაფრების დასრულების შემდეგ, ყველას თავისი მთელი, დაუნაწევრებელი ნანადირევი მოაქვს მეფესთან. ხარი იქნება, ტახი თუ შველი, არ აქვს მნიშვნელობა, ხელმწიფის წინ უნდა დააწყონ, რის შემდეგაც ლხინი ეწყობა, ნადირთ მკვლელებები კი ნანადირევს სახლშიც აგზავნიან.[729] მთაში გავრცელებული სანადირო ჩვეულება ყველა მონაწილესთვის ნანადირევის თანაბრად გაყოფის შესახებ ამ ნაწარმოებში არ ჩანს.

თეიმურაზ მეფე, ისრითა და თოფით ნადირობის გარდა, აღწერს ნადირობას გავაზითა და შავარდნით, ქორითა და მიმინოთი, კურდღელსა და თევზზე ნადირობას, ასევე კნავილობისა და ყვირილობის დროს რომელ ნადირზე როგორ ნადირობდნენ.

ნადირობას გართობის მიზნით, ისევე როგორც თამაშობებს, ძირითადად მშვიდობიანობისა და ლხინის დროს მიმართავდნენ. გლოვის დროს ნადირობა სირცხვილად ითვლებოდა, რასაც კარგად აჩვენებს არჩილ მეფის ეს სტროფი:

ვაჟი დარჩა, ლაშა ჰქვიან, და მისვე შვილს-ქალს რუსუდან,
ჩვენ ვიქმენით ყელ-დაჭრილნი უხმლოდა და მერმე უდან;
სანადირო ოხერ-იქმნა, უბურთალო მუნ მეიდან;
განიკიცხნეს დიდებულნი, ერისთავი რაჭის ბედან.[730]

მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ სამეფო თამარ მეფის გარდაცვალებას გლოვობს, სანადირო ადგილები მიტოვებულია, თამაშობები აღარ იმართება, გეგუთიდან ონამდე თამარის დატირება ისმის, ამ დროს კი რაჭის ერისთავი სანადიროდ გასულა. ეს ფაქტი მეფის შეურაცხყოფად მიუღიათ და გაუკიცხავთ კიდეც ერისთავი ამისთვის.

ზოგჯერ პირიქით ხდებოდა, სამეფო ოჯახის წევრები და მათი ნებართვით დიდებულები დარდის გასაქარვებლად მიმართავდნენ ნადირობას:

მიველ ვნახე დადიანი, უტირე და მომიტირა...

---

[728] იქვე, 612-ე სტროფი.
[729] იქვე.
[730] იქვე.

რა გარდავსწყვიტეთ ტირილი კვლა იმანც მოიფოჟოლა,
წავედით სანადიროდა, ტყეები ვრეკეთ მუნ ჟოლა,
შემოღობილთა დადგომა, გრძლად ტყეთა ჯილგის მიყოლა.[731]

3.9. სანადირო საქმესთან დაკავშირებული მოხელეები

3.9.1. მონადირეთუხუცესი

საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამდე სამეფო ნადირობას საჯარო ფუნქცია ჰქონდა და ამ საქმეს მონადირეთუხუცესი ხელმძღვანელობდა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მონადირეთუხუცესის სახელოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეთა შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის „ხელმწიფის კარის გარიგება“. დაზიანებისა და ნაკლულობის გამო, ამ თავის ზოგიერთი წინადადების შინაარსი ბუნდოვანია, თუმცა XIV საუკუნისა და უფრო ადრინდელი პერიოდის სამეფო ნადირობის წეს-ჩვეულებების შესასწავლად უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ძეგლის პირველივე თავი იწყება შემდეგი წინადადებით: „...მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს, მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების“,[732] რომელსაც მოსდევს ახალი წლის დღეს მეფის განსაკუთრებულად შეკაზმვის ცერემონია. ტექსტი მნიშვნელოვნად დაზიანების გამო თავდაპირველად ე. თაყაიშვილმა აღადგინა, მოგვიანებით კი ის. დოლიძემ:

მას წელიწდის თავს დღეს მეფე არავის შემოსს, ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყÂთლით ყაბარჩით შეიმოსების, საÃელმოკლით, ტყავიანითა, მოყვენთუსლითა, არა დია პრტყელად. თავსა და საყელოსა კარგისა ყÂნდიზისა და მაღლად აშვერილსა, მჭლოდ შეკერულსა ქუდსა დაარქვამს.[733]

ეს აღწერლობა ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ახალი წლის დღესასწაულზე მონადირეთუხუცესს მოსავს და ქუდს ახურავს მეფე, რაც შეუსაბამობაშია მეფის კარზე და საერთოდ, მონარქიულ სახელმწიფოებში არსებული იერარქიული მოწყობასთან. ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა ძეგლის მოცემული ტექსტი და აღნიშნა, რომ შინაარსობრივი უზუსტობები დაკავშირებულია გადამწერის შეცდომასთან.[734] ივ.

---

[731] იქვე. 1030-ე და 1031-ე სტროფები.
[732] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 80.
[733] იქვე.
[734] იხ. *ჯავახიშვილი ი.*, ქართველი ერის ისტორია, ტ. 5, სსთსუ გამომცემლობის სტამბა, 1953, 150.

სურგულაძე არ ეთანხმება ი. დოლიძის მიერ ძეგლის დასაწყისის აღდგენის ამგვარ ცდას და მიაჩნია, რომ ეს წინადადება უნდა დარჩეს ისე, როგორც ე. თაყაიშვილსა და ივ. ჯავახიშვილს გაუმართავთ:[735] „მას წელიწდის თავს დღეს მეფე არავის[გან] შეიმოსების ამისგან კიდე, რომე მონადირეთუხუცესი ყÂთლით ყაბარჩით შემოსს“.[736] მეფეს ამ დღეს მოსავს სამეფო ნადირობის ორგანიზატორი მონადირეთუხუცესი, რომელიც მეფის სასახლის კარზეა ახალი წლის დღესასწაულის პერიოდში. ეს ამ მოხელისთვის განსაკუთრებული პატივია, რადგან მეფის შემოსვა მსახურთუხუცესის მოვალეობას შეადგენდა. სწორედ მისგან იღებს მონადირეთუხუცესი მეფის საახალწლო შესამოსელს. ნადიმობისას მონადირეთუხუცესი მეფეს მწვადს მიართმევდა და ჰკითხავდა: „ხვალ სით ჰკვლევენ“? მეფეც უპასუხებდა, სად სურდა ნადირობა.[737] ამის შემდგომ, მეფე მას ჭიქა ღვინოსა და მწვადს შესთავაზებდა, მონადირეთუხუცესი მწვადს მიირთმევდა, ღვინოს შესვამდა „და მუნ[ვ]ე წავა და დაჯდების თავის ადგილზე“.[738] ყურადღებას იქცევს გარემოება, რომ მონადირეთუხუცესს ნადიმზე მეფესთან ჯდომის უფლება ჰქონია და მისთვის სპეციალური ადგილიცაა გამოყოფილი. მეფესთან საახალწლო ნადიმს სამეფო სანადირო ადგილების ტყისმცველები[739] და მონადირეებიც ესწრებოდნენ.[740]

ამასთან, ვერცერთ წყაროში მივაკვლიეთ, რომელი ვეზირის ქვემდებარე მოხელეა მონადირეთუხუცესი. თუ გავითვალისწინებთ, რა უფლება-მოვალეობებითაა ის აღჭურვილი სასახლის კარზე ახალი წლისა და ზამთრის ნადირობის პერიოდში, ასევე, გავითვალისწინებთ სამეფო ნადირობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას,

---

[735] ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 5.

[736] იქვე, 32.

[737] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 80.

[738] იქვე.

[739] ხელმწიფის კარის გარიგების ტექსტში „ტყისმცველი“ მხოლობით რიცხვშია. ივ. სურგულაძის მოსაზრით, ამ პარაგრაფში ტყისმცველი მრავლობითში უნდა იყოს მითითებული, რაც მართებული შენიშვნაა, რადგან ნადიმზე ერთზე გაცილებით მეტი ტყისმცველი იქნებოდა. ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 5.

[740] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 80.

დასაშვებად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მონადირეთუხუცესი სასახლის კარის მოხელეა და მსახურთუხუცესს ექვემდებარება.

3.9.2. სამეფო კარის მონადირეთა უფლება-მოვალეობები

მონადირეთუხუცესის სახელოს დაქვემდებარებული მონადირეების მოვალეობაში გიორგობის დღესასწაულიდან თევდორობამდე[741] სამეფო კარზე ყოფნა და ნადირობაში მონაწილეობის მიღებაა.[742] ხელმწიფის კარის გარიგებაში აღნიშნულია, კახეთსა და იმერეთში მონადირეთა ორას სამოცი სახლი იყო, ტყის მცველები მათზე მეტი.[743] სწორედ მათი შეკრება ხდებოდა საახალწლოდ მეფის სასახლეში, დიდ სამეფო ნადირობასა და სარიტუალო მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად.

ძეგლის ავტორი სამეფო ნადირობის დასრულების რიტუალს ასე აღწერს:

ორშაბათს მეორეს ლამპარს მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისასა და შÂლთა, ვეზირთა და მოლარეთა ყველას მიართმენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა; ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს; ვეზირნი და მოურავნი[744] ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა. საგანმგებოს მუქიფსა და საღვინის მუქიფსა და გამცემარსა იაფებენ ყოველსა.[745]

აქ, სავარაუდოდ, თევდორობის მეორე ორშაბათი აქვს ავტორს მხედველობაში. ამ დღეს მონადირეები ლამპრობას მართავენ. მეფე მათ მიღებას უმართავს, სადაც სამეფო ოჯახის გარდა დიდი მოხელეებიც არიან მოწვეულები. როგორც ჩანს, მონადირეებმა მათ საჩუქრები უნდა მიართვან. ამავდროულად, მეფე-დედოფალიც ასაჩუქრებენ

---

[741] ქრისტიანული კალენდრით, თევდორობა აღინიშნებოდა დიდი მარხვის პირველ შაბათს.

[742] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 88.

[743] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 88.

[744] აქ ყურადღებას იქცევს ტერმინი „მოურავნი“. დედანში აღნიშნული „მოურ˜ვნი“, ე. თაყაიშვილსა და იც. სურგულაძეს ძეგლის გამოცემებში უცვლელად აქვთ დატოვებული, თუმცა ივ. სურგულაძე უმჯობესად მიიჩნევს, ტექსტში მოურავის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს „მოლარე“, როგორც ის პირველ წინადადებაშია. მითუმეტეს, მიუხედავად ტერმინების: ურვა, მოურავი, საურავი დამოწმებისა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ძეგლებში, მოურავი როგორც მოხელე ჯერ არ ჩანს. თუმცა მეცნიერი არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ხელმწიფის კარის გარიგება პირველი ძეგლია, რომელიც მოურავის ინსტიტუტის არსებობას ადასტურებს. ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ი. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 155.

[745] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 88.

მონადირეებს პურ-ღვინითა და საკლავით, იგივეს აკეთებენ ვეზირები და მოურავები, ძღვენთა გამგე და საღვინის მეძღვნეც შესაბამისად გასცემენ რაც საჭიროა. ივ. ჯავახიშვილს ლამპრობას სვანურ „ლიმპÂარის“ წარმართულ ჩვეულებასთან აკავშირებს, რომელიც მიძღვნილი იყო მთვარის ღვთაებისადმი და არყით ხის ტოტებით ხელში ადიდებდნენ მას.[746]

საინტერესოა მონადირეთა მიღების ცერემონიის დასასრული: „და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ, მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზვნიან და ლამპარსა ანთებ[უ]ლსა მხარსა შეიდებენ, ეგრე მრგვალსა დააბმენ. ვისცა ავად მიუცემია, ანუ პურად ავადია, აგინებენ და რაც უარესია.“[747] როგორც ხ. დამჩიძე აღნიშნავს, „მონადირეები სარიტუალო მრგვალ ფერხულს ასრულებენ“, მაგრამ გაუგებარია მხარზე შემოდებული ანთებული ლამპრებით როგორ უნდა შეესრულებინათ ცეკვა ისე, რომ ცალი ხელით ლამპარი სჭეროდათ და „მრგვალი ფერხულში“ ორივე ხელით ჩაბმულიყვნენ.[748] მკვლევარი ამ მონათხრობს იმით ხსნის, რომ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს თუშური „მაშხალებიანი“ ფერხული, რომელშიც მოცეკვავეებს ერთ ხელში ლამპარი უჭირავთ, ხოლო მეორე ხელი გვერდით მდგომი მოცეკვავის მხარზე აქვს დადებული.[749] მაგრამ აქ გაკვირვებას ცეკვის დადგმის ფორმა იმდენად არ იწვევს, რამდენადაც ხელმწიფის კარის გარიგების ავტორის ის ცნობა, რომ თუ მონადირეები კარგად დასაჩუქრდებიან, არავის აწყენინებენ, მაგრამ თუ რამეს დააკლებენ, დიდი შეურაცხყოფის მიყენებასაც არ ითაკილებენ. ლამპრობაზე მოწვეულ სტუმართა მიმართ, მეფის წინაშე ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვა მართლაც უცნაურია, რაც სამეფო მონადირეთა მაღალ სტატუსსა და ავტორიტეტზე მიუთითებს. ი. ანთელავა ყურადღებას აქცევს რა ლამპრობის დღესასწაულს, შენიშნავს, რომ ეს „წარმართობის დროიდან შემორჩენილი დღესასწაული, ხალხის წიაღში წარმოშობილი, ერთგვარი „დემოკრატიული“ ელემენტის შემომტანი იყო მკაცრი ეტიკეტით შებოჭილ სამეფო კარზე“.

---

[746] *ჯავახიშვილი ივ.,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979, 72.

[747] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 89.

[748] *დამჩიძე ხ.*, ქართლ-კახური საცეკვაო დიალექტი, პირველი ნაწილი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, №88, 2022, 49-50.

[749] იქვე, 50.

მეფის მონადირეთა სადგომებს შორის მოხსენიებულია სოფელი ქანდა. ეს სოფელი თავიდან შიომღვიმის მონასტრისთვის ყოფილა შეწირული, შემდეგ კი დემეტრე I აქ საფურე აუშენებია სამონადირეო მიზნებისთვის და ამიტომ სოფლის ჩანაცვლება უთხოვია მღვიმის წინამძღვრისთვის.[750] ქანდა საკმაოდ მოზრდილი სოფელია თავისი გაშლილი ველებითა და ტყის საფარით, რის გამოც სამეფო სანადირო მეურნეობად მისი გამოყენება მიზანშეწონილად მიუჩნევიათ. გუჯარში საგანგებოდ ხაზგასმულია ის, რომ ქანდა მონადირეთა სადგომია და სოფლის ჩანაცვლება მამა შიოსთან შეთანხმებით განხორციელდება.

3.9.2.1. სამეფო მონადირეთა გასამრჯელო

სამეფო მონადირეთა გასამრჯელოს ოდენობისა და სახეების შესახებ ცნობებს ხელმწიფის კარის გარიგება გვაწვდის.

სამეფო მონადირეთა გასამრჯელო განსხვავდებოდა იმის მიხედვით, რამდენ სამონადირეო დღეს აწყობდნენ მეფის კარზე. ნადირის „გაშვების ჟამსა“, მათი შემოსავალი შეადგენდა თითოეულზე სამ თეთრს, ხორციელის კვირიაკეს კი დიდ ჯილდოს – ექვს ტყავს იღებდნენ; ამასთან, „რაზომიც დაიკლვის, ერთისაგან კიდე, ყველას შიგან მონადირეთ არის ძაღლთა სახარშოსა, ტყავი მათი“.[751] ამ წინადადების შინაარსი ასე გვესმის: რაც დაიკვლებოდა, ერთის გარდა, ყველა საკლავის შიგნეულს ძაღლებისთვის ხარშავდნენ, ტყავი კი მონადირეთა საერთო საკუთრებაა. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ ყველა ნანადირევის ტყავი მონადირეებისაა. მათ მხოლოდ იმ ტყავის აღების უფლება ექნებოდათ, რაც მათივე ხელით იქნებოდა მონადირებული. სავარაუდოდ, მონადირეებს არასამონადირეო სეზონზეც ექნებოდათ გასამრჯელო დანიშნული, მაგრამ ამის შესახებ ცნობები არ იძებნება.

---

[750] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი [1170 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები *დაურთო ის. დოლიძემ*, მეცნიერება, თბ., 1965, 23.

[751] ხორციელის კვირიაკეს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს დიდმარხვის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. XIV საუკუნეშიც დაახლოებით ამ დროს უნდა ემთხვეოდეს ხორციელის აღნიშვნა, რადგან თედორობა, იგივე თევდორობა აღინიშნებოდა დიდმარხვის პირველი კვირის შაბათ დღეს. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად, *ელერდაშვილი ალ.*, 2006.

3.9.3. ბაზიერთუხუცესი და ბაზიერები

წერილობით წყაროებში გვიანფეოდალურ საქართველოში მონადირეთუხუცესის სახელოს შემცვლელად ბაზიერთუხუცესი მოჩანს, თუმცა მისი ვალდებულებები შეკვეცილია. ბაზიერი „ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველ-მწვრთნელი და ყურისმგდებელი“ მოხელეა,[752] შესაბამისად, ბაზიერთუხუცესი ბაზიერების უფროსია, მაგრამ შეუძლებელია ეს მოხელე მხოლოდ ნადირობის ამ ფორმის ზედამხედველობით შემოფარგლულიყო. ცნობილია ქართლის ბაზიერთუხუცესის სამოხელეო სარგო: ყარაიაში, ესე იგი მეფის სანადირო ნაკრძალში რაც მოვიდოდა, იმისი ნახევარი მას ერგებოდა და „ბატონი რომ შავარდენს აზღვევინებდა“, იმის ნახევარიც ბაზიერთუხუცესს ეკუთვნოდა, ნახევარი კი იასაულს.[753] შავარდენის ზღვევინებაში უნდა იგულისხმებოდეს მათი ბუდეების მოშენებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, მოვალეობის შესრულებლობისთვის დაწესებული შვიდმაგი ზღვევინება. ბაზიერთხუცესის შემოსავალში ასევე შედიოდა „ისპა[ა]ნს რამდენიც ბაზიერი წავა, იმთონი მარჩილი; რამთონი დუშალიკი მოვა, იმისი ნახევარი“.[754] ბაზიერთუხუცესი კახეთის სამეფოში უწყებას XV-XVII საუკუნეებში განაგებდა.[755]

„ხუმარსწავლის“ („კალმასობის“) ერთი ეპიზოდი ეთმობა ბაზიერთუხუცესის მოვალეობების აღწერას. ასევე დაწვრილებითაა ჩამოთვლილი გარეული ფრინველები და ნადირი და მათზე მონადირე ფრინველები და ძაღლების ჯიშები.[756] ბაზიერთუხუცესის ნებართვის გარეშე ვერავინ ინადირებდა. მის გამგებლობაშია ყველა მონადირე და სანადირო ადგილები – მინდვრის, ტყის, ჭალისა და ფრინველთა.[757] ბაზიერი იგივე მონადირეა და ყველა სამონადირეო საქმეს ასრულებს.

მთებში ნადირობა, ასევე შემოღობილ ადგილებში მირეკილი ნადირი მხოლოდ ბაზიერთუხუცესს ეკითხებოდა, ის ზედამხედველობდა ჯელგის კაცებს, სოფლებიდან ბაზიერების გამოყვანას, სანადირო ფრინველებისა და სანადირო ძაღლების

---

[752] ქარული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 780.

[753] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 323.

[754] იქვე.

[755] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 160.

[756] იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, I, მერანი, თბ., 1990, 461.

[757] იქვე.

გაწვრთნას.[758] სანადირო ფრინველების სახეობები და ძაღლების ჯიშები იმის მიხედვით შეირჩეოდა, რაზე ეწყობოდა ნადირობა. იოანე ბაგრატიონს სანადირო ფრინველებში დასახელებული აქვს: „მიმინო, ქორი, შავარდენი, გავაზი, ბარი, არწივი, სონღული, ალალი, მარჯანი, შავთვალი, სირკაჭკაჭი და ჯინხვა“[759], ხოლო სანადირო ძაღლებში: „მწევარი, მეძებარი, ლაგაზი, ეზერი და ქოფაკი.“[760]

როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, XVIII ს. მე-2 ნახევრიდან ზოგიერთმა სახელომ სახელწოდებასთან ერთად შინაარსიც შეიცვლა, მათ შორის არის მიშკარბაშის სახელო.[761] მეცნიერი მიშკარბაშს მიიჩნევს მონადირეთუხუცესის შემცვლელ თანამდებობად.[762] ეს მოსაზრება ემყარება მიშკარბაშ იოსებ ბებუთაშვილის მიერ 1784 წელს დაწერილ საბუთს, სადაც იოსების გადმოცემით, მიშკარბაშობა, ანუ ობერიეგერმეისტერობა მამამისს ვასილს თეიმურაზ II მეფობის დროს მიუღია ერანის ხელმწიფის იბრეიმ-შაჰისგან წყალობის წიგნით, მისი გარდაცვალების შემდეგ სახელო გადასცემია იოსების უფროს ძმას იოანეს, ბოლოს კი – თავად მას.[763] ჯამაგირიც იბრეიმ-შაჰს განუწესებია – 100 თუმანი ბორჩალოს შემოსავლებიდან.[764] იოსებ ბებუთაშვილი, მიუხედავად ამ სახელოს ჭერისა, მონადირეთუხუცესის ფუნქციებს არ ასრულებდა, რადგან ის ჩართული იყო დიპლომატიურ სამსახურში და მონაწილეობას იღებდა სამეფოს მართვაში.[765]

ცნობილია კიდევ ერთი „მიშკარბაში გივი“, რომელიც ხელს აწერს 1740 წლის განქორწინების სიგელს.[766] მიშკარბაშის შესატყვისი ტერმინია მირიშქარი.[767]

3.9.4. მეძაღლეთუხუცესი

გვიანფეოდალურ ქართლში სამონადირეო საქმის განსაკუთრებული სახელოა მეძაღლეთუხუცესი, რომლის სარგოსა და მოვალეობების შესახებ დაწვრილებით

---

[758] იქვე.
[759] იქვე.
[760] იქვე, 466.
[761] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 223.
[762] *სურგულაძე, ივ.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXV, თბ., 1949, 224.
[763] იქვე. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, შ. მესხიას რედაქციით, 1948, 72.
[764] იქვე.
[765] იქვე.
[766] იქვე.
[767] იქვე; 224. შეად. თავგადასავალი *იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის* რედაქციით, 20.

ცნობებს იძლევა დასტურლამალი, რომლის შედგენის დროისთვის ქართლში ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ ვინმე ყარჩიხა.[768] მეძაღლეთუხუცესის ჯამაგირს ერთი თუმანი შეადგენდა და მას ექვსი „ბიჭი“ ჰყავდა თანაშემწედ, რომლებისთვისაც გამოყოფილია „ტანისამოსად ჩოხა, ნიფხავ-პერანგი, ქუდი, სარტყელი, შალვარი და თვეში ძროხის ტყავი ერთი.“[769] მათი კვებაც, როგორც სასახლის ხელშინაური მოხელეებისა, სასახლის ხარჯებში შედის: უფროსს სამი ლავაში და კვირაში ერთი ლიტრი ღვინი მიეცემოდა, უმცროსებს კი დღეში ორი პური და კვირაში ნახევარი ლიტრი ღვინო; ამასთან, საკლავის თავ-ფეხიც მათი იყო.[770] მეძაღლეთუხუცესს მეფის სანადირო ძაღლები უნდა გამოეკვება, თითოეული მეძებრისთვის ორი მრგვალი პური უნდა მიეცა, „მადაური“ ანუ ადგილობრივი მწევრისთვის - სამი, სამსონს[771] კი ოთხი პური ეძლეოდა. ხელმწიფის კარის გარიგებაში ძაღლთუხუცესის სახელო არ ჩანს, მაგრამ თევდორობის მეორე დღეს ერთ-ერთ მწიგნობარს ევალება აღწეროს ძაღლები, სამი ან ოთხი ძაღლი მეფისად „გარდააყენოს“, შემდეგ „მწიგნობარი გამოირჩევს ერთს ძაღლსა, ბერძნული უნდა თუ მწევარი“; ასევე, თორმეტ-თორმეტ ძაღლს სამ მონადირეს გაუნაწილებს გამოსაკვებად და მოსავლელად, ბოლოს კი მონადირეებს დაითხოვს.[772] როგორც ჩანს, ეს მწიგნობარი კარგად ერკვევა ძაღლების ჯიშებსა და უნარებში. რადგან მას მეფის სანადირო ძაღლებს ანდობენ, თან სანადირო ძაღლების აღწერის საფასურის გადახდა მისთვის ბერძნული ჯიშის ძაღლით ან მწევრის ჩუქებით ხდება, მონადირეებსაც ის გამოუყოფს შესაფერის ძაღლებს ნადირობისთვის გასაწვრთნელად, შესაძლოა, სწორედ ამ მწიგნობრის სახელოა ძაღლთუხუცესის წინამორბედი.

ქართლის მეფის სანადირო ძაღლები მეძაღლეთუხუცესს მუდმივად მზად უნდა ჰყოლოდა: „ბატონი რომ მეიდანს გარდა წაბრძანდებოდეს სადმე, დილაზე ქანარას რომ და[ა]ყვირებდენ, მზათ კარზე დახვდენ; რახან წაბრძანდებოდეს, მარქაფის წინ ისინი წავიდოდენ, სანამდის სანადიროში მიბრძანდებოდეს. მერმე მის რიგათ

---

[768] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 301.
[769] იქვე, 301-302.
[770] იქვე, 302.
[771] სამსონის ზუსტი განმარტება ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ, თუმცა ცნობილია, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე მოზრდილი ნაჯვარი ძაღლის ჯიშია. რადგან სამსონისთვის ორჯერ მეტი პურია გამოყოფილი, ვიდრე მეძებრებისთვის, ვიქრობთ აქ ზუსტად ეს ჯიში უნდა იგულისხმებოდეს.
[772] გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 89.

დადგებოდენ, და თუ ბატონმა არ ითხო[ო]ს, სასახლეში ძაღლს ნუ შემოუშვებენ.“[773] ეს დანაწესი ცოტა ბუნდოვანია. როგორც შინაარსიდან ჩანს, სასახლიდან გასვლის დროს მეფეს სანადირო ძაღლები კართან ხვდებიან და მეფე თუ წაბრძანდება, ძაღლები დამხმარეების წინ მიდიან, სანამ მეფე სანადიროდ მივა. შეუძლებელია, მეფე ყოველთვის ძაღლების თანხლებით გასულიყო სასახლიდან, ამიტომ ეს ნორმა მხოლოდ სანადირო დღეებს მიემართება, რაც თავად დანაწესში არ ჩანს. გარეთ მყოდი მეფის გარშემო დიდ ძაღლებსა და მეძებრებს დააყენებდნენ და სადგომად საჯინიბოს გამოუყოფდნენ, რასაც მეფის დაცვის ორგანიზების ელფერი უფრო აქვს, ვიდრე სანადიროდ მზადების.[774]

3.9.5. ტყისმცველთუხუცესი და ტყის მცველები

ტყეებში უკანონო ხის ჭრისა და ნადირობის ზედამხედველებად ტყის მცველები ინიშნებოდნენ, რომელთა უფროსი ტყისმცველთუხუცესია. ეს მოხელე დასახელებულია თამარ მეფის გელათის მონასტრისადმი გაცემულ შეწირულობის სიგელში იმ პირებს შორის, რომლებსაც მეფე-დედოფლის ბრძანება ეხებოდა.[775] ტყისმცველთა ვალდებულებას ტყით სარგებლობისა და ნადირობისთვის დადგენილი გადასახადის აღებაც შეადგენდა. ეს ირკვევა დავით ნარინის შეუვალობის განახლების სიგელში, რომლითაც ხეფინისხეველებსა და წაქველებს ებოძათ მათ მფლობელობაში ადრევე არსებული სანადირო ადგილები, რომლებსაც ისინი ადრეც ფლობდნენ.[776] 1261 წლის დავით ნარინის ბრძანებით, მეფე ტყისმცველთუხუცესსა და ტყის მცველებს უკრძალავს აიღონ დაფლულის, რასაც ნადირობა გამოაჩენს და ნანადირევის გადასახადი ნაბოძებ ტერიტორიაზე, მის გარეთ ჩვეულებრივი წესით შეეძლოთ გადაახდევინებინათ:

> *ავჰÃადეთ ყოველი შესავალი: საÃელმწიფოÁ, საერისთავთ-ერისთვოÁ, და საÃელისუფლოÁ. და თუ რას ნადირობაÁ ჰქონებოდა, ჰაგრევე მიუბოძეთ. დაფლული და რასაც ნადირობაÁ გამოაჩნდეს-ყე და მოკლვაი ესე... მისი ნადირობაÁ არა ჰქონდესყე, მის ტყის[მცველთა-უხ]ცესი და ტყის-მცველნი, ვითა*

---

[773] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 302.

[774] იქვე.

[775] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი {1188 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 72.

[776] შეუვალობის განახლების სიგელი დავით ნარინისა ხეფინისხეველთა და წაქველთადმი {1261 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 72.

წესია, [ისე გადა]ÃÃ დევდენ გარეთ; შიგა ნუ ჩაუდგებიან. და იგი დაუურვებლობასა ნუ იკადრებენ.[777]

ტყისმცველები სატყეო მეურნეობის მოხელეები არიან[778], მაგრამ მათი უფლებამოსილება, როგორც ამას დავით ნარინის საბუთი ამტკიცებს, უფრო ფართოა.

ი. ყიფშიძის განმარტებით, ტყისმცველების მეფის კარზე შეკრება ითვალისწინებდა მათის ზედამხედველობის ქვეშ არსებული ტყეების შესახებ ანგარიშის ჩაბარებას და შემდგომში „სათანადო ინსტრუქტაჟის“ მიღებას.[779] თუმცა, როგორც ზემოთ განხილული მასალებით ირკვევა, ამ მოხელეების ფუნქცია უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ ტყეების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მეფისთვის მოხსენების წარდგენა.

იოანე ბაგრატიონის მიერ საკანონმდებლო პროექტში სანადირო წესების გაწერა ხაზს უსვამს ნადირობის მნიშვნელობას XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მყოფი ქართ-კახეთისთვის. „სჯულდებით“ განსაზღვრულია „სანადირო ტყეთა და მინდორთ უფროსი კაცის“ დანიშვნა, რომელსაც სანადირო ადგილებს ჩააბარებდნენ და მისი ნებართვის გარეშე ვერავინ ინადირებდა.[780] მთებისა და მინდვრების მთავარი „ყარაული“ უნდა ყოფილიყო ყასიდბაში, იგივე გამსტრობელი, რომელიც საყარაულო თეთრსაც აკრეფდა. მასვე უნდა ჰყოლოდა სარწმუნო კაცები უცხო ქვეყნებში მტრისა და მოყვარის ზრახვების შესატყობად.[781]

3.10. ნანადირევის გაყოფა

ნადირობა საერთო წარმოების სახეა და მას კოლექტიური ხასიათი აქვს როგორც ნადირობისას, ასევე განაწილების ეტაპზეც. გამონაკლისს წარმოადგენს ცალად ნადირობა.

---

[777] შეუვალობის განახლების სიგელი დავით ნარინისა ხელიხეველთა და წაქველთადმი {1261 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 72.

[778] ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* საბჭოთა საქართველო, თბ., 1970, 780.

[779] *ყიფშიძე ი.*, სატყეო მეურნეობის ისტორიის საკითხები, ინტელექტი, 2013, თბ., 12.

[780] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 19.

[781] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ,* სსთსუ გამომცემლობა, 1975, 19.

რაჭის მაგალითზე აღწერილია ნანადირევის გაყოფის სამი ერთმანეთისგან განსხვავებული წესი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნადირობის სახეებთან. ა. რობაქიძის აღწერით, შველზე ჯელგაობის დროს არ ჰქონდა მნიშვნელობა მონადირის პირად წვლილს ნადირობაში, არც იმას, პირი უიარაღო დამხმარე იყო თუ არა: დახოცილ შველს ერთად მოუყრიდნენ თავს და გადათვლიდნენ ნადირობაში მონაწილეთა საერთო რიცხვს; შემდეგ მონადირე თანასწორად გადანაწილების მიზნით დაჩეხავდა შველს იმდენ ნაწილად, რამდენი მონაწილეც იყო. რადგან რთული იყო ზუსტა ხორცის გადანაწილება, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იყენებნენ „ჩხირის ყრას“.[782] ჩხირის ყრა ასე ხდებოდა: მზარეული დადგებოდა ისე, რომ ვერავინ დაენახა, მის ქუდში კი მონაწილეები ჩაყრიდნენ თავიანთ ნიშნებს. ეს შეიძლება ყოფილიყო ჩხირი, თოფის მასრა, ღილი და ა.შ. მზარეულია აიღებდა ქუდს მოგროვილი ნიშნებით და გამოყოფილი ხორცის წილის თითოეულ ნაწილს ზედ დაადებდა. თუ რამე ზედმეტი მორჩებოდათ, ის წილიც მზარეულის იყო.[783]

რაჭაში განაწილებას შემთხვევით გამვლელი, „ნადირის უდევარი კაცი“ თუ შემოესწრებოდა, მას წილის უყრელად შვლის ხორცს აუცილებლად გამოუყოფდნენ.[784] შემოსწრებულ მონადირეს წილს მთიულეთშიც აძლევდნენ, ოღონდ იმ შემთხვევაში უწილადებდნენ, თუ ფეხების ჩატყავების დაწყებამდე, ანუ წინა ფეხების ჩასერამდე შემოესწრებოდათ.[785] უფრო გვიან მოსულ მონადირეს ხორცში წილი არ ექნებოდა, მაგრამ ერთი ვახშამი ეკუთვნოდა – მოხარშულ ან შემწვარ ნანადირევზე მიიწვევდნენ.[786] ამ მხარეში ნანადირევის განაწილებაში მონაწილეობდნენ ის პირებიც, რომლებიც გეგმავდნენ ნადირობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ვერ შეძლეს ავად გახდომის ან სხვა მიზეზის გამო.[787]

ანალოგიურად ხდებოდა ნანადირევის განაწილება ქვემო სვანეთში, ნადირობის ყველა მონაწილე, მიუხედავად ასაკისა, დამსახურებისა, ძაღლისა და იარაღისა, ამ

---

[782] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 115.

[783] იქვე.

[784] იქვე, 116.

[785] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 103.

[786] იქვე.

[787] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 116.

პროცესის თანასწორუფლებიანი სუბიექტები იყვნენ. ოღონდ ქვემო სვანეთში განაწილების უფრო სამართლიანი წესები ჰქონდათ. ჩხირის ყრის ნაცვლად, ორი „ბანდულისგან“ ხელოვნურად გაკეთებულ სასწორზე წონიდნენ ხორცს.[788]

ქვემო სვანეთის სამონადირეო ჩვეულებით, თანასწორად წილის გამოყოფისას გამონაკლისს უშვებდნენ იმ მონადირისთვის, რომელიც შველს შიშველი ხელით კისერს გადაუგრეხდა და ასე მოინადირებდა.[789] შველის თავი რაიმე ღირებულებას, ჯიხვის თავისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა. მას უფრო ჯილდოს, მონადირის ვაჟკაცობის აღიარების მნიშვნელობა ექნებოდა.

ამდენად, რაჭაში დაცული იყო თანასწორობა ნადირობის მონაწილე პირებს შორის, ქვემო სვანეთში კი წილის თანასწორად გაცემას ბანდულის სასწორის გამოყენება უზრუნველყოფდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ნანადირევს მოსახერხებელ ადგილზე ანაწილებდნენ, თუ მონადირეთა სადგომი ბინა ახლოს იყო, მაშინ იქ გადაჰქონდათ გასაყოფად.[790] ხორცს „ფეშხო-ფეშხოდ“ ჭრიდნენ და კენჭის ყრით ინაწილებდნენ. აქაც ქუდში ნიშნების ჩაყრით ხდებდოდა წილის ყრა - ნიშნებს ერთ-ერთ მონადირეს ქუდში ან ჩოხის კალთაში ჩაუყრიდნენ, ის კი ხორცის ნაჭრებზე დაალაგებდა.[791]

ფშავ-ხევსურეთში კენჭისყრა დანითაც ხდებოდა: ორზე მეტი მონადირის ყოფნისას, ერთი დანას დაიჭერდა, სხვები მიბრუნდებოდნენ; დანის მჭერი მონადირე დანას ორ ნაწილს შორის ჩადებდა ისე, რომ ერთისკენ დანის წვერი იყო, მეორისკენ - ტარი და დაიძახებდა: „ვისი ტარი? ვისი წვერი?“ ამგვარად უმი ხორცი ნაწილდებოდა, შემწვარი და მოხარშული, რომელიც იქვე უნდა მიერთვათ, ყველასთვის თანაბრად გადანაწილდებოდა და არც მის მომკვლელს ჰქონდა რაიმე უპირატესობა.[792]

გ. დავითაშვილმა ყურადღება მიაქცია ვაჟა-ფშაველას მონათხრობს ნანადირევის წილზე საკუთრების უფლების მოპოვების რამდენიმე გარემოებაზე:[793] ფშავში ნადირის ხორცს მონადირეები და შემოსწრებულები თანაბრად იყოფდნენ, ოღონდ ნადირის

---

[788] იქვე, 117.
[789] იქვე.
[790] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 103.
[791] იქვე.
[792] იქვე.
[793] *დავითაშვილი გ.*, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 47. იხილე: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 76.

მომკვლელი ცოტა მეტ წილს იღებდა ტყავიდან:[794] „როგორც მომკლავი, ისე მისი ამხანაგები, ლეშსა და ტყავს სწორსწორად გაინაწილებენ, მხოლოდ მომკლავი იღებს ტყავიდან ცოტა რამე მეტს, რომელსაც „საისრე“ ჰქვიან“.[795]

ლ. ბოძაშვილის თქმით, „მონადირე ნადირს რომ მოკლავდა, პირველ რიგში, მარჯვენა წინა ფეხს ჩაუტყავებდა, რადგან, თუ შემთხვევით მეორე მონადირე ფეხჩაუტყავებელს მიუსწრებდა, წილის მიცემა დასჭირდებოდა.[796] შემოსწრებული მხოლოდ მაშინ აიღებდა წილს, თუ ნანადირევის გატყავების დაწყებამდე, ნადირის ფეხის ჩაჭრამდე მივიდოდა მონადირეებთან.[797]

ო. ზოიძის მოსაზრებით, ვაჟა-ფშაველასა და ლ. ბოძაშვილის მონათხრობებში ნადირობის წესების შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავებები შეინიშნება: „ბოძაშვილის ცნობით, სხვის მოკლულ ნადირში წილი მხოლოდ მონადირეს უდევს და არა ყველა შემხვედრს. ვაჟა კი ზოგადად აღნიშნავს, წილის უფლება სრულიად უცხოსაც ჰქონდაო“.[798] მკვლევარი აღნიშნავს, რომ რომ გაუგებარია ვის გულისხმობს ვაჟა „უცხო კაცში“, მონადირეს თუ ნებისმიერ შემოსწრებულს. ო. ზოიძის მტკიცებით, სხვის მონადირებულში წილის მიღების უფლება მხოლოდ მონადირეს ექნებოდა, რადგან სანადირო, რთულად მისასვლელ ადგილებში შემთხვევითი შეხვედრის შესაძლებლობა გამორიცხულია.[799] მისივე მითითებით, ვაჟასა და ლ. ბოძაშვილის მონათხრბს შორის კიდევ ერთი განსხვავებაა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ვაჟას თქმით, შემხვედრი წილს მიიღებს, თუ ნანადირევის ფეხი ჯერ არ ჩაუტყავებიათ, ლ. ბოძაშვილის ცნობით კი, ნადირის მარჯვენა ფეხი არ უნდა ყოფილიყო ჩაჭრილ-ჩატყავებული.[800] მიუხედავად იმისა, რომ ლ. ბოძაშვილის ცნობები უფრო ამომწურავია, ვიდრე ვაჟას მიერ მოწოდებულ ცნობები, ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიან.

---

[794] იქვე.

[795] ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, საბჭოთა საქართველო, თბ., 1964, 76.

[796] *ბოძაშვილი ლ.,* ფშავი და ფშაველები, თბ., 1988, 41.

[797] *დავითაშვილი გ.*, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 47. იხილე: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 76.

[798] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 87-88.

[799] იქვე, 88.

[800] იქვე.

გ. ღუდუშაურის გადმოცემით, ის ბევრჯერ შესწრებია ცნობილ მონადირეთა ოჯახში – ქირიკაშვილებში ჯგუფური ნადირობის შემდეგ ნანადირევის განაწილებას: ჯერ ატყავებდნენ დახოცილ ნადირს და ტყავსა და თავ-კისერს ნადირის მომკვლელს აძლევდნენ.[801] შემდეგ გატყავებულ ნადირს იმდენ ნაწილად ანაწევრებდნენ, რამდენი მონადირეც იყო ჯგუფში. განაწილება წილის ყრით ხდებოდა, რომ რომელიმე მონადირეს გული არ დაწყვეტოდა.[802]

მოკლული ხარ-ირმის გასატყავებლად სხვა მონადირეებიც ადგილზე მიდიოდნენ, ნანადირევს დაანაწევრებდნენ, თავს კი ბატონისთვის გადადებდნენ: „ბატონთან კარგად გავა-და, წყალობა დაგვემართების, თუ არა – არა მგავა და“-ო.[803] როგორც ჩანს, ბატონისთვის ხარის თავის მირთმევა მონადირეებს წესად ჰქონიათ და ამით მის წყალობასაც იმსახურებდნენ. მონადირეთა შორის როგორ ხდებოდა ხორცის დანაწილება, აქ არ ჩანს. ავტორი მხოლოდ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ყველა მონადირე „ყავლზედ“, ანუ დათქმულ დროს იკრიბება, ღვინოს სვამს და მწვადს მიირთმევს – „ტყეში ჭამას სიამოვნე აქვსო“.[804] თუმცა იმ სტროფში, სადაც მეფე ტახზე ნადირობას აღწერს, აღნიშნავს:

რა ნადირობა გათავდეს, წილი გაუგდონ კაცებსა,

მომკვლელსა თავი ერგება, ხორცი - სულ მონადირებსა.

„წილი გაუგდონ“ შესაძლოა მთაში გავრცელებული წილის ყრის ჩვეულების მსგავსად ნანადირევის განაწილებას გულისხმობდეს.

ხევსურეთში ახალბედა მონადირეს ხორცის გაყოფაში წილი თანაბრად ედო, მასაც იგივე უფლებები ჰქონდა, რაც უფროს მონადირეს. ნანადირევის განაწილების დროს უფროს-უმცროსობით მონადირეებს არ განარჩევდნენ.[805]

საქართველოს დაბლობი რეგიონების[806] ნადირობის წესები ნაკლებადაა შესწავლილი. გურიაში მტაცებელ ცხოველზე მონადირეს პატივს სცემდნენ. მელის,

---

[801] *ღუდუშაური გ.,* ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001, 150.

[802] იქვე.

[803] *თეიმურაზ მეორე,* დღისა და ღამის გაბაასება, 626-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/> [05.07.2020]

[804] იქვე, 634-ე სტროფი.

[805] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.,* მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 100.

[806] ზემო იმერეთის სამონადირეო ტრადიციები ჯერჯერობით შეუსწავლელია, მაგრამ ოჯახის წევრ მონადირის მონათხრობით, ისინი ძალიან წააგავს რაჭაში არსებულ სანადირო წესებს.

ტურისა და დათვის მომკვლელი მის ტყავს სოფელში ჩამოატარებდა, ყველა ოჯახს მონადირისთვის მცირე საჩუქარი უნდა გაეღო: მონადირეს ქათამს, კვერცხს ან ფულს ჩუქნიდნენ, რადგან მტაცებელი მათაც ზიანს აყენებდა.[807]

3.10.1. ნანადირევ ცხოველზე შეცილება

ნადირობისას დავა შეიძლება წარმოშობილიყო ნადირობის წესების დარღვევის გამო და ნანადირევზე შეცილებისას.

ქართული სამართლის წიგნებიდან, ამ საკითხს ყველაზე სრულყოფილად ვახტანგის სამართლის პარაგრაფი „ნადირობის ცილებისა ასრე იქნეს“, არეგულირებს. ამასთან, ისრითა და თოფით ნადირობის დროს დამდგარი შემთხვევები განსხვავებულად ფასდებოდა, რადგან, ვახტანგის მიუთითებით: „ისრის საქმე ბევრი ასრე საკუირველი, უცხო მოხდების, რომე საკუირველი, დაუჯერებელი იქნების“,[808] ამიტომ ნასროლი ისრით დამდგარი შემთხვევა საფუძვლიან გამორკვევას მოითხოვდა. 179-ე მუხლით, ისრით მოკლულზე შეცილებისას, თუ ერთი ამბობდა, რომ მისი ისარი უწინ მოხვდა, ვიდრე შემცილებლის, ჯერ მათთან ახლოს მყოფი კაცისთვის უნდა ეკითხათ: „ეგების მოწმით გამოჩნდეს, ვისი ისარი უმალ მოხუდა“.[809] მოწმის არარსებობის დროს, არჩევდნენ, რომელიმემ ხომ არ დაარღვია ნადირობის წესები: „გამონახვა უნდა, წინ გარდამხტალი და მართალი მხარი ცდილობს თუ ორნივ მართალ მხარელნი ან ორნივ წინ გარდამხტარს მისულნი ცდილობენ; გასინჯვა უნდა, საიდამ ნასროლი ისარი ჰკვრია, რას ალაგს აქვს ნაკრავი.“[810] როგორც ამ წინადადებიდან ჩანს, ჯერ არკვევენ, ისრის სროლისას რომელი მონადირე იყო ნადირის წინ და სწორი მხრიდან რომელმა ესროლა. ისრით ნადირობისას დასაცავი ეს წესი არჩილსაც აქვს აღწერილი:

ასრე უნდა მშვილდოსანი, არა ჰკრევდეს ყოვლსა ასოს,

მართალს მხარსა შუასა ჰკრას, წინ გარდამხტალს - თეთრს დაასოს.[811]

---

[807] *დავითაშვილი გ., ზოიძე ო.*, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1991, 178.

[808] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსმ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 526.

[809] იქვე.

[810] იქვე.

[811] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 910-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: <https://wikisource.org/>, [5.01.2021]

როგორც ჩანს, სწორი ნადირობა გულისხმობდა ნადირზე წინ გასვლას და ისრის ისე სროლას, რომ ცხოველს მხრის შუა ნაწილზე მოხვედროდა ნაკრავი. თუ გამორკვევის ეს გზაც არ გაამართლებდა, შემცილებლებს შორის უფროსი ვინც იქნებოდა, ნანადირევს მშვილდ-ისარს ზედ დააყრიდა და იტყოდა: „ღ´თნ ნუღარა მამაკულევინოს რა, თუ ამას უწინ ჩემი ისარი არ მოÃუდომოდესო, და დარჩეს მას. თორემ Ãელი არა აქუს“.[812] მონადირის შეცილებისას დავის გადაწყვეტის ანალოგიურ წესს ადასტურებს ალ. რობაქიძე. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, რაჭაში, იშვითად შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ნანადირევზე შეცილებას. თუ მონადირეები დავობდნენ ვინ მოადინა ცხოველს პირველად სისხლი, მოდავეს მეორე მონადირისთვის შემდეგი წინადადებით უნდა მიემართა: „შენი იარაღი დააფარე და წაიღეო“.[813] ამ წესს „იარაღის დაყრა“ ეწოდებოდა და მონადირეთა დაფიცების თავისებურ სახეს წარმოადგენდა – თუ მონადირე საკუთარი იარაღს ნადირს დააფარებდა, ის ჩაითვლებოდა ნანადირევის „სისხლის პირველ მომდენად“ ანუ „მომკვლელად“.[814] ალ. რობაქიძე არაფერს ამბობს, რომელი მონადირეა უფლებამოსილი დაფიცებაზე, განსხვავებით ვახტანგ სამართლის წიგნისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ B ხელნაწერში „უფროსის“ მითითებული ყოფილა „უმცროსი“.[815] შესაძლებელია, ამგვარი განსხვავება იმაზე მიუთითებს, რომ სამართალი ასაკის გამო არ აძლევს პრივილეგიას რომელიმე მხარეს და ვინც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, ის პირი იფიცებდა.

ვახტანგის სამართლის 180-ე მუხლით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯერ ერთის ნასროლმა ისარმა მცირედ გაჰკრა ნადირს, მეორეს კი „მას უკან დიდი მოეკვეთინოს“; ასეთი შემთხვევის დადგომისას, პირველის ნაკრავი ჭრილობა მოწმდებოდა. თუ მასში „მშვილდის საბელი“ ანუ ისრის პირი დაიმალებოდა, ნანადირევი მისი იყო, თუ ვერ ჩასწვდებოდა ჭრილობის ბოლომდე, მაშინ მეორე

---

[812] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსმ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 526.

[813] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 119.

[814] იქვე.

[815] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსმ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 526. იხ. სქოლიო 1.

მოისრის.[816] რქიან ნადირზე ცილობისას მომკვლელის ვინაობა სხვაგვარად დგინდებოდა: ვინც აცხადებდა, ნადირს თუ მის რქას ჩემი ისარი პირველი მოხვდაო, „ყური უნდა შეაზმანონ: თუ ყური შესწვდა, პირველის მკურელისა არის; და თუ არ შესწვდეს, მეორისა არის.“[817] „ყური უნდა შეაზმანონ“ ნიშნავს ყური დაატოლონ. ცოტა ბუნდოვანია ყურის დატოლების მეთოდი აქ რას გულისხმობს და საერთოდ, რას მოიაზრებს კანონმდებელი „ყურში“. თუ აქ ხარ-ირემზე ახლო მანძილზე ფეხით ნადირობაა აღწერილი, მაშინ გასაგებია, მონადირე თავისი სიმაღლის გასწვრივ ჰკრავს ისარს, მაგრამ თუკი ცხენით ნადირობს და თან შორი მანძილიდან ესვრის ისარს, სრულიად შეუსაბამო იქნებოდა ყურის დატოლებით მისი მომნადირებლის გამორკვევა. ეთნოგრაფიულ მასალებში მსგავს ჩვეულებას ვერ მივაკვლიეთ.

სხვის დაჭრილს თუ სხვა მონადირე იპოვიდა, რომელიც დამჭრელი მონადირის ჯგუფიდან არ იყო და ამ ნადირს თავად მოკლავდა, სამონადირეო ჩვეულება ავალდებულებდა ეთქვა, როგორ მოკლა და თუ არ მოუკლავს, სად ნახა დაჭრილი ნადირი.[818] როდესაც მონადირე სხვის დაჭრილ ნადირს მოკლავდა და ამას დამალავდა, პირველად დამჭრელი მას დაედევნებოდა და ეცდებოდა გამერკვია, ვინ დაჭრა ნადირი.[819]

ნადირობისას მონადირე აკვირდებოდა, რომელ ნადირს მოარტყა თოფი ან ისარი, რადგან თავი და ტყავი მომკვლელს ეკუთვნოდა მათი დაკარგვა არავის უნოდა. დაკარგულ დაჭრილ ნადირს მონადირე ეძებდა, ნადირი თუ კლდეს თავს შეაფარებდა, ყორნების გუნდით მიხვდებოდა მის ადგილმდებარეობას.[820]

თოფით ნადირობისას ცილობა უფრო „საÃუნდრის ნადირობაში“ მოკლულ ნადირზე ხდებოდა. ვახტანგის სამართლის 183-ე მუხლით, თუ ვინმე დავას დაიწყებდა, უწინ მე ვესროლე თოფიო, კარგად უნდა გასინჯულიყო ნადირი. თუ მხოლოდ ერთი ნატყვიარი ექნებოდა ნადირს მონადირის მხრიდან ნასროლი და ტყვია შიგვე იყო დარჩენილი, უნდა ამოეღოთ და თოფებისთვის შეედარებინათ: „ვისსაც თოფისა გამოდგება, იმისი ნაკრავი იქნება - ტყვიას უნდა შეუწონოს და მით

---

[816] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 526.
[817] იქვე.
[818] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 102.
[819] იქვე, 103.
[820] იქვე, 102.

შეიტყობს“-ო.[821] თუ დავა ამ გზით ვერ გადაწყდებოდა, მაშინ იარაღის დაყრის წესი გამოიყენებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ნანადირევზე ცილობისას მტკიცებულებების მოპოვება გამოკითხვით ხდებოდა. ისმებოდა კითხვები: სად იყო დაჭრილი ნადირი, რომელი მხრიდან, თუ ფეხში დაიჭრა, როგორ კოჭლობდა, რა ნიშნები ჰქონდა, სისხლი როგორ ჩამოდიოდა, რომელ ტერიტორიაზე დაიჭრა და სად ნახეს; პირველად დამჭრელი მონადირის ჩვენება თუ დაემთხვეოდა, გამართლდებოდა და ტყავი მას რჩებოდა, ხორცი კი თანაბრად იყოფოდა.[822]

ბერძნული სამართლის 268-ე მუხლი ნებისმიერ გარეულ ნადირს, კურდღელი იქნებოდა, ირემი, შველი თუ „მელი“, მას მიაკუთვნება, ვინ უწინ დაკოდავდა.[823]

ჯგუფური ნადირობა ხიფათიანი საქმე იყო და დიდი გამოცდილებას მოითხოვდა. მონადირეებს შორის უნებურად მომხდარი მკვლელობის ან დაჭრის შემთხვევაში, სამართალი დამნაშვეს სასჯელის გარეშე ტოვებდა. მაგრამ „თუ ნაქიშპარი და ნამდურავი კაცნი“ ერთმანეთს შეეძგერებოდნენ და რომელიმე მოკვდებოდა, ხლო გარდაცვლილის პატრონი ბრალს დასდებდა მკვლელს, განგებ შეაძგერე ცხენი ან გავით მიაგდე, ასეთი საქმე მოწმეების მეშვეობით ირჩეოდა.[824] თუ მოწმით საქმის გამოძიება შეუძლებელი იყო, მაშინ „ჯერი უნდა“ გამოეყენებინათ; თუ ამ საშუალებებით ბრალდებული თავს ვერ დაიცავდა, სისხლის ფასის გადახდა ეკისრებოდა (მუხ. 182-ე).[825] სახუნდარში კაცის მოკვლის საქმეც ასე წყდებოდა. თუ ფატერაკად შეემთხვეოდა, მონადირე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, მაგრამ გარდაცვლილის ნათესავები თუ მას ხელს დაადებდნენ, ქიშპი გქონდა

---

[821] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 527.

[822] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 103.

[823] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბ., 1963, 190. სამართლის წიგნი იყენებს ტერმინს „გარეული ნადირი“. მიუხედავად იმისა, რომ აქ ნადირის ზედსართავ სახელად „გარეული“ გამოიყენება, ეს არ მიუთითებს, რომ ნადირი შინაურიც შეიძლება ყოფილიყო. შინაურ საქონელს უკლებლივ ყველა სამართლის წიგნი, ეროვნული და უცხოურიდან ნათარგმნიც, მხოლოდ პირუტყვის სახით მოიხსენიებს. გამონაკლისია დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნი, სადაც პირუტყვის აღსანიშნავად „ირაო“ საქონელს ხარობს კანონმდებელი.

[824] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა*, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 526-527.

[825] იქვე, 527.

მოკალიო, ეს საქმეც ისეთი საპროცესო თანმიმდევრობით ირჩეოდა, როგორც ცხენით შეძგერების შემთხვევაში.[826]

3.11. ფრინველზე ნადირობა

შევარდნებით ნადირობა XII-XIII საუკუნეებში უკვე კარგად განვითარებული ყოფილა: „შავარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა“.[827] დასტურლამალში კი სპეციალური კარია გამოყოფილი - „შავარდნის ბუდე[ე]ბისა“, სადაც დასახელებული ყველა ვალდებული სოფელი, რომელსაც შევარდნების ბუდეების მიხედვა აბარიათ: ნიჩბისი, კავთისხევი, კლდეკარი, რკონი, წითელი კლდისა და ბეგციხის ბუდეები „ფიცხელთა და საყვარელთ“ უნდა შეენახათ და ა.შ.[828] მიბარებულ სოფლებს შევარდნების ბუდეებზე თვალი კარგად უნდა სჭეროდათ, თორემ თუ ფრინველი არ დაიბუდებდა, სოფელი ვალდებული იყო ორი მთავარი შევარდენი ეყიდათ მეფისთვის.[829] ამ სამართლებრივ ნორმას მეფის მხრიდან გაფრთხილება მოსდევს: „იცოდენ, არას გზით არ ვაპატივებთ“-ო.[830]

იოანე ბატონიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი სანადირო ფრინველები, მათი სანადირო ობიექტები და სანადიროდ წვრთნის თავისებურებები, სულ 13 სანადირო ფრინველი ჰყავს დასახელებული.[831]

რაჭაში ფრინველებზე ან ფრინველით ნადირობა არ ყოფილა გავრცელებული. ა. რობაქიძის მითითებით, ამის მიზეზი ისაა, რომ ფრინველით ნადირობა უფრო გასართობი საქმიანობა იყო, ვიდრე არსებობისთვის აუცილებელი და ამას უფრო თავადაზნაურები მისდევდნენ.[832]

ფშავ-ხევსურეთში ფრინველზეც ნადირობდნენ. კაკაბი, მტრედი, კაჭკაჭი, ჭიკვა და ბორა, ყაჯირი, ყვან-ყორნები, ბუ, ქორი, მწყერი... სანადირო ობიექტები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი საკვებად არც გამოდგებოდა, მათ შორის, ბორა, მაგრამ მის

---

[826] იქვე.
[827] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 474-ე სტროფი.
[828] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 279.
[829] იქვე, 280.
[830] იქვე.
[831] აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ვახუშტი ბატონიშვილი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, *ს. ყაუხჩიშვილის* რედაქციით, IV ტომი, 1973.
[832] *რობაქიძე ა.*, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941, 112.

ფრთებს ისრის წებვის დროს იყენებდნენ, თუმცა ზოგიერთზე მხოლოდ იმის გამო ნადირობდნენ, რომ ზიანს აყენებდა ნათესებს ან ადამიანს.[833] საკვებად ვარგის ფრინველებზე მხოლოდ ბავშვები და ახალგაზრდა ყმაწვილები ნადირობდნენ, მონადირე მათზე სანადიროდ არ მოცდებოდა.[834]

რამდენადაც ფრინველზე ნადირობას მნიშვნელოვანი სამეურნეო ხასიათი არ ჰქონდა, შესაბამისად, ეთნოგრაფიულ მასალებშიც არ ჩანს ფრინველზე შეცილების შემთხვევები ან დავის გადაწყვეტის წესი, ვახტანგის სამართალიც მხოლოდ ნადირზე შეცილებას ითვალისწინებს და ფრინველთა შესახებ არაფერს ამბობს.

3.12. თევზჭერა

3.12.1. სამეფო, საბატონო და საკათალიკოსო თევზჭერა

ნადირობისგან განსხვავებით, თევზაობა არ წარმოადგენდა დიდგვაროვანთა საყვარელ გასართობს, მაგრამ თევზეული მათი სუფრის სასურველი კერძი იყო. მათ მომარაგებას მეთევზეები და სხვა სპეციალური მოხელეები უზრუნველყოფდნენ.

გვიანფეოდალურ ქართლში, ჯერ კიდევ როსტომ მეფეს მიერ ყარაიის კონი სათევზაო ნაკრძალად არის დადგენილი, სადაც მეფის სპეციალური მოხელეების გარდა ვერავინ ითევზავებდა. აქ დაჭერილი ყოველი თორმეტი თევზიდან ათი საბატონოდ უნდა გადაედოთ და მხოლოდ ორის აღების უფლება ჰქონდათ თევზის მოპოვებასთან დაკავშირებულ მოხელეებს: „ამ ორისგან ერთი ერთი სუფრაჯმან და სარქარმან[835] უნდა გაიყონ და ერთი მეკონეთა ერგებოდეს, ამ წესითა რომე, რომელიც უკეთესი თევზი იყოს, ჩვენთვის უნდა გარდადვან“.[836] მეფე თავისი წილიდან მესამედს მათი სასაფლაოსა და კათალიკოზისთვის გასცემდა, ამიტომ ეს ადგილები საზედამხედველოდ, გარდა სახასო აზნაურის გაბაშვილების სახლისა, ჩაუბარებიათ კათალიკოზის აზნაურისშვილ თაზიშვილისთვისაც.[837]

დასტურლამალში ცალკე პარაგრაფშია აღწერილი თრიალეთში დიდი ბადით თევზაობა. საბატონო, საკათალიკოსო ან საბატონიშვილო თევზაობის უფლების

---

[833] *ბალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 156.
[834] იქვე.
[835] სარქარი ზოგადად ზედამხედველს ნიშნავდა, სუფრაჯი კი სუფრის ზედამხედველ პირს.
[836] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 262.
[837] იქვე.

მქონეებს, ერთდროულად თევზაობის დროს, ბადეები უნდა გადაებათ და შეამხანაგებულიყვნენ.[838] აქ დაჭერილი თევზიდან სასახლის კარს კვირაში ერთხელ თევზის ნაწილი მიეწოდებოდა. რასაც „ტბის ყური“ და ფარავანი „ისაქმებდა“, ლარაძეს ერთი საპალნე აუცილებლად უნდა გადაედო და გაეგზავნა კარზე.[839] მებადურების მეფის თრიალეთის სახასოში არყოფნის დროს, მათი სხვა ადგილებიდან ჯამაგირის სანაცვლოდ მოწვევა ხდებოდა, თევზის რეწვის ზედამხედველობა კი ლარაძის საქმე იყო.[840] თევზს თრიალეთიდან საკიდარი ცხენებით ეზიდებოდნენ, რაც ლარაძის მოვალეობას აღარ წარმოადგენდა.[841] ფარავნის, ტბისყურულისა და თრიალეთური თევზის ულაყი ანუ საკიდარი ცხენი თრიალეთის საბატონო და სამოხელეო გამოსაღებს შეადგენდა.[842]

ნაზირის დავალებით, თევზის მიწოდებას ქარხნის იასაული მაისსა და თიბათვეში ახორციელებდა; ქარხნის იასაულის არყოფნის დროს მას წალკელი ცვლიდა.[843] ნაზირი გვაინფეოდალურ ქართლ-კახეთში სამეურნეო ფუნქციის მქონე მოხელეა, ამიტომ მას ევალება სასახლის კარის თევზით მომარაგების უზრუნველყოფა.

სამეფო კარის თევზის მომარაგებასთან დაკავშირებულ მუხლებში, დასტურმალამალი მხოლოდ ერთს მოიხსენიებს გვარით – ლარაძეს. ლარაძეთა შესახებ ცნობები მცირეა. ის იხსენიება კიდევ ერთ საბუთში – 1590 წლის სვიმონ I ბრძანებაში.[844] მეფის ბრძანებით, გოშფარ ჯავახიშვილი და ყარაიგთ ლარასძე დიღმისა და მტკვრის გამოღმა მხარის მეკობრეთმძებნელებად ინიშნებიან.[845] 1783 წლის ტრაქტატისთვის დართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში ლარაძე სახასო და ქართლის აზნაურთა შორისაა.[846] დასტურლამალის შედგენის პერიოდში, ამ გვარს რაიმე სახელო უჭირავს თუ არა, არ ჩანს, მაგრამ თრიალეთის ტბებში თევზჭერას რომ ხელმძღვანელობს და მეფის სასახლის კარს ემსახურება,

---

[838] იქვე.
[839] იქვე.
[840] იქვე.
[841] იქვე.
[842] იქვე, 312.
[843] იქვე, 262.
[844] ბრძანება სვიმონ I-ისა მეკობრეთ-მძებნელის შესახებ [1590], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 204.
[845] იქვე.
[846] 1783 წ. ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 485.

უდავოა. შესაძლოა ეს აზნაურ ლარაძეების ის შტოა, რომლებიც სამეგრელოდან ბოლნისში გადმოსახლდნენ.

დასტურლამალის ცალკე მუხლითაა განსაზღვრული „ნავტიკით“[847] თევზაობა. ამ შემთხვევაშიც ნაზირის[848] პასუხისმგებლობაა სასახლის კარის თევზეულით მომარაგების ორგანიზება. მას კვირაში ერთხელ ქარხნის იასაულისთვის უნდა დაევალებინა „ნავტიკით“თევზაობა.[849] მეთევზეები რასაც დაიჭერდნენ, სრულად უნდა მიეტანათ, ხოლო მარხვისას თევზი უნდა გაეხმოთ ან მჟავედ შეენახათ.[850] კანონმდებელი ცალკე დადგენილებით მოითხოვს „ორაგულის ϫუფთისა“ და მისი მჟავის, ასევე ზუთხისა და სხვა თევზების მჟავის მომზადებასა და მისი თუშმალისთვის მიბარებას.[851]

აღსანიშნავია, რომ მეფე არ იზღუდება მხოლოდ ყორუღად დადებულ ადგილებში თევზჭერის წარმოებისგან. ის, როგორც ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური პირი და მესაკუთრე, საჭიროების დროს, თავისი შეხედულებისამებრ, სხვადასხვა ადგილებშიც გასცემს თევზის მოპოვების განკარგულებას. მაგალითად, კოლექტიურად უნდა მომხდარიყო საფერისცვალებო თევზის ჭერა, რომელიც შეწერილი ჰქონდა თექვსმეტ სოფელს.[852]

პარაგრაფი „საფერისცვალებო თევზისთვის“ იწყება წინადადებით: „საფერისცვალებოთ თევზისათვინ წავიდნენ“, რომელიც წერტილ-მძიმითაა გამოყოფილი იმ სოფლების ჩამონათვალისგან, რომლებიც „შესაწვავად გაჰყოლიან“.[853] წერტილ-მძიმის დასმა აქ ბუნდოვანებას იწვევს და მუხლს ისეთ შინაარსს აძლევს, თითქოს დამოუკიდებელი პირები მიდიან თევზის დასაჭერად და აქ დასახელებული თქვსმეტი სოფლის მაცხოვრებლები მათ მხოლოდ თევზის შესაწვავად მიჰყვებიან, რაც სწორი არ უნდა იყოს. სოფლების ჩამონათვალის წინ ორწერტლის დასმა კი უფრო ნათელს ხდის ნორმის მოთხოვნას: ამ სოფლების მცხოვრებთა ნაწილმა თევზი უნდა დაიჭიროს, ნაწილმა კი ის უნდა გაასუფთაოს და შეწვას.

---

[847] ნავტიკი მცირე ტივია, რომელსაც ქვემოდან გაბერილი ტყავის ტიკები აქვს მიმაგრებული.
[848] ნაზირი გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის სამეურნეო-საფინანსო მოხელეა.
[849] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 262.
[850] იქვე.
[851] იქვე.
[852] იქვე, 278.
[853] იქვე.

ზემოთ მოყვანილ ნორმას მოსდევს თითქოს ლექსად გამოთქმული ორი პწკარი:

„უნდა გარეცხონ კოჟრის მარანი

საღორის უნდა ჩაყარონ ყინული“.[854]

კოჟრი მარნის დანიშნულებას ვერ მივაკვლიეთ. შეიძლება აქ კოჯრის ციხე და იქ განთავსებული მარანი იგულისხმება, რომელსაც ყინულში თევზის შესანახად მოამზადებდნენ.

3.12.2. თევზის ბაჟის აღება

ბარში, რადგან თავისუფალი მიწები თითქმის აღარ იყო დარჩენილი, ყველა მეთევზე ვალდებული იყო თევზჭერის ბაჟი გადაეხადა.

დასტურლამალის დადგენილებით, ახალი ზუთხისა და გელაქნურისთვის „რვა თუმანი ვექილ ხარჯს ბარათს“ მისცემდნენ და თუ მორჩებოდა, სხვაგვარად გამოიყენებდა; თუ დააკლდებოდა, ისევ მისცემდნენ.[855]ხმელ თევზზე ბაჟი რვა თუმანი უნდა აეღოთ, როგორც ეს მიღებული იყო, მეთევზეს კი ის აუშხანაში უნდა მიებარებინა.[856]

სათევზაო ადგილების გადაცემა ისევე ხდებოდა, როგორც სხვა საკუთრების. ბაგრატ III იმერეთის მეფის მიერ ბიჭვითის საყდარს სხვა ქონებასთან ერთად გადაეცა „ხრუდო სათევზეთ“.[857] მისივე 1545 წლის შეწირულების სიგელითაც გათვალისწინებულია გელათის მონასტრისთვის სათევზეების გადაცემა,[858] თუმცა აქ კონკრეტული გეოგრაფიული ადგილი დასახელებული არ არის.

3.12.3. თევზჭერის წესები მთაში

მთაში ძირითადად კალმახზე თევზაობდნენ. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, აქ ადრე ორაგულიც გავრცელებული ყოფილა, მაგრამ მასზე გახშირებული თევზაობისა და წესების დაუცველობის გამო დიდიხანია აღარ მოიპოვება.

---

[854] იქვე.

[855] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 262.

[856] იქვე, 261.

[857] ბიჭვინტის იადგარი [1525-1550], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 178.

[858] შეწირულების სიგელი *ბაგრატ* მეფისა გელათისადმი [1545 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 187.

კალმახს ორი მეთოდით იჭერდნენ: ნემსკავით და წყლის დაწურვით, რომლის დროსაც კალმახზე ნადირობა ჯგუფურად ხდებოდა.[859] ამგვარად დაჭერილ თევზს არ იყოფდნენ, ერთ-ერთის სახლში მიჰქონდათ და იქ წვავდნენ და მიირთმევდნენ, მაგრამ ვინც კალმახს შეწვავდა, მას ჭამის უფლება არ ჰქონდა.[860] შემოსწრებულ მამაკაცებსა და მასპინძელი ოჯახის წევრებსაც უფლება ჰქონდათ თევზი ეჭამათ.[861] კალმახზე მხოლოდ კაცები ნადირობდნენ, ქალისთვის თევზაობა სირცხვილად ითვლებოდა. სათევზაოდ ხშირი სიარულიც არ მიაჩნდათ მართებულად, ამბობდნენ, მარტო თევზს იმიტომ ჭამს, მეტი საკვები არ აქვსო.[862]

ერთი სოფლის ცალად, ანკესით მეთევზეები ადგილებს ინაწილებდნენ; თუ სხვადასხვა სოფლის მეთევზეები ერთმანეთს ადგილის გამო წაეკიდებოდნენ, თევზაობის უფლების მქონეს შეეძლო მოდავესთვის თევზი ჩამოერთვა.[863]

3.13. ტყიური მეფუტკრეობა

3.13.1. პირველი ცნობები მეფუტკრეობის შესახებ

ველური ფუტკრის, როგორც არავის კუთვნილი ნაყარის მოპოვება საკუთრების შემენის წყაროა.[864] მეფუტკრეობა ნადირობის სახეა და ადამიანის შეგროვებითი სამეურნეო საქმიანობის უძველეს დარგს წარმოადგენს. მისი არსებობა ზოგიერთი ხალხის კულტურაში 5000 წლით ადრეც დასტურდება. მაგალითად, მეფუტკრეობას ეგვიპტეში განსაკუთრებული როლი ჰქონდა, მას იყენებდნენ როგორც გადასახადის სახეს, შეუცვლელი იყო მუმიფიცირების პროცესისთვის. ფუტკრისა და მისი ნაყოფის მიმართ პატივისცემას ეგვიპტეში იმითაც გამოიხატავდნენ, რომ ფარაონის ერთ-ერთი სახელწოდება „მეფუტკრე“ იყო.[865] მცირე აზიაში, ხეთური საკანონმდებლო აქტი (ძვ. წ. XIV-XIII სს.) იცავდა თაფლს, როგორც საკუთრების ობიექტს. ხეთების კანონთა 91-ე მუხლი სკიდან ფუტკრის მოპარვისთანხასაც იხდიდა და სახლ-კარითაც აგებდა

---

[859] *გალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 158.

[860] *გალიაური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 158.

[861] იქვე.

[862] იქვე.

[863] იქვე.

[864] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 50.

[865] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 37.

პასუხს, მაგრამ ორი ან სამ ფუტკრიან სკას ვინც მოიპარავდა, როგორც დადგენილება ამბობს, ადრე ფუტკრებს მიუგდებდნენ დასაკბენად, შემდეგ კი 5 ნახევარსიკლი ვერცხლი დაუწესებიათ და ასევე თავისი სახლ-კარით ეკისრებოდა პასუხისმგებლობა.[866]

ტყიური მეფუტკრეობა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე ძვ. წ. IV საუკუნეში დასტურდება. კოლხეთში ისეთი სახეობის თაფლიც სცოდნიათ, რომელიც ადამიანის ნერვულ სისტემაზე მოქმედებდა. მათრობელა თაფლის შესახებ ცნობებს „პერიოდული და ლოკალური“ ხასიათი ჰქონდა.[867] სტრაბონის გადმოცემით, ჰეპტაკომეტებს, იგივე მოსინიკებს შერეული, ხეების ტოტებისგან მიღებული „გამაცოფებელი“ თაფლი გამოუყენებიათ პომპეუსის ჯარის ნაწილების წინააღმდეგ.[868] მათ გზაზე თაფლით სავსე კრატერები დაუდგამთ. რომაელები თაფლის ჭამის შემდეგ „დაგიჟდნენ“, ადგილობრივებმა დრო იხელთეს და ასეთ მდგომარეობაში მყოფი პომპეუსის სამი რაზმი ამოწყვიტეს. ქსენოფონტეც ანალოგიურ სურათს აღწერს, როგორ სურსათის ძებნაში როგორ აიტყუეს მისი ჯარი მთაზე მდებარე სოფლების ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: „იქ, არსებითად, არა იყო რა გასაოცარი, გარდა მრავალი სკისა. მეომართაგან ყველამ ვინც კი ფიჭი შეჭამა, დაკარგა გონება, აღებინა, კუჭი აეშალა და არც ერთ მათგანს სწორად დგომა არ შეეძლო. ისინი ვინც [ფიჭი] ცოტა ჭამა, მაგრად დამთვრალებს ჰგავდნენ, ხოლო ვინც მეტი - შეშლილებს ან მომაკვდავებს.[869]“ მეომრები მხოლოდ მეორე დღეს მოვიდნენ გონს, ხოლო მესამე დღეს ისევ ცუდად გამოიყურებოდნენ.[870] თაფლის ამგვარი ზემოქმედების გამო შეუძლებელია კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს ის საკვებად გამოეყენებინა. ალბათ, სეზონურად მიღებულ უვარგის თაფლს სპეციალურად ინახავდნენ ამგვარი შემთხვევებისთვის. ზოგიერთი მოსაზრებით, თაფლის ეს თვისებები როდოდენდრონსა და აზალეას ნექტრის მომწამვლელ ნივთიერებებს

---

[866] *დოლიძე ი.*, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1960, 113.

[867] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 524.

[868] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, *მელიქიშვილი გ.* (რედ.), საბჭოთა საქართველო, თბ, 1970, 320. შეად. *Strabo*, XII, 3, 18.

[869] *მიქელაძე ი.*, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, 89.

[870] იქვე, 84.

მიეწერება, ლამბერტის თქმით კი, ოლეანდრის თაფლს გამოირჩეოდა გამაბრუებელი ეფექტით.[871]

3.14. მეფუტკრეობის ტერმინოლოგია

რ. გუჯეჯიანის მითითებით, ეთნოგრაფიულ მასალებით, მეფუტკრეობა სამივე ცნობილი ფორმა დასტურდება: ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური.[872] რა თქმა უნდა, დანარჩენი ორის განვითარებას ტყიურმა მეფუტკრეობამ შეუწყო ხელი. შესაბამისად, ტერმინების მეფუტკრეობის ფორმების განვითარების საფუძველზე წარმოიშვა და დამკვიდრდა.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია თითქმის უცვლელია: ფუტკარი, თაფლი, ცვილი ძველქართულ ენაში როგორც გამოიყენებოდა, დღესაც იგივე მნიშვნელობა აქვს, თუმცა ცვილის ნაცვლად ახლა სანთელია მიღებული. თუმცა, როგორც გარეულ ნადირზე ნადირობისას, მეფუტკრეობაშიც დასტურდება „ტყიური ენის“ არსებობა. ალ. რობაქიძის აღნიშნავს, რომ აფხაზური ეთნოგრაფიული მასალებით, ტყეში სანადიროდ ან სამუშაოდ მიმავალი კაცი ჩვეულებრივ სამეტყველო ენას გაურბოდა და ე.წ. „ტყიური ენას“ იყენებდა. ფუტკრის აღმნიშვნელ სიტყვად ტყიურ მეტყველებაში იყენებდნენ ტერმინს „აშაწი“ და “აკაÃსარ“ – აშაწი ამ მეტყველებაში ტყვიას ნიშნავს, მეორე ტერმინის მნიშვნელობა უცნობია; თაფლის აღმნიშვნელი ტყიური სიტყვებია „ახააბა“, „აჭაგრახააბა“, რაც ძალიან ტკბილს, გემრიელს ნიშნავს.[873] ხევსურთში ცნობილია საიდუმლო „ენის“ გამოყენება ფუტკრის შემთხვევაში - „მბუან“.[874]

ა. დავითაძის მონათხრობით, კინტრიშის ხეობის მოსახლეებს „პირველად ფუტკარი ხის ღრუში უნახავს, ხე გამოუმორავს და თაფლიან-ფუტკრიანად სახლში მიუტანია. თაფლისთვის რომ ფუტკარი ვერ მოუშორებიათ, „ფუტი უკრავთ“, და ასე დაუმონებიათ იგი. სახელი ფუტკარიც აქედან გაჩენილა“.[875] გურიაში „ფუკობის“

---

[871] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 73; შეად. *Шавров Н.*, Краткий очерк современного положения пчеловодства на Кавказе, 44; Rehe, Kaukasishe Völker, 256.

[872] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 520.

[873] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 170.

[874] იქვე, 169.

[875] *დავითაძე ა.*, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხის იარაღი-ინვენტარი აჭარაში, სდსმყკს, I, 1973, 67.

დღესასწაულს აღნიშნავდნენ – თაფლიანი მჭადები და სანთლის არაყი გამოჰქონდათ და ლოცვას წარმოთქვამდა ოჯახის უხუცესი: „ბატონო მეფუკე, გამიმრავლე ფუტკარიო“.[876]

ტყის ფუტკრისა და თაფლის მოპოვებას „ხეფუტკარზე“ „ნადირობას“ უწოდებდნენ. მართალია, ნადირობა ერქვა ფუტკრის ან თაფლის მოპოვებას, მაგრამ ნადირობა თუ მხოლოდ ფუტკრების ნაყოფის მისაღებად ხორციელდებოდა, მას „თაფლის თუ სკის გატეხვა, დაშრეტა ან დაქრობა-დანელება“ ეწოდებოდა.[877]

ფუტკრების გარდა მოიპოვებდნენ ფუტკრისმაგვარი მწერების მიერ გამოყვანილ თაფლს, რომელსაც სვანეთში „მანÃვალ“, თუშეთში კი „თაფლა-ბუზა“ ეწოდება.[878]

3.15. ტყიური ფუტკრის მოპოვების ფორმები

ველური მეფუტკრეობის და შემდგომში კულტურული მეფუტკრეობის განვითარებას ხელი შეუწყო თაფლოვანი მცენარეებით მდიდარმა ფლორამ და საქართველოში გავრცელებულმა კავკასიურმა ნაცრისფერმა ფუტკარმა, რომელიც ნაყოფიერებითა და შემგუებლობით გამოირჩევა, ამასთან, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ნაკლებ აგრესიულია.[879] მთური ნაცრისფერი ფუტკრის ლათინური სახელწოდებაა Apis mellifera Caucasica.[880]

გარეული ფუტკრის მოპოვებას რომის სამართალი საკანონმდებლო დონეზე არეგულირებდა. იუსტინიანეს ინსტიტუციებით, ფუტკარი, რომელიც თუნდაც ვინმეს კუთვნილ ხეზე შეიკვრებოდა, მანამდე არ ითვლებოდა ამ პირის კუთვნილად, სანამ ის ფუტკარს სკაში არ ჩასხამდა.[881] თუ ფუტკარს სხვა ჩასხამდა სკაში, ფუტკარი უკვე მას ეკუთვნოდა, მაგრამ თუ ხეზე ფუტკარი ფიჭასაც დაამზადებდა, სანამ ფიჭა ხელუხლებელი იყო, მისი აღება ნებისმიერს შეეძლო.[882]

---

[876] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 526.

[877] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 70.

[878] იქვე, 68.

[879] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 520.

[880] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 67.

[881] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 56.

[882] იქვე.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, თუ ვინმეს ფუტკარი სხვის საფუტკრეში მიფრინდებოდა და ოჯახად დამკვირდებოდა, წინა მესაკუთრე ამ ფუტკარს უკან ვეღარ წაიყვანდა. თუმცა, ახალ მესაკუთრეს წინა მესაკუთრისთვის ფუტკრის „ჯეროვანი ფასი“ უნდა გადაეხადა.[883] შესაძლებელია ეს ჩვეულება ნაწილობრივ რომის სამართლის გავლენითაც დამკვიდრდა. მტრედები, ფუტკრები და ირმები, რომლებიც მესაკუთრის ზედამხედველობიდან გადიან და მათი ჩვევის თანახმად, ისევ უკან ბრუნდებიან, თუ უკან დაბრუნებას აღარ გადაწყვეტედნენ, იმათი საკუთრება ხდებიანნ, ვინც მათ დაეუფლებოდა.[884]

აქვე განვმარტავთ, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან მხოლოდ დასტურლამალის ერთი მუხლი ეხება ფუტკრის რიგს და აქაც მხოლოდ სამეფო სკების საკითხია მოწესრიგებული: „აბულაშვილისათვინ რამდენი სკა თაფლად აწერია და მიგვიბარებია, იმდენი სკაზედ ჩარექნახევარი სანთელი ჩვენს ქარხანაში მოაბაროს. და სხვა ნაყარი თაფლი, ზიანი და სარგებელი მისი არის. ჩვენი თავნი ფუტკარი კი ნუ მოიშლება.“[885] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ხელმწიფის კარის გარიგება არაფერს ამბობს სამეფო სკების შესახებ, მაგრამ სასახლის კარი საწელიწდისთაო სანახავი ძღვენის სახით იღებდა თორმეტ თაფლის ქვევრს.[886]

ველურ მეფუტკრეობაში ფუტკრისა და მისი ნაყოფის მისაკუთრება ორი გზით ხდებოდა: კლდისა და ხის ფუტკრის ნაყარისა და ნაყოფის მოპოვებით. ამგვარი მოპოვება ცნობილი ყოფილა: „თუშეთში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში, განსაკუთრებით კი სვანეთსა და აფხაზეთში“.[887] ნ. შავროვის მითითებით, თაფლის ტყეში მოპოვება აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობა იყო.[888] ასევე, არსებობდა გარკვეული შუალედური ფორმა მეუტკრეობის, რაც არც შინაურ და არც ტყის მეფუტკრეობას მიეკუთვნება. ესაა „ბუკების“ ხეებზე შემოლაგების პრაქტიკა, რომელიც გურიასა და აჭარაში ფართოდ იყო

---

[883] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1935, 260.

[884] *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70.

[885] დასტურლამალი, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 277.

[886] გარიგება Ãელმწიფის კარისა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 94.

[887] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 520.

[888] Шавров Н., Очерк пчеловодства в Закавказье, Т. IV., ч. II, Тифлис., 1888, 259.

გავრცელებული.[889] წიფლის ხეებზე ალაგებდნენ ბუკებს, რომელზეც გრძელი ჭოლოკებით ადიოდნენ, ასევე არსებობდა კლდეებზე ფუტკრის ბინების მოწყობის ჩვეულებაც და ამგვარად ხდებოდა ტყის ფუტკრის გამოყენება ხელოვნურ გეჯებში.

ფუტკრის ბინადრობის ადგილის მიკვლევა სამი სხვადასხვა წესით ხდებოდა: ფუტკრის დევნა მისი კვალის მიხედვით, მიგნება ცხოველებისა და ფრინველების საშუალებით ან სატყუარას გამოყენებით.[890]

3.15.1. კლდის მეფუტკრეობა

ტყიურ ფუტკარსა და მის ნაყოფზე ნადირობის უმარტივეს ფორმათა შორის ცნობილია კლდის ფუტკრის ნაყოფის მომპოვებლობა. ასეთი თაფლის კლდე კახეთის სოფელ შაქრიანის შემოგარენში, დიდყურაში მდებარეობს და ის თაფლისა და ცვილის მოპოვების მუდმივ გზას წარმოადგენდა.[891] სოფელ ღულის მიდამოებში, ხევსურული ეთნოგრაფიული მასალებით, კლდის ფუტკარი დასტურდება შავარდნის კლდეში, კლდის ფუტკარი ცნობილია გუდამაყარშიც.[892] კლდის ფუტკრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმერეთი, რაც ასახულია კიდეც ტოპონიმებში: ვანის რაიონში მდინარე სულორის სათაფლია ქვა, სათაფლია - ნაკრძალი ქუთაისის მახლობლად, სოფელ ძევრში საგვარჯილეს მოპირდაპირე კლდე, სადაც ფუტკარს გასულ საუკუნეშიც მოიპოვებდნენ, ლეჩხუმშიც ცნობილია სათაფლო კლდე, რომელიც საირმესა და ღვარდს შორის მდებარეობს.[893] აფხაზური თქმულება ფუტკრის ქალღმერთ ანანაგუნდას შესახებ ასევე ადასტურებს აქ კლდის მეუტკრეობის არსებობას.[894]

შემოდგომაზე, კლდის თაფლის მოსაპოვებლად, ორი-სამი მონადირე შეამხანაგდებოდა და მთელი დღით მიდიოდნენ თაფლსა და ცვილზე სანადიროდ. კლდეზე ზემოდან თოკით ჩადიოდნენ, ან ქვემოდან გრძელი, ტოტებგაცლილი ხის კიბით ადიოდნენ, შემდეგ სარაჯს „ქაფქირის“ მეშვეობით ჭრიდნენ და გუდებში ალაგებდნენ. თაფლს ადგილზე ასუთავებდნენ და თანაბრად იყოფდნენ.[895] რაჭაშიც

---

[889] *როგაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 73.
[890] იქვე, 70.
[891] იქვე, 69.
[892] *დავითაძე ა.*, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხის იარაღი-ინვენტარი აჭარაში, სდსმყკს, I, 1973, 69.
[893] იქვე.
[894] იქვე.
[895] იქვე.

დასტურდება „საძმოს“, ანუ მონადირეთა მიერ ტყიურ თაფლზე ნადირობა და სოფლის მცხოვრებლებისთვის მცირე რაოდენობით მაინც თაფლის განაწილების ტრადიცია, რომელიც თაფლზე მონადირეთა ვალდებულებას შეადგენდა.[896]

3.15.2. ხეფუტკარზე ნადირობა

ხეფუტკარზე ნადირობა საქართველოში თაფლსა და ცვილზე ნადირობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ვაჟა-შაველას გადმოცემით, ტყეში ხეზე ველური ფუტკრის მპოვნელი სრულ უფლებას მოიპოვებდა მასზე. ამისთვის საკმარისი იყო მპოვნელს ხეზე ნიშანი გაეკეთებინა, რითაც ის უფლებას მოიპოვებდა ფუტკარზე და მას ვერავინ შეეცილებოდა.[897]

ლ. ბოძაშვილის აღწერითაც, ფშავში სადაც ველურ ფუტკარს აღმოაჩენდნენ, მას თავის ნიშანს ადებდნენ: ხეს მცირე ნაწილს ჩამოთლიდნენ ან შეუმჩნეველ ადგილზე ჯვარს ახატავდნენ, რითაც ფუტკარს საკუთრებად მონიშნავდნენ და სხვას შეცილების უფლება აღარ ჰქონდა.[898] გურიაშიც ანალოგიური წესი არსებობდა: ტყეში ფუტკრის მპოვნელი ხეზე ნაჯახით ჯვარს გამოიყვანდა, რასაც „დაჯვარვა“ ერქვა; ხეს როცა ასეთი ნიშანი ედო, სხვა ამ ფუტკრის თაფლს ვერ აიღებდა და ვერც ფუტკარს წაიყვანდა.[899] სვანეთშიც ფუტკრის ოჯახიან ხეს „დაჯვარავდნენ“ და სხვა ხელს ვეღარ ახლებდა.[900]

როგორც მ. კოვალევსკი აღნიშნავს, «Что касается до бортовъ, то они составляютъ собственность того лица, которому удалось открыть пчелиный рой и загнать его въ древесное дупло».[901] რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონით, борть ძველ რუსულში

---

[896] *როგაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 72.

[897] *დავითაშვილი გ.*, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990, 47. იხ. *ვაჟა-ფშაველა*, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 76.

[898] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 45. იხილე: *ბოძაშვილი ლ.*, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988, 41.

[899] *დავითაშვილი გ.*, *ზოიძე ო.*, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1991, 178.

[900] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 522.

[901] *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. II., М., Типография А. И. Мамонтова, 1890, 85.

ნიშნავდა ხის მორის ღრუში უმარტივესად მოწყობილ სკას, რაც, სავარაუდოდ, ხეზე დაბუდებულ ფუტკრის ნაყარს მოიაზრებს, бортничество კი ტყის პრიმიტიული მეფუტკრეობაა, რაც ველური ფუტკრიდან თაფლის მიღებას და მათ უმარტივეს მოვლას გულისხმობს.[902] ესე იგი, ველური ფუტკრის გუნდი იმას ეკუთვნოდა, ვინც ხეფუტკარს გახსნიდა და ხის ღრუში მოათავსებდა.

ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ჰყვება კარახელის ცხოვრების შესახებ, რომელსაც თავის მეურნობაში საფუტკრეც ჰქონია და 9-10 ძირ ფუტკარს უვლიდა.[903] როგორც ვაჟა წერს, კარახელს ფუტკარი ტყიდან მოუყვანია: „კარახელი მონადირე იყო და ფუტკრის ხელობაც იცოდა, ტყეში იპოვნა ფუტკარი ხეში, რომელიც თავსა და ბოლოს გადახერხა, მოიტანა შინ და იმაზე გააშენა.“[904] ვაჟას ნათქვამი, რომ კარახელი მონადირეა და ამიტომ ფუტკრის საქმეც იცის, მიანიშნებს სანადირო წარმოებაში ფუტკრის ნაყარისა და თაფლის მოპოვების მნიშვნელობაზე. ფშაველი მონადირის აგებული საფუტკრე ასეთია: „სვილის (ჭვავი) ნამχით იყო დახურული, წნული, სადაც ფიცრებზე იყო დაყურებული ხოკრები ბალისა და თელის ქერქისა ფუტკრის თავ-შესაფარად, სახლკარად მიჩემებული“.[905] ფშავში თაფლის ამოღების ორი ძველი წესი სცოდნიათ. ვისაც ფუტკარი ხოკერებში ესხდა, ფუტკრით სავსე ხოკერს ღამით წაიღებდნენ მდინარეზე და წყალში ჩადგამდნენ, ფუტკარი დაიხოცებოდა და ასე იღებდნენ „შოთებს“[906] ანუ თაფლიან ფიჭებს. თაფლის ამოღებისას ფუტკრის დახოცვის წესი ერთი რამით შეიძლება აიხსნას. ფშავში გარეული ფუტკარი იშვიათი არ იყო და მისი აყვანა მონადირეებისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თაფლის ამოღების სხვა ხერხს გამოიყენებდნენ.

ალ. რობაქიძემ ძველ გადმოცემებში არსებული ცნობებით ასევე გამოარკვია, რომ თუშეთის გარდა, გურიაში, ნაწილობრივ იმერეთსა და სამეგრელოში, მაგრამ

---

[902] Словарь русского языка, в четыре в томах, Т. I, государственное издательство иностранных и национальных словарей, Москва, 1957, 130.

[903] *ვაჟა-ფშაველა*, ეთნოგრაფიული წერილები, *გ. ქიქოძის* წინასიტყვაობითა და რედაქციით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი, 1937, 90.

[904] იქვე.

[905] იქვე, 91.

[906] იქვე.

განსაკუთრებით სვანეთსა და აფხაზეთში, ტყიური მეფუტკრეობის უძველესი ფორმა, სწორედ ფუტკრის ნაყოფის მოპოვებაა ფუტკრის დახოცვის გზით.[907]

3.15.3. ტყიურ ფუტკარზე ნადირობის პერიოდი და აყვანის მეთოდი

სვანეთში ტყის ფუტკარზე ნადირობას ზამთარში ან ფუტკრის ნაყარის გამოსვლის პერიოდში მიმართავდნენ.[908] ა. დავითაძის გადმოცემით, აჭარის ხეობებში, მათ შორის ჭვანაში, ხეფუტკარზე სანადიროდ ყველაზე კარგი დრო თებერვალია: „თოვლი რომ გაყინავს, ხის ძირში „გაჭრილი“ ფუტკარი ჩანს“, ამ დროს მიაკვლევენ ფუტკარს, ჭრიან ხეს და თაფლს გამოიღებენ.[909]

განსაკუთრებით ნადირობდნენ მაღალი ხარისხის ქვათაფლზე, იგივე კრიპუჭზე (ზოგან - კიპრუჭი), რომელიც დადასტურებულია იმერეთსა და აფხაზეთში[910]. ნ. შავროვი გურიის მეფუტკრეებზე დაყრდნობით წერს, რომ კრიპუჭი გურიაში ბუკებშიც მზადდება თუ ფუტკარს სუსხიანმა ზამთარმა მოუსწრო.[911]ამ სახის თაფლი ჩვეულებრივისგან კრისტალიზაციის უნარით გამოირჩევა, თეთრია და საუკეთესო ტკბილეულად მიიჩნევა. კრიპუჭის თავისებურებას სხვადასხვა გარემოებებს მიაწერდნენ, მაგალითად, კ. გურული მიიჩნევდა, რომ ასეთი თაფლი მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლშია შემჩნეული და ამის გამომწვევ მიზეზი ზღვის წყლით ფუტკრის სარგებლობაა.[912] არქანჯელო ლამბერტმაც მიაქცია ყურადღება კრისტალიზებულ თაფლს. როგორც ლამბერტი აღნიშნავს, ასეთი თაფლი მეგრულად „კიბურჭად“ იწოდება, ტყიური თაფლია და მხოლოდ კოლხეთსა და მის მეზობლად გვხვდება.[913] აღსანიშნავია, რომ ქვათაფლა თითქმის ყველა ავტორთან ტყიური ფუტკრის ნაყოფია. წინაფეოდალურ საქართველოში დასტურდება „თაფლი გოლეულის“ წარმართული კერპებისთვის შესაწირავად გამოყენების წერილობითი ცნობა.

---

[907] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 71.

[908] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 522.

[909] *დავითაძე ა.*, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხის იარაღი-ინვენტარი აჭარაში, სდსმყკს, I, 1973, 68.

[910] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 128.

[911] Шавров Н., Очерк пчеловодства в Закавказье, Т. IV., ч. II, Тифлис., 1888, 66.

[912] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 72; შეად. К. Гуриели, О пчеловодстве в Грузии, ИОЛЕАЭ, т. XLVI, 1885, 31.

[913] იქვე, 130; Ламберти А., Описание Колхиды, 231.

ტყიური ფუტკრის ჩამოყვანის წესი სვანეთში ასეთი იყო: მოჭრილ ხეს თოკებით მიწაზე ფრთხილად დაუშვებდნენ, ხის ღია ნაწილებს ფიცარს დაამაგრებდნენ და შინ ურმით მიჰქონდათ; მიყვანილი ფუტკარი ახალ გეჯაში თავსდებოდა, რომელსაც თელის ან თხმელის ხისგან ამზადებდნენ; ასეთ გეჯას სვანეთში „ღეებ/ღებ“ ჰქვია.[914] ფუტკრის გეჯაში მოთავსებას ფშავშიც იყენებდნენ. გეჯებიდან ამოღებას აქ „მოწველა“ ერქვა, ფიჭის ანუ „შოთის“ ნაწილს იღებდნენ, ნაწილს კი ფუტკარს უტოვებდნენ ზამთარში გამოსაკვებად.[915]

3.16. სარიტუალო რწმენა-წარმოდგენები

ტყიური მეფუტკრეობის ფორმები მეცნიერების მიერ ძირითადად აღდგენილია სხვადასხვა რიტუალების სახით შემორჩენილ მასალაზე დაყრდნობით.

ფუტკრის მფარველი სვანეთში ჯგგრაგ ლენჩაშისა და ბავ-ბედნიერის სახით იყო წარმოდგენილი, სამეგრელოში კი - ჯგერაგუნას.[916] ალ. რობაქიძის შენიშვნით, „როდესაც მეფუტკრეობის მფარველობის იდეა შეერთებულია ქრისტიანული პანთეონის რომელიმე პერსონაჯთან, ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად წმინდა გიორგის სახით გვევლინება“.[917] ჯგგრაგ ლენჩაში ძირითადად დაბურული ტყის, იშვიათად, წიწვოვანი ტყის მფარველი წმინდა გიორგია, რომლის უმთავრესი ფუნქცია ფუტკრის მფარველობაა, მაგრამ ზოგჯერ ის მონადირეებს, ხე-ტყის დამზადებასა და ტყეში მგზავრობას მფარველობს.[918] ღვთაებას თავისი სალოცავი ჰქონდა კალასა და იფარს შორის მდებარე ეკლესიის სახით, რომლის მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი.[919] ლ. რობაქიძემ ყურადღება მიაქცია სვანურ სალოცავებში მოხსენიებულ, თუმცა ეთნოგრაფიულ მასალებისთვის უცნობ „ბავ-ბედნიერს“, რომლის სახელზეც შესაწირიც გამოიყოფოდა. მეცნიერის მტკიცებით, „ბავ-ბედნიერი“

---

[914] *გუჯეჯიანი რ.*, მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *თოფჩიშვილი რ.* (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010, 523.

[915] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გ. ქიქოძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი, 1937, 91.

[916] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 175.

[917] იქვე, 176.

[918] იქვე, 176-177.

[919] იქვე, 176.

უძველესი დროიდან მომდინარე ფუტკრის მფარველი ღვთაებაა, რომელიც შემდეგში ჯგგრაგ ლენჩაშმა ჩაანაცვლა.[920]

თაფლი ყველაზე დიდი რაოდენობით ლამარიის სადღესასწაულო რიტუალის შესრულებაზე იხარჯებოდა, ფიჭა თაფლით ყველა მეფუტკრეს მიჰქონდა და მთელი ოჯახით მიდიოდა ეკლესიაში მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად. ოჯახები იკრიბებოდნენ საფლავზე და აწყობდნენ „ტაბაგ“-ს, სადაც თაფლი აუცილებელი საკვები იყო. თაფლი ასევე საჭირო იყო აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა მოსახსენიებლად.[921]

მეგრულ „ჯგერაგუნას“ პირველად ს. მაკალათიამ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, „ჯგერაგუნა“ ფუტკრის სალოცავია და მას ამაღლების დღესასწაულზე მიმართავდნენ: დიასახლისები ამზადებდნენ „ყვარაბინა“ კვერებს ხორბლის ფქვილისგან, ზედ სანთელს ანთებდნენ და ასეთ ლოცვას წარმოსთქვამდნენ: „ჯგერ-აგუნა, შენი სახელი დალოცვილი, ჩემი სკები გამიმრავლე, ბევრი მომეცი, კარგი თაფლი გააკეთებინე, მავნე სიბოროტე-სიავე შორს გაუქარვე, ეს ჩემს სასარგებლოდ გახადეო“.[922] მეგრულად „ჯგე“, „ჯგეგე“ წმინდანს, ხატს, ეკლესიას ნიშნავს, „აგუნა“ და მისი მისი მსგავსი სიტყვები ეთნოგრაფიულ მასალებში ასახულ ქართველურ ტომთა ყოფის მეფუტკრეობასთან კავშირს არ ადასტურებს, თუმცა „აგუნა“ მევენახეობასთან არის დაკავშირებული და ახალი წლის წეს-ჩვეულებათა შორის ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს: სახლის უფროსი მოხარშული ღორის თავს აიღებდა, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, მაღლარ ვენახს ირგვლივ შემოუვლიდა და ტან ხმამაღლა ამბობდა: „აგუნა, აგუნა, ჩამოარე, ბახუას კარი ჩამოიარე! ჩვენს მამულს ამოტენა (აიყვანდნენ ხელში ყმაწვილს) მტევნები, სხვის მამულს ჩხერგი და ფურცლები“.[923]

„ანანაგუნდა“ ფუტკრის ოქროსფერთმიანი ღვთაებაა, რომელსაც თავისი საბინადრო ადგილი აქვს და ვერც ერთი მეფუტკრე ტყიური ფუტკრის ნაყოფით მისი სურვილის გარეშე ვერ ისარგებლებდა; მის ადგილსამყოფელთან ახლოს ფუტკარსა და

---

[920] *როგაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 183.

[921] იქვე, 125.

[922] *მაკალათია ს.*, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 317-318.

[923] *როგაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 185. იხილე: Т. Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, 17, Тифлис, 1843б 33-34.

მის ნაყოფზე ნადირობა აკრძალული იყო.[924] შ. ინალ-იფას გადმოცემით, გუმისთას ხეობაში მტკიცდება კლდე „ანანტფარას“ არსებობა, რომელიც ფუტკრის სიმრავლით გამოირჩეოდა და ანანაგუნდას სამყოფელს წარმოადგენდა. ეს კლდე წმინდანად მიიჩნეოდა და ადამიანს იქ ასვლა ეკრძალებოდა.[925] ანანაგუნდა ჯერ ტყიური, ხოლო მოგვიანებით შინაური ფუტკრის მფარველად იქცა. „ანანა“ აფხაზურ ენაში დედის აღმნიშვნელი სიტყვაა და შესაძლებელია მისი გავლენით ეწოდებოდა ფუტკრის ღვთაებას ანანაგუნდა.

„თაფლის გატეხვის“ პრაქტიკას აჩვენებს ხატ-სალოცავების სახელზე შეწირული თაფლიანი გეჯის გატეხვისა და ფუტკრის დახოცვის რიტუალი. ალ. რობაქიძის აღნიშვნით, ეთნოგრაფიული მასალა იძლევა საშუალებას გაირკვეს გატეხილი და შეწირული თაფლის გამოყენების ფარგლები: შეწირულობის გატანა დღეობა-სალოცავებზე და მისი დარიგება რაც შეიძლება თემის მეტი წევრისთვის. მეცნიერის დასკვნით, „შეწირულების გამოყენების ეს ორმა საერთო მოხმარების გადმონაშთური ანარეკლია, და, ამდენად, თავისი გენეზისით პირველყოფილ-თემურ ყოფას უკავშირდება“.[926]

3.17. კოლიზია უპატრონო ნივთების დაუფლებასა და მიწის საკუთრების უფლებას შორის

რომის სამართალი განმარტავდა, რომ ხალხთა სამართლით ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაეუფლოს გარეულ ცხოველს ან ფრინველს, ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, მან იგი თავის მიწაზე მიიტაცა თუ სხვის საკუთრებაში შეიჭრა.[927] ამასთან, იუსტინიანეს ინსტიტუციები ითვალისწინებდა იმ შესაძლებლობას, რომ თუ მესაკუთრეს არ სურდა მის ნაკვეთში ვინმეს ენადირა, მას შეეძლო აეკრძალა მის ტერიტორიაზე შესვლა.[928] ეს დათქმა მოქმედებდა არა მხოლოდ გარეულ ცხოველებზე

---

[924] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 186.

[925] *Инал-Ипа Ш.,* К вопросу о матриархально-родовом строе Абхазии, Тр. АБИИН, XXV? Сухуми, 1954, 266.

[926] *რობაქიძე ალ.*, მეფუტკრეობის ისტორიისთვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, 71.

[927] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 55.

[928] იქვე.

ნადირობისას, არამედ მესაკუთრის ნაკვეთიდან ფუტკრის ნაყარის აყვანის და ფუტკრის ნაყოფის ამოღების დროს.[929]

როდესაც უპატრონო ნივთი იმყოფება კერძო მესაკუთრის მიწაზე, ამ დროს შესაძლებელია წარმოიშვას კოლიზია ოკუპაციასა და მიწის საკუთრების უფლებას შორის. ასეთ გარემოებებს ადგილი აქვს ნაპოვარისა და ნანადირევის შემთხვევაში,[930] განსაკუთრებით, ნაპოვარის დროს, რადგან დაკარგული ნივთის პოვნა, უმეტესწილად, სხვის კუთვნილ ქონებაში ხდებოდა.

რომის სამართლით, მიწის მესაკუთრეს შეეძლო აეკრძალა ოკუპაციის მიზნით შესვლა მის მიწის ნაკვეთზე, ან შეეძლო თავიდან აეცილებინა შეჭრა ნაკვეთის ირგვლივ ღობის გავლებით; თუმცა, თუკი შეჭრა განხორციელდებოდა, დაუფლება მაინც კანონიერი იქნებოდა, მაგრამ მიწის მესაკუთრეს შეეძლო მისთვის მოეთხოვა ნაკვეთის დატოვება და ზიანის ანაზღაურება.[931] რადგან ეს გარემოება მიწის მესაკუთრეს აძლევდა საშუალებას სხვისი ნანადირევიდან მიეღო შემოსავალი, ამიტომ რომის სამართალი ნანადირევს მიწის ნაყოფად განიხილავდა.[932] ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში, ოკუპაციის უფლება ჰქონდა მხოლოდ განსაზღვრულ პირთა წრეს, რომელთა უფლებამოსილებაა ნადირობა და თევზჭერა; ამის გამო გარეშე პირები მათ მიერ მოპოვებული ნანადირევის მესაკუთრეები ვერ გახდებოდნენ.[933] ასევე, სომხური სამართლის ძეგლი, მხითარ გოშის კანონთა კრებული არ კრძალავდა სხვის ადგილებში ნადირობას. თუ მონადირე საკუთარ სანადირო ადგილებს გასცდებოდა და სხვის სანადიროში შევიდოდა, გარკვეული პირობა უნდა შეესრულებინა: „ჩვიდმეტიდამ ერთი ადგილის პატრონისა“ იყო.[934] ანუ ნანადირევის ყოველი მეჩვიმეტედი წილი მონადირეს ადგილის მესაკუთრისთვის უნდა მიეცა როგორც სამონადირეო გამოსაღები. მთაში ნადირობისთვის, მონადირე ნანადირევის მეათედს მთის პატრონის მამასახლისს უხდიდა.[935]

---

[929] იქვე, 56.
[930] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное прво, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 91.
[931] იქვე, 91-92.
[932] იქვე, 92.
[933] იქვე.
[934] სამართალი *მოსესი, მხითარ გოშის სამართლის ვერსია, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 290.
[935] იქვე.

თუმცა, როგორც დავით ბაგრატიონი განმარტავს, ვისი სანადიროც „დახშული“ და შემოღობილი იქნებოდა, იქ შესვლა და ნადირობა იკრძალებოდა შფოთის თავიდან ასაცილებლად, წესის დარღვევისთვის კი სამეფო „ჯურუმი“ იყო გათვალისწინებული.[936]

მხითარ გოში ზემოთ აღწერილი სამონადირეო სამართლებრივი ნორმების მოქმედებას ზღვის მეთევზეებზეც ავრცელებს: „იმგვარად ზღვათა მონადირეთა ქნან“- ო. თუმცა, ცოტა ბუნდოვანია, სომხეთისთვის განწესებული სამართალი რატომ უნდა ითვალისწინებდეს ზღვაზე ნადირობის წესებს. როგორც ლ. მელიქსეთბეგმა დაადგინა, სომხური სამართლის ქართული ტექსტი დედანის დამახინჯებულ, თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, „ზოგიერთი უცნაური დამატებებით“, რომელიც მხოლოდ „ქართული სინამდვილით“ შეიძლება აიხსნას.[937] ამიტომ, დასაშვებია, მხითარ გოშის სამართლით დადგენილი ნადირობის გადასახადი ქართველ მთარგმნელს მისაღებ რეგულაციად მიეჩნია და ზღვაზე თევზაობის მოსაკრებლადაც შემოეტანა. თუმცა, ლ. მელიქსეთ-ბეგს სომხური სამართლის ქართული ვერსიის მხოლოდ პირველი ნაწილი აქვს შესწავლილი და გამოცემული, მხითარ გოშის ქართული ვერსიის კრიტიკული გამოკვლევა მას, სურვილის მიუხედავად, ვერ მოუხერხებია[938] და არც სხვა მეცნიერთა სპეციალური კვლევის საგანი გამხდარა.

ამდენად, საქართველოში ნადირობა წარმოადგენდა ორგანიზებული მეურნეობის თავისებურ სახეს, განსაკუთრებით, დიდ ჯგუფებად ნადირობის დროს. ზოგიერთ მხარეში ნადირობა აღქმული იყო როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წარმოების წესი, რომელიც განაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, მისაღები იყო მოცემული კოლექტივისთვის. მთაში დამკვიდრებული ჩვეულებები უზრუნველყოფდნენ თანაბარ განაწილებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

---

[936] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 218.

[937] ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 596. იხ. *მელიქსეთ-ბეგი ლ.,* სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, თბ., 1927, გვ. XII.

[938] ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 596. იხ. *მელიქსეთ-ბეგი ლ.,* სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, თბ., 1927, გვ. XV.

IV. ლაშქარ-ნადირობა

ლაშქარ-ნადირობა გულისხმობს ლაშქრობას ომის დროს და ნადირობას მშვიდობიანობის პერიოში. ეს უკანასკნელი შეუცვლელ საშუალებას წარმოადგენდა სახელმწიფოს თავდაცვისთვის - საქართველოს ლაშქარი „დაწყნარების დროს“ ამგვარად ემზადებოდა ომისთვის. საქართველოში მოლაშქრეობა უძველესი დროიდანვე ქონებრივ შეძლებასთან იყო დაკავშირებული, რაც ნიშნავდა „პროფესიულ მეომრობას“, რომელიც სალაშქროდ მუდამ მზად უნდა ყოფილიყო და ამისთვის შესაბამის პერიოდულ წვრთნას გადიოდა.[939] როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „რამდენადაც ნადირობას მაშინ გასართობი თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა, სანადირო ადგილებსაც მზრუნველობა არ აკლდათ და სათანადოდ იყვნენ დაცულნი.“[940]

წყაროებში ლაშქარ-ნადირობა ზოგჯერ ერთად იხსენიება. ამის მიზეზი ისაა, რომ ფეოდალურ საქართველოში ნადირობას, გარდა საკვების მოპოვებისა, სამხედრო ვარჯიშის ხასიათიც ჰქონდა. შუა საუკუნეებიდან ნადირობა მეომრების სამხედრო-სალაშქროდ მომზადების, საბრძოლო წვრთნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.[941] საქართველოში ახალი წლის დადგომასაც საომარი ვარჯიშობით აღნიშნავდნენ. ამის საფუძველი უნდა ყოფილიყო ის, რომ მოსახლეობა ერთ დიდ შეიარაღებულ რაზმს შეადგენდა და საომარ წვრთნასაც ხშირად მართავდა ნადირობის სახით.[942]

---

[939] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 115.

[940] *ჯავახიშვილი ივ.*, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნ. I, ფედერაცია, ტფილისი, 1930,147.

[941] *შოშიტაშვილი ნ.,* ნადირობა ძველ საქართველოში, ჟურნალში: ისტორიანი, თბ., 2020, 46.

[942] *ხიზანაშვილი ნ.*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 142.

ამგვარი სამხედრო ხასიათის ნადირობას ევროპაში მეფეები და დიდი ფეოდალებიც აწყობდნენ და „მაღალ ნადირობას“ უწოდებდნენ.[943] საქართველოში ნადირობის ეს სახე ვასალური ვალდებულებაა. ზოგადად, მსხვილი ფეოდალები, მეფისადმი მორჩილებას სამი გზით გამოხატავდნენ: მეფის უზენაესი ხელისულების აღიარებით, მეფის მოლაშქრეობითა და სამეფო ნადირობაში მონაწილეობით.[944] ამ დაქვემდებარებას აღწერს ვახუშტი იმერეთის მეფე ალექსანდრესთან დაკავშირებით, რომელმაც „დაიმორჩილნა დადიან-გურიელნი და მთავარნი სხუანი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა Ãმობითა მსახურებათათა“.[945] ვახტანგ V-ის სიგელით ზემო იმერეთის ფეოდალ ზაალ წერეთლისადმი ირკვევა, რომ იმერეთში ნადირობა მეფის სარდლების ხელში ყოფილა: „ან ლაშქრობა, ან ნადირობა და ან სხუა რამე დაგპატიჟოს, ყველას მოუდექითო“.[946]

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, მეომრები საომარ და სანადირო იარაღს ერთდროულად ატარებდნენ. საბრძოლო აღკაზმულობასა და იარაღთან ერთად, რომელთა შორისაა „ჯავშანი, ხაფთანი, პოდოტივნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ხმალნი,ხანჯანი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშÂლდ-ისარნი“, მეომრებს მუდამ თან ჰქონდათ სანადირო „ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათვს, ქეიბური მხეცთათვის, სარჩა და ქიბურჯი წურილთა ნადირთათვს“.[947] რაც კარგი მეომრისთვის იყო საჭირო, იგივე თვისებები უნდა ჰქონოდა მონადირესაც. კარგ მოლაშქრესა და მონადირეს ერთი საზომი აქვთ: ცხენზე ჯდომა, ისრისა და თოფის კარგად სროლა, ღირსება და ვაჟკაცობა. არსებობდა ისეთი სარიტუალო ადათებიც, რომელიც ლაშქრობისა და ნადირობის დროს ერთნაირად გამოიყენებოდა. ბრძოლის დროს განსაზღვრული რაოდენობის მტრის მებრძოლის მოკვლის ან ნადირობის შემდეგ, გამოყენებულ იარაღს მიწაში ფლავდნენ. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ამით „მიწას ერთგვარად „გაენეიტრალებია“ ის სისხლი, რომელიც მას

---

[943] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 154.

[944] იქვე, 155.

[945] *ვახუშტი ბაგრატიონი, ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, ც.

[946] ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), *ბურჯანაძე შ.* (რედ.), 1958, 66.

[947] *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, ც.

ეცხო“.[948] ბევრი ჯიხვის მომკვლელი მონადირე მათ რაოდენობას ჯოხზე ჭდის გაკეთებით ნიშნავდა და როცა 100 ნადირს მიაღწევდა, თოფს ერთი ღამით მიწაში დაფლავდა, რის შემდეგაც ათვლა თავიდან იწყებოდა.[949]

ვახუშტი ბატონიშვილს დაწვრილებით აქვს ასევე აღწერილი ქრისტიანობის პერიოდში დადგენილი საახალწლო ნადირობის ის წეს-ჩვეულებები, რაზეც სხვა წყაროები, მათ შორის, არც „ხელმწიფის კარის გარიგება“, არაფერს.

პირველ იანვარს, ცისკრის ლოცვის აღვლენის შემდეგ, მოწვეული სტუმრები საჩუქრებს მიართმევენ მეფეს, მათ შორის „ბაზიერთუხუცესი – შავარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშÂსასა მოოქრობილსა; მეჯინიბეთუხუცესი – ცხენსა აღკაზმულსა ოქროთ-მოოვჭვილთა, და სხუანი ოფიკალნი თÂს-თÂსთა შესატყვისთა“.[950] ერისთავების მოსაკითხი იყო „არაკეთილი“ ანუ ჯაგლაგა ცხენები, რომლებსაც თავის დანიშნულება ჰქონდათ სანადირო სამზადისში: ისინი ბაზიერთუხუცესს გაჰყავდა მეფის სანადირო ველზე, რომელიც შემოღობილი იყო და მეფის სამყოფთან ახლოს მდებარეობდა; საღამოს ცხენებს დახოცავდნენ და სანადირო ველზე ტოვებდნენ, რომელიც ლეშის გამო მგლით, ტურითა და მელიით აივსებოდა; დილაადრიან ტყისმცველი ღობის კარს მოუხურავდა და ნადირს შიგნით მოიმწყვდევდა, დღისით კი მეფე მხლებელ მონადირეებთან ერთად გამოშვებულ ნადირს გამოუდგებოდა და ისრით ხოცავდა.[951]

ასეთ ნადირობას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა და მტაცებელი ცხოველების სახით თითქოს მტერს ხოცავდნენ, ცდილობდნენ მიზანში არ აეცდინათ და რაც შეიძლება მეტი ნადირი დაეხოცათ.[952] ამ დღეს სამეკვლეო ხასიათიც ჰქონდა, მომავალი წლისთვის დროის მხიარულად გატარებას იბედებდნენ.[953] საკვებად ვარგის ნადირთან ერთად მგელზე, ტურასა და მელაზეც ნადირობდნენ.[954]

---

[948] *ონიანი, ს.*, ქრისტიანული მოძღვრების როლი ბრალის დამუშავებაში, თბ., 2013, 102. <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sulxan_oniani.pdf> [08.01.2022].

[949] *ბალიური მ, მაკალათია ნ.*, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989, 108.

[950] *ვახუშტი ბატონიშვილი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, *ს. ყაუხჩიშვილის* რედაქციით, IV ტომი, 1973, 28-29.

[951] იქვე, 29.

[952] *მაკალათია ს.*, ახალწელიწადი საქართველოში, სახელგამი, თბ., 1927, 12.

[953] იქვე, 11.

[954] *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940, 145.

არჩილ მეფის მიერ სანადიროდ წასვლის ეპიზოდის აღწერაც კარგად გამოხატავს სამეფო ნადირობის ხასიათს: „დილას შევსხდეთ სამინდოროთ და მიზეზით ნადირობის, ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთპირობის.[955]

დიდ სამეფო ნადირობაში მონაწილეები საკუთარი სალაშქრო დროშებით გამოდიოდნენ, რითაც ის ნამდვილ ლაშქრობას ემსგავსებოდა.[956] ივ. ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოს ეკლესიაც, რომელსაც ლაშქრის ყოლის გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, ლაშქარ-ნადირობაში საკუთარი სარდლის მეთაურობით მონაწილეობდა როგორც დამოუკიდებელი სამხედრო ნაწილი.[957] ალექსანდრე მეფის 1562 წლის განწესების წიგნით, ბასილ კათალიკოსს მიეცა უფლება, მისი ყმები „ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოსა, სომხეთს თუ საბარათიანოს, თრიალეთ-ზედა, თუ იმერეთს, ლაშქარსა და ნადირობას“ მასვე ხლებოდა.[958] კათალიკოსი ჯარს თუ თან ახლდა, მის წინამძღოლად ის ითვლებოდა; კათალიკოსის არყოფნის შემთხვევაში, მისივე სარდალი და დარბაისელნი უნდა ხლებოდნენ ლაშქარს. ამირსპასალარსა და სხვა სარდლებს უფლება არ ჰქონდათ კათალიკოსის ყმები თავად გაეწვიათ.[959] ალექსანდრე მეფის გარდა, ეს წიგნი დამტკიცებული აქვთ ერეკლე მეორესა და მის მეუღლეს დარეჯან დედოფალს, მოგვიანებით კი, ლევან ბატონიშვილს. სიგელის განახლებებს შორის გასული დრო სხვა გარემოებებთან ერთად ეჭქვეშ აყენებს საბუთის ნამდვილობას, XIV-XV სს. შემდგომ პერიოდში სიგელი ერეკლე მეფის გარდა არავის განუახლებია.[960] ასევე ცნობილია ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის მიერ

---

[955] *არჩილ მეფე,* გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 522-ე სტროფი, ინტერნეტი გამოცემა: <https://wikisource.org/> [4.06.2020]

[956] *ანჩაბაძე გ.,* საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, 50.

[957] *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1928, 47. შეად. *თაყაიშვილი ე.,* საქართველოს სიძველენი, I, 244-245. აქ მეცნიერი ეყრდნობა ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს სიძველენში“ შეტანილ, 1392 წლით დათარიღებულ ალექსანდრე მეფის წიგნს ბასილ კათალიკოსისადმი. ის. დოლიძის მიერ, ქართული სამართლის ძეგლების II ტომში, ეს საბუთი დათარიღებულია 1562 წლით და შეტანილია სათაურით: „მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი ალექსანდრე მეფისა“. მეცნიერთა შორის მეტწილად მიღებულია ჯ. ოდიშელის მიერ დადგენილი და ის. დოლიძის მიერ გაზიარებული თარიღი. ვფიქრობთ, მეცნიერს შეცდომით უნდა ჰქონდეს იდენტიფიცირებული საბუთის შედგენის თარიღი და შემდგენელი. ალექსანდრე II კახთა მეფე გამეფდა 1574 წელს, ამიტომ 1562 წელს ის განწესების წიგნს ვერ შეადგენდა. საბუთში იმერეთისა და საბარათიანოს ერთად მოხსენიება უფრო სიგელის შინაარსის გაყალბებით შეიძლება აიხსნას და შედგენის თარიღიც დასადგენია.

[958] იქვე.

[959] მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი *ალექსანდრე* მეფისა [1562 წ.], ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 190-191.

[960] *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1928, 48.

განახლებული და დამტკიცებული მცხეთის სასარდლოს განწესების ორი წიგნი, რომელებშიც ამ სადროშოს მიმართ დაწესებული ნადირობისა და ლაშქრობაში მონაწილეობის პირობებია მოცემული.[961] წინა სიგელის მსგავსად, ამ საბუთებშიც აღნიშნულია, რომ მცხეთის სასარდლოს ყმები როგორც ლაშქრობის, ასევე ნადირობის დროს ექვემდებარებიან მხოლოდ კათალიკოსს და არცერთ სარდალს ამ სადროშოსთან ხელი არ აქვს.[962] თუ კათალიკოსი თან არ ახლდა ლაშქარს, მისი სარდალი და „მსახურ-აზნაურიშვილთა სამცხეთო ჯარი“ მეფის სადროშოს უნდა ხლებოდა თან. ა. კლიმიაშვილის მოსაზრებით, მცხეთის ეკლესიის „დროშა“ ცალკე სადროშოს არ წარმოადგენდა, ის ქმნიდა ქვესადროშოს მეფის სადროშოში „მცხეთის მამულების გაფანტულობის გამო“.[963] ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის აღმწერ ისტორიკოსთა თხზულებებში კათალიკოსის იმგვარი უფლება, რომ მას თავისი ჯარის სარდალი ჰყოლოდა, არ ჩანს და ამიტომ საფიქრებელია, ეს უფრო გვიანდელი მოვლენა იყოს.[964]

სამეფო ნადირობაში მონაწილეობის მიღება იმგვარადვეა მნიშვნელოვანი, როგორც თავად ლაშქრობა. კათოლიკოზ-პატრიარქიც კი ამ ვალდებულებას გვერდს ვერ აუქცევდა. 1569 წლის კახთა მეფე ლეონის მიერ შედგენილი სიგელი სვეტიცხოვლისადმი, ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელ ნიკოლაოზს ათავისუფლებს ყველა გადასახადისგან, გარდა სამისა: ლაშქარ-ნადირობის სამსახურისა, ბეგრისა და საურდოვოსი.[965] ალექსანდრე II ლეონის ძემ კი, 1579 წლის სვეტიცხოვლის მამულების მფლობელობის განახლების სიგელით, საერთოდ ყველა გამოსაღები გაუუქმა „წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა, და სუეტსა ცხოველსა, და კუართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა“ გარდა ლაშქარ-ნადირობისა და მტრის დარაჯობისა.[966]

---

[961] მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი თეიმურაზ II-ისა [1749], მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი თეიმურაზ II-ისა [1749 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 335, 397.

[962] იქვე.

[963] *კლიმიაშვილი ა.*, მორიგე ლაშქრის საკითხისთვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, კრებული: მოამბე, V, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963, 179.

[964] *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1928, 48.

[965] შეწირულების სიგელი კახთა მეფის ლეონისა სვეტიცხოვლისადმი [1569 წ.], ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 193-194.

[966] მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი [1579 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 201.

საეკლესიო მამულებს შორის, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენდა დავით გარეჯის მონასტერი. ერეკლე I სითარხნის განახლების წიგნში აღნიშნავს, რომ ძველთაგანვე ბედნიერ ხელმწიფეთა მიერ „დადებულნით“, წმინდა დავითის ყმანი და მამული „იყვნენ თარხანი და აზატნი“ ყველა სამეფო გამოსაღებისა და სამსახურისგან, მათ შორის, ლაშქარ-ნადირობის ვალდებულებისგან.[967] მონასტრის სიგელები სხვა ნივთებთან ერთად ლეკებს გაუოხრებიათ, რის გამოც ამ უფლებათა განახლება გარეჯის მონასტრის წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძეს უთხოვია ერეკლე I-თვის, იმამყული ხანისა და კონსტანტინე მეფისთვის.[968] დავით გარეჯის მონასტერს ადრე ნაბოძები ყველა უფლება დაუმტკიცდა, მათ შორის, ლაშქარ-ნადირობისგან გათავისუფლებაც.[969]

ლაშქარ-ნადირობა სავალდებულოა XVII საუკუნეშიც. როსტომ მეფემ მამულის სითარხნის წიგნი ნასოფლარ ზემოშავთზე, „მოუდევრად და შემოუსარჩლელად, სამკუიდროდ და საბოლო[ო]დ“, მისცა მეფეთა ერთგულად ნამსახურ ყმა ყორღანაშვილთა ჩამომავალ მერაბ მდივანმწიგნობარს და მისი სახლს.[970] ყორღანაშვილებს არ უნდა დაკისრებოდათ არცერთი სამეფო სათხოვარი და გამოსაღები, გარდა „ლაშქარ-ნადირობისა და წელიწადში ერთხელ დიდ-გორზე სამასპინძლოს მორთმევისა“.[971]

ივ. სურგულაძის მითითებით, დასტურლამალშიც „ნადირობა ისეა აღწერილი, როგორც ლაშქრობა: ჯარის გამოძახება, მისი სადროშოებად დაყოფა, ჯარის სწორად სიარული ნადირობის წინ“ და ა.შ.[972] ამავდროულად, მოლაშქრეობა მიწისმფლობელობის ფორმებთან იყო დაკავშირებული და განსაკუთრებულ პატივს შეადგენდა.[973]

განხილული მასალები აჩვენებს, რომ ქვეყნა ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე დამოკიდებული იყო მოლაშქრეობასა და ლაშქარ-ნადირობის

---

[967] სითარხნის განახლების წიგნი ერეკლე I-ისა დავით-გარეჯისადმი [1692], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 230-231.
[968] იქვე, 231.
[969] იქვე.
[970] მამულის სითარხნის წიგნი როსტომ მეფისა მერაბ ყორღანაშვილისადმი, [1634], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის. დოლიძემ,* მეცნიერება, თბ., 1965, 214.
[971] იქვე.
[972] *სურგულაძე ივ.* სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, 1952, 343.
[973] *ჩხატარაიშვილი ქ.*, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979, 17.

ინსტიტუტზე. ერეკლე II-ის გადაწყვეტილებით, 1774 წლიდან ყველა გლეხი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მორიგე ჯარში. ამით მოისპო მოლაშქრეთა ქონებრივი დაინტერესება. არათავისუფალი, მძიმე გადასახადებით დატვირთული გლეხობა ვერ ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც გაერთიანებული საქართველოს მოლაშქრეები.

V. ნაპოვარი როგორც საკუთრების უფლების შეძენის გზა ძველ ქართულ სამართალში

5.1. ნაპოვარის სამართლებრივი დახასიათება

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ „ნაპოვარი ესაა დაკარგული, მფლობელობის გარეშე დარჩენილი და, ამდენად, მისი პატრონის ძალაუფლებას მოკლებული ნივთი“,[974] რომელიც გამოსულია მესაკუთრის ფაქტობრივი ბატონობისა და ზედამხედველობის არედან.[975]

რომაელ იურისტებს მიაჩნდათ, რომ „თუ ვინმე მესაკუთრის მიერ მიტოვებულად მიჩნეულ ნივთს დაეუფლება, იგი მაშინვე მისი მესაკუთრე ხდება. ხოლო მიტოვებულ ნივთად ითვლება ის ნივთი, რომელიც მესაკუთრემ იმ განზრახვით მიატოვა, რომ აღარ სურს (ეს) ნივთი მას ეკუთვნოდეს და ამიტომ იგი მაშინვე მესაკუთრედ ყოფნას წყვეტს“.[976] თუმცა, მპოვნელის სუბიექტური დამოკიდებულება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ნივთი მიტოვებულად ჩაითვალოს. თუ მესაკუთრის მიერ ნივთის მოშორება საჯაროდ განხორციელდა, ასეთი ნივთი, რა თქმა უნდა, უპატრონო ნივთს წარმოადგენს და მასზე საკუთრების უფლებას პირი მისი მითვისებისთანავე მოიპოვებს. თუმცა, თუ მესაკუთრის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ნების აშკარა გამოხატვას ან ეს ფაქტი მპოვნელისთვის უცნობია, ამავდროულად, ნივთი გამოსაყენებლად ვარგისია და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთების

---

[974] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 157. შეად. Soergel, Kommentar, S. 375.
[975] *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019, 360.
[976] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 64.

კატეგორიას არ განეკუთვნება, ამ შემთხვევაში ნაპოვარის სამართლებრივი რეჟიმის მოქმედებს და მპოვნელის უფლებები მესაკუთრის სასარგებლოდ იზღუდება. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების იმგვარად შეძენის დროს, როდესაც უცნობია მის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი, საკუთრების უფლება წარმოიშობა არა უფლების გადაცემის, არამედ მოპოვების გზით.[977]

ნივთის უბრალოდ დავიწყება არ ნიშნავს, რომ ნივთი დაკარგულია. სანამ ნივთის ადგილსამყოფელი მესაკუთრისთვის ცნობილია, ნივთი მესაკუთრის ნების გარეშე მისი ფლობელობიდან გასულად არ ითვლება, თუ თავად პირდაპირი მფლობელი არაა თანახმა სხვა პირმა მიითვისოს ეს ნივთი.[978] შესაბამისად, ნაპოვარის ობიექტია მხოლოდ ისეთი მოძრავი ნივთი, რომელიც მეპატრონის – მესაკუთრის ან მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გამოვიდა მისი ბატონობიდან.[979] ამასთან, ნაპოვარად არ ითვლება ისეთი ნივთი, რომელიც მესაკუთრის ან კეთილსინდისიერი მფლობელის კანონსაწინააღმდეგო გზით გავიდა.

ნაპოვნი ნივთი, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრის ხელისუფლებას აღარ ექვემდებარება, უპატრონოდ არ ითვლება მასზე მპოვნელის კეთილსინდისიერი მფლობელობის განხორციელების გამო.[980]

ნივთის მპოვნელია ის პირი, რომელმაც არა მხოლოდ დაინახა, იპოვა ნივთი, არამედ დაეუფლა მას[981] და ფაქტობრივი მფლობელობა განახორციელა.[982] ამასთან, ნივთის პოვნა არ წარმოადგენს სამართლებრივი ხასიათის გარიგების შედეგს, ის არის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არ ახლავს ნივთის მესაკუთის ნებელობის შესახებ ცოდნა.[983] პოვნა და დაუფლება წარმოშობს კანონისმიერ ვალდებულებით-

---

[977] *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, თბ., 2014, 179. იხ. *Ван Влиет Л.П.У.*, Сравнительно-правовые аспекты перехода, прав на движимые вещи: классификация систем перехода прав, Ежегодник сравнительного права, 2011, 228.

[978] *ვოლფი მ. ველენჰოფერი მ.*, სანივთო სამართალი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2016, 184.

[979] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 56. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[980] *თუმანიშვილი გ.,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2010, 132. იხ. <http://eprints.iliauni.edu.ge/393/1/Book.%20Introduction%20in%20Private%20Law%20I%20second%20redaction%20for%202010.pdf> [15.03.2020]

[981] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 157.

[982] *თოთლაძე ლ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, *ჭანტურია ლ.* (რედ.), *თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ.* (ავტ.), II, თბ., 2018, 157.

[983] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 157.

სამართლებრივ ურთიერთობას.[984] აქ იგულისხმება მპოვნელის მიერ იმ ფაქტის გააზრება, რომ ნივთი დაკარგულია და მისი დაუფლებით მპოვნელი გაცნობიერებულად იღებს პასუხისმგებლობას ნივთის მფლობელობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.[985] მართალია, ნაპოვნი ნივთის დაუფლებით მასზე ნაპოვარის სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება,[986] მაგრამ ამ ფაქტის დადგომით პირს საკუთრების უფლება მყისიერად არ წარმოეშობა. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, ნივთი მესაკუთრემ დაკარგა თუ მისივე ნებით გავიდა მფლობელობიდან.[987] მპოვნელი ვალდებულია დაკარგული ნივთის პოვნისთანავე ამის შესახებ საჯაროდ განაცხადოს, რომ შესაძლებელი გახდეს დამკარგავმა შეიტყოს ნივთის მპოვნელის ადგილსამყოფელის შესახებ.

ამასთან, ნივთის მიღებაზე, უკან დაბრუნების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირია ის, ვისაც მფლობელობის უფლება ჰქონდა.[988] ნაპოვარის სტატუსი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მოძრავ ნივთებს, უძრავ საკუთრებაზე მისი რეჟიმი არ ვრცელდება.

მპოვნელს შეუძლია უარი განაცხადოს ნივთის შენახვაზე, თუ ის არ არის დაინტერესებული სამომავლოდ მასზე საკუთრების უფლების შეძენით[989]. მაგრამ თუ ის დაეუფლება და შეინახავს ნივთს და ნაპოვარისთვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე დამკარგავი მოითხოვს ნივთის უკან გადაცემას, მპოვნელს უფლება აქვს მოითხოვოს პოვნის ჯილდო და ნივთის მოვლა-პატრონობისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გაწეული ხარჯები უნდა იყოს გონივრული და დასაბუთებული. ამ შემთხვევაში ზოგჯერ დავალების გარეშე სხვისი საქმის წარმოების ნორმებიც გამოიყენება.[990]

---

[984] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 212.

[985] *თოთლაძე ლ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, *ჭანტურია ლ.* (რედ.), *თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ.* (ავტ.), II, თბ., 2018, 157.

[986] *ქოჩაშვილი ქ.,* მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011, 121.

[987] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 154.

[988] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 211; *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 158.

[989] *ქოჩაშვილი ქ.,* მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011, 121.

[990] *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006, 212.

მპოვნელის ვალდებულებაა მყისიერად განაცხადოს ნაპოვნი ნივთის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის დამალვა შესაძლოა ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს ნაპოვარზე საკუთრების უფლების შეძენისას.[991] თუმცა, წმინდა ფაქტობრივი მფლობელობა კი შეიძლება ნივთზე განხორციელდეს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მფლობელს საკუთრების უფლება.[992]

ნაპოვარზე უფლების შეძენისას განმსაზღვრელია ის, მპოვნელის გარდა, სხვა პირსაც ხომ არ წარმოეშობა ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის განხორციელების უფლება.[993] ამის გათვალისწინება აუცილებელია მაშინ, როდესაც მპოვნელი ნივთს სხვის საკუთრებაში აღმოაჩენს.

მფლობელობითი ხანდაზმულობით ნივთის გარკვეული ვადით ფლობა ზოგჯერ მისი მფლობელისთვის საკუთრების უფლების შეძენის წყაროა იმ ქონებაზე, რომლის მესაკუთრეც ის არ ყოფილა.[994] ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა აუცილებელია ნაპოვარზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად, რადგან დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მპოვნელი ნაპოვნი ნივთის მესაკუთრე ხდება, თუ ამ დროითვის ცნობილი არ არის ვინაა მესაკუთრე, ან საკუთრების უფლების შესახებ არავის განუცხადებია.[995]

მპოვნელის მხრიდან მისთვის კანონით დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულების გარდა, აუცილებელია პოვნიდან საკუთრების უფლების შეძენის მომენტამდე გასული იყოს ნაპოვარისთვის დადგენილი დრო. მხოლოდ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარმოეშობა მპოვნელს უფლება საკუთრებაში მიიღოს ეს ნივთი. შესაბამისად, ნივთთან დაკავშირებული ყველა სხვა უფლება ამ ფაქტის დადგომისთანავე წყდება. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეს ვადა განისაზღვრება დაკარგული ნივთის პოვნის შესახებ განცხადებიდან ერთი წლით.[996]

მპოვნელის მიერ დაკარგულ ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობის დამყარებით, კანონმდებელი დაზიანებისა და განადგურებისგან იცავს ნივთს და, შესაბამისად,

---

[991] *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019, 364.

[992] *ვოლფი მ. ველენჰოფერი მ.*, სანივთო სამართალი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2016, 6.

[993] *თოთლაძე ლ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, *ჭანტურია ლ.* (რედ.), *თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ.* (ავტ.), II, თბ., 2018, 156.

[994] *ზოიძე ბ.*, მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 1, 112.

[995] *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019, 365.

[996] *თოთლაძე ლ.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, *ჭანტურია ლ.* (რედ.), *თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ.* (ავტ.), II, თბ., 2018, 126.

ნივთზე დამყარებული ფაქტობრივი მფლობელობა მპოვნელის უფლებების საფუძველსაც წარმოადგენს.[997] სამართლის ინტერესია, ნივთი არ ამოვარდეს სამოქალაქო ბრუნვიდან და უსასრულოდ არ დარჩეს უკანონო მფლობელობაში.

რაც შეეხება თავად ტერმინ „ნაპოვარის“ წარმომავლობას, ვ. ლომიძემ საფუძვლიანად გამოიკვლია იგი სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონისა თუ სხვა წყაროთა საშუალებით და დაადგინა, რომ ის უნდა იყოს მკვიდრი წარმომავლობის ტერმინი.[998]

მართალია, კანონმდებელი ითვალისწინებს მპოვნელის ინტერესს ჯილდოსა და ზიანის ანაზღაურების დაწესებით, მაგრამ დამკარგავის ინტერესების დაცვას სამართლისთვის უფრო პრიორიტეტული ჩანს, რასაც ძველი ქართული სამართლის კვლევისას განვიხილავთ.

ნაპოვარისა და უპატრონო ქონების ერთმანეთისგან გასამიჯნად, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტორს, რომ ნაპოვარს აუცილებლად ჰყავს წინა მესაკუთრე, ხოლო უპატრონო ქონებას ის არ ჰყოლია, ან მისმა მესაკუთრემ საჯაროდ განაცხადა უარი საკუთრების ფლობაზე, ან კიდევ ნივთის მესაკუთრე სამართლის სუბიექტად არ განიხილება და მისი ქონების დაპატრონება საკუთრების უფლებას წარმოშობს. ამასთან, ნაპოვარად მხოლოდ ისეთი ნივთი მიიჩნევა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს არ წარმოადგენს და ამასთან, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაკარგული ნივთია და არა გადაგდებული. რადგან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც იუსტინიანეს ინსტიტუციებშია განმარტებული, მესაკუთრის მიერ საკუთრების მიტოვების ცხადად გამოხატულ ნებას, „საკუთრების უფლება უცნობ პირზეც კი გადააქვს“.[999] როდესაც პრეტორები ან კონსულები შეკრებილ ხალხში საჩუქრებს ყრიან, მათ არ იციან ვის რამდენი და რომელი საჩუქარი შეხვდება, მაგრამ ამ მოქმედებით გამოხატავენ სურვილს, „თითოეულ მათგანს ეკუთვნოდეს ის, რაც მან მიიღო“.[1000]

---

[997] *ზარანდია თ.*, სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019, 364.

[998] იხ. დაწვრილებით: *ლომიძე ვ.*, საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 18, 50-52. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021]18, 50-52.

[999] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 64.

[1000] იქვე.

მესაკუთრის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე, დასაჩუქრებული პირები ნივთის აღებისთანავე თავად ხდებიან მესაკუთრეები.[1001]

5.2. პირველი წერილობითი წყაროები ნაპოვნი ნივთების შესახებ

პირველი საკანონმდებლო ძეგლი, რომელმაც დაკარგული ნივთების პოვნა სამართლებრივი რეგულირების რეჟიმში მოაქცია, ხამურაბის კანონებია. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ხამურაბის კანონები თხოვდა ნივთის დამკარგავს მპოვნელისგან ნივთის უკან დასაბრუნებლად მტკიცებულება წარმოედგინა მოწმეების სახით: დამკარგავი თუ დაკარგულ ნივთს ვინმე ხელში ნახავდა, იტყოდა: „ჩემი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს მოვიყვანო“, და თუ ვერ მოიყვანდა მცნობელ მოწმეებს, ცილისწამებისთვის სიკვდილით ისჯებოდა.[1002] ქურდად ჩაითვლებოდა და სიკვდილით დაისჯებოდა ნივთის მპოვნელიც, თუ ამ ნივთის კეთილსინდისიერად ფლობის დამადასტურებელ მტკიცებულებას ვერ წარმოადგენდა მოწმის სახით.[1003] მპოვნელი საკუთრების უფლებას ნაპოვარზე მხოლოდ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე შეიძენდა.

ხეთების კანონმდებლობა დანაშაულად არ მიიჩნევდა, სხვისი გზააბნეული პირუტყვი თუ ვინმეს ფარეხში შევიდოდა და მისი პატრონი მხოლო შემდეგ აღმოაჩენდა მასთან; პატრონს შეეძლო „კანონიერად“ წაეყვანა პირუტყვი, მაგრამ ფარეხის მეპატრონეს ვერ შეიპყრობდა როგორც ქურდს.[1004] ესე იგი, თუ პირუტყვი თავად შევიდოდა სხვის სადგომში, მის მესაკუთრეს უფლება აღარ ჰქონდა დაედანაშაულებინა მისი მესაკუთრე. კანონმდებელის მიერ აღწერილი შემთხვევა უნდა გულისხმობდეს ფარეხის მესაკუთრის მიერ სხვისი პირუტყვის მასთან ყოფნის ფაქტის საჯაროდ განუცხადებლობას.

ხეთების სამართლით, მინდვრის გარდა, სხვა ადგილებში ნაპოვნ პირუტყვზე მპოვნელი საკუთრების უფლებას ვერ შეიძენდა და ნაპოვნი ცხენი, ხარი თუ ჯორი მას მეფის კარზე უნდა მიერეკა.[1005] მინდვრად ნაპოვნი პირუტყვის შესახებ კი მპოვნელს საჯაროდ უნდა განეცხადებინა და უხუცესები გადაწყვეტდნენ, მიეკუთვნებინათ თუ

[1001] იქვე.
[1002] *ხამურაბის* კანონები, *კიკნაძე ზ. (მთარგმ. აქადურიდან)*, მეცნიერება, თბ., 1988, 17.
[1003] იქვე.
[1004] *დოლიძე ი.*, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., სსთსუ გამომცემლობა, 1960, 111.
[1005] იქვე.

არა მისთვის პირუტყვი. მხოლო ამის შემდეგ შეეძლო წაეყვანა და დაება ის თავისთან. ასეთ დროს, პატრონი თუ გამოჩნდებოდა, მპოვნელს ბრალს ქურდობაში ვეღარ დასდებდა.[1006] უხუცესების თანხმობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უფლების მოსაპოვებლად. თუ ისინი მპოვნელს პირუტყვს არ მიაკუთვნებდნენ და ის მაინც წაიყვანდა, მპოვნელის მოქმედება ქურდობად ჩაითვლებოდა.

5.3. ნაპოვარის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში

ფეოდალურ საქართველოში, იმის გამო, რომ პრაქტიკულად მიწები სრულად იყო დანაწილებული და მასზე ზოგჯერ ორი ან რამდენიმე სუბიექტის უფლებამოსილება ვრცელებოდა, მპოვნელი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდებოდა ნაპოვარის ერთპიროვნული მესაკუთრე.

ნაპოვარს ძირითადად ორი სუბიექტი ჰყავს, ის ვინც ნივთი იპოვა და იმ ქონების მესაკუთრე, სადაც ნივთი იქნა აღმოჩენილი. კერძო საკუთრებაში ნივთის პოვნისას ნაპოვარის სუბიექტებად გამოდიან მპოვნელი და ამ ადგილის მესაკუთრე, ხოლო სახელმწიფო მიწაზე ნივთის აღმოჩენისას - ერთი-ერთი სუბიექტი მეფეა, რომელიც ზოგჯერ მეტ წილს იღებდა ნაპოვარიდან, ვიდრე თავად მპოვნელი.

სამართლის წიგნებში სუბიექტების მხრივ რაიმე სოციალური დიფერენცირება არ შეიმჩნევა, გარდა მხითარ გოშის სამართლის 182-ე მუხლისა, რომელიც ნაპოვარის სუბიექტად არ მიიჩნევს უუფლებო ფენის წარმომადგენლებს: თუ ნივთი „მოჯამაგირემ და მუშამ იპოვნოს, მას ათისთავი არ ერგების“, მათ მხოლოდ „წილი რამ“ შეეძლოთ მიეღოთ როგორც პოვნის გასამრჯელო, რომელსაც მეპატრონე თავისი შეხედულებით აჩუქებდა (მუხ. 182-ე)[1007].

ბერძნული სამართლის 254-ე მუხლი კი, პირიქით, სხვის მიწასა ან სახლში ნაპოვნ საქონელზე, ოღონდ ამ შემთხვევაში, უსულო მოძრავ ნივთზე უფლების წარმოსაშობად, არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ იყო სუბიექტი – ყმა, ყმაწვილი თუ ზრდასრული: „უკეთუ კაცმან საქონელი იპოოს, ანუ მისმა შვილმა, ანუ მისმა ყმამა... ნახევარი ალაგის პატრონისა არის და ნახევარი მპოვნელისა“.[1008]

[1006] იქვე.

[1007] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,290.

[1008] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,188.

თავად მპოვნელს, როგორც ნაპოვარის ერთადერთ სუბიექტს, სრული საკუთრების უფლების მოპოვება ნაპოვარზე შეეძლო მხოლოდ მაშინ, თუ ნივთი მის კერძო საკუთრებაში იქნებოდა აღმოჩენილი. როგორც ბერძნული სამათლის ქართული ვერსიის 254-ე მუხლის ერთ-ერთი ნორმა ადგენს: „უკეთუ თავის ალაგში იპოოს ვინმე, მისია, Ãელი არავისა აქუს“. რადგან ნივთი პირად საკუთრებაშია აღმოჩენილი, ნივთის სხვისად ყოფნის ვარაუდი ნორმის მიერ საერთოდ უგულებელყოფილია. ამდენად, აქ ნაპოვარის ჩვეულებრივი რეჟიმი არ მოქმედებს, რადგან კანონმდებლის მხრიდან შეცილებისა და დაკარგული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებაა აკრძალული.

აღსანიშნავია, რომ გვიანფეოდალურ ქართლში ნაპოვნი ნივთი მპოვნელის პირად ქონებად არ ითვლებოდა და მასზე ოჯახის საერთო საკუთრების უფლება ვრცელდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ძმების გაყრამდე მაინც. ვახტანგის სამართლის 109-ე მუხლი ძმებს შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და მოჰყავს როგორც ძველად მოქმედი წესები, ასევე ახალი, სჯულმდებელი მეფის მიერ შედგენილი სამართლებრივი ნორმები:

> *ძველი რიგი ასრე არის. სანამდინ ძმანი ერთად არიან, ჭირი, ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყუელა ერთი არის, ძმურად – უფროსმან – საუფროსო, უმცროსმან – საუმცროსო, ასრე ყოფილა.*
> *ახლა ასრე არის. თუ თავისის ნაშოვნის საქონლით ან იშოვნა რამე, ან იყიდა, მაგდენს წილს ძმათათვის არას მიაცემინებენ.*[1009]

ნაპოვნი ნივთი აქ ნაპოვარის მნიშვნელობით არის გამოყენებული. ადრე არსებული წესით ის მიჩნეული ყოფილა როგორც ერთ ოჯახად მცხოვრები ყველა ძმის საერთო საკუთრება. თუმცა ახალი დებულებით, პირადი დამსახურებით ნაშოვნი, შეძენის ფორმის მიუხედავად, მხოლოდ მისი შემძენის პირად საკუთრებად ითვლება და გაუყრელი ოჯახის წევრებს მასში წილი აღარ ჰქონდათ. დავით ბატონიშვილიც, ნასყიდობისა და საერთო-საგვარეულო საკუთრების გვერდით გამოჰყოფთა სათავისო საკუთრების ფორმას, რომელიც „კეთილმონაგებია“ და ოჯახის წევრთა უფლებები მასზე არ ვრცელდება.[1010]

[1009] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 511.
[1010] *მეტრეველი ვ.*, ბაგრატიონთა ღვაწლი ქართულ სამართალში, საიუბილეო კრებული: *რ. შენგელია* 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012, 95.

როგორც ჩანს, ძველ ქართულ სამართალში, საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა წარმოიშობა ნაპოვნი ნივთის დაუფლების მომენტიდან, მაგრამ ყველა მპოვნელი ნაპოვარის სუბიექტი ვერ გახდებოდა.

5.4. ნაპოვარის ობიექტი

ნაპოვარი ობიექტი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ დაკარგული, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთია. ძველი ქართული სამართალი ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს, რომლებზეც ნაპოვარის სახით საკუთრების უფლების შეძენა იკრძალებოდა, მიაკუთვნებდა საეკლესიო და რელიგიური ხასიათის ნივთებს. მაგალითად, რუის-ურბნისის ძეგლისწერა განსაკუთრებულ რეჟიმს აწესებს სამღვდელო ჭურჭელსა და ღმერთისადმი შეწირულ ნივთებზე:

> *გარძიმ-ფეშხუმი სამწერობელნი და ყოველნი ეკლესიათა და შეწირული და ერთგზის ღმრთისა და მიცემული ოქრო, ვეცხლი, თუალი, მარგალიტი, ჭიქა, სტავრა, ნაქსოვი, სინი, რვალი, რკინა, ძელი, კეცი, ქვაი... არა-ვის ელეწიფების მარეგად მისსა არა-რად, არცა ტყუეთა სასრად, დაღათუ ცუდადცა და უმრად მდებარე იყვნენ და ფერხითა დასათრგუნველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭლესა მისსა.*[1011]

გარდა იმისა, რომ ძეგლისწერა კრძალავს ამ ქონების გამოყენებას ტყვეთა გამოსასყიდად, ის ნივთებიც კი, რომლებსაც შეიძლება ფეხითაც კი თელავენ ეკლესიაში, ანუ პრაქტიკულად გადაყრილი ნივთებია, სხვა ვერ გამოიყენებს და მასზე საკუთრების უფლებას ვერ მოიპოვებს.

ხატის ქონებაც, რომელიც საგანძურს, უნჯს, პირუტყვსა და საკულტო ნაგებობებს მოიცავდა, მხოლოდ ხატის საკუთრებაა და მათი ნებისმიერი გზით საკუთრებაში მიღება აკრძალული იყო.[1012] განსაკუთრებით, ეს ეხება ხატის თას-განძს, რომელსაც ვაჟა-ფშაველა „ზინათს“[1013] უწოდებს.[1014] ეს ნისვთები, რიტუალის ჩატარების შემდეგ საგულდაგულოდ უნდა გადაემალათ. როგორც ვაჟა წერს, არავინ იცოდა სად „ჰმალავენ და სჩქმალავენ ხატების ზინათს“.[1015] ხატის თას-განძში შემავალი ნივთების

[1011] ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა, ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970, 114.

[1012] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 53.

[1013] ზინათი – ქონება, სიმდიდრე, მზითევი, განძი. იხ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[1014] *ვაჟა-ფშაველა*, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 237.

[1015] იქვე..

– „ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, ჯვრები, ქამარ-ხანჯალი“ დამალვა ხევისბერი ვალდებულებაა და ამ ქონების დაცვა რელიგიური წესებითა და ჩვეულებით იყო უზრუნველყოფილი: თუ ვინმე სამალავს გახსნიდა, ის მოკვდებოდა ან გაგიჟდებოდა, ხოლო თას-განძის სამალავიდან გამოტანილ ნივთებს თუ ვინმე შემთხვევით გადააწყდებოდა, მაშინვე იარაღის მოსატანად უნდა გაქცეულიყო და სამალავიდან ნივთები ამოღო, ეშმაკი რომ არ გადაეფარებოდა და ხატის საკუთრება არ დაკარგულიყო.[1016]

როგორც ვ. ლომიძე წერს, ნაპოვარის ობიექტი შეიძლება ასევე ყოფილიყო: „დოკუმენტები, რადგან მათში უფლება გამოუცალკევებლად არის დაკავშირებული ნივთთან, ამასთანავე, მესაკუთრის სახელი უცნობია. თუმცა, სახელობითი ქაღალდები, პირიქით, ნაპოვარის ობიექტი ვერ გახდებოდა“.[1017] ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ნივთთან დაკავშირებული, თუნდაც უსახელო საბუთის დაკარგვა თავისთავად არ გულისხმობს ნივთის დაკარგვას ან იმ უფლების მოსპობას, რომელიც მესაკუთრეს ნივთთან აკავშირებს. თუ საბუთის დამკარგავი მას ვერ იპოვიდა და მპოვნელი მის საფუძველზე სამომავლოდ ნივთზე უფლების დადგენას მოითხოვდა, უფლება მაინც ვერ წარმოეშობოდა. ამ მსჯელობას ამტკიცებს კანონმდებლის მიდგომა, ნაპოვარად მიიჩნიოს დაკარგული საკუთრება და არა მასზე უფლების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი.

5.5. დავით ბატონიშვილი „საზოგადოობასა“ მყოფ და არავის კუთვნილ ნივთებზე

აღსანიშნავია, რომ დავით ბაგრატიონი, რომელიც ძველი ქართული კანონმდებლობისა და ჩვეულებითი სჯულის შესანიშნავი მცოდნე იყო, სამართლის წიგნის 121-ე მუხლში ვრცლად მსჯელობს ნაპოვნ ნივთებზე და მათ ორ სახეს გამოყოფს: 1. ნივთი, რომელიც არავის კუთვნილ ნივთს წარმოადგენს და ბუნებითი სამართლის საფუძველზე მპოვნელის საკუთრება ხდება, ასეთ ნივთს არ ეტყობა, რომ ვინმეს საკუთრების ქვეშ იყო; 2. ნივთი, „რომელ დაეტყობოდეს მით

[1016] *მაკალათია ს.*, ფშავი, თბ., 1985, 193.

[1017] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 56. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

საზოგადოობასა“,[1018] ესე იგი ისეთი ნივთი, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვაში ყოფნის, ვინმეს ბატონობის კვალი ამჩნევია. პირველ წარმოადგენს უპატრონო ნივთების კატეგორიას. დავით ბატონიშვილის განმარტებით, არავის კუთვნილად მიიჩნევა ნივთი, რომელიც მანამდე სხვის დაქვემდებარებაში არ ყოფილა. როგორც კანონმდებელი მიუთითებს, მპოვნელი არავის კუთვნილი ნივთის დაუფლებით მასზე სრულ საკუთრების უფლებას მოიპოვებს.[1019] ნივთების მეორე სახე მიემართება ნაპოვარს. ვინაიდან, დავით ბაგრატონის აზრით, ნივთს „საზოგადოობასა“ ყოფნა ემჩნევა, ნიშნავს, რომ ის ვარგისი, მაგრამ დაკარგული ნივთია, რომლის მიტოვების შესახებ მესაკუთრის საჯარო განცხადების შესახებ უცნობია. შესაბამისად, ასეთი ნივთი მხოლოდ ნაპოვარის ობექტი შეიძლება იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოვარის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხს დავითის სამართლის 121-ე მუხლი საკმაოდ ვრცლად ეხება, გარკვეულ ბუნოვანებას მაინც ტოვებს. აქვე განვმარტავთ, რომ დ. ფურცელაძის მიერ აღნიშნული მუხლის სამართლებრივი ნორმები ძირითად ტექსტში შეტანილია B ხელნაწერის მიხედვით, სქოლიოში კი ჩატანილია A ხელნაწერის ნორმები, რომლებიც ზოგჯერ ავსებენ, ან წინააღმდეგობაში მოდიან 121-ე მუხლის შესაბამის ნორმებთან.

აქვეა მოცემული ნაპოვარზე წილის მიღების ზოგადი წესი: თუ ნივთის შეფასება შესაძლებელია, როგორც „საზოგადოობაში“ მყოფი ნივთის, ის ხაზინაში უნდა დადებულიყო, მპოვნელი კი ათისთავს მიიღებდა.[1020] თუმცა ამ წინადადებაზე B ხელნაწერში გაკეთებულია მინაწერი: „საზოგადოოებასა, ესე იგი უმეტეს ორასი თუმნისა, ხუთისთავი მიეცეს მ(პოვნელსა), ას ორმოცდაათის თუმნისა ნამდვილ დადებულ მიეცეს მპოვნელსა და სხვა“. როგორც დ. ფურცელაძე სქოლიოში აღნიშნავს, „მინაწერები წაშლილია სიტყვების: „ესე იგი უმეტეს“ და „ნამდვილ“ შორის და ჩამატებულია „CჩI“=ათასი თუმანი“. შემდეგ გრძელდება წინადადებით: და ათისთავი მიეცეს მპოებელსა მას] მესამედი მიეცეს მპოვნელსა. უკეთუ პატრონი ჰყავს, მესამედს წაიღებს მპოვნელი“.[1021]

[1018] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 69.
[1019] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 69.
[1020] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 69.
[1021] იქვე, 70. იხ. 269-ე სქოლიო.

დ. ფურცელაძემ, ორივე A და B ხელნაწერების შეჯერებით, სამართლის ეს ნორმა შემდეგნაირად გამართა: „ხოლო უკეთუ იპოვნოს ესეოდენი, რომელ დაეტყობოდეს მით საზოგადოობასა, ესე იგი უმეტეს ათასი თუმნისა ნამდვილ (?), მაშინ დაიდვას იგი ხაზინასა შინა (და) მესამედი მიეცეს მპოვნელსა. უკეთუ პატრონი ჰყავს, მესამედს წაიღებს მპოვნელი".[1022] მეცნიერს სამართლის ნორმის საბოლოო სახით ფორმირებისას, გათვალისწინებული აქვს მხოლოდ სამართლის წიგნის ავტორისეული ბოლო მინაწერი ათას თუმანზე მეტის პოვნის შესახებ, რადგან სხვა ჩანაწერები მას მიაჩნია ავტორის მიერ უარყოფილად. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გაუგებარი ხდება, რატომ აწესრიგებს კანონმდებელი ნაპოვარი თანხის ამ ოდენობის მისაკუთრების საკითხს და არ ითვალისწინებს უფრო მცირე თანხის პოვნის შემთხვევებს. რადგან ხელნაწერის უშუალოდ მოძიება ვერ მოხერხდა, დ. ფურცელაძის მიერ მოყვანილი ორივე ხელნაწერის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ 121-ე მუხლის ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს A და B ხელნაწერების შესაბამის ურთიერთშემავსებელ ნორმებს და წინადადება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „ხოლო უკეთუ იპოვნოს ესეოდენი, რომელ დაეტყობოდეს მით საზოგადოობასა, ესე იგი უმეტეს ორასი თუმნისა, ხუთისთავი მიეცეს მ(პოვნელსა), ას ორმოცდაათის თუმნისა ათისთავი მიეცეს მპოებელსა მას], ათასი თუმნისა ნამდვილ დადებულ მიეცეს მპოვნელსა, მაშინ დაიდვას იგი ხაზინასა შინა (და) მესამედი მიეცეს მპოვნელსა. უკეთუ პატრონი ჰყავს, მესამედს წაიღებს მპოვნელი". ნაპოვარი თანხის დიფერენცირებით კანონმდებელი ცდილობს წაახალისოს მპოვნელი, რათა მან ნაპოვნი თანხა არ მიითვისოს. რაც უფრო მეტია ნაპოვნი თანხა, მით მეტია მპოვნელის წილი ნაპოვარში.

5.6. მპოვნელის ვალდებულებები

როგორც ბ. ზოიძე შენიშნავს, ნაპოვართან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები მეტწილად ნაპოვარის მეპატრონისთვის დაბრუნებაზე ამახვილებენ ყურადღებას,[1023] და, შესაბამისად, გაარკვეულ მოვალეობებს აკისრებენ მპოვნელს.

[1022] იქვე.

[1023] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 402.

ნივთის პოვნა თავისთავად არ გულისხმობს მასზე საკუთრების შეძენას,[1024] ნაპოვარად ნივთის მისაჩნევად მნიშვნელოვანია მტკიცებულებების არსებობა, რომ მასზე საკუთრების უფლება ნამდვილად მიატოვეს. შემთხვევით დავიწყებული ნივთის მპოვნელი მისი მესაკუთრე მაშინაც კი ვერ გახდებოდა, თუ ნივთი მის წინანდელ საკუთრებაში იქნებოდა აღმოჩენილი. ბერძნული სამართლის 256-ე მუხლი ნათლად გამოხატავს ამ პოზიციას: „უკეთუ ვინმე სახლი გაყიდოს და იმ სახლში თავის პატრონს ოქრო შეენახოს და დავიწყებოდეს, როდისაც რომ იმ სახლის მსყიდველმა ის ოქრო იპოოს, იმავ უწინდელს პატრონს მისცეს ის ოქრო.“[1025] ესე იგი, მპოვნელს ვალდებულება წარმოეშობა ნაპოვნი ოქრო მის მესაკუთრეს დაუბრუნოს. აქვე შევნიშნავთ, რომ დაკარგულის პოვნასთან დაკავშირებული ბერძნული სამართლის 254-ე, 255-ე და 256-ე მუხლები შინაარსობრივად არ ესადაგებიან სარედაქციო კომისიის მიერ მიკუთვნებულ პარაგრაფს, რომელსაც სათაურად აქვს: „მემკვიდრეს კაცს რომ ყმაწვილი შვილი დარჩეს, რომ მამულის მოვლა არ შეეძლოს, ვექილი უნდა დაუყენოს“. ვფიქრობთ, ეს დადგენილებები ცალკე პარაგრაფად უნდა გამოყოფილიყო შესაბამისი სათაურით.

ბ. ზოიძის მოსაზრებით, ქართული სამართლის წიგნებს შორის, ნაპოვარს ყველაზე სრულყოფილად აღბუღას სამართლის 92-ე მუხლი აწესრიგებს.[1026] თავად მუხლი რამდენიმე სამართლებრივ ნორმას შეიცავს. პირველივე დადგენილებით: „თუ კაცმან კაცს დაკარგული რამე უპოვნოს, პირუტყვი იყოს თუ საქონელი, რაჟამს სორახი[1027] ესმას, გამოუჩინოს და Ã ელთა მისცეს“.[1028] ამ დანაწესში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არ იკვეთება კანონმდებელის პირდაპირი მოთხოვნა, მპოვნელმა დაუყოვნებლივ განაცხადოს ნაპოვნი ნივთის შესახებ. მპოვნელის ვალდებულება ჩანს იქ, რომ როდესაც მესაკუთრის „სორახს“ გაიგებს, ნივთი უნდა „გამოაჩინოს“ და პატრონს გადასცეს. ის. დოლიძის განმარტებით, „სორახი“ წარმოსდგება სპარსული სიტყვისგან „სურაღ“, რაც ნიშნავს „რასაც ეძებ“.

[1024] *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003, 158.

[1025] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 188.

[1026] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 395. სტატია პირველად გამოქვეყნდა საიუბილეო კრებულში: სერგო ჯორბენაძე 70, თბ., 1996, 202-217.

[1027] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 368.

[1028] სამართალი *ბექასი და აღბუღასი, ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 461.

სამართლის ნორმის ტექსტის კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც კი მპოვნელი ხმა მიუვიდოდა, რომ პატრონი დაკარგულ ნივთს ეძებს, მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა მესაკუთრისთვის ნივთის მასთან ყოფნის თაობაზე. ცხადია, რომ მპოვნელი კი არ ეძებს ნივთის დამკარგავს, პატრონი თავად ეძებს დაკარგულ ნივთს და თუ ამის შესახებ შეიტყობს მპოვნელი, მხოლოდ მაშინ წარმოეშობა მას ნაპოვარის უკან დაბრუნების ვალდებულება. ამის ახსნა შესაძლებელია იმის დაშვებით, რომ აქ კანონმდებელი ნივთის დამკარგავის პასუხისმგებლობასაც ხედავს – მესაკუთრემ ნივთი სათანადოდ ვერ თუ არ შეინახა და ამის გამო დაკარგა ნივთი, შესაბამისად, არც კეთილსინდისიერი მპოვნელია ვალდებული ეძებოს ნივთის პატრონი. საწინააღმდეგო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ივ. სურგულაძესა და ის. დოლიძეს მპოვნელის პირველად ვალდებულებასთან მიმართებაში. ის. დოლიძის თქმით, როდესაც მპოვნელი ნივთს ან პირუტყვს იპოვიდა და შეიტყობდა, ვის ეკუთვნოდა ნივთი, ვალდებული იყო პატრონისთვის შეეტყობინებინა და ნივთი გადაეცა.[1029] ივ. სურგულაძეც მიიჩნევს, რომ „ბექა-აღბუღას სამართალში გარკვევით არის ლაპარაკი იმაზე, რომ ნაპოვნი ნივთი უნდა დაუბრუნდეს მეპატრონეს, უკანასკნელი ვალდებულია საჩუქარი მისცეს“.[1030] ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს ბ. ზოიძე, რომელიც ნივთის დაბრუნების მოვალეობას „ზნეობრივ-სამართლებრივ“ ვალდებულებას უკავშირებს.[1031] ვფიქრობთ, აღბუღას სამართლის 92-ე მუხლი არ აყენებს მპოვნელის მიმართ ნაპოვარის შესახებ მყისიერად გაცხადების მოთხოვნას. შესაძლებელია, იმდროინდელი მოქმედი ჩვეულებები ამ საკითხს ისე არეგულირებდა, როგორც ქართული სამართლის დასახელებულ მკვლევრებს მიაჩნიათ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს მოთხოვნა აქ ასახულია მხოლოდ პატრონის თავად გამოჩენის შემთხვევაში და მპოვნელის ვალდებულება პოვნისთანავე განაცხადოს ან თავად შეეცადოს პატრონის პოვნას, განხილულ ნორმაში არ ჩანს.

ბერძნული სამართლის 39-ე მუხლის პირველი ნორმა მპოვნელს პირდაპირ ავალდებულებს ნაპოვნი ნივთი შეინახოს და პატრონის გამოჩენისთანავე დააბრუნოს უკან: „უკეთუ დაკარგოს ვინმე რამე და სხვამან კაცმან იპოოს, კარგად შეინახოს,

---

[1029] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 175.

[1030] *სურგულაძე, ი.,* საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949, 269.

[1031] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 395-396.

სანამდი პატრონი გამოუჩნდებოდეს, და, რა პატრონი გამოუჩნდეს, თავისი ისევ მისცეს.“[1032] სამართლის წიგნი ამ მოთხოვნის გასამყარებლად ძველი სჯულის კანონის დანაწესს იშველიებს: რომ „უკუთუ შენმა ძმამ ანუ შენმა მტერმან დაკარგოს რამე უნაღულელობითა თვისითა, ულაშქროთა, და შენ იპოვნო, იმას ნუ დამალავ, მაშინვე მიეც“ და ამ მოვალეობის შეუსრულებლობას აფასებს როგორც „ღ᾽თისა და ანგელოზთა და ყოველთა წმინდათა“ მიმართ მტრობას.[1033] აქ საინტერესოა სიტყვა „ულაშქროთ“, რაც უომრად ნივთის დაკარგვას ნიშნავს. თუ მტერი ომში კარგავდა ნივთს, მისი მოწინააღმდეგე მხარე ამას ნადავლად მიიჩნევდა და პოვნისთანავე იძენდა მასზე საკუთრების უფლებას. ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს ყოფით პირობებში დაკარგულ ნივთზე, რომელზეც ნაპოვარის სამართლებრივი სტატუსი ვრცელდებოდა. ნივთის დაკარგვის საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო დაუდევრობაც, რასაც „უნაღულელობას“ უწოდებს კანონმდებელი. ბერძნული სამართლის დასახელებული მუხლი მხოლოდ ქრისტიანული შეგონებით ცდილობს, მპოვნელი ნივთის უკან დაბრუნებაში დააჯეროს: მხოლოდ ცუდი ქრისტიანი მოიქცევა ბარბაროსივით და მოყვასს თავის საქონელს არ დაუბრუნებს; იქნებ ის გასაჭირშია, დატყვევებულია და ამ ქონების უკან დაბრუნებით თავსაც დაიხსნისო.[1034]

როდესაც სამართლის წიგნები ავალებენ მპოვნელს დაკარგული ნივთის შეინახოს და მის მესაკუთრეს დაუბრუნოს, თითქმის არსად მიუთითებენ, რა საშუალებებით უნდა მოიძებნოს მესაკუთრე. გამონაკლისს წარმოადგენს დავით ბატონიშვილის სჯულმდებლობის ორი პროექტი. მისი სამართლის წიგნი და კანონმდებლობის „მიმოხილვა“ ფულის ან რაიმე ნივთის პოვნისას ითხოვს დაუყოვნებლივ განაცხადოს მპოვნელმა სასამართლოში პოვნის ფაქტის შესახებ და მხოლოდ შემდეგში, თუ პატრონი არ მოიძებნებოდა, ნაპოვარი შეეძლო საკუთრად დაეტოვებინა შემდეგი პირობით: ორი ნაწილი ხაზინაში რჩებოდა, ხოლო თანხის მესამედი მპოვნელის საკუთრებაში გადადიოდა (706-ე მუხ.).[1035]

[1032] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,142.
[1033] იქვე.
[1034] იქვე.
[1035] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 339.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 121-ე მუხლის ბოლო წინადადებაც იგივეს ამბობს: „გარნა ყოველგან მპოვნელმან ნივთი გამოაცხადოს (სა)სამართლოში“.[1036] ესე იგი, მპოვნელს აკისრია ვალდებულება ნაპოვნი ნივთი წარადგინოს სასამართლოში, რისი განხორციელებაც სირთულეს არ წარმოადგენდა. ამ დათქმის შესრულება უნდა ყოფილიყო მპოვნელის მიერ ნაპოვარზე საკუთრების უფლების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამავდროულად, „მიმოხილვის“ იმპერატიული ხასიათის სამართლის ნორმებით, პირები, რომლებიც საკუთარი ინტერესებისთვის დაარღვევდნენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ან წესებს, გამონაკლისის გარეშე დაისჯებოდნენ ქურდების მსგავსად (712-ე მუხ.).[1037] დავითი სამართლის ეს ორი პროექტი ერთმანეთის შემავსებელ სჯულმდებლობადაც შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ისინი, ძირითად ნაწილში ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში მოდიან.

5.7. პოვნის ადგილის მნიშვნელობა ნაპოვარზე უფლების მოცულობის დასადგენად

ფეოდალური სამართლის სისტემა მნიშვნელობას ანიჭებდა თუ სად მოხდა ესა თუ იურიდიული ფაქტი. უფლება-მოვალეობათა მოცულობა პირდაპირ იყო დაკავშირებული, ქმედების განხორციელების ადგილზე. აღნიშნული პრინციპი მოქმედებდა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართალში და, შესაბამისად, ნაპოვარზე საკუთრების უფლების მოპოვებისას განსაკუთრებულ გარემოებას წარმოადგენდა. სამართლის წიგნები პოვნის ადგილთა შემდეგ სახის დიფერენცირებას ახდენენ: საკუთარსა და სხვის ქონებაში პოვნა, ახლად შეძენილ საკუთრებაში, საბატონო (სამეფო, საქვეყნო) ადგილებსა და სასაფლაო ნივთის აღმოჩენა, ასევე, წყალში ნივთის პოვნა და იქიდან ამოტანა. საინტერესოა მიწაში დაფულილი ნაპოვარის სამართლებრივი ბედის საკითხი.

[1036] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70.

[1037] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 339.

5.7.1. საკუთარ და სხვის ქონებაში პოვნა

ბერძნული სამართლის 254-ე მუხლით, საკუთრების უფლების მოსაპოვებლად ნაპოვარის აღმოჩენის ადგილმდებარეობა არ არის განმსაზღვრელი: საკუთარ „Ãნულში ან ბოსტანში, ან ვენაÃში, ან სხვის სახლში“ ნაპოვნი ნივთის ნახევარი ადგილის მესაკუთრის იქნებოდა, ნახევარი კი მპოვნელის.[1038] ნაპოვნი ნივთების ადგილების ჩამონათვალით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამართალი განძის შესახებ საუბრობს. მაგრამ, ამავდროულად, არ ახსენებს არც დაფვლას, არც იმას, რომ ნაპოვნი ქონება დიდი ხნის შენახულია, როგორც, მაგალითად, სომხური სამართლის 182-ე მუხლითაა განმარტებული: „ვინგინდავინ აშენებდეს სახლსა ანუ Ãნევდეს საÃნავსა, ანუ სთხრიდეს ორმოსა და იპოვნოს ქუევრით და ანუ სხვით რითმე ჭურჭლითა განძი ძველითგან შენახული, Ãელმწიფისა არის სამართლითა,და ათისთავი მპოვნელისა არის, რომე ადგილი მის კაცისა არა იყოს, სადაც რომ უპოვნია“.[1039] მუხლის შინაარსით ირკვევა, რომ განძი მიწის დამუშავების ან თხრის დროს, ჭურჭლით ნაპოვნი ნივთებია, რომელიც დიდი ხნის წინ დაუფლავთ მიწაში. ბერძნული სამართლის 254-ე მუხლში კი ამგვარი მითითება არ არსებობს, ამიტომ, მიზანშეწონილია აქ აღწერილი შემადგენლობა ნაპოვარს მივუსადაგოთ და არა განძს.

საკუთარ სახლ-კარსა თუ მიწაზე ნაპოვნი ქონების მხოლოდ მეხუთედის გადაცემას ითვალისწინებს მპოვნელისთვის მხითარ გოშის სამართლის 182-ე მუხლი: „და თუ თავისი სახლი იყოს ანუ მიწა, ანუ ვენაÃი და იქ იპოვნოს, ხუთიდამ ერთი მისცენ მპოვნელს“.[1040] დანარჩენი ოთხი წილი ვისია, არ ჩანს. სავარაუდოდ, თუ ნივთი უპატრონო აღმოჩნდებოდა, მპოვნელის წილის გამოკლებით, ის სასეფოდ დაიდებოდა, როგორც ეს ამავე მუხლის ნორმით, განძის პოვნის შემთხვევაშია დადგენილი.

დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება სხვის სახმარ და პარტახ მამულებში ნაპოვნ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის წესები. ვინმეს მამულში ნივთის პოვნისას, მპოვნელი მამულის პატრონს ნაპოვნის

[1038] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,188.

[1039] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,290.

[1040] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 290.

მეხუთედს აძლევს, დანარჩენი კი მისი საკუთრება ხდება.[1041] დავითი სამართლის მეორე A ხელნაწერში, წილის ოდენობა ჩასწორებულია და მიწერილია ნახევარი. შორს მდებარე, გამოუყენებელ მიწაზე ნივთის პოვნისას, მპოვნელი მამულის პატრონს მეათედს აძლევს, თუმცა აქაც, A ხელნაწერში მიწერილია „კვალად ნახევარი“.[1042] რაც ნიშნავს, რომ ჩასწორებული ვერსიებით ნაპოვარზე წილის ოდენობა აღარ იყო დამოკიდებული იმაზე, მიწა პარტახია თუ მოქმედ მამულს წარმოადგენს, ორივე შემთხვევაში წილი თანაბრად გაიყოფოდა. ბ. ზოიძეს მამულის მეპატრონისათვის ნაპოვარის მეხუთედისა და მეათედის გამოყოფა საეჭვოდ მიაჩნია მისი „უფლებრივი მდგომარეობის ასეთი დიფერენციაციის“ გამო.[1043] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ხარვეზი თავად დავით ბაგრატიონის მიერვეა აღმოფხვრილი მისივე A ხელნაწერში. ამით ის უფრო დაახლოებულია ნაპოვართან დაკავშირებული იმ ნორმების სამართლებრივ ხასიათთან, რასაც სამართლის სხვა წიგნები აჩვენებენ.

5.7.2. ახლად შეძენილ საკუთრებაში პოვნა

ვახტანგის სამართლის 165-ე მუხლი, რომლის შინაარსს 186-ე დადგენილებაც იმეორებს, ახლად ნასყიდ ქონებაში ნაპოვნი ნივთის უკან დაბრუნების ნორმებს აწესრიგებს. ნაპოვნის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოეშობოდა იმ პირს, რომელიც ქონებას ახლადშეძენილ მამულში ან აგარაკზე იპოვიდა, და, ამავდროულად, მყიდველის მიერ გამყიდველისთვის ნასყიდობის ფასი უკვე გადახდილი იქნებოდა.[1044] თუ შემძენს ქონების ღირებულება სრულად არ ექნებოდა დაფარული, „იმ დანარჩომის ანგარიშით წილი უნდა მომსყიდველსაც“ ჰქონოდა.[1045] როგორც ბოლო ფრაზის შინაარსიიდან ჩანს, ნაპოვნი ნივთის ღირებულება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დარჩენილი თანხის ანგარიშში. სავარაუდოდ, ეს გულისხმობს, მყიდველის მხრიდან ნაპოვნი ნივთის ღირებულების დამატებას უკვე

[1041] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70.

[1042] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70. იხ. 270-ე და 271-ე სქოლიოები.

[1043] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 401.

[1044] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა,* ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი *დაურთო ის. დოლიძემ*, თბილისი, 1963, 522.

[1045] იქვე.

შეთანხმებულ ნასყიდობის ფასზე. საინტერესოა, რომ ამ მუხლში გამყიდველი იწოდება როგორც „მამსყიდველად“, ასევე „მომსყიდველადაც“.

ანალოგიურად მსჯელობს დავით ბაგრატიონიც: ნასყიდ მამულში ნივთის პოვნისას, თუ მამულის ფასი სრულად გადახდილია, ნაპოვარი მპოვნელის საკუთრებად ითვლება; ნასყიდობის ფასის სრულად გადაუხდელობისას, თუ ჯერ კიდევ მყიდველს გამყიდველის მართებს, ნაპოვარის ფასი სანახევროდ იყოფა.

ასეთივე წესი მოქმედებს წინდად დადებულ მამულზეც.[1046] განსხვავება ვახტანგისა და დავითის დასახელებულ სამართლის ნორმებში შეინიშნება მხოლოდ თანხის ნაწილობრივ დაფარვის დროს ნაპოვარის წილის განსაზღვრაში – ვახტანგი მისაღები წილის ოდენობას არ ასახელებს, დავითი კი მპოვნელსა და მეპატრონეს შორის თანაბარ წილს ადგენს.

5.7.3. სამეფო (საბატონო, საქვეყნო) მიწაზე პოვნა

ბერძნული სამართალი ცალკე გამოჰყოფს შემთხვევას, როდესაც ნივთის პოვნა ხდება საბატონო ან საქვეყნო ალაგში, ან კიდევ სასაფლაოზე (255-ე მუხ.).[1047] ამ ადგილების პატრონი მეფეა, ამიტომ ნახევარი მეფისაა, ნახევარი კი მპოვნელის. ამავე მუხლის შემდეგ წინადადება ასეთი შინაარსისაა: „თუ საქვეყნოს ალაგში იპოვნოს, მესამედი იმ ალაგის ბატონისა არის და სხვა მპოვნელისა.“ აქ გაუგებარია რა განსხვავებაა ზემოთ მოყვანილ საქვეყნო ალაგსა და ამ წინადადებაში დასახელებულ საქვეყნო ალაგს შორის – ტერმინოლოგიურად ერთგვარი სიტყვებია, მაგრამ მპოვნელისთვის განსხვავებული შედეგი დგება.

ადგილობრივი სამართლის წიგნები სამეფო მიწებზე ნივთის პოვნის შემთხვევას ცალკე არ განიხილავენ, მაგრამ სასეფოდ წილის დადება და ხაზინის ინტერესების გათვალისწინება, როგორც საკანონმდებლო ბაზის ანალიზი აჩვენებს, გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში პრიორიტეტი ყოფილა.

[1046] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70. ეს ნორმა დამატებულია A ხელნაწერში, იხ. 272-ე სქოლიო.

[1047] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,188.

5.7.4. ნივთის წყალში აღმოჩენა და ამოტანა

ბერძნული სამართალი მხოლოდ ხმელეთზე ნივთის პოვნით არ შემოიფარგა, მისი 70-ე მუხლი წყალში საქონლის პოვნასაც ითვალისწინებს. ამასთან, ეს სამართლებრივი ნორმა განსხვავებულად აფასებს საქონლის წყალში პოვნისთვის გასაცემი ჯილდოს ოდენობას, რომელიც დამოკიდებული იყო წყლის რა სიღრმიდან იქნებოდა ნაპოვარი ამოღებული. რვა მხრის[1048] სიღრმემდე ამოღებული ოქრო-ვერცხლისა თუ სხვა ნივთისთვის, მპოვნელსა და მესაკუთრეს ნაპოვარი შუაზე უნდა გაეყოთ.[1049] მაგრამ თუ მპოვნელი ნაპოვარს წყლის გადაგდებით უსაფრთხოდ ამოიღებდა, მას საქონლის მხოლოდ მეათედი ეკუთვნოდა, დანარჩენი ნივთის დამკარგავის იყო.[1050]

ნაპოვნი საქონლის ნახევარზე მპოვნელის მიერ საკუთრების უფლების შეძენა იმაზე მიუთითებს, რომ მპოვნელის უფლების მოცულობა ნაპოვარზე დამოკიდებულია ნივთის პოვნის სირთულეზე.[1051] მპოვნელს რომ ნაპოვნი ნივთი წყალში დაეტოვებინა და მეპატრონისთვის ადგილმდებარეობის შესახებ შეეტყობინებინა, ის სავარაუდოდ იმ ათისთავსაც ვერ მიიღებდა, რასაც ნაპოვარის წყლის დაშრეტის საშუალებით ამოღებისას ეკუთვნოდა. როგორც ბ. ზოიძე მიუთითებს, „აქ გვაქვს ის ვითარება, როცა შრომა აფუძნებს საკუთრებას“.[1052]

5.7.5. დამალული ქონების პოვნა

ზოგჯერ ნაპოვარი ემსგავსებოდა განძის იურიდიულ რეჟიმს, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ნაპოვარის ხასიათი და მდგომარეობა წარმოშობდა განცდას, რომ ნივთის მესაკუთრის მოძიება შესაძლებელი იყო.[1053] ძველი ქართული სამართალი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ „ხშირად არს აყრილობა ქვეყანათა ჩვენთა“, რის გამოც ზოგჯერ საჭიროება აიძულებდა პირს დაეფლა თავისი ნივთები

[1048] მხარი სიგრძის ერთეულია და მხრისა და გაშლილი მკლავების სიგრძეს, დაახლოებით 2 მეტრს უდრის.

[1049] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 150.

[1050] იქვე.

[1051] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 400.

[1052] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 400.

[1053] *Шершеневич Г.Ф.,* Учебник русского гражданского права, Т. I, М., 1914, 331.

სხვის მიწაში.[1054] თუ ასეთ ნივთებს ვინმე იპოვიდა და მესაკუთრე შეიტყობდა, ვალდებული იყო წარმოადგინა მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ დაფლული, გადამალული საქონელი მისია.[1055] მხოლოდ თავისი უფლების დამტკიცებისას შეეძლო მას ნივთების უკან დაბრუნება, ამასთან, კანონი მესაკუთრეს აკისრებს „საპოვნელად მისცეს შვიდზე ერთი მპოვნელსა“.[1056]

დავით ბაგრატიონი „მიმოხილვის“ 710-ე მუხლში წერს, რომ ადგილობრივი ვითარებისა და გარემოებების გამო საქართველო ხშირად ექვემდებარებოდა მტრის მოულოდნელ შემოჭრას, რის გამოც მტრის საკუთრების დასაცავად ბევრი ადამიანი ქონებას მიწაში მალავდა.[1057] ვინმეს რომ თავისი გადამალული ქონება არ დაეკარგა, ვის მიწაშიც არ უნდა ყოფილიყო ნივთები და ფული შენახული, ყველაფერი უკლებლივ უნდა დაბრუნებოდა მეპატრონეს; კანონმდებლის ხსნის ამ მოთხოვნის საფუძველს: ურთიერთნდობა თითოეულს ავალდებულებს ყველანაირი დახმარება გაუწიონ თავის თანამემამულეს ქონების შესანარჩუნებლად.[1058]

5.8. „ირაო“ საქონელი

დავით ბაგრატიონის სამართლის პროექტის 70-ე მუხლს შემოაქვს „ირაო“[1059] საქონლის, როგორც ნაპოვარის ცნება: „ირაო საქონელი მებრ ქა რთველთა განწესებისა არს სამეფო, გარნა განვაწესებ მე ესრედ, რომელ პოვნილი იგი საქონელი მიეცემოდესთ ახალშემოღებულთა რეგულისა ჯართა შინა, ხოლო მუნით მესამედი მპოვნელსა მას გარჯისთვის.“[1060] შემოთავაზებული ცვლილება არ ეხებოდა მპოვნელის მიერ ნაპოვარზე საკუთრების უფლების წილის ოდენობის შეცვლას. როგორც „მიმოხილვაში“, ასევე სამართლის ამ პროექტში ნაპოვარის მესამედი მპოვნელის საკუთრებაა, თუმცა დანარჩენი 2/3, საერთო სამეფო ხაზინის ნაცვლად, რეგულარულ

[1054] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70.
[1055] იქვე.
[1056] იქვე.
[1057] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 339.
[1058] იქვე, მუხ. 711-ე.

[1060] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 45.

ჯარს უნდა მიეღო. ძირითად მესაკუთრედ მაინც მეფე ითვლება, მაგრამ ნაპოვარის სახაზინო წილს უკვე კონკრეტული დანიშნულება აქვს.

კანონმდებლები, მათ შორის, დავით ბატონიშვილიც სულიერი საქონლის აღსანიშნავად უმეტესწილად, იყენებენ სიტყვას „პირუტყვი“. ამიტომ, ამ ნორმის შინაარსის დასაზუსტებლად, „ირაოს“ მნიშვნელობა უნდა გამოირკვეს. ალ. ელერდაშვილი მის რამდენიმე მნიშვნელობას ასახელებს: „ნარნარად, მდორედ ფრენა; უპატრონო, დაკარგული (საქონელი), დიდი გარეული ფრინველი ერთგვარი, დიდ-დიდნი ფრინველნი (საბასთან).“[1061] ქართულ სინონიმთა ლექსიკონით, „ირაო“ განმარტებულია როგორც „უპატრონო“, ხოლო ამ სიტყვის სინონიმებად მოყვანილია: „უმეთვალყურო, მოუვლელი, ოხერი, ოხერ-ტიალი, ოყრაყი, თავის ანაბრად მიგდებული, ღვთის ანაბარად მიგდებული, ტიალი, ვერანი, მუდრეგი, დაუმუშავებელი (უპატრონო და მიგდებული ადგილი), (უპატრონოდ, ოხრად დარჩენილი მამული) ბეითალმანი, (უპატრონო ოთხფეხა საქონელი)“.[1062] აქვე, თუ გავითვალისწინებთ ალ. ნეიმანის მიერ მოყვანილ ფიგურალურ გამონათქვამს: „რა ირაოსავით დაეხეტები“, ეჭვგარეშეა, რომ დადგენილება ეხება ისეთ უპატრონო პირუტყვს, რომლის პატრონის მოძიებაც შეუძლებადაა მიჩნეული და მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა, მიტოვებული პირუტყვის შთაბეჭდილებასაც ტოვებდეს.

5.9. მტკიცებულებათა მნიშვნელობა

ზოგჯერ კანონმდებელი მოითხოვდა ნივთის დამკარგავს მის დასაბრუნებლად ჯეროვანი მტკიცებულებები წარმოედგინა. მაგალითად, მხითარ გოშის სამართალი ითვალისწინებს ასეთ გარემოებას: თუ ნაპოვნი ნივთი მპოვნელის „ადგილში ძველიდგან მისის პაპისა და მამის შენახული იყოს, და ანუ მისის ნათესავისა, და მახსოვარი მოწმად ჩნდეს, სრულ იმ მპოვნელი კაცისა არის, რომელმანც რომ იპოვნა თავის მამულში, და ათისთავი ხელმწიფეს მიართვენ“ (182-ე მუხლი).[1063] თუ მხითარ გოშის სამართალი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, საკუთარ ადგილში პოვნისთვისაც კი

[1061] უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად, *ელერდაშვილი ალ.*, ფანტაზია, თბ., 2006.
[1062] *ნეიმანი ალ.*, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, განათლება, თბ., 1978.
[1063] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსმ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,290.

მპოვნელს 1/5 წილს აძლევდა, მტკიცებულებად „მახსოვარი“ მოწმის წარმოდგენისას ის ქონებას სრულად დაეუფლებოდა. სამართლის ნორმით განსაზღვრული ათისთავი კი მხოლოდ ნაპოვარის გადასახადს გულისხმობს მეფის სასარგებლოდ და არა საკუთრებაზე წილის გაყოფას.

დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ 707-ე მუხლის მიხედვით კი, სასამართლოში წარდგენილი ნაპოვნი ნივთის მესაკუთრე ნივთს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენისას დაიბრუნებდა, ამასთან, დაკარგული ნივთის მიღებისას, მას მპოვნელისთვის ნივთის ღირებულების მესამედი უნდა გადაეხადა.[1064] კონკრეტულად, რა სახის მტკიცებულებების წარდგენა იყო საჭირო, კანონმდებელი არ ასახელებს.

5.10. მთხრობლის მეშვეობით ნივთის პოვნა

ბერძნული სამართლის 334-ე მუხლი, მთხრობლის მეშვეობით ნივთის პოვნის წესის შესახებ, თითქოს სცდება ნაპოვარის სამართლებრივ რეჟიმის რეგულირების სფეროს. აქ მთხრობელი ის პირია, რომელმაც კაცისაგან რაიმე ამბავი გაიგო, წავიდა და ადგილის მთავარს უმთხრობლა: „კაცმან რომ კაცისგან გაიგონოს სიტყუა რამე, წავიდეს და უმთხრობლოს, სიტყუა იგი უთხრას მთავარსა მის ალაგისასა, მართებულია“.[1065] ზოგადად, კანონმდებლის მოთხოვნით, მთხრობელი ვერ იქნებოდა: ქალი, ლაშქრიდან გამოქცეული მამაკაცი, ასევე ის პირი, ვისი მოწმეობის გამოც სასამართლომ უბრალო პირი დასაჯა; მხოლოდ „ისეთის კაცისა ირწმუნების, რომელიცა ღირსი სარწმუნოებისა იყოს კაცი იგი, შური და მტრობა არავისი ქონდეს და არც მტერობით უმთხრობლოს“ (333-ე მუხ.).[1066] ამბის მიმტანი პირი სარგებელს, სამთხრობლოს იღებდა. 334-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დროს კი, ვინმე თუ რაიმეს დაკარგავდა და მთხრობელი დაკარგულის შესახებ შეატყობინებდა, საქონლის მერვედს მიიღებდა დაკარგულის დაბრუნებაში გაწეული სამსახურისთვის. მიღებული სარგებელი კი სამთხრობლოცაა და პოვნის ჯილდოც. ამავდროულად, დაკარგული ნივთის პოვნის მთელი პასუხისმგებლობა მთხრობელზე გადადის.

[1064] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 339.

[1065] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 204.

[1066] იქვე, 205.

სასჯელის სახით, ტყუილი მთხრობლობისთვის გახურებული რკინის დაღის ორივე ლოყაზე დასმაა გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს ოთხჯერ (335-ე მუხ.).[1067] არც 334-ე და არც 335-ე მუხლში ნათქვამი არაა, რომ მთხრობელი ვინმეს ცილს სწამებს ნივთის მოპარვაში, ან მთხრობელმა ვინმესგან გაიგო დაკარგული ნივთის ადგილმდებარეობის შესახებ ან კიდევ თავად შეესწრო ფაქტს. კანონმდებელი მხოლოდ ამას აღნიშნავს: „კაცს რომ დაეკარგოს რამე და მთხრობელმა ის გამოუჩინოს, რაც დაკარგვოდეს“.[1068] ამ წინადადებით მთხრობელი, როგორც თვითმხილველი მოწმე, თითქოს გაიგივებულია ნივთის მპოვნელთან, რომელიც საქონლის გამოჩენისთვის მის მერვედ წილზე საკუთრების უფლებას იძენს. ის, რომ მპოვნელი აქ მთხრობლად იწოდება, ვფიქრობთ, ერთ რამეს შეიძლება ნიშნავს, მპოვნელს არ სურს თავად დაეუფლოს ნივთს და გასწიოს შენახვის ხარჯები მეპატრონის გამოჩენამდე. ამიტომ ის მხოლოდ შეტყობინებით შემოიფარგლება და ამისთვის გაცილებით მცირე წილს იღებს, ვიდრე ეს 254-ე და 255-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

ყურადღებას იქცევს აღბუღას სამართლის მოთხოვნა, კარგად გამოიკვლიონ, „მთხრობელი, მპოვნელი, მეკობრე ერთად არ იყოს, ანუ მან დამკარგავმა მრუდი არა დასწამოს რა“.[1069] როგორც ჩანს, სამართალი ბრმად არ ენდობოდა მხარეების განცხადებებს. 92-ე მუხლის ეს ნორმა ორნაწილიანია. კანონმდებელი უშვებს ვარაუდს, რომ მოწმე, მპოვნელი და მეკობრე შესაძლოა ერთმანეთს შეეკრან მესაკუთრის წინააღმდეგ. ასეთი გაერთიანების მიზანი მოპარული ნივთის დაკარგულად და ნაპოვნად გამოცხადება უნდა ყოფილიყო, რითაც მეკობრის დანაშაულს მოწმისა და მპოვნელის ცრუ ჩვენებით დაფარავდნენ. სამართალი ითხოვდა დამკარგავის განაცხადის საფუძვლიანობის შესწავლასაც, რომელსაც ასევე შეეძლო ყალბი ჩვენება მიეცა დაკარგული საკუთრების ფიზიკური მდგომარეობის, ოდენობისა და სხვა თვისებების შესახებ. დაკარგული საკუთრების მპოვნელისგან უკან გამოთხოვა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სარწმუნო იქნებოდა მესაკუთრის მოთხოვნა.[1070]

[1067] იქვე.
[1068] იქვე.
[1069] სამართალი *ბექასი და აღბუღასი*, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი *დაურთო ის. დოლიძემ*, თბილისი, 1963, 461.
[1070] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 62.

5.11. მესაკუთრის უფლებათა დაცვა

საკუთრების უფლების მოპოვება დაუშვებელი იყო ისეთ ნივთებზე, რომელთა მდგომარეობა არ ტოვებდა განცდას ამ ნივთების მესაკუთრისგან მათი მიტოვების შესახებ. ასეთი ნივთები დაკარგულ ნივთებად მიიჩნევა, ამიტომ კანონი მპოვნელს ავალდებულებს, აუცილებლად შეინახოს ეს ნივთები პატრონის გამოჩენამდე. ასეთია, მაგალითად, პირუტყვი და ტანისამოსი, რომელთა შესახებ სომხური სამართლის მხითარ გოშის სამართლის ნაწილში ნათქვამია: „თუ შეეყარო ნახვით ძროხასა, ცხვარსა ძმისა შენისასა, გზაზე დაკარგულსა, ნუ გაუშვებ იმაებს და დაბრუნებით დააბრუნე და მიუსხი ძმასა შენსა. და თუ არ იყოს ძმისა და ახლოს მეზობლისა შენისა, მოაგროე და დაიყენე სახლსა შენსა და იყუნენ შენთან ვიდრე სძებნოს ძმამან შენმან და მიეც მას“ (264-ე მუხ.).[1071] დაუბრუნე „ძმასა შენსა“, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ღვიძლი ძმისთვის დაბრუნებას, კანონმდებელს მხედველობაში სჯულიერი ძმა ჰყავს, რომელსაც თუ პირუტყვის მპოვნელი პირადად იცნობს, თავადვე მიუყვანს მას სახლში. ამ შემთხვევაში, ნაპოვნი ნივთი ნაპოვარს არ წარმოადგენს, რადგან მპოვნელმა იცის ვის ეკუთვნის ნივთი და თუ არ დაუბრუნებს, ამით ქურდობის მსგავს დანაშაულს ჩაიდებს. მაგრამ თუ საქონლის პატრონს მპოვნელი არ იცნობს, კანონმდებელი მას სთხოვს პატრონის გამოჩენამდე შეინახოს პირუტყვი თავისთან. სახედრის, ტანისამოსის და სხვა მსგავსი დაკარგული ნივთების პოვნის დროსაც, მპოვნელს მათ შესახებ უნდა განეცხადებინა და მესაკუთრისთვის არც პოვნის ფასი უნდა გამოერთვა.[1072]

საინტერესოა, რატომ თვლის კანონმდებელი, რომ ნაპოვნი პირუტყვი შეიძლება მპოვნელმა იცნოს, მითუმეტეს, რომ მათი გარჩევა ხშირად ფიზიკურად შეუძლებელია. ამ გარემოების აიხსნა შესაძლებელია იმით, რომ დღემდე სოფლებში საკუთარ პირუტყვსა და ფრინველს ნიშანს ადებენ. ამგვარი წესი ფშავის ჩვეულებით სამართალშიც დასტურდება. ო.ზოიძის გადმოცემით, აქ პირუტყვს ადებდნენ

<https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021]

[1071] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,320.

[1072] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,320.

საკუთრების უფლების დამადასტურებელ ნიშნებს, რომლებსაც „სერი“ ეწოდებოდა: „ხევისბერი ბიჭური ბადრიშვილი იტყოდა, კოლექტივში 18 ცხვარია, ხატის სერი რომ აქვსო“.[1073] ასეთი ყოფითი ჩვეულებები, როგორც წესი, მტკიცეა და გაცილებით ადრინდელი პერიოდიდან გამოიყენებოდა.

დავითის „მიმოხილვის“ 709-ე მუხლის თანახმად, როდესაც ვინმე თავისთან სხვის დაკარგულ პირუტყვს მიდენიდა, ვალდებული იყო ამის შესახებ განეცხადებინა და თუ დამალავდა, ის დაისჯებოდა როგორც ქურდი და იმის სასარგებლოდ გადაიხდიდა, ვისაც პირუტყვის ეკუთვნოდა.[1074] როგორც დავით ბაგრატიონი მიუთითებს, ზოგჯერ ხდება, რომ ზოგიერთი სხვის პირუტყვს მიითვისებს და ამას ამტკიცებს მსგავსებით; ასეთი საქმის გასარჩევად სოფლის მცხოვრებლები და მეზობლები უნდა შეკრებილიყვნენ და განეხილათ და გადაეწყვიტათ საქმე ყოველგვარი წყენინების გარეშე.[1075]

მესაკუთრეს უფლება ჰქონდა კეთილსინდისიერი მფლობელის, ანუ ნივთის მპოვნელ-შემნახავის მიმართ სარჩელი წარედგინა ნივთის გამოთხოვის მიზნით.[1076] როგორც ის. დოლიძე შენიშნავს, მესაკუთრის სასარჩელო წარმოების გამოყენების უფლება პირის საკუთრების უფლების დარღვევიდან გამომდინარეობს.[1077] მისი მოსაზრებით, ბექა-აღბუღას სამართლის მიდგომა ასეთია: ნივთის მოპარვის ანდა დაკარგვის შემთხვევაში, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმ ფაქტს რომ ნივთის მფლობელი კეთილსინდისიერია, იგი მაინც ვერ დაიცავდა თავს მესაკუთრის სარჩელისგან.[1078]

არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ სხვისი ნივთის მიღება მოგების მითვისების მიზნით, შემდეგ კი ნივთის მიღების ფაქტის განზრახ დამალვა ან მისი დაკარგულად გამოცხადება, ტყუილის გამოვლენისას ისჯებოდა ყველას წინაშე შერცხვენით, ნივთი კი მეპატრონეს ან მის მემკვიდრეებს უბრუნდებოდა.[1079] დავით ბაგრატიონის „მიმოხილვის“ ეს მუხლი აჩვენებს, რომ არაკეთილსინდისიერი

[1073] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 45. იხილე: *ზოიძე ო.*, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1990, რვ. 3.

[1074] *დავით ბაგრატიონი,* საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 339.

[1075] იქვე, 345.

[1076] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 176.

[1077] იქვე, 156.

[1078] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 176.

[1079] დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959, 321.

მფლობელის მიერ ნივთის დაკარგულად გამოცხადებისას მასზე ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა, რაზეც მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვირეებისთვის ქონების უკან დაბრუნების შესაძლებლობა მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ აქ კანონმდებელი არაკეთილსინდისიერი მფლობელის ქმედებას ქურდობის მსგავს დანაშაულად არ აფასებს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მესაკუთრის მხრიდან არაკეთილსინდისიერი მფლობელისთვის ნივთის პირადად გადაცემის ფაქტთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ სიგელებში ხშირადაა გამოყენებული ურთიერთშეპირისპირებული სიტყვები „საძებარითა და უძებარითა“. მაგალითად, დავით კათალიკოსი ოქროპირ მაღალაშვილს უბოძებს კავთისხევის მამულს: „... მინდვრითა, ტყითა, სანადიროთა... სახმარითა, უხმარითა, საძებრითა და უძებრითა...“.[1080] ზუსტად იგივე სამეურნეო ადგილებია გადაცემული გედეონ მაღალაშვილისადმი 1562 წლის სიგელით. ხომ არ ნიშნავს ეს წინასწარ დაპირებას, რომ თუ მამულში რაიმე ისეთი ნივთი აღმოჩნდება, რომლის შესახებ უცნობი იყო საბუთის გაფორმების დროს, მასზე სრულ საკუთრებას შეიძენს უფლების მქონე პირი? ასეთი ნივთები კი შეიძლება ყოფილიყო ნაპოვარი, განძი, სხვისი დაჭრილი ან შემორეკილი ნადირი, ასევე წიაღისეული.

როგორც იკვეთება, ნაპოვართან დაკავშირებით, ქართული ფეოდალური კანონმდებლობა არ ახორციელებდა უკანონო მფლობელობის დაცვას. თუ ნაპოვარის მითვისება დადგენილი წესების გვერდის ავლით ხორციელდებოდა, მპოვნელი მფლობელობის უფლებას კარგავდა, მათ შორის კარგავდა პოვნის გასამრჯელოს მიღების უფლებასაც.

5.12. ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურება

ნაპოვართან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები, რამდენიმე დადგენილების გარდა, გვერდს უვლიან მპოვნელისთვის ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურების საკითხს მესაკუთრის მხრიდან. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, თუმცა ასეთი რამ ვერ მოვიძიეთ. ასევე მისაღებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ მპოვნელის მიერ დაკარგულად

[1080] წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა ოქროპირ მაღალაშვილისადმი [1472 წ.], ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970, 217.

აღქმული ნივთის დაუფლება და შენახვა მთლიანად მპოვნელის პასუხისმგებლობას შეადგენდა. თუ მას არ შეეძლო ხარჯის გაწევა და მისი შენახვა მპოვნელს ქონებრივ ზიანს მიაყენებდა, შეეძლო მხოლოდ ნივთის ადგილმდებარეობის შესახებ განცხადებით შემოფარგლულიყო, ან ნივთი შესაბამის პირთან მიეტანა, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფდა.

მხითარ გოშის ზემოთ განხილული 264-ე მუხლისგან განსხვავებით, აღბუღას სამართლის 92-ე მუხლი არ სთხოვს მპოვნელს პირუტყვი პატრონის გამოჩენამდე სახლში დააყენოს. „თუ პირუტყვი იყოს, დაემჭლოს და გაეცუდოს, და თუ სასაქონლო იყოს, გაეცვითოს და გაექირაოს, – კაცთა დახედვითა იგიცა უზღოს უსიტყვოდ“,[1081] მხოლოდ ნაპოვარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ადგენს და არაფერს ამბობს ნივთის გამოყენების აკრძალვაზე. ზარალი დაიფარებოდა იმ მოცულობით, რასაც მცოდნე პირები დაადგენენ, მაგრამ სხვისი ნივთის გამოყენებისთვის მპოვნელი პასუხს არ აგებს. ასეთი ვალდებულების წარმოშობას განაპირობებს ის, რომ დაკარგული პირუტყვი ან საქონელი კარგ მდგომარეობაშია და მასზე საკუთრების უფლება მესაკუთრეს თავისი ნებით არ უნდა მიეტოვებინა.

ასეთი მიდგომა ნაპოვარის სამართლებრივი რეგულირების წესებს ამსგავსებს პირუტყვის ქირავნობის ხელშეკრულებას. მაგალითად, თავად აღბუღას სამართლის 79-ე მუხლი სახედრის ქირავნობის თაობაზე ამბობს: „თუ ანუ ბორჯალს[1082] გარდახდეს, ანუ უშორე წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდე მეტი აკიდოს, თუ მოკვდეს, უზღოს.“[1083] ან კიდევ, ვახტანგის სამართლის 230-ე მუხლის ეს ნორმა: „ვინც ვისი პირუტყვი ან საძოვარზე, ან თუ წყალზე წაიყვანოს და დაუშაოს, და თუ მოკლას, თუ იხმარა და ისრე დაემართა, მთლივ უზღოს“.[1084] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მპოვნელს შეეძლო ნაპოვარი გამოეყენებინა იმგვარად, თითქოს ის სხვისგან ნათხოვარი ან დაქირავებული ნივთია, ამიტომ მპოვნელი ვალდებულია ნივთს მოუაროს და შეძლებისდაგვარად პირვანდელი სახე შეუნარჩუნოს.

[1081] სამართალი *ბექასი და აღბუღასი, ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 461.

[1082] ბორჯალი – დათქმული დრო. აქ ხელშეკრულების ვადას ნიშნავს.

[1083] სამართალი *ბექასი და აღბუღასი, ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 456.

[1084] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963, 456.

5.13. ხანდაზმულობის ვადის საკითხი

ძველი ქართული სამართლის არცერთი წყარო არაფერს ამბობს იმ გონივრული ვადის შესახებ, რომელიც დამკარგავს საშუალებას მისცემდა მოეძებნა თავისი ნივთი, მპოვნელს კი უფლებას მიანიჭებდა, ნივთის დაუფლებისა და გარკვეული ხნით შენახვის შემდეგ, მესაკუთრის არგამოჩენის შემთხვევაში, თავად შეეძინა საკუთრების უფლება ნაპოვარზე.

არც აღბუღას სამართლის 92-ე მუხლი აწესებს ნაპოვარზე ხანდაზმულობის ვადას, რაც საკუთრების უფლების შეძენისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს, პატრონის არგამოჩენის შემთხვევაში გაურკვეველია ვის რჩება ნაპოვარი, მპოვნელს თუ სახელმწიფოს.[1085] რაიმე მინიშნებას დაკარგული ნივთის მპოვნელის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე, კანონმდებელი მართლაც არ იძლევა. პირიქით, მპოვნელი თითქოს ყოველთვის მზად უნდა იყოს ნივთის დასაბრუნებლად, ხოლო მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვოს, რასაც ხელს მპოვნელი ვერ შეუშლიდა. მუხლი ერთობლიობაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აღბუღას სამართალი მპოვნელს არც განიხილავს როგორც ნაპოვნი პირუტყვის, ასევე უსულო ნივთის მომავალ მესაკუთრეს. ამიტომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოცემულ პერიოდში ნივთის ფლობა-შენახვის მანძილზე მპოვნელი მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელია, რომელსაც მტკიცედ უჭირავს ეს უფლება მანამ, სანამ ნივთის მესაკუთრე გამოჩნდება. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მიემართება მხოლოდ ისეთ ნივთებს, რომლებიც უპატრონოდ არ ითვლება ნაპოვარისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობის გამო.

ნიშანდობლივია, რომ მხითარ გოშის სამართალშიც კანონმდებელი არსად მიუთითებს ხანდაზმულობის ვადაზე, რომლის გასვლის შემდეგაც მპოვნელი უფლებას მოიპოვებდა ნაპოვნ ნივთზე. ასევე საინტერესოა პოვნის საფასურის აღების შეზღუდვა, იმ გონივრული ღირებულების მაინც, რა ხარჯსაც პირუტყვის შენახვისას გასწევდა მპოვნელი. კანონმდებლის ასეთი მიდგომის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ 264-ე მუხლში დასახელებული ძროხა, ცხვარი და სახედარი მის მპოვნელს ხარჯის გარდა სარგებელსაც მოუტანდა, რასაც თავისთავად გაწეული ხარჯების გაქვითვაც მოჰყვებოდა. მხითარ გოშის სამართალი მინდორში ნაპოვნი დავარდნილი ჯორის,

---

[1085] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 398.

სახედრის, ხარისა და ფურის მიტოვებასაც დაუშვებლად მიიჩნევდა, მხოლოდ თუ გზად საკიდარ პირუტყვს ძირს დაყრილი ბარგით ნახავდა, ტვირთის აკიდებაში უფასოდ უნდა დახმარებოდა.[1086]

XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილი დავითის სამართლის წიგნის პროექტიც კი არ არღვევს ტრადიციას და ნაპოვნ პირუტყვზე, როგორც ნაპოვარზე, საკუთრების უფლების მოპოვების თაობაზე არაფერს ამბობს. 121-ე მუხლის ერთ-ერთი ნორმა იმპერატიულად აცხადებს, რომ მპოვნელი პირუტყვის პოვნისთანავე ვალდებულია საჯარო გახადოს ეს ფაქტი და პატრონს ამის შესახებ შეატობინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მპოვნელის სიჩუმე აღქმული იქნება როგორც ქმედება, რომელიც სიმძიმით პარვის დანაშაულს უახლოვდება.[1087] ეს მოთხოვნა განსაკუთრებით ეხებოდა ჯარიანობის დროს მოლაშქრის მიერ დაკარგული პირუტყვის პოვნას, იგივე ეხება მოლაშქრის დაკარგულ სხვა ნივთებსაც.[1088]

ნაპოვარის კვლევისას, ნაპოვნ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად საჭირო ვადის შესახებ ცნობები ვერც ვ. ლომიძემ მიაკვლია.

საინტერესოა, რომის სამართლის მიდგომა, რა პრინციპებს იყენებდა საკუთრების მფლობელობითი ხანდაზმულობის გზით შეძენისას. გაიუსის ინსტიტუციები განმარტავს: „ეს [წესი] იმიტომ არის შემოღებული, რომ ნივთებზე საკუთრება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში განუსაზღვრელი არ დარჩეს, რადგან მესაკუთრისთვის საკუთარი ნივთის მოსაძებნად [და მასზე თავისი უფლების დასაცავად] საკმარისია ერთი ან ორი წლის ვადა, რა ვადაც ეძლევა მფლობელს, რომ მან ნივთი ხანდაზმულობით შეიძინოს“.[1089] ეს დანაწესი ზოგიერთი კატეგორიის უძრავ ნივთებთან არ ეხებოდა შემდეგ მოძრავ ნივთებს: ძალადობით მიტაცებულს, წმინდა და რელიგიურ ნივთებს, ასევე აგნატების მეურვეობის ქვეშ მყოფ ქალთა მფლობელობაში არსებულ ნივთებს, თუ ისინი მეურვის თანხმობის გარეშე იყო

[1086] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,320-21.

[1087] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70.

[1088] იქვე.

[1089] *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 64;

გადაცემული.[1090] თუმცა, რომის სამართლის ამ დანაწესის მტკიცებულებების გარეშე გაზიარება მართებული არ იქნება და დამატებით კვლევას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის წიგნები ნაპოვარზე უფლების შესაძენად კონკრეტულ ვადას არ ასახელებენ, უსულო ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვება სახეზეა. რასაც ვერ ვიტყვით შინაურ პირუტყვზე, რადგან, თუ დავითის სამართლის 70-ე მუხლს არ ჩავთვლით, მასზე უფლების მოპოვებას არც ეროვნული და არც უცხოური სამართლის ქართული ვერსიები არ სცნობენ.

5.14. პოვნის გასამრჯელო

უმეტეს შემთხვევაში, ნივთის მპოვნელი პოვნის ჯილდოს იღებს. ეს ტერმინი გვხვდება „საპოვნელას“, „საპოვნელის“ სახითაც. ვინაიდან ქართული სასაუბრო ენისთვის უფრო შესატყვისად „საპოვნელო“ მიგვაჩნია (მაგ., როგორც გასამრჯელო, საჭირნახულო და ა.შ.), ტერმინს ამ ფორმით ვიყენებთ. ხევსურეთში დასტურდება „საპოვნელოს“ შესატყვისი ხევსურული ტერმინი „მოსამხელაო“. მესაკუთრე დაკარგული ნივთის გამოჩენისთვის მპოვნელს აძლევდა „მოსამხელაოს“ – ეს შეიძლება ყოფილიყო ფული ან სხვა ნივთი, რის გაღებასაც მესაკუთრე შეელეოდა.[1091] თავად პოვნას ხევსურეთში „მოხელვას“ უწოდებენ.[1092] დავით ბატონიშვილი ტერმინს „საპოვნელად“ იყენებს სხვის მიწაში დაფლული ნივთების პოვნისთვის დაწესებული მეშვიდედის აღსანიშნავად.[1093]

საკუთრივ ტერმინი წერილობით წყაროებში იშვიათად გვხვდება, მაგრამ პოვნის გასამრჯელოს სხვადასხვა სახით გაცემა მიღებული პრაქტიკა რომ არის ძველ ქართულ სამართალში, განხილული სამართლებრივი ნორმებიც ცხადყოფს.

ვ. ლომიძე ამ პოვნის გასამრჯელოს გადახდის ტრადიციას უკავშირებს ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიის საქართველოში მოქმედების ფაქტს და მიაჩნია, რომ ქართულ სამართალს მისი გავლენით უნდა დაემკვიდრებინა იგი.[1094]

[1090] იქვე.

[1091] *დავითაშვილი გ., ზოიძე ო.*, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში 1988 წლის ივნის-აგვისტოში სამეგრელოსა და ხევსურეთში ჩატარებულ სამუშაოზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 211.

[1092] იქვე.

[1093] სამართალი ბატონიშვილის *დავითისა*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *დ. ფურცელაძემ.*, თბ., 1964, 70.

[1094] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 18.

ამასთან, ავითარებს მოსაზრებას, რომ ეს, შესაძლებელია, უკავშირდებოდეს საერთო ქრისტიანული მსოფლმხედველობას კეთილსინიდიერი ქცევისთვის მადლიერების გამოხატვის შესახებ.[1095]

საპოვნელოს მიღებას თავისი წესები ჰქონდა, რომლებიც დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე: ვინ იყო ნაპოვარის სუბიექტი, სად და რა გარემოებებში იპოვეს ქონება, როგორია მპოვნელის ქცევა ნივთის პოვნის შემდეგ და ა.შ. საქართველოში მოქმედი ეროვნული და უცხოურიდან ნათარგმნი სამართლის ძეგლების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ირკვევა, რომ საპოვნელოს ოდენობა ზოგჯერ ნაპოვარის ღირებულების ხუთისთავს ან ათისთავს შეადგენდა. იშვიათად, ნაპოვნის შესატყვის საჩუქარს აძლევდნენ მპოვნელს ან სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მიზეზებით ნივთის პოვნისა და შენახვისთვის რაიმე გასამრჯელოს მიღების შესაძლებლობას კანონმდებლები საერთოდ გამორიცხავდნენ. მაგალითად, აღბუღას ჭკვიან კაცთა კომისიას ლაშქრობაში ყოფნისას დაკარგული ნივთის პოვნის ჯილდოს აღება სპეციალური სამართლებრივი ნორმით აუკრძალავს.[1096] ამ აკრძალვის მიზეზი დასახელებული არ არის. თუმცა, ლაშქრობის ორგანიზაციიდან გამომდინარე, ვინაიდან მებრძოლებს ომში მხოლოდ საომარი აღჭურვილობა და სხვა აუცილებელი ნივთები მიჰქონდათ თან, ამიტომ მათ დაკარგვას შესაძლოა ჯარისთვის მოლაშქრის დაკლებაც კი მოჰყოლოდა. შესაბამისად, ნაპოვარის დაბრუნება მოლაშქრის მხედრული და მორალური ვალდებულება იქნებოდა ყოველგვარი საჩუქრის მიღების გარეშე.

ზოგჯერ სამართალი პოვნისთვის გასამრჯელოს აწესებს, მაგრამ მის ოდენობას არ განსაზღვრავს. აღბუღას სამართალში დაკარგული ნივთისთვის პოვნისთვის მპოვნელის სასარგებლოდ „მსგავსიერი საპოვნელის“[1097] გადახდაა გათვალისწინებული. ის. დოლიძის მოსაზრებით, „მსგავსიერი საპოვნელა“ ნივთის პოვნის გასამრჯელოსა და ნაპოვარის შენახვისთვის გაწეული ხარჯების

<https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[1095] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 19.
<https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[1096] სამართალი *ბექასი და აღბუღასი,* ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსმ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი *დაურთო ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 461.

[1097] იქვე.

ერთობლიობაა.[1098] მისი თქმით, ნაპოვარის მესაკუთრისთვის გადაცემისას ნივთის მპოვნელს, როგორც კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება ჰქონდა მისთვის ნივთის მოვლისა და შენახვისთვის გაწეული სახსრები მოეთხოვა გასამრჯელოს სახით.[1099]

ვ. ლომიძის მითითებითაც, „მსგავსიერში“ იგულისხმება ხარჯების ანაზღაურებისა და პოვნის საჩუქარი.[1100] ბ. ზოიძის შეხედულებით, „მსგავსიერ“ საპოვნელაში უნდა იგულისხმებოდეს ნაპოვარის ღირებულებისა და პოვნის ჯილდოს ურთიერთშესაბამისობა; რადგან პროცენტულად წილის განუსაზღვრელობის მიზეზი ისაა, რომ კანომდებელი ნივთის მეპატრონის ნებას უქვემდებარებს პოვნის საჩუქრის ოდენობას.[1101] ბ. ზოიძის ეს მოსაზრება მართებული უნდა იყოს, რადგან ნაპოვართან დაკავშირებული არცერთი ნორმის მოწესრიგების საგანი, მართლაც, არ გამხდარა, ნივთის შენახვა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება. კანონმდებლებს ამ ხარჯების გადახდევინების საჭიროება რომ დაენახათ, ისევე დაადგენდნენ, როგორც პირუტყვის ან საქონლის მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას – „უსიტყვოდ“ ზღვევინებას. ბ. ზოიძე სწორად შენიშნავს, რომ საპოვნელოს მიცემის საფუძველი მხოლოდ მპოვნელის კეთილსინდისიერებაა და თუ მას ნივთის შენახვისთვის გარკვეული ხარჯები ჰქონდა გაწეული, მისი ანაზღაურების მოთხოვნა ჯილდოს მიღმაც შეეძლო.[1102]

საპოვნელას მიღების უფლება ესპობოდა მპოვნელს, რომელიც დროულად არ გამოაჩენდა ნაპოვარს. აღბუღას სამართლის 92-ე მუხლის ნორმით: „და თუ მაშინ არ გამოუჩინოს, დამალოს და უკანისღა გამოჩნდეს, საპოვნელო რამე აღარა მართებს, – ამად რომე მპარაობისა რამე მაგიერი საქმე იქნების, – Ã ელთა მისცეს.“[1103] მპოვნელი ამ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერი მფლობელია, მეპატრონეს ნივთი დაუმალა და მხოლოდ გვიანღა განაცხადა ფაქტის შესახებ, რითაც მისი ქმედება პარვის დანაშაულს დაუახლოვდა. რა თქმა უნდა, ასეთი მპოვნელი საჩუქარს არ დაიმსახურებდა.

[1098] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 175.

[1099] *დოლიძე ი.*, ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953, 176.

[1100] *ლომიძე ვ.,* საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), 2004, 74. <https://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/253940?contains=contains;_special=1;detail_record_view=0;qtype=item_barcode;query=900001466257;locg=1> [17.05.2021].

[1101] *ზოიძე ბ.*, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003, 396.

[1102] იქვე, 397.

[1103] სამართალი *ბექასი და აღბუღასი,* ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი *დაურთო ის. დოლიძემ,* თბილისი, 1963, 461.

გადამალული ნაპოვარის ჩამორთმევას და სასეფოდ დადებას ითვალისწინებს ბერძნული სამართლის 254-ე მუხლიც.

სომხური სამართალი, როგორც უკვე აღინიშნა, მუშისა და მოჯამაგირისთვის საერთოდ არც კი ითვალისწინებდა საპოვნელოს გადახდას, რადგან ის სამართლის სრულფასოვან სუბიექტად არ მიიჩნევა.[1104]

5.15. ბერძნული სამართლის კოლიზიური ნორმები

ბერძნულ სამართალს ნაპოვართან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომა არ აქვს, რაც თავად ძეგლის შედგენილობის თავისებურებიდან გამომდინარეობს. ბერძნული სამართლის 39-ე მუხლი ხაზს უსვამს კანონმდებლის მოთხოვნას, მპოვნელის მიერ ნივთი შენახულ იქნეს მანამ, სანამ მისი პატრონი გამოჩნდება და მას უკან დაიბრუნებს.[1105] ამ მუხლში გაშლილ მსჯელობას აშკარად ეტყობა საეკლესიო სამართლის გავლენა და შესაძლებელია, ის მათე ვლასტარის სინტაგმის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. განსხვავებულ შეფასებას ავლენს ამავე სამართლის 254-ე, 255-ე და 256-ე მუხლები, რომლებიც ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ და ამჯერად მხოლოდ წილის მოცულობას შევეხებით. 254-ე მუხლი ნაპოვარის ნახევარზე მპოვნელის საკუთრების უფლებას ცნობს, მეორე ნახევაზე კი – ადგილის მეპატრონის საკუთრების უფლება ვრცელდება; 255-ე მუხლში პოვნის ადგილის მიხედვით, ნაპოვნის ნახევარზე მეფესაც წარმოეშობა საკუთრების უფლება, თუ ნივთი სასეფო მიწაზე იქნებოდა აღმოჩენილი. 256-ე მუხლი მესაკუთრის სრულ საკუთრებას აღიარებს ოქროზე, რომელიც მეპატრონემ გაყიდულ სახლში შეინახა და მისი გამოტანა დაავიწყდა. ბერძნული სამართლის ეს ნორმები საერო ხასიათს ამჟღავნებს და, დასაშვებია, კონსტანტინე არმენოპულოს ნაშრომს მიეკუთვნება.

ამდენად, ნათელია, რომ ბერძნული სამართლის ნაპოვართან დაკავშირებულ, ერთის მხრივ, 39-ე მუხლსა და, მეორე მხრივ, 254-ე, 255-ე, 256-ე მუხლებს შორის არსებითი შინაარსობრივი წინააღლდეგობა.

[1104] სამართალი სომხური, *მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,290.

[1105] სამართალი ბერძნული, *ვახტანგ VI*-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *ის. დოლიძემ*, თბ., 1963,142.

5.16. ეთნოგრაფიული ცნობები ნაპოვარზე

ეთნოგრაფიულ მასალებში ნაპოვარის შესახებ ცნობები მცირეა. ო. ზოიძე აღნიშნავს, რომ ფშავში არსებობდა ასეთი გამოთქმა; „ნაპოვნივით შერჩაო“.[1106] ამ გამონათქვამის გაზიარების საფუძველზე მეცნიერი ასკვნის, რომ შესაძლოა მპოვნელს მესაკუთრის არგამოჩენის შემთხვევაში ნაპოვარზე საკუთრების უფლება მოეპოვებინა.[1107] აღსანიშნავია, რომ სიტყვას „შერჩა“ ხატოვან გამონათქვამებში მაშინ იყენებენ, როდესაც სურთ ხაზი გაუსვან რაიმეს უკან დაბრუნების ვალდებულების თავიდან აცილების ფაქტს, რა დროსაც ვალდებული პირი გაკვეული მოსაზრებების გამო პასუხისმგებლობისგან თავისუფალია. მაგალითად, ასეთი ფრაზაა „ხახვივით შერჩა“, რაც ნიშნავს, რომ ნასესხები მწარე ხახვი უკან არ უნდა დაუბრუნო მსესხებელს და ამ გზით მის ოჯახში სიმწარე არ შეიტანო. „ნაპოვნივით შერჩაც“ ამას გულისხმობს – მპოვნელმა ნივთი მიისაკუთრა, არ დააბრუნა გარკვეული გარემოებების გამო, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა გაქარწყლებულია.

ამგვარად, ძველ ქართულ სამართალში, ნაპოვარზე საკუთრების უფლების წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერ დგინდებოდა მის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი. მპოვნელის უფლებები ნაპოვარზე პირდაპირაა დაკავშირებული მესაკუთრის პოვნაზე. ძველი საკანონმდებლო ძეგლები, უმეტეს შემთხვევაში, მოითხოვდნენ მპოვნელს საჯაროდ განეცხადებინა ნივთის პოვნის შესახებ. ასეთ ადგილად დავით ბაგრატიონს დასახელებული აქვს სასამართლო. მპოვნელის მიერ მესაკუთრისთვის ნივთის პოვნის შესახებ შეტყობინების დაკისრების ერთ-ერთი საფუძველი რელიგიური მიზნებიდან გამომდინარეობს, რაც ბერძნული სამართლის ზემოთ განხილული მუხლებიდანაც იკვეთება. საკუთრების უფლება ნაპოვარზე მხოლოდ საკუთარ ქონებაში ნივთის პოვნისას წარმოიშობოდა, თუმცა მპოვნელი ნაპოვარის გადასახადს მაინც იხდიდა.

[1106] *ზოიძე ო.*, საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, *კეკელია მ.* (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993, 47, 50. იხ. *ზოიძე ო.*, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987, 4.
[1107] იქვე.

VI. მონალექი როგორც საკუთრების უფლების შეძენის საშუალება

6.1. მონალექის სამართლებრივი დახასიათება

მონალექის სამართლებრივი ხასიათის შესასწავლად უმნიშვნელოვანესი წყაროა რომის სამართალი, რადგან მასში ყველაზე თვალსაჩინოდაა მოცემული რას გულისხმობს მონალექი და რა სახის სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს ის.

რომაელები თვლიდნენ, რომ თუ მდინარე დიდი ხნით ადიდებისას თავისი დინებით კალაპოტს გაჭრიდა, ის საჯარო ნივთი ხდებოდა.[1108] საჯარო ქონება პირთა საერთო „საკუთრებაში" იმყოფებოდა და მათ თანაზომიერად შეეძლოთ ამ ქონებიდან სარგებლის მიღება.[1109] რომაელები ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ საჯარო სიკეთეს, ქონებას, რომელზეც საკუთრების უფლების გავრცელება შესაძლებელია ისეთი სიკეთისგან, რომლის ბუნებიდან გამომდინარე, მასზე სკუთრების უფლების ქონა შეუძლებელია.[1110] ასეთებად რომის სამართალს მიიჩნია ბუნებითი სამართლით საერთო ნივთები – „ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და, აქედან გამომდინარე - ზღვის ნაპირი".[1111] ეს უკანასკნელიც არავის საკუთრებას შეადგენს და მისი სიკეთით სარგებლობა ყველას ისევე შეუძლია როგორც ზღვით.[1112] ვერც ზღვის ქვეშ არსებული მიწა და ქვიშა გახდებოდა საკუთრების ობიექტი.[1113] თუმცა, როცა მდინარე ტოვებდა თავის ძველ კალაპოტს, მისი ფსკერი ხდებოდა მდინარის ნაპირზე მდებარე მიწის

[1108] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 101.

[1109] *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ეშსი, თბ., 2009, 227. *Sead. Windscheid*, Lehrbuch des Pandektenrechts, Band I, 1887, $146, 468.

[1110] იქვე.

[1111] *იუსტინიანეს* დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ,* ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, თბ., 2012, 109.

[1112] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ,* მერიდიანი, თბ., 2002, 53.

[1113] იქვე.

მფლობელთა საკუთრება.[1114] როგორც იუსტინიანეს ინსტიტუციებშია აღნიშნული, ამ მომიჯნავე ნაკვეთის მეპატრონეები უფლებას შეიძენდნენ, „პროპორციულად თითოეული მიწის ნაკვეთის კუთვნილი ნაპირის სიგრძნისა“, ახლადგაჭრილი კალაპოტი კი ისევ საჯარო სამართალს დაექვემდებარებოდა.[1115] შესაბამისად, თუ მდინარე ისევ უწინდელ კალაპოტს დაუბრუნდებოდა, ახალ, ხმელეთად ქცეულ კალაპოტზე უწინდელი სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდებოდა.

მდინარის ადიდებას განსაკუთრებული სარგებელი მოჰქონდა იქ, სადაც სოფლის მეურნეობის არსებობა მთლიანად მორწყვაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, ეგვიპტეში, ნაპირებიდან გადასული ადიდებული ნილოსი წყლის გარდა ნიადაგს ჩამონალექი მიწითაც ამდიდრებდა. ამიტომ მოიხსენიებდნენ ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას როგორც „შავ მიწას“ - ეგვიპტურად „ქემეთ“.[1116]

6.1.1. მონალექის სახეები

იუსტინიანესა და გაიუსის ინსტიტუციებით, მონალექი ის მიწაა, რომელსაც წყალი მიწის ნაკვეთს მონაყარი მიწის სახით ისე მიუმატებს,[1117] რომ მატების დროის განსაზღვრა შეუძლებელია.[1118] რომის სამართლის ერთგვარად უდგებოდა მიწის მონაყარზე საკუთრების უფლების მოპოვების საკითხს, იმის მიუხედავად, მიწის მატება თანდათან ხდებოდა თუ ერთიანად. თუ მიწის ნაკვეთს მდინარე რაღაც ნაწილს ერთბაშად მოაგლეჯდა და მეზობელი მიწის ნაკვეთს მიაყრიდა, ეს ამ ნაკვეთის შემადგენელ ნაწილად მაინც ჩაითვლებოდა.[1119] ეს ეხებოდა მინაყარს არა მთელი სანაპიროს გასწვრივ, არამედ ნაპირის ცალკეულ ადგილებზე, კონცხის სახითაც.[1120]

[1114] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 102.

[1115] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*,, მერიდიანი, თბ., 2002, 57-58.

[1116] *გარიშვილი მ., ხოფერია მ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, მერიდიანი, 2014, 36.

[1117] *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

[1118] *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*,უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70;

[1119] *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

[1120] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 102.

გაიუსის ინსტიტუციებით, ბუნებითი სამართლით, ამგვარ ნამატზე მაშინვე მიწის მესაკუთრის უფლები ვრცელდება,[1121] იუსტინიანეს ინსტიტუციები კი, ამავდროულად, მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოწყვეტილი მიწის ნამატის სხვის მიწასთან რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩენას ისე, რომ თუ მიწის ნაგლეჯზე ხეები იყო დარგული, მათ ფესვები ძირითად ნაკვეთზეც გაიდგან.[1122]

აქედან გამომდინარე, როდესაც მდინარის დინების ან სხვა პროცესების გავლენით წყდება მდინარის ნაპირი და მიემატება ვინმეს მიწას, საკუთრების უფლების წარმოშობა მოწყვეტილ ნაწილზე განისაზღვრება იმით, როგორ დაემატება ის სხვა პირის მიწას.[1123] აქ მნიშვნელოვანია, რამდენად მტკიცედ დამაგრდა მოწყვეტილი მიწა იქ, სადაც მდინარემ მიაგდო.[1124] მ. ბარტოშეკის განმარტებით, avulsio, ანუ მდინარის დინებით მოწყვეტილი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მხოლოდ საბოლოო მიერთების შემდეგ წარმოიშობოდა,[1125] მაგალითად, თუ მათი შეერთების ადგილები საერთო მცენარეულობით დაიფარებოდა ან, როგორც უკვე აღინიშნა, მიერთებულ მიწაზე არსებული ხე ფესვებს ამ ნიადაგშიც გაიდგამდა.[1126]

ის ნაკვეთი, რომელსაც მონალექის სახით მიწა მიემატებოდა, იმის მსგავსი ნაწილი ხდებოდა, რასაც მიემატა.[1127] იუსტინიანეს დიგესტების მეექვსე წიგნში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სასარჩელო წარმოებისას, თუ ხდებოდა ასეთი მიწის მოთხოვნა, ეს მოთხოვნა გადადიოდა მონაყარ მიწაზეც.[1128] ძირითადი მიწის ნაკვეთი, მონალექ მიწასთან ერთად, ერთ მთლიან ნაკვეთად განიხილებოდა.

რომის სამართალი მსჯელობს მდინარესა და ზღვაში გაჩენილი კუნძულის შესახებ. კუნძულის წარმოქმნა მდინარის კალაპოტში სხვაგან მოწყვეტილი მიწის

[1121] *გაიუსის ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 70.

[1122] *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

[1123] *Пухта Г.Ф.,* Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874, 432.

[1124] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.-Петербург, 1956, 102.

[1125] *Бартошек, М.*, Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, М., 1989, 54.

[1126] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 102.

[1127] *იუსტინიანეს* დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, წიგნი მეექვსე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, თბ., 2014, 144.

[1128] იქვე.

ჩამოტანით ან კალაპოტის დაწევით შეიძლება მომხდარიყო. მდინარის შუა ნაწილში წარმოქმნილი კუნძული, რომის სამართლის თანახმად, მდინარის ორივე მხარის ნაპირზე არსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მფლობელების თანასაკუთრება ხდება.[1129] თუ კუნძული არა შუაგულში, არამედ რომელიმე ნაპირისკენ უფრო ახლოს მდებარეობს, მაშინ მას ის პირები დაისაკუთრებენ, რომლებიც სანაპირო მიწის ნაკვეთს ფლობენ,[1130] ხოლო „თუ მდინარე სადმე იყოფა და შემდეგ ქვევით ისევ ერთიანდება, რის შედეგადაც ვინმეს მიწის ნაკვეთს კუნძულად აქცევს, მიწის ეს ნაკვეთი“ იმ პირისაა, ვისაც ის მანამდე ეკუთვნოდა.[1131]

მიწის მფლობელი საკუთრებას მოიპოვებდა იმ ნივთებზეც, რასაც მდინარე მის მიწაზე გამორიყავდა,[1132] მაგალითად, ხის საშეშე და სამშენებლო მასალაზე. მდინარეთა ნამატზე სანაპიროს მეზობლების უფლებები კანონით იყო განსაზღვრული და დაუფლებას არ საჭიროებდა.[1133]

ამგვარად, დამშრალი კალაპოტი და მდინარეში წარმოშობილი კუნძული დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთებად ითვლებიან, განსხვავებით Alluvio-სა და avulso-სგან, რომლებიც ითვლებიან გაზრდილი სანაპირო ნაკვეთების შემადგენელ ნაწილებად. შესაბამისად, ამ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის განსხვავებული რეჟიმები მოქმედებდა. კუნძულის სანაპირო ზოლზეც იგივე ნორმები მოქმედებდა, როგორიც ხმელეთის მდინარეთა ნაპირზე.

[1129] *გაიუსის* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 71; *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, *სურგულაძე ნ.* ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*,, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

[1130] იქვე.

[1131] *იუსტინიანეს* ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

[1132] *კილასონია ი.*, საკუთრების უფლება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქუთაისი, 2004, 33. იხ. *Гарсия-Гаридо М.Х.* Римское частно право, М., 2005, 351.

[1133] *Дернбург Г.,* Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956, 103.

6.2. მონალექი ძველ ქართულ სამართალში

6.2.1. პირველი ცნობები მონალექის შესახებ

ძველ ქართულ სამართლის წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში მდინარის მონალექის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ იძებნება. თუმცა, მის შესახებ პირველი ცნობები უკვე უცხოელ ავტორთა შრომებში გვხვდება.

სტრაბონი წერდა, რომ მას გაგონილი ჰქონდა სვანეთში ოქროს მადნის მოპოვების შესახებ: „ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან[1134] ვერძზე.“[1135]

აპიანეს ცნობით, „კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირბეწვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექება.“[1136]

II საუკუნის ავტორი, გაიუს პინიუსის აღნიშნავდა, რომ „სვანეთსა და საერთოდ სახელმწიფოს“ მდინარეებში ოქროს აიეტის მემკვიდრე სავლაკი მოიპოვებდა.[1137]

წყაროებში ოქროს მოპოვება მდინარე ენგურის მყინვართა დნობით გამოწვეულ ადიდებას უკავშირდებოდა, რომელსაც მნიშვნელოვანი ქონებრივი შედეგები მოჰქონდა სვანეთში მცხოვრები მოსახლეობის, და, განსაკუთრებით, მმართველი ფენისთვის.

6.2.2. მონალექზე საკუთრების უფლების შეძენის წესები

ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა, ძველი ქართული სამართლის არცერთი ადგილობრივი ძეგლი არ ითვალისწინებს მონალექის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებებს. ვახტანგის სამართალიც ამ საკითხს „წყლის სამძღვრის ცილების“ ფარგლებში განიხილავს, რომლის შემადგენელი ორი მუხლიდან სამართლებრივ

[1134] ახ. წ-ის II საუკუნის ანონიმი ავტორი თვლიდა, რომ ოქროს საწმისი ცხვრის ტყავზე დაწერილი ქიმიის წიგნი იყო, რომელშიც ოქროს ქიმიური გზით მიღების წესებია მოცემული. ზარაქს პერგამონელის აზრით, ოქროს საწმისში ეტრატებში აღნუსხული ოქროდამწერლობის ხერხი იყო გადმოცემული. თუმცა სტრაბონის ცნობა უტყუარი უნდა იყოს, რადგან გეოგრაფის ბიძა, დედის ძმა, გარკვეული დროის მანძილზე კოლხეთსაც მართავდა და სტრაბონს რეალური ცნობები ექნებოდა ხელთ. იხ. *ჩაგუნავა რ.*, ოქროს საწმისი, საქართველოს ქალი, 2006, №1-2, 39.

[1135] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. *მელიქიშვილი გ.* (მთ. რედ.), საბჭოთა საქართველო, თბ, 1970, 324. შეად. Strabo, XI, 2, 19.

[1136] *გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ.,* ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005, 6. შეად. აპიანე, მითრიდატეს ომები, 103.

[1137] იქვე, შეად. NH, XXXIII.

ნორმებს მხოლოდ ერთი, 184-ე მუხლი შეიცავს. 185-ე მუხლის სათაურად გამოტანილი „მეწყერი რომ მოგლეჯდეს“, მხოლოდ სჯულმდებლის სურვილს ასახავს, სამართლებრივად მოეწესრიგებინა ეს საკითხი, ვინაიდან ამ მუხლში იურიდიული ნორმები შეტანილი საერთოდ არ არის. როგორც ი. დოლიძე განმარტავს, მის ტექსტს ამ სამართლის წიგნის არცერთი სხვა ხელნაწერი ხელნაწერი შეიცავს.[1138]

საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის წყაროები, ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიები, მცირედით ავსებენ ამ ხარვეზს. აქვე შევნიშნავთ, რომ მონალექის საკითხში ბერძნულ სამართლის შესაბამისი ნორმები რომის სამართალს ეყრდნობა. სამართლის 269-ე მუხლი „ზღვის კუნძულისა და მდინარისათვის“ რამდენიმე სამართლებრივ ნორმას მოიცავს, მაგალითად, ბერძნული სამართლის ეს ვერსია იცნობს ოკუპაციის უფლებას ზღვის კუნძულის შუა ნაწილზე: „კუნძული, რომელიცა იქმნების ზღვაში, შუაზედ ალაგი დარჩების, ვინცავინ იმ შუაზედ ალაგს პირველად დაიჭერს, ის ალაგი მისი იქნება და სხვას ხელი არავისა აქუს“.[1139] ნიშანდობლივია, რომ 269-ე მუხლის მდინარის წყალმცირობისა თუ კალაპოტის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების მომწესრიგებელი ნორმები შინაარსობრივად თანხვედრაშია იუსტინიანეს ინსტიტუციების შესაბამის დანაწესებთან, თუმცა ზღვაში წარმოშობილი კუნძულის დასაკუთრების წესს განსხვავებულად არეგულირებს. იუსტინიანეს ინსტიტუციების მეორე წიგნის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, „კუნძული, რომელიც ზღვაში წარმოიშვა, რაც იშვიათად ხდება, იმას ეკუთვნის, ვინც მას დაეუფლება, რადგან ითვლება, რომ იგი არავის ეკუთვნის“.[1140] ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის ტექსტში ზღვაში კუნძულის წარმოშობის შესახებ, სრულიად უადგილოდ მოჩანს კუნძულის მხოლოდ „შუა ალაგის“ მიკუთვნების საკითხის მოწესრიგება, მაშინ როცა წყარო არაფერს ამბობს კუნძულის დანარჩენი ნაწილების მითვისების შესახებ, მაგალითად, როგორი იყო სანაპირო ზოლის დასაკუთრების წესი. კუნძული წარმოადგენს ერთიან ობიექტს და ოკუპაციის უფლებით, მთელი კუნძული მისი მიმთვისებლის ხდებოდა. მიგვაჩნია,

---

[1138] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963, 527.

[1139] ბერძნული სამართალი, *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963, 190.

[1140] *იუსტინიანეს ინსტიტუციები*, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ*, მერიდიანი, თბ., 2002, 57.

რომ ბერძნულის სამართლის 269-ე მუხლის პირველი ნორმა შეიცავს შინაარსობრივ უზუსტობას, რომელიც გადამწერის, მთარგმნელის ან, თუნდაც, შემდგენელის შეცდომას შეიძლება მიეწეროს.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 269-ე მუხლის ერთ-ერთი ნორმა, იუსტინიანეს ინსტიტუციების მსგავსად, ასევე მსჯელობს მდინარის დინების თავისებურებაზე, რაც კალაპოტის ორ ნაწილად გაყოფაში მდგომარეობს. ამის საფუძველზე, ის ადგენს მდინარის შუაში წყლის ბუნებრივი დაწრეტისას გამოყოფილი ადგილის მიკუთვნების შემდეგ წესს: „ვისიც გაღმით და გამოღმით სოფლებია, ორთავ შუა უნდა გაიყონ ის ალაგი“ (269-ე მუხ.).[1141] მდინარის შუა წელის ხმელეთზე, მისი მოსაზღვრე სოფლები, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები, საკუთრების უფლების თანაბარ წილს შეიძენდნენ მიწაზე. საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ახლად გამოყოფილი მიწის ადგილმდებარეობაა. შესაბამისად, თუ მდინარე ისევ დაფარავდა ამ ხმელეთს წყლით, სოფლების საკუთრების უფლება მასზე შეწყდებოდა.

ამავე მუხლით, მოწესრიგებულია უფლების მოპოვების საკითხი ისეთი მოცემულობის დროს, როდესაც მდინარე კალაპოტიდან რომელიმე სოფლის მხარეს მივარდებოდა და ამის გამო მეორე მხარის ნაპირს ხმელეთი მიემატებოდა. ბერძნული სამართალი ასეთი ნამატის ახალ მესაკუთრედ იმას მიიჩნევს, ვის მიწასაც წყლის დინების ცვლილების გამო ახალი მიწის ნაკვეთი შეემატა. კანონმდებელი განმარტავს, რომ ეს უფლება, შესაძლებელია, სულაც დროებითი იყოს, რადგან: „წყალს სარწმუნოება არა აქუს, დღეს იქით გარდავარდა, ხვალ აქეთვე გადმოვარდება“.[1142]

წყლის ამ ბუნებას ითვალისწინებს ვახტანგის სამართალიც, თუმცა დამდგარი შედეგის შეფასებისას ის ბერძნული სამართლისგან განსხვავებულ, საპირისპირო შეხედულებას გამოხატავს. მისი სამართლის 184-ე მუხლის პირველი ნორმა ამგვარად არის ფორმულირებული: „იქნების და ქნილა, მდინარემ წყალმა ძველი ნადენი ალაგი დააგდოს, ხან იქით გარდავარდეს და ხან აქეთ, და ამაზე ცილება მოჰÃდეს, ჩვენი სამძღვარი წყალი არისო და რაც ჩემკენ დარჩა, ჩემი არისო. მაგრამ ამით სამძღვარი არ შეიშლების. როდესაც თაობიდან ამ მდინარის პირს აშენებულა, გაღმა თუ გამოღმა,

[1141] ბერძნული სამართალი, *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი).
[1142] იქვე.

სადაც მაშინ წყალს უდენია და ამ სოფლებს იმ წყლის პირამდი სჭერია, ისრევ უნდა ეჭიროსთ“.[1143]

ნორმის შინაარსი აჩვენებს, რომ ვახტანგი უგულებელყოფს წყლის კალაპოტის ცვლილებით გამოწვეულ ახალ გარემოებას და იცავს მდინარის მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელთა ქონებრივ უფლებებს ზუსტად იმ ფარგლებში, რომლებშიც ის მათ „თაობიდამ“ უჭირავთ. ამ შემთხვევაში, საზღვრის უცვლელობის საფუძველს წარმოადგენდეს ორი გარემოება. პირველი მიზეზი ისაა, რომ ეს ნაკვეთები მემკვიდრეობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეჭირათ მფლობელებს და მათ შორის საზღვრის მოშლას ბუნებრივი მოვლენების გამო, კანონმდებელი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, და, მეორე მხრივ, – მდინარის კალაპოტის ხშირი ცვლილების გამო, ყოველ ჯერზე წარმოშობილი დავის განხილვა სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ წყლის გადაგდება ნებართვის გარეშე აკრძალული იყო და სასჯელს ითვალისწინებდა. მაგალითად, ბიჭვინთის იადგარით, ვინც კათალიკოზის უკითხავად ბიჭვინთის წყალს ინადირებდა „მოსადებლითა“, ანუ მდინარეს კალაპატს ხელოვნურად შეუცვლიდა, ოცი ათასი თეთრი საყდრისთვის უნდა დაეურვებინა.[1144]

6.2.3. კანონის ანალოგია – საკუთრების უფლება წიაღისეულზე

ნაშრომის შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ დასაშვებად მიგვაჩნია მსჯელობა, მონალექ მიწას შერეულ ძვირფას ლითონსა და სხვა ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენაზე კანონის ანალოგიით გავრცელდეს ის სამართლებრივი ნორმები, რაც წიაღისეულზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად იყო განსაზღვრული.

მხითარ გოშის სამართალი ნებისმიერ ადგილზე, ქალაქსა თუ სოფელში „გამოჩენილი“ ქანებისა თუ სხვა ნივთიერებების მესაკუთრედ მეფეს, დედოფალს და ზოგჯერ თავადებს ასახელებს.[1145] მეფეს ეკუთვნის ოქრო და თვალმარგალიტი, დედოფალს – ვერცხლი, თუ ეს ძვირფასი ქანები სათავადოში გამოჩნდებოდა, მეფეს

[1143] სამართალი ბატონიშვილის *ვახტანგისა, ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963, 527.

[1144] ბიჭვინტის იადგარი [1525-1550 წწ.], ქსძ, II, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), მეცნიერება, თბ., 1965, 182.

[1145] სამართალი *მოსესი, მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963, 289.

თავისი სურვილით შეეძლო თავადისთვის წილი მიეცა, ან უკლებლივ თვითონ აეღო; სპილენძი, კალა, რკინა, მარილი, შაბი, ბორაკი, ნავთი და კუპრი თავადების იყო, „დიდის წყალობით და პატივისცემით Ãელმწიფისაგან“, რისთვისაც თავადებს მადლიერება უნდა გამოეხატათ მეფის მიმართ.[1146] ეს მადლიერება, ალბათ, მეფისთვის წილის მიცემაში გამოიხატებოდა. გოგირდი, საკმელი, გუნდა, ჯაოზი და სხვა ამგვარი ნივთიერებებით სარგებლობა და ვაჭრობა ყველასთვის დასაშვები იყო. აქვე აღნიშნულია, რომ მათ შეუძლიათ „იათისთაონ“, ანუ ვაჭრობისას ფასნამატად მეათედი განსაზღვრონ.

საკუთრების ამ ობიექტებს შორის დასახელებული თვალმარგალიტი მარტო ზღვაში ან ზღვის ნაპირზე მოიპოვება. რომის სამართლისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ზღვის ნაპირზე ნაპოვნი ძვირფასი ქვები და მარგალიტები, ბუნებითი სამართლის საფუძველზე მაშინვე მპოვნელის საკუთრება ხდებოდა,[1147] ფეოდალური სამართალით მათზე საკუთრების უფლება მხოლოდ ქვეყნის მთავარ მეპატრონეს, მეფეს ჰქონდა.

იოანე ბატონიშვილის სჯულდებით, წიაღისეულის მოპოვება ან მეფეს უნდა ეწარმოებინა თავისი ხარჯით, ან იჯარით უნდა გაეცა. მიღებული მადანი, იქნებოდა ეს ოქრო, ვერცხლი თუ სპილენძი, შუაზე უნდა გაეყოთ, მუშების ხარჯი კი მოიჯარეს უნდა გაეწია.[1148]

წიაღისეულიდან შემოსავალი მნიშვნელოვანი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროთა მმართველებისთვის. სოლომონ მეორეს ერთ-ერთი პირველი სათხოვარი რუსეთის იმპერატორისადმი იყო ის, რომ იმერეთში მოპოვებულ-დამუშავებული ყველა მადნიდან – ოქრო იქნებოდა ეს, ვერცხლი თუ სხვა ნებისმიერი, მეფე წილის გარეშე არ დარჩენილიყო.[1149]

[1146] სამართალი *მოსესი, მხითარ გოშის* სამართლის ვერსია, *ვახტანგ* VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963, 290.

[1147] *იუსტინიანეს დიგესტები,* რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ნ. სურგულაძემ,* ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, თბ., 2012, 109.

[1148] *იოანე ბაგრატიონი,* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), *სურგულაძე ივ.* (მთ. რედ., შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი), სსთსუ გამომცემლობა, 1975, 8.

[1149] მუხლნი სათხოვარნი *სოლომონ II-ისა ალექსანდრე I-სადმი* იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ [1804 წ.], ქსძ, II, *დოლიძე ის.* (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1965, 561.

6.2.4. კლიმატის გავლენა მონალექზე

სხვა პირველწყაროები მონალექის შესახებ თითქმის არ მოიძებნება და არც სამართლის ისტორიის მკვლევართა მიერაა ეს თემა შესწავლილი. ლიტერატურაში გაბნეული ცნობები დასავლეთ საქართველოს მდინარეების – რიონის, ტეხურასა და ცხენისწყლის, ასევე ქვემო ქართლში, მდინარე მაშავერას კალაპოტებში მონალექ ქვიშაში ოქროს შემცველობის შესახებ, საკითხის შესასწავლად არასაკმარია. შესაბამისად, აუცილებელია გაირკვეს, რატომ უთმობდნენ ასეთ მცირე ყურადღებას კანონმდებლები მიწის მონალექის რეგულირების საკითხს და რატომ არ გამომუშავდა მდინარეებით მდიდარ ქვეყანაში თუნდაც შესატყვისი ხასიათის ადათები. ამ მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებსაც: ნალექების სიხშირე, მოცულობა და მდინარეთა ბუნება, ქმნიდნენ თუ არა ეს გარემო ფაქტორები აუცილებლობას, ჩვეულებით სამართალს მაინც შეევსო მდინარის მონაყარი მიწის შესახებ არსებული მწირი საკანონმდებლო სივრცე.

დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თავსხმა წვიმები, რომლებიც უფრო ადგილობრივი ხასიათისაა, მიუხედავად მათი მოკლე ხანგრძლივობისა, საკმაო ზიანს აყენებდნენ მცირე მდინარეების ხეობებს, მაგალითად, თბილისის ტერიტორიაზე ხშირად წამოიშობოდა ღვარცოფები, ასევე მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირებზე.[1150] მაგრამ დიდ მდინარეთა წყალმოვარდნისთვის მთავარი მნიშვნელობა ხანგრძლივ და დიდ ტერიტორიაზე გაშლილ ნალექს ჰქონდა.[1151] წყალდიდობა-ნიაღვარი გავრცელების ტერიტორიის მხრივ დამოკიდებულია წვიმების ხანგრძლივობაზე, ვიდრე ხანმოკლე დროის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობაზე. ასეთი წყალდიდობა და წარმოქმნილი ნიაღვრები დიდ ზიანს აყენებდა მდინარის ნაპირებს და აცლიდა მიწას, რომელიც მონაყარის სახით სხვა ტერიტორიაზე გადაჰქონდა.[1152] ასეთი წვიმებით განსაკუთრებით ზარალდებოდა დასავლეთ საქართველო, რადგან აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, თავსხმა წვიმები აქ გაბმულ და გარშემო მოდებულ ნალექებში გადადის.[1153] ი.

[1150] *კორძახია მ.*, ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვსგი შრომები, სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი 1, 1948, 59.

[1151] იქვე; იხ. *Фигуровский Н.* Ливны на Кавказе, М., 1928.

[1152] *კორძახია მ.*, ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვსგი შრომები, სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი 1, 1948, 61.

[1153] იქვე.

მეგრელიძის დასკვნით, დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით წყალუხვი მდინარეებია: „ბზიფი, კოდორი, ენგური, ცხენისწყალი, რიონი და მისი შენაკადები“, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე მტკვარი და მისი შემდეგი შენაკადები: „დიდი ლიახვი, არაგვი, ალაზანი, იორი, ფარავანი, ქცია-ხრამი და სხვა“.[1154] მთის მდინარეთა ბუნების კვლევამ, მაგალითად, თუშეთში აჩვენა, რომ წყალდიდობა მხოლოდ თოვლიანი და ყინულოვანი წყლების ხარჯზე ფორმირდებოდა თუშეთის ალაზანსა და პირიქითის ალაზანში.[1155] მასში ზაფხულის სეზონების ნალექიც კი არ იწვევს ჩამონადენის საგრძნობ ზრდას.[1156] მონალექის ჩამოტანა უფრო იმ მდინარეებზე ხდება, რომლებსაც ვარდნის საკმარისი დაქანება აქვთ; ასეთია, ენგურის, ხობისწყლის, ოჩხომურასა და ტეხურას შორის მდებარე წყალგამყოფები.[1157] გამორკვეულია, რომ გრანიტული ქვარგვალები ენგურის ძლიერი დინების მიერაა სამეგრელოში ნალექების ნაშალი მასალის სახით ჩამოტანილი.[1158]

როგორც საქართველოში სტიქიური მოვლენების მკვლევარი ი, მეგრელიძე აღნიშნავს, „საქართველოს მოსახლეობა უძველესი დროიდან განიცდიდა წყალმოვარდნების ზემოქმედებას, მაგრამ მოსახლეობის მცირე სიმჭიდროვის გამო დიდ პრობლემას ვერ უქმნიდა“, განსხვავებით ახლანდელი მოცემულობისა, რაც მდინარეებთან ახლოს ინტენსიური დასახლების თავმდევი შედეგია.[1159] თუმცა, სოფლების გარკვეული ნაწილის წყალუხვი მდინარეების სანაპიროების გასწვრივ განსახლება მათ აუცილებლად მოუტანდა გარკვეულ ზიანს და სარგებელსაც.

[1154] *მეგრელიძე ი.*, საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, დისერტაცია, თბ., 2021, 33. <https://tsu.ge/assets/media/files/shares/test%20folder/zustebi/Biblioteka/sadoqtoro_naSromebi/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98.pdf >[20.02.2022]

[1155] *ვლადიმიროვი ლ.*, თუშეთის მდინარეთა ჩამონადენის გამოკვლევისთვის, სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957, 311-312.

[1156] იქვე, 313.

[1157] *ვახანია ე.*, კოლხიდის სერიის ასაკის შესახებ, სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957, 318.

[1158] იქვე, 319.

[1159] *მეგრელიძე ი.*, საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, დისერტაცია, თბ., 2021, 33. <https://tsu.ge/assets/media/files/shares/test%20folder/zustebi/Biblioteka/sadoqtoro_naSromebi/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98.pdf >[20.02.2022]

ამდენად, ეროვნული სამართლის ძეგლებიდან, მხოლოდ ვახტანგის სამართალს, ისიც ნაწილობრივ, ჩაუთვლია საჭიროდ სპეციალური მოწესრიგების საგნად გაეხადა მონალექი. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს არც უცხოურიდან ნათარგმნი ძეგლები უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ვფიქრობთ, ვახტანგის სამართლის შესაბამისი დებულების წყარო უნდა იყოს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლი, რომელიც ვახტანგს თავისი ნორმის საფუძვლად გაუხდია. რაც შეეხება მონალექის მიერ გამოტანილ ნივთებს, შესაძლებელია მათზე გავრცელებულიყო ნაპოვარის, უპატრონო ნივთებისა და წიაღისეულისთვის დადგენილი ნორმები ნივთების სამართლებრივი ბუნების შესაბამისად.

დასკვნა

სამხედრო ნადავლი საკუთრების უფლების შეძენის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოში, განსაკუთრებით, საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლამდე. მტრის კუთვნილი ნივთები უპატრონო ქონებად მიიჩნეოდა და მათი დაუფლება საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერ გზას წარმოადგენდა. სამხედრო ნადავლის უმთავრესი სუბიექტი მონარქია და მხოლოდ სახელწიფოს მიერ სანქცირებული ლაშქრობით მოპოვებული ქონება ითვლებოდა საკუთრების უფლების შეძენის გზად. თავდაპირველად, მხოლოდ ის ნადავლი ითვლებოდა კანონიერად, რომელსაც უცხო ხალხის დამარცხების შედეგად ისაკუთრებდნენ. XVIII საუკუნეში კი, ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, სამხედრო რაზმის მიერ სამხედრო დამნაშავედ მიჩნეული პირების ქონების მორბევით მიღებული ნადავლიც ნაწილდებოდა.

სამხედრო ნადავლის აღმნიშვნელ ტერმინთა შორის, მის ბუნებას ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს „ხრმლით ნაშოები“, რომელიც მოძრავი და უძრავი ალაფის გამომხატველი სიტყვაა. დადგინდა, რომ არაუგვიანეს XIII საუკუნისა, ამ ტერმინით აღინიშნებოდა ომში მოპოვებული მოუდევარი საკუთრება, რომლის შეცილების უფლება უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფალსაც არ ჰქონდა. ამასთან, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ქონება თავად მესაკუთრის მიერ იყო მოპოვებული თუ სხვისგან შეძენილი. აქ უმთავრეს გარემოებას ის წარმოადგენდა, რომ ნადავლს გარკვეული დროის განმავლობაში შეუცილებლად ფლობდა მისი მომპოვებელი, რის გამოც ის მალევე მტკიცე საკუთრება იქცეოდა.

მეფის წილს ლაშქრის მიერ მოპოვებულ ნადავლში ფანჯიაქი ეწოდებოდა. ის შეადგენდა მთელი ნადავლის მეხუთედ ნაწილს, რომელშიც ქონებრივი ინტერესები ჰქონდა ჯარის სარდლობას. მეფის ფანჯიაქიდან გამოსაყოფი წილი დამოკიდებული იყო დიდ სამხედრო ფეოდალთა სახელოსა და წოდებრივ მდგომარეობაზე. მაგალითად, გამოიყოფოდა ამილახორის, სახლთუხუცესთა, რუსთავის სადროშოს და მოურავთა წილი. ნადავლის გაყოფისას, მეფეს, პირველ რიგში, წარედგინებოდნენ დამარცხებული მტრის სარდლები, შემდეგ მათი საბრძოლო დროშები, რომლებიც განსაკუთრებულ ალაფად ითვლებოდა. გაერთიანებული საქართველოს პირობებში, მეფე ნადავლის მეხუთედს ნებისმიერ შემთხვევაში იღებდა, ახლდა თუ არა ის

ლაშქარს ბრძოლაში. გარდა ამისა, მეფეს ეკუთვნოდა ნადავლის განსაკუთრებით ძვირფასი ნივთები. გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში კი, მეფის წილი ზოგჯერ ნაალაფარი ძვირფასეულობით განისაზღვრებოდა, ხოლო დანარჩენი ნაშოვარი რიგითი მოლაშქრეების. მათვე ეკუთვნოდათ ასევე პირადად დამარცხებული მოწინააღმდეგის ცხენი და სამხედრო აღჭურვილობა. ამასთან, ნადავლის გაყოფისას, არ უნდა ყოფილიყო „შურიანობა“ და წილის გარეშე არ უნდა დარჩენილიყო არც ის მეომარი, რომელიც მტერს ალაფს ვერ აართმევდა, მაგრამ ჯარს გარკვეულ სამსახურს უწევდა. რიგით მოლაშქრეთა ფენას შუასაუკუნეების საქართველოში, მეფისა და ერისთავების დაქვემდებარებაში მყოფი თავისუფალი მიწათმოქმედები შეადგენენ, რომლებიც ე.წ. „მდაბიორ-მოლაშქრეებად“ იწოდებიან. სამხედრო ორგანიზაციის თავისებურებებიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნისა და ადგილობრივი დაქირავებული მოლაშქრეები უფრო მეტად გასამრჯელოზე იყვნენ დამოკიდებულნი და ნადავლში წილი ნაკლებად ედოთ.

ნადავლის აღებისას არსებობდა გარკვეული აკრძალვები და შეზღუდვები, რაც რელიგიური და მორალური თვალსაზრისით გამართლებულად მიიჩნეოდა. მაგალითად, მტრისთვის საცვლების გახდა.

ძველი ქართული სამართალი ნადავლზე შეცილებისას ჭრილობის კარგად შესწავლას და საქმის ისე გადაწყვეტას მოითხოვდა. თუ ეს ვერ ხერხდებოდა, მოწმის ჩვენებასა და ფიცს მიმართავდნენ. ასევე, ცნობილი იყო ალაფზე დაფიცების წესი, რომელიც ზოგჯერ მძიმე ფიცითაც სრულდებოდა. ალაფზე დაფიცების მიზანი იყო ან უკანონო ალაფის ოდენობის დადგენა, ან კიდევ ალაფის კანონიერების გარმორკვევა. ცნობილია, ასევე ალაფის უნახშიროდ შექცევა.

ტყვეთა სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული იყო იმაზე, ტყვე ქრისტიანი იყო თუ უცხო რჯულის. თუმცა, საკუთრების უფლების შეძენა ტყვეზე მაინც პირობითი იყო, რადგან ტყვეს უფლება ჰქონდა თავი გამოესყიდა, თუ ამის საშუალება მას ჰქონდა. ომში დატყვევებული უფლებლებრივად ნასყიდ ტყვეს უთანაბრდებოდა, რაც ნასყიდობიდან სამი წლის შემდეგ გათავისულებას ითვალისწინებდა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ტყვეთა ერთობლივად გათავისუფლების ფაქტებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა უკავშირდება უფლისწულ ლაშა-გიორგის დაბადებას.

ნადირობა საკუთრების მოპოვების უძველესი და უმნიშვნელოვანესი გზაა, რომელიც მომპოვებლობითი მეურნეობის თავდაპირველ სახეს წარმოადგენს. საქართველოში სამონადირეო საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობდა შესაფერისი ბუნებრივი პირობები. ასევე ის გარემოება, რომ მეფის სანადირო ადგილთა გარკვეული ნაწილით სარგებლობის უფლება გლეხებსაც ჰქონდათ მინიჭებული და მთიან რეგიონებში კი სათემო მიწები, ძირითადად, საერთო საკუთრებაში იყო, ნადირობისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. კვლევამ აჩვენა, რომ ნადირობა, ძირითადად, კოლექტიური ხასიათის იყო და ნანადირევიც, მცირე გამონაკლისების გარდა, თანასწორად გაიყოფოდა.

ნადირობის მნიშვნელობას ადასტურებს ქართული ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი, რაც აჩვენებს, რომ გარეული ნადირის, ფუტკრისა და მისი პროდუქტის, ასევე თევზის მოპოვების ფორმები და მეურნეობის ამ დარგებთან დაკავშირებული მომპოვებლობის წეს-ჩვეულებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობის მჭიდრო ისტორიულ ერთობაზე მიუთითებს.

გამოკვების ფუნქციის გარდა, ნადირობას სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაძლიერების ფუნქციაც მიენიჭა. აღსანიშნავია ლაშქარ-ნადირობის ტრადიცია, რომელიც მშვიდობიანობის დროს ქვეყნის ომისთვის მომზადებას გულისხმობდა. ლაშქარ-ნადირობა ქვეყნის სამხედრო ფენის სალაშქრო ვალდებულებას წარმოადგენდა. ასეთი ნადირობა იმართებოდა საახალწლოდ და ზოგჯერ გაზაფხულის პერიოდამდეც გრძელდებოდა, თუ ამის შესაძლებლობას ქვეყნის მდგომარეობა იძლეოდა.

ძვ.წ.-ით IV საუკუნეში კოლხების მეურნეობაში შინაური მეფუტკრეობის ფართო წილი იმაზე მიუთითებს, რომ ტყიური მეფუტკრეობა გაცილებით ადრე უნდა ქცეულიყო მათი სამეურნეო ყოფის შემადგენელ ნაწილად. ტყიური მეფუტკრეობის თავდაპირველი საფეხური თაფლისა და ცვილის მოპოვებაა - ე.წ. „თაფლის გატეხვა“, ხოლო ტყეში მოპოვებულ ფუტკრის ნაყოფზე მომპოვებლის გვარისა თუ სოფლის საერთო საკუთრება იკვეთება, რაც თემური საკუთრების ფორმისთვის არის დამახასიათებელი. ტყიური მეფუტკრეობის სახეები, კლდის მეფუტკრეობა და ხეფუტკარა, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით იკვეთება.

დაკარგული ნივთების პოვნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები იცავენ დამკარგავის უფლებებს. თუ უსულო ნივთების შემთხვევაში სხვადასხვა სამართლის წიგნები დასაშვებად მიიჩნევენ საკუთრების უფლების სრულად ან ნაწილობრივ შეძენას ნაპოვნ ნივთზე, პირუტყვის პოვნის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მპოვნელის უფლება ნაპოვარზე არ წარმოშობს საკუთრების უფლების შეძენის შესაძლებლობას და ის უფრო მტკიცე მფლობელობას უტოლდება. გარდა ერთი, დავით ბაგრატიონის სამართლის პროექტის 70-ე, ირაო საქონელთან დაკავშირებული ნორმისა, არცერთი სამართლის წიგნი გამოხატავს იმგვარ პოზიციას, რომ ნაპოვნ შინაურ ცხოველზე მპოვნელის მხრიდან საკუთრების უფლების მოპოვებაზე ვისმჯელოთ. საკანონმდებლო ძეგლების ნორმათა ანალიზი აჩვენებს, რომ პირუტყვზე ვრცელება კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები და მას ნივთის შენახვისა და მოვლის კანონისმიერი ვალდებულება მისი არსებობის ბოლომდე არ უწყდება.

ნაპოვარზე უფლების მოსაპოვებლად განმსაზღვრელი იყო ნივთის აღმოჩენის ადგილი. სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა საკუთარ, სხვის ქონებაში, ახლად შეძენილ, მიწასა თუ წყალში ნაპოვნ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვებას. ნაპოვარზე საკუთრების უფლების მოცულობა სრული მხოლოდ საკუთარ ქონებაში ნივთის აღმოჩენისას იყო. სხვა შემთხვევებში, წილის მოცულობა დამოკიდებულია მპოვნელისა და ნაპოვნი ნივთის აღმოჩენის ადგილის მესაკუთრეთა იერარქიასა და პოვნის სირთულეზე. მპოვნელი, ძირითადად, ნაპოვარის ნახევარს, მესამედს ან მეხუთედს იღებდა, დანარჩენი ადგილის მესაკუთრისაა. დამკარგავის გამოჩენისას, მპოვნელს ნაპოვარის პოვნის ჯილდო, იგივე საპოვნელო ეკუთვნოდა. ის, უმეტესწილად, შეადგენს ნივთის ღირებულების მეხუთედს, მეშვიდედს ან მეათედს. როგორც წესი, პოვნის ჯილდო, ანუ საპოვნელო ნაკლებია, თუ ნივთი აღმოჩენილია პარტახ მიწაზე, ან ის ომიანობის დროს იყო დამალული. პოვნის ჯილდოს კეთილსინდისიერი ქცევისთვის, ნაპოვარის გამოჩენის გამო ადგენდა კანონმდებელი. თუმცა, ეს ოდენობა ყოველთვის მოცემული არ იყო. მაგალითად, აღბუღას სამართალში განსაზღვრულია ნაპოვარის შესატყვისი საპოვნელოს გაცემა რაოდენობის დასახელების გარეშე. ნაპოვარზე საკუთრების უფლების შეძენისას, ზოგიერთ შემთხვევაში, მპოვნელი ვალდებული იყო ნაპოვარის გადასახადი გადაეხადა მეფის ხაზინისთვის.

კვლევამ დაასაბუთა, რომ განსხვავებით რომის სამართლისგან, რომელშიც მდინარის მომიჯნავე ნაკვეთების მფლობელთა უფლებები დამოკიდებული იყო იმაზე, რა სახის იყო მონალექი, რომელ ადგილზე გაიყოფოდა ხმელეთი, შუაში თუ რომელიმე ნაპირისკენ უფრო ახლოს, მდინარის მეორე მხარეს მივარდნის გამო, ვახტანგის სამართალი არ ითვალისწინებს მდინარის კალაპოტის ცვლილებით გამოწვეულ ფაქტორებს და ამის გამო მომიჯნავე ნაკვეთებზე უწინდელისგან განსხვავებული უფლებას არ დადგენას. რაც შეეხება მონალექის მიერ გამოტანილ ნივთებს, სავარაუდოა, მათზე გავრცელებულიყო ნაპოვარის, უპატრონო ნივთებისა და წიაღისეულისთვის დადგენილი წესები ნივთების სამართლებრივი ბუნების შესაბამისად.

ვფიქრობთ, საკუთრების უფლების მოპოვების თავდაპირველი წესების შესწავლისას გაწეული კვლევა და მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია ძველი ქართული საკუთრებითი ურთიერთობების შესასწავლად.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება“, თბ., 1973.
2. აბულაძე, ი., ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, ეზრა თ, 4, მეცნიერება, თბ., 1970.
3. ალავერდაშვილი ქ., შესაწირავი გულ-ღვიძლის სიმბოლიკა, კლიო, 1999, № 5.
4. ანდერძი დავით აღმაშენებლისა [1125 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ, 1965.
5. ანდრონიკაშვილი მ., არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 105, თბ., 1965.
6. ანთაძე ლ., საკუთრების უფლება და მისი სახეები ძველ ქართულ სამართალში, საისტორიო ვერტიკალები, თბ., 2016, 33.
7. ანთელავა ილ., XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, განათლება, თბ., 1980, 13.
8. ანჩაბაძე, გ., საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე), ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.
9. ბალიაური მ, მაკალათია ნ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1989.
10. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1, ფშავი, თბ., 1974.
11. ბერძენიშვილი მ., საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970..
12. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1953.
13. ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004.
14. ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშაველები, თბ., 1988.
15. გაბაშვილი ვ., არაბთა სახალიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957.
16. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005.

17. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, არტანუჯი, 2005.
18. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, მერიდიანი, 2013.
19. გარიშვილი მ., ხოფერია მ., საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, მერიდიანი, 2014.
20. გეგეშიძე ე., ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა (არაგვისა და ქსნის ხეობის მასალების მიხედვით), სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949.
21. გვრიტიშვილი ლ., საკუთრების ერთი ფორმის სახელწოდებისთვის ფეოდალურ საქართველოში („Ãრმლით ნაშოები“), სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 63, №2, მეცნიერება, თბ., 1971.
22. გოგუაძე ნ., „ნეემიას წიგნის“ ძველი ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბ., 1971.
23. გორგაძე ალ., საქართველოს XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები, სახელგამი, 1927.
24. გურგენიძე გ., სამეურნეო საქმიანობისა და მისი აღრიცხვის საკითხები იოანე ბატონიშვილის შრომებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 112, 1965.
25. გუჯეჯიანი რ,., მეფუტკრეობა, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თოფჩიშვილი რ. (მთ. რედ.), თბ., უნივერსალი, 2010.
26. დავითაშვილი გ., ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, კეკელია მ. (მთ. რედ.), 2, მეცნიერება, თბ., 1990.
27. დავითაშვილი გ., ზოიძე ო., მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, კეკელია მ. (მთ. რედ.), მეცნიერება, 1991.
28. დავითაძე ა., მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ხის იარაღი-ინვენტარი აჭარაში, სდსმყკს, I, 1973.
29. დამჩიძე ხ., ქართლ-კახური საცეკვაო დიალექტი, პირველი ნაწილი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, №88, 2022.
30. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
31. დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., სსთსუ გამომცემლობა, 1960.

32. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1953.
33. ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963.
34. ვახანია ე., კოლხიდის სერიის ასაკის შესახებ, სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957.
35. ვლადიმიროვი ლ., თუშეთის მდინარეთა ჩამონადენის გამოკვლევისთვის, სსსრმ აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1957.
36. ვოლფი მ. ველენჰოფერი მ., სანივთო სამართალი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2016.
37. ზარანდია თ., საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი. შედარებითსამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სსუ შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. V, 2008.
38. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მერიდიანი, 2019.
39. ზარანდია თ., ჯუღელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012.
40. ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი, საუნჯე, თბ., 2014.
41. ზოიძე ბ., ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, წიგნი I, მერიდიანი, 2010.
42. ზოიძე ბ., მფლობელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, 2004.
43. ზოიძე ბ., საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (ნაპოვარი და განძი), ქართული სანივთო სამართალი, დანართი №1 (სტატია), მეცნიერება, თბ., 2003.
44. ზოიძე ბ., საკუთრების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში (Ãრმლით ნაშოები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998.
45. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეცნიერება, თბ., 2003.

46. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), უფლება, თბ., 2000.
47. ზოიძე ო., საკუთრების სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, კეკელია მ. (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993.
48. ზურაშვილი მ., ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი (სამონადირეო წეს-ჩვეულებების მიხედვით), არტანუჯი, თბ., 2009.
49. თაბუაშვილი ა., ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, კოლორი, თბ., 2020.
50. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, I, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, 1920.
51. თაყაიშვილი ე., სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, ნაწ. I, პარიზი, 1929.
52. თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ჭანტურია ლ. (რედ.), თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ. (ავტ.), II, თბ., 2018.
53. თოფჩიშვილი, რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, უნივერსალი, თბ., 2007.
54. თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2010. იხ. <http://eprints.iliauni.edu.ge/393/1/Book.%20Introduction%20in%20Private%20Law%20I%20second%20redaction%20for%202010.pdf> [15.03.2020]
55. იერინგი რ., ბრძოლა ულებისთვის, ბონა კაუზა, ნანობაშვილი ზ., ბაქრაძე ი. (მთარგ.), თბ., 2014.
56. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
57. იოსელიანი, ხ., სამხედრო ეტიკეტის საკითხები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV, თბ., 2012.
58. კანდელაკი მ., ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისთვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, თბ., 1975, 114.
59. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტურის გამომცემლობა, ეშსი, თბ., 2009.
60. კიკვიძე ა., სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949.

61. კილასონია ი., საკუთრების უფლება რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, ქუთაისი, 2004.
62. კლიმიაშვილი ა., მორიგე ლაშქრის საკითხისთვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, კრებული: მოამბე, V, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963.
63. კოინგი ჰ., „უფლების“ ცნების ისტორიისთვის, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011.
64. კოპალიანი მ., საკუთრების უფლების წარმოშობის გზები ძველი რომაული, ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, თბ., 2015.
65. კორძახია მ., ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვსგი შრომები, სსსრმ აკადემიის გამომცემლობა, ტ. III, ნაკვეთი 1, 1948.
66. ლომიძე ვ., საკუთრების უფლების შეძენის წყაროები ქართულ სამართალში (განძი, ნაპოვარი, შეძენითი ხანდაზმულობა), დისერტაცია, 2004, 18.
67. მაკალათია ს., ახალწელიწადი საქართველოში, სახელგამი, თბ., 1927.
68. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
69. მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985.
70. მეგრელიძე ი., საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, დისერტაცია, თბ., 2021. https://tsu.ge/assets/media/files/shares/test%20folder/zustebi/Biblioteka/sadoqtoro_naSromebi/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98.pdf
71. მელიქსეთ-ბეგი ლ., სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, თბ., 1927.
72. მერაბიშვილი ჯ., რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, კეკელია მ. (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990.
73. მერებაშვილი ჯ., სახალხო მმართველობის სისტემა ფშავში, ქართული ჩვეულებითი სამართალი, 4, კეკელია მ. (მთ. რედ.), მეცნიერება, 1993.
74. მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, I, 1948.

75. მესხიშვილი ნ., ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, დისერტაცია, თბ., 2016.
76. მეტრეველი ვ., ბაგრატიონთა ღვაწლი ქართულ სამართალში, საიუბილეო კრებული: რ. შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012.
77. ნადარეიშვილი გ., საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში („ჩემება“), სამართალი № 2, 2002.
78. ნადარეიშვილი გ., ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, 15.
79. ნათაძე გ., საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწილი I, II, ტფილისი, 1925.
80. ნინიძე თ., კოინგის „იურიდიული არქეოლოგია“, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011, 231.
81. ნინო მესხიშვილი, ქონების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან, თბილისი, 2018, 29.
82. ნიჟარაძე ბ., თავისუფალი სვანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962, 120.
83. ონიანი, ს., ქრისტიანული მოძღვრების როლი ბრალის დამუშავებაში, თბ., 2013. <https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sulxan_oniani.pdf> [08.01.2022].
84. ოჩიაური ალ., ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ხევსურეთის რჯული, M´84, 12.
85. პ. ცხვილოელი, საქართველო და მისი ისტორიული წარსული, ივერია, 1891, №38.
86. პირველი ს., საკუთრების უფლების არსი და მისი სოციალური ბუნება, უნივერსალი, 2014.
87. რობაქიძე ა., შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, თბ., 1941.
88. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობის ისტორიისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
89. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ჭანტურია ლ. (რედ.), თოთლაძე ლ., რუსიაშვილი გ., ჭეჭელაშვილი ზ., შოთაძე თ. (ავტ.), II, თბ., 2018.

90. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. მელიქიშვილი გ. (რედ.), საბჭოთა საქართველო, თბ, 1970.
91. სილოგავა ვ., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124 წწ.), მრავალთავი: ფილოსოფიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 9, 1981.
92. სტეფნაძე, ჯ., საქართველო XII ს და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, მეცნიერება, თბ., 1985, 134; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
93. სურგულაძე ი., საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVb, თბ., 1949.
94. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, განათლება, თბ., 1965.
95. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, სსთსუ გამომცემლობა, თბ., 1952.
96. სურგულაძე, ივ., საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სსთსუ შრომები, XXXVII, თბ., 1949.
97. სუხიტაშვილი დ., სიახლე საკუთრების წარმოშობის საფუძვლებში. კრებულში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
98. ურბნელი ნ., სატყეო საქმე ჩვენში, ივერია, №102, 1886.
99. ფუტკარაძე ი., სანივთო-სამართლებრივი საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, სამართლის პრობლემები, თბ., 2012.
100. ფუტკარაძე ი., ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 1979, 109.
101. ფუტკარაძე ი., ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისთვის, მეცნიერება, თბ., 1964.
102. ქენქაძე ვ., ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი, პოლიგრაფ თბილისი, თბ, 2002.
103. ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა - ფაქტი და უფლება, სამართლის ჟურნალი, №2, თბ., 2009.

104.ქოჩაშვილი ქ., მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2011.
105.ქურციკიძე ც., ეზრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბილისი, 1971.
106.ღუდუშაური გ., ნადირობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები ხევსა და ხევსურეთში, კრებულში: კლიო (საისტორიო ალმანახი), მემატიანე, თბ., 2001.
107.ყიფშიძე ი., სატყეო მეურნეობის ისტორიის საკითხები, ინტელექტი, 2013, თბ., 12.
108.ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), თბ., 1963.
109.შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, მეცნიერება, თბ., 1971.
110.შოთაძე თ., სანივთო სამართალი, მერიდიანი, თბ., 2014.
111.შოშიტაშვილი ნ., ნადირობა ძველ საქართველოში, ჟურნალში: ისტორიანი, თბ., 2020.
112.ჩაგუნავა რ., ოქროს საწმისი, საქართველოს ქალი, 2006, №1-2.
113.ჩიქობავა აკ., განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები, დისერტაცია, თბ., 2019.
114.ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი), მეცნიერება, თბ., 1979.
115.ცაგარეიშვილი ე., სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, მეცნიერება, თბილისი, 1971.
116.წურწუმია მ. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება, დისერტაცია, თბ., 2014.
117.ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2006.
118.ხევსურული სიმღერები, შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ, ივერია, №264, 1887.
119.ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940.

120. ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, სსრკ მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. თბ., 1940.
121. ხუბუა მ., ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან, აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939), აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., 1940.
122. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I, თბ., 1979.
123. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. 5, სსთსუ გამომცემლობის სტამბა, 1953.
124. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, მეცნიერება, თბ., 1983.
125. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984.
126. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნ. I, ფედერაცია, ტფილისი, 1930.
127. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I. 1928.
128. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1928.
129. ჯალაბაძე დ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან, ქართული ჩვეულებითი სამართალი, კეკელია მ. (მთ. რედ.), მე-2 წიგნი, მეცნიერება, თბ., 1990.
130. ჯალაბაძე დ., მასალები ფშავურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., 28.
131. ჯანაშვილი მ., ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო, XXIV, აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი, ელექტ. მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა, ტფ., 1910.
132. Burke B., Snoe J., Property, Aspen Publishers, New Jork, 2004.
133. Van Erp, Comparative Property Law, in: Reimann/Zimmermann (eds.), The Oxford Handbook of Comparative Law, 2006, .
134. Wieling, Sachenrecht, Berlin, Heidelberg, 1994.
135. Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts, Band I, 1887.
136. Zenker G. Th., Dictionnaire turc-arabe-persane, Leipzig, 1866.
137. Барон Ю., Система римского гражданского права, Книга II – Владение. Книга III – Вещные права, С-Петербург, 1908.

138. Бердзенишвили Н.А., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVIII вв.), 1938.
139. Ван Влиет Л.П.У., Сравнительно-правовые аспекты перехода, прав на движимые вещи: классификация систем перехода прав, Ежегодник сравнительного права, 2011.
140. Венедиктов А. В., Государственная социалистическая собственность, М.-Л., 1948.
141. Гарсия-Гаридо М.Х. Римское частно право, М., 2005.
142. Дернбург Г., Пандекты, Вещное право, Т. 1, ч. 2, университетская типография, С.Петербург, 1956.
143. Дернбург Г., Пандекты, общая часть, Т. 1, университетская типография, Москва, 1906.
144. Дождев Д.В., Римское частное право, Нерсесянц В.С., Норма, Москва, 2005.
145. Инал-Ипа Ш., К вопросу о матриархально-родовом строе Абхазии, Тр. АБИИН, XXV Сухуми, 1917.
146. История государства и права зарубежных стран, Жидкова О.А. (Ред.), Крашенинникова Н.А. (Ред.)., Норма, Москва, 2003.
147. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Т. II., М., Типография А. И. Мамонтова, 1890.
148. Мейер Д.И., Русское гражданское право, Т. 1, под ред. А. Вицына, Тип. Н. Тиблена, С.-Петербург, 1861.
149. Пухта Г.Ф., История римского права, типографія Семена, 1864.
150. Пухта Г.Ф., Курсъ римского гражданского права, типографія «Соврем. Изв.», 1874.
151. Т. Мамаладзе, Народные обычаи и поверья гурийцев, СМОМПК, 17, Тифлис, 1843.
152. Фигуровский Н. Ливны на Кавказе, М., 1928.
153. Шавров М., О третьей книге Эздры (опыт исследования о книгах апокрифических), СПб., 1861.
154. Шавров Н., Краткий очерк современного положения пчеловодства на Кавказе, 1934.
155. Шавров Н., Очерк пчеловодства в Закавказье, Т. IV., ч. II, Тифлис., 1888.
156. Шворина Т., Воинские артикулы Петра I, 1940; Памятники русского законодательства XVIII столетия, I, 1907.
157. Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, Т. I, М., 1914.
158. Эннекцерус Л., Курс германского гражданского права. Т. I., М., 1949.

წყაროები

1. 1783 წ. ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
2. არჩილ მეფე, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, 647-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: https://wikisource.org/
3. აღბუღას სამართალი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1963.
4. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, IV ტომი, 1973.
5. ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
6. ბასილი ზარზმელი, ცხორებაÁ სერაპიონ ზარზმელისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
7. ბეგრის დადების დაწერილი შიომღვიმისა {893-918], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
8. ბერძნული სამართალი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1963.
9. ბიჭვინტის იადგარი [1525-1550 წწ.], ქსძ, II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), მეცნიერება, თბ., 1965.
10. ბრძანება სვიმონ I-ისა მეკობრეთ-მძებნელის შესახებ [1590], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
11. გაიუსის ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011.
12. განჩინება ერეკლე II-ისა ქიზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ, [1744-1762 წწ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.
13. განწესება სარუსთველო დროშისა [1722 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.

14. გარიგება ხელმწიფის კარის {XIV ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
15. გიორგი მერჩულე, ცხორებაÁ გრიგორ ხანძთელისაÁ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
16. გიორგი მთაწმინდელი, ცხორებაÁ იოვანესი და ეფთვმესი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
17. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959.
18. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
19. დიდი სჯულიკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ავტორებმა: გაბიძაშვილი ე., გიუნაშვილი ე., დოლაქაძე მ., ნინუა გ., მეცნიერება, თბ., 1975.
20. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გ. ქიქოძის წინასიტყვაობითა და რედაქციით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი, 1937.
21. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964.
22. ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, საბჭოთა საქართველო, თბ., 1964.
23. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი სოსო ჭანტურიშვილი, 1997.
24. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებამი საქართველოსანი, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991.
25. ვახუშტი ბაგრატიონი, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, I ნაწილი, სამცხე, თბ., 1991, ც.
26. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, IV ტომი, 1973.
27. ზემო ქართლის მდევრობის განწესება ერეკლე II-ისა [1772], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.
28. თეიმურაზ მეორე, დღისა და ღამის გაბაასება, 612-ე სტროფი, ინტერნეტ გამოცემა: http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/

29. იაკობ ცურტაველი, წამებაÁ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაÁ, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
30. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, სსთსუ გამომცემლობა, 1975.
31. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, V, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, მეცნიერება, თბილისი, 1986.
32. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1935.
33. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, I, მერანი, თბ., 1990.
34. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
35. ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), ბურჯანაძე შ. (რედ.), თბ., 1958.
36. იუსტინიანეს დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ გამომცემლობა, თბ., 2012.
37. იუსტინიანეს დიგესტები, რომის სამართლის ძეგლები, წიგნი მეექვსე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ გამომცემლობა, თბ., 2014.
38. იუსტინიანეს ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, მერიდიანი, თბ., 2002.
39. კათალიკოსის სახლთუხუცესის რიგი და შესავალი [1660-1676 წწ.], ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970.
40. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
41. მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი [1579 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.

42. მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი [1170 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
43. მამულის სითარხნის წიგნი როსტომ მეფისა მერაბ ყორღანაშვილისადმი, [1634], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
44. მარტÂლობაÁ დავით და კონსტანტინესი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
45. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, შ. მესხიას რედაქციით, 1948.
46. მატიანე ქართლისაÁ, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
47. მორიგის ჯარის ლაშქრობის განაჩენი [1774 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
48. მუხლნი სათხოვარნი სოლომონ II-ისა ალექსანდრე I-სადმი იმერეთის სამეფოზე მისი უფლებების დამტკიცების შესახებ [1804 წ.], ქსძ, II, დოლიძე ის. (მთ. რედ., შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი), თბ., 1965.
49. მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი ალექსანდრე მეფისა [1562 წ.], ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
50. მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი თეიმურაზ II-ისა [1749], მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი თეიმურაზ II-ისა [1749 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
51. ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი [IX}, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
52. ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
53. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ., თბ., 1964.
54. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1963.

55. სამართალი ბერძნული, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1963.
56. სამართალი ბექასი და აღბუღასი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1963.
57. სამართალი კათალიკოზთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.
58. სამართალი მოსესი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1963.
59. სამართალი სომხური, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქსძ, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1963.
60. სამოქალაქოს ჰსჯულვიდება (XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. ფურცელაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
61. სიბრძნჷ ბალაჰვარისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., I, ყუბანეიშვილი ს. (შემდ.), სსთსუ გამომცემლობა, 1946.
62. სითარხნის განახლების წიგნი ერეკლე I-ისა დავით-გარეჯისადმი [1692], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
63. სუმბატ დავითის-ძე, ცხორებაÁ და უწყებაÁ ბაგრატონიანთა, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, VIII, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, მეცნიერება, თბილისი, 1990.
64. ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, საბჭოთა საქართველო, თბ., 1970.
65. ქიზიყის მოურავის სარგო შედგენილი რ. ანდრონიკაშვილის მიერ [1802 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.
66. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, ჟორდანია თ. (მთ. რედ.), სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა, თბ., 1896.
67. ქსენოფონტის „ანაბასისი“, მიქელაძე ი. (რედ., მთარგ.), თბ., 1967.
68. ღმრთაების გუჯარი [1722 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი.

69. შეუვალობის განახლების სიგელი დავით ნარინისა ხელიხეველთა და წაქველთადმი {1261 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
70. შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი [1259], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ, 1965.
71. შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი [1260 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბილისი, 1965.
72. შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი [1545 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
73. შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი {1188 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
74. შეწირულების სიგელი კახთა მეფის ლეონისა სვეტიცხოვლისადმი [1569 წ.], ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
75. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1975.
76. ცხორებაÁ მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
77. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მემატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954.
78. ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
79. ძეგლისწერაÁ რუის-ურბნისის კრებისაÁ, ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970.
80. წიგნი რუსუდან დედოფლისა კათალიკოზ დომენტისადმი ტყვის-სყიდვის აკრძალვაზე [1712], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.

81. წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზერდგინისძისადმი [1425 წ.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
82. წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველისადმი {1348 ს.], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
83. წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ჯავახიშვილისადმი [1466], ქსძ, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1965.
84. წყალობის წიგნი დავით კათალიკოსისა ოქროპირ მაღალაშვილისადმი [1472 წ.], ქსძ, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), მეცნიერება, 1970.
85. წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა ხუდადა ხოჯაშვილისადმი [1660 წ. 1 მაისი], ქსძ, IV, სასამართლო განჩინებანი [XVI-XVIII სს.], ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, მეცნიერება, თბ., 1972.
86. ხამურაბის კანონები, კიკნაძე ზ. (თარგმ. აქადურიდან), მეცნიერება, თბ., 1988.
87. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, მეტრეველი რ. (მთ. რედ.), „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.

ლექსიკონები

1. მელიქსეთ-ბეგი, ლ. სომხურ-ქართული ლექსიკონი, გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მ. რობაქიძემ, ნეკერი, თბ., 1996.
2. ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, განათლება, თბ., 1978.
3. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი, ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949.
4. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად, ელერდაშვილი ალ., ფანტაზია, თბ., 2006.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არ. ჩიქობავას რედაქციით, ერთტომეული, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986.
6. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, მეტრეველი. რ. (რედ); მერიდიანი, თბ., 2011.

7. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, მემმარიაშვილი, ე., (რედ.), თბ., 2017.
8. ღლონტი, ა., კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2, განათლება, თბ., 1974.
9. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ სულხან-საბა ორბელიანისა, ალ. ღლონტი (რედ.,), 1961.
10. ჩუბინაშვილი, დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, საბჭოთა საქართველო, თბ., 1984.
11. Бартошек, М., Римское право, понятия, термины, определения, Юридическая литература, Москва, 1989.
12. Словарь русского языка, в четыре в томах, Т. I, государственное издательство иностранных и национальных словарей, Москва, 1957.